ხათუნა მურადიშვილი, გიორგი ბაღათურია

პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის დილემა პოსტსაბჭოთა სივრცეში

GRUNI
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის დილემა პოსტსაბჭოთა სივრცეში

ხათუნა მურადიშვილი, გიორგი ბაღათურია

პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის დილემა პოსტსაბჭოთა სივრცეში

მონოგრაფია

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2022

ნაშრომი მომზადდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში.

ავტორები:

საჯარო მმართველობის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის საჯარო მმართველობის სკოლის ასოცირებული პროფესორი

ხათუნა მურადიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ვარშავის მენეჯმენტის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კომპიუტერული მეცნიერებების და სისტემების საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გიორგი ბაღათურია

სამეცნიერო რედაქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

შოთა დოლონაძე

სამეცნიერო რედაქტორი -

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამარ კიკნაძე

© ხ. მურადიშვილი, გ. ბაღათურია, 2022

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2022**

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-284-5

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საავტორო უფლების მქონე სუბიექტის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით

მონოგრაფიაში განხილულია პოლიტიკური ლიდერობის პრობლემატიკა პატარა ქვეყნაში. ნაშრომი ფოკუსირებულია სამ საკვანძო საკითხზე - პოლიტიკური ლიდერი, პოლიტიკური ლიდერის დილემა და პატარა ქვეყნის კონცეფცია. მონოგრაფია მოიცავს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სოციალური პროცესების დინამიკის მიმოხილვა-გაანალიზებას, რომელიც განვითარდა საქართველოში ბოლო 30 წლის ისტორიის მანძილზე.

საკვანძო საკითხებიდან გამომდინარე მონოგრაფიაში წინ წამოწეულია ზოგადად პოლიტიკური ლიდერის ფენომენის განმსაზღვრელი ფაქტორები და მისი ანალიზი, ის პრობლემები, რომლებიც იქმნება ლიდერობის პროცესში და განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისა, რომელიც ბოლო ათეული წლებია ცხოვრობს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების რეჟიმში.

მონოგრაფიაში შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით წარმოდგენილია მსჯელობა პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური ლიდერის საქმიანობის ირგვლივ. განხილულია მათი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. აღნიშნული საკითხები ურთიერთშეჯერებულია მიმდინარე ისტორიულ მოვლენებთან, ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკასთან, რაც საბოლოო ჯამში იძლევა ისტორიული მოვლენების ობიექტური განსჯისა და სწორი შედეგების გამოყვანის საშუალებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პატარა ქვეყნის კონცეფციის ჩამოყალიბებას. მოყვანილია სხვადასხვა ტიპის მაგალითები სხვა პატარა ქვეყნების პოლიტიკური თუ სოციალური ვითარებიდან.

მონოგრაფიაში გადმოცემული მასალის შესახებ ავტორებს გაკეთებული აქვთ მოხსენებები სამეცნიერო კონფერენციებზე, კვლე-

ვის შედეგები გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებში და კონფერენციების შრომათა კრებულებში, ხოლო ხათუნა მურადიშვილს მიენიჭა საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორის წოდება.

მონოგრაფია სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც დაინტერესებულია სახელმწიფო მართვის საკითხებით, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით საჯარო პოლიტიკის ამოცანებში.

სამეცნიერო რედაქტორი - პროფესორი შოთა დოღონაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

სამეცნიერო რედაქტორი - პროფესორი თამარ კიკნაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

რეცენზენტი - პროფესორი ოთარ ქოჩორაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტი - ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ზაქარაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

© ხ. მურადიშვილი, გ. ბაღათურია, 2022

ვუძღვნით მერაბ მურადიშვილის ნათელ ხსოვნას

ხათუნა მურადიშვილი, გიორგი ბაღათურია

რედაქტორის წინასიტყვაობა

მე-20 საუკუნე გამოირჩეოდა არა ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენით, რომელმაც მსოფლიო უდიდესი კატასტროფებისა და ცვლილებების წინაშე დააყენა. მარტო ორი მსოფლიო ომი საკმარისი იქნებოდა აღნიშნული საუკუნის დასახასიათებლად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ომებს წინ უძღოდა და თან სდევდა არნახული ტექნიკური პროგრესი, ომების შედეგები დიდი ნგრევითა და მილიონობით ადამიანის ტრაგედიით აღინიშნა. ამასთანავე, მე-20 საუკუნე ადამიანების ურთიერთობების ახალი დინამიზმით, ახალი მეცნიერული მიღწევებითა და მიგნებებით გამოირჩეოდა. ამ საუკუნეშივე სათავე დაედო ისეთ მეცნიერების, როგორიც მართვის, მათ შორის საჯარო მმართველობის მეცნიერების აღმოცენებასა და განვითარებას.

საჯარო მმართველობის მეცნიერების განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ისტორიაში პიროვნების როლისა და ადგილის განსაზღვრა წარმოადგენს. გაჩნდა მოთხოვნილება სწორად და ყოველმხრივ გაანალიზებული ყოფილიყო ლიდერის, მართვის პიროვნული სუბიექტის ადგილი და მისი ჩამოყალიბების პარადიგმა. პოლიტიკური ლიდერის როლს არც ერთ ეპოქაში არ მიუქცევია მეცნიერთა ასეთი ყურადღება, როგორც მე-20 საუკუნის დასასრულს.

განსაკუთრებული ელფერი შეიძინა ამ პრობლემამ ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო და საბჭოთა ნანგრევებზე წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

წარმოდგენილი მონოგრფიის ავტორები სწორად მიუთითებენ თემის აქტუალობის ისეთ მხარეებზე, როგორიცაა ლიდერის ფენომენის ადგილი პატარა (მცირე) სახელმწიფოებში. საქართველოსთვის კი მნიშვნელოვანია ამ საკითხის

პოსტსაბჭოთა სივრცეში დანახვა და გაანალიზება. ჩვენც მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური ლიდერის პრობლემატიკა ყველა დროის აქტუალური საკითხია. პოლიტიკაში ლიდერობა ეს ხელმძღვანელობის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც გავლენას ახდენს, როგორც სახელმწიფოზე, ასევე მოქალაქეზე და ზოგადად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ლიდერის პირადი თვისებები, იმდენად რამდენადაც თავისი ქმედებით მნიშვნელოვანწილად სწორედ ლიდერი, არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში.

ადამიანი გარკვეულწილად ლიდერი ხდება იმის გამო, რომ აქვს ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრირების მოთხოვნილება, მაგრამ ეს არ არის ლიდერობის ერთადერთი მიზანი. არ არსებობს ლიდერი მიმდევრების გარეშე, იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც მას ენდობიან. ლიდერი არეგულირებს ურთიერთობებს საზოგადოებაში, აძლევს მათ გარკვეულ მიმართულებას, იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობების ტექნოლოგები საზოგადოების არსის მნიშვნელობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ და ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ლიდერი, როგორც წესი უნდა აღიქმებოდეს როგორც **„ერთერთი ჩვენთაგანი“** და იმავდროულად როგორც **„საუკეთესო ჩვენს შორის“.**

წარმოდგენილი მონოგრაფიის სიახლე სახეზეა იმდენად, რამდენადაც საჯარო მმართველობის მეცნიერებაში ამ პრობლემატიკაზე არც თუ ხელშესახები მასალები გაგვაჩნია. სხვადასხვა ავტორი ლიდერობის პრობლემატიკას არა პოლიტიკური ლიდერის მაგალითზე, არამედ ორგანიზაციების ლიდერების, უმრავლეს შემთხვევაში ცნობილი მენეჯერე-

ბის საქმიანობის ანალიზზე დაყრდნობით გვთავაზობენ. მონოგრაფიის ავტორებმა კი ეს პრობლემა უფრო ფართოდ, პოლიტიკის „კეთების“ ჭრილში დაინახეს და ამ მიმართულებით ახლებურ მიგნებებს გვთავაზობენ. სახეზეა ქვეყნის როგორც ისტორიული წარსულის კვლევა, ასევე მისი სამომავლო ხედვების განსაზღვრა. რაც საბოლოო ჯამში ხსნის დასახულ ამოცანას. კერძოდ, ისეთი თანამედროვე პოლიტიკური ლიდერის ტიპაჟის შექმნა, რომლსაც გათვალისწინებული ექნება ყველა დაშვებული შეცდომა, გააზრებული ექნება სწორი პოლიტიკური კურსი, რასაც სამომავლოდ გამოიყენებს იმისთვის რომ პატარა ქვეყანა გამოიყვანოს არსებული პოლიტიკური ჩიხიდან.

ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს პოლიტიკური ლიდერის, როგორც მმართველის კომპლექსურად შესწავლა საქართველოს მაგალითზე. ზოგად სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით პატარა ქვეყნის კონცეფციის ანალიზი. საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის მახასიათებლების შესწავლა და გაანალიზება პოსტსაბჭოთა სივრცის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც ლიდერების მხრიდან მმართველობის სპეციფიკური ფორმების განხორციელების აუცილებლობას განაპირობებს.

ვთვლით, რომ მონოგრაფიის ავტორებმა ძირითადად დაძლიეს მათ წინაშე დასმული ამოცანა შეესწავლათ პოლიტიკური ლიდერის ფენომენი თანამედროვე პოლიტიკური სამყაროს მოთხოვნების გათვალისწინებით და სათანადო რეკომენდაციები შეემუშავებინათ საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის, ეფექტურად მოქმედი პოლიტიკური ლიდერებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი რამ, რომლებიც ავტორებს გადაწყვეტილად მიაჩნიათ, ჩვენ თვლით, რომ ჯერ

კიდევ სერიოზულ და უფრო ღრმა განსჯას საჭიროებს, გვერდს ვერ აუვლით იმის კონსტატაციას, რომ გარკვეული შედეგები სახეზეა, ასე მაგალითად: ჩამოყალიბებულია ავტორისეული ხედვა პატარა ქვეყნის შესახებ; შეგვიძლია გავიზიაროთ მათი პოზიციები პოლიტიკური ლიდერის ფენომენის თაობაზე; ძირითადად მისაღებია „კარგი“ ლიდერის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებები (თუმცა აქვე მივანიშნებთ, რომ ტერმინი „კარგი“ ლიდერი სადავოდ მიგვაჩნია); სასარგებლოდ გვეჩვენება ის მახასიათებლების გამოკვეთა, რომელიც პატარა ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერს უნდა გამოყოფდეს.

ჩვენ ვიზიარებთ ავტორებისა და სხვათა ზოგად მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური ლიდერის კატეგორია საინტერესოა, რადგანაც მის ხელშია პოლიტიკის საფუძველი - ძალაუფლება და სწორედ ის აძლევს მიმართულებას პოლიტიკურ პროცესებს. არსებობენ „კონსერვატორი“, „გმირი“, „ერის მამის“ ტიტულის მქონე ლიდერები. ზოგადად "გმირისა" და "ერის მამის" ტიპაჟები გარკვეულწილად ავტორიტარიზმთან, მკაცრ და ხშირ შემთხვევაში ძალისმიერ მმართველობასთან ასოცირდება. აქ მთავარი მომენტია მოხდება თუ არა ავტორიტარული მმართველობიდან დემოკრატიულზე უმტკივნეულოდ გადასვლა.

მიუხედავად ცალკეული მაქსიმალიზმისა, ვფიქრობთ მონოგრაფიი კვლევის შედეგები შემდგომ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მეცნიერულ-თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. აქვე ვურჩევთ ავტორებს არ შემოიფარგლონ მიღწეულით და განაგრძონ სამეცნიერო საქმიანობა ამ მიმართულებით.

ჩვენთვის მისაღებია ავტორთა მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია. ამასთანავე, ხაზს გავუსვამთ იმა-

საც, რომ ნაშრომი კარგი ენით არის დაწერილი და საინტერესოდ იკითხება. საინტერესოდაა შესრულებული ლიტერატურის მიმოხილვა, საფუძვლიანი მასალაა დამუშავებული კვლევის პროცესში. ეს ნათლად ჩანს არა მხოლოდ გამოყენებული წყაროების ჩამონათვალიდან, არამედ იმ ანალიზიდან, რომელიც ნაშრომშია გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დადებითად ვაფასებთ ნაშრომს, მიგვაჩნია რა ის დასრულებულ კვლევად და საგულისხმო შენაძენად საჯარო მმართველობის მეცნიერულ კვლევაში, ზოგიერთ საკითხზე მაინც ვთვლით საჭიროდ ყურადღება გავამახვილოთ:

ვურჩევდით ავტორებს უფრო ღრმად ჩაიხედონ ისეთ პრობლემაში, როგორიცაა სსრკ დაშლა და ამ სივრცეში ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნების წარმოქმნა. საკამათოა ავტორთა შეხედულება აზერბაიჯანის პოლიტიკურ - ეკონომიკური სტაბილურობის შესახებ, რაც მათი აზრით „გარკვეულწილად ენეგრომატარებლებს ეფუძნება.“ ჩვენ ვლაპარაკობთ პოლიტიკურ ლიდერზე, სწორედ აზერბაიჯანის მაგალითი ჰეიდარ ალიევის პოლიტიკური ლიდერობისა იმის მაჩვენებელია, რომ პოლიტიკურ ლიდერს ხელეწიფება ქვეყნის „გადარჩენა“ თუ ის სწორ სტრატეგიას აირჩევს. პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი არ იყო დემოკრატიულობისა და ადამიანის უფლებების პირუთვნელად დამცველის ნიმუში, მაგრამ უდაოა მისი პირადი წვლილი აზერბაიჯანის პოტენციალის სწორად გამოყენების საქმეში.

მიუხედავად ზემოთ გამოთქმული შენიშვნებისა, მიგვაჩნია, რომ წარმოადგენილია საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც მაღალ შეფასებას იმსახურებს.

პროფესორი შოთა დოღონაძე

რედაქტორის წინასიტყვაობა

პოლიტიკური ლიდერის პრობლემატიკა ყველა დროის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს პოლიტიკაში ლიდერობა ეს ხელმძღვანელობის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც გავლენას ახდენს, როგორც სახელმწიფოზე, ასევე მოქალაქეზე და, ზოგადად ,საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ლიდერის პირადი თვისებები, იმდენად რამდენადაც თავისი ქმედებით მნიშვნელოვანწილად სწორედ ლიდერი, არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში.

წარმოდგენილი მონოგრაფია ეხება ლიდერის ფენომენის, როგორც ზოგადად, ასევე, კონკრეტულად პოლიტიკურ ლიდერის კვლევას, მისთვის დამახასიათებელი ნიშან - თვისებებით და დამოკიდებულებით პოლიტიკურ ძალაუფლებასთან.

კვლევის საგანია ასევე ნაციონალური ლიდერის ცნება, როგორც ხელისუფლების იერარქიის სათავეში მყოფი სუბიექტისა, რომელსაც ძალუძს, ინიცირება და გავლენა მოახდინოს სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების აქტიობაზე ყველა მიმართულებით.

ნაშრომის კვლევის საგანს ასევე წარმოადგენს კონცეფცია პატარა ქვეყნის შესახებ, პატარა ქვეყნის დეფინიცია და კონცეფციის ჩამოყალიბება საქართველოზე, როგორც პატარა ქვეყნაზე, ხოლო კვლევის ობიექტს პოლიტიკური ლიდერის ფენომენი პატარა ქვეყნის (საქართველოს) მაგალითზე.

ავტორებმა კვლევის ამოცანად დასახა როგორც ქვეყნის ისტორიული წარსულის კვლევა, ასევე მისი სამომავლო ხედვების განსაზღვრა და, ისეთი თანამედროვე პოლიტიკუ-

რი ლიდერის ტიპაჟის შექმნა, რომლსაც გათვალისწინებული და გააზრებული ექნება ყველა დაშვებული შეცდომა, აირჩევს სწორ პოლიტიკურ კურსს, რასაც სამომავლოდ გამოიყენებს იმისათვის რომ პატარა ქვეყანა გამოიყვანოს არსებული პოლიტიკური ჩიხიდან.

ავტორებმა პოლიტიკური ლიდერის ფენომენის შესწავლისას გაანალიზეს ლიდერობის როგორც ანტიკური, ასევე თანამედროვე ფილოსოფიური კონცეფციები, ასევე პოლიტიკური ლიდერის, როგორც მმართველის ყოველმხრივი, კომპლექსური თვისებები და ლიდერობის ფენომენის შესწავლის თანამედროვე მეთოდები. საქართველოს მაგალითზე., ზოგად სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, მათ შეძლეს პატარა ქვეყნის შესახებ კონცეფციის ანალიზი. საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის მახასიათებლების შესწავლისა და გაანალიზების საშუალებით და პოსტსაბჭოთა სივრცის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით,, წარმოაჩინეს, ლიდერის მხრიდან მმართველობის სპეციფიკური ფორმების განხორციელების აუცილებლობა.

ამრიგად, ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს პოლიტიკური ლიდერის ფენომენის შესწავლა თანამედროვე პოლიტიკური სამყაროს მოთხოვნების გათვალისწინებით და სათანადო რეკომენდაციის შემუშავება საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის, ეფექტურად მოქმედი პოლიტიკური ლიდერებისათვის.

კვლევის შედეგად ნაშრომში:

- შემუშავებულია კონცეფცია პატარა ქვეყნის შესახებ;
- ჩამოყალიბებულია პოზიცია პოლიტიკური ლიდერის ფენომენის თაობაზე;
- განსაზღვრულია „კარგი“ ლიდერი, რომელიც ფლობს ასეთი ლიდერის ყველა ნიშან-თვისებებას;

- განსაზღვრულია პატარა ქვეყნის (საქართველოს) პოლიტიკური ლიდერისათვის საჭირო მთავარი მახასიათებლები;
- საბოლოო ჯამში კვლევის შედეგის სახით, ჩამოყალიბებულია პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ფენომენი.

ნაშრომში ჩატარებული კვლევა ასევე მნიშვნელოვანია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

თეორიული თვალსაზრისით კვლევის შედეგები გააღრმავებს აქამდე არსებულ ცოდნას ლიდერის შესახებ, ასევე შეიტანს სამეცნიერო ცხოვრებაში მთელ რიგ სიახლეებს ამ საკითხების ირგვლივ. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდგომი კვლევებისათვის რომელიც მიძღვნილი იქნება პოლიტიკური ლიდერის ფენომენის შესასწავლად.

პრაქტიკული თვალსაზრისით აღნიშნული საკითხის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის მმართველობის დონის გაუმჯობესებისთვის. სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები და საკითხების განზოგადება შესაძლებელია სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობითი ორგანოებისათვის. კვლევის შედეგები შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას იმ ორგანიზაციების მიერ რომლებიც ახორციელებენ საჯარო სამსახურებისათვის კადრების მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

მონოგრაფიის თემატიკა საკმაოდ ფართო დიაპაზონს მოიცავს. ავტორებმა ჩაატარეს პრობლემის სრულყოფილი და ანალიტიკური კვლევა, მათ შორის ემპირიული, რაც გულისხმობს კვლევის ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა მოვლენის პოლიტიკური, სოციოლოგიური და პრაქტიკული ანალიზი. საკვლევი საკითხის სპეციფიკური თა-

ვისებურებებიდან გამომდინარე გამოყენებულ იქნა პირველადი და აღწერითი კვლევის მეთოდები, ანალიტიკური და საპროგნოზო კვლევა, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევის მეთოდი. ინფორმაციის მოსაპოვებლად ნაშრომში ჩატარებულ იქნა ორი ტიპის ინტერვიუ: **სტრუქტირირებული** და **ნახევრადსტრუქტურირებული** ინტერვიუები, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა საჯარო მმართველოს სფეროში სპეციალიზებული ექსპერტებისაგან შემდგარი ფოკუს-ჯგუფის გამოკითხვა.

გარდა საერთო მეთოდოლოგიური მიდგომებისა, ნაშრომში ასევე გამოყენებულია სოციალური და პოლიტიკური ანალიზის კვლევის პრაქტიკული მეთოდი და ზოგადსამეცნიერო მეთოდები, რომლის მეშვეობითაც საკითხების შესწავლა და კვლევა განხორციელებულია შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სოციოლოგიური მეთოდების საფუძველზე, რომელშიც გამოყენებულ იქნა კულტურულ-ისტორიული, სტრუქტურულ - ფუნქციონალური, სისტემურ - კომპლექსური და სტრუქტურულ ანალიტიკური მიდგომები.

ნაშრომი სიანტერესოა, ემპირიული და ფაქტობრივი მასალით მდიდარი, საინტერესო დასკვნებით. იგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების განვითარებაში, მაგრამ ამასთანავე გვინდა გამოვთქვათ რიგი რეკომენდაციები.

სასურველი იქნება თუ შემდგომი მეცნიერული კვლევის პროცესში პოლიტიკური ლიდერის ფენომენის განხილვისას ავტორები მეტ ყურადღებას დაუთმობენ პოლიტიკური კულტურის ანალიზსს და გავლენას პოლიტიკური ლიდერის ტიპის ფორმირებაზე; აგრეთვე თანამედროვე PR–

ტექნოლოგიების როლზე ახალი ტიპის პოლიტიკური ლიდერის ფორმირებაში; ლიდერის ბუნების ახსნისთვის საჭიროა გაირკვეს რა მოტივი უდევს საფუძვლად ლიდერის ქცევას. ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნებოდა ავსტრიელი ფსიქიატრის ზ. ფროიდის, ამერიკელი პროფესორის მარგარეტ. ჯ. ჰერმანის მოსაზრებები ან თუნდაც დ.უზნაძის განწყობის თეორიის გამოყენება: პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის გაანალიზებისას საყურადღებოა, კიოჰეინის თეორია, რომლის მიხედვითაც ქვეყნის სისუსტე ან სიძლიერე დამოკიდებულია ამ ქვეყნის ლიდერის აღქმაზე, თუ რა როლს ასრულებს ქვეყანა სისტემურ თამაშში.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული შენიშვნების და რეკომენდაციებისა, კვლავ ვადასტურებთ, რომ ნაშრომი სერიოზული შენაძენი იქნება ქართული სოციალურ პოლიტიკური მეცნიერებისათვის.

პროფესორი თამარ კიკნაძე

რეცენზენტის დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფრიად აქტუალურ საკითხს - პოლიტიკური ლიდერის როლს პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში, განსაკუთრებით პატარა ქვეყნისათვის, კერძოდ საქართველოსთვის. ნაშრომი მრავალმხრივ არის საყურადღებო, აქ განხილულია ლიდერის ფენომენის არსი, პოლიტიკური ლიდერობის თეორიულ-ფილოსოფიური საფუძვლები და თანამედროვეობა, პოლიტიკური ლიდერობის თეორიულ-ფილოსოფიური საფუძვლები და თანამედროვეობა, ჩამოყალიბებულია პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის შეფასების მეთოდოლოგია საქართველოს მაგალითზე, გაანალიზებულია კონცეფცია პატარა ქვეყნის შესახებ, ნაჩვენებია პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური მმართველობის პრობლემები, მ.შ. .საქართველოს პოლიტიკური ლიდერის როლი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განვითარებაში, .პოლიტიკურ ლიდერთა მიერ დაშვებული შცდომები. დოქტორანტის მიერ ჩატარებულია მეტად საყურადღებო კვლევა საქართველოსთვის საჭირო პოლიტიკური ლიდერის თვისებების დადგენის მიზნით და გაკეთებულია პრაქტიკულად მეტად საჭირო დასკვნები იმის შესახებ თუ როგორი პოლიტიკური ლიდერი ესაჭიროება საქართველოს.

მონოგრაფიის ავტორებმა გამოავლინეს განსახილველი საკითხის საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, აგრეთვე ცოდნის პრაქტიკული იმპლემენტაციის შესაშური თვისებები. მათ შეასრულეს სრულყოფილი კვლევა, რომელიც ნამდვილად სასარგებლო იქნება როგორც პოლიტიკური ლიდერის ფენომენის კვლევით დაინტერესებული აკადემიური წრეებისთვის, ისე პრაქტიკოსი პოლიტიკოსებისთვის. ამდენად, ფრიად საშურია მონოგრაფიის ბეჭდური სახით გამოცემა.

პროფესორი ოთარ ქოჩორაძე

შინაარსი

პროლოგი.....20

შ ე ს ა ვ ა ლ ი 26

თავი პირველი

პოლიტიკური ლიდერობის თეორიულ-ფილოსოფიური საფუძვლები 41

მითი ლიდერების, როგორც ღმერთების შესახებ.....41

ძველი ეგვიპტის თეორიულ–ფილოსოფიული შეხედულებანი ლიდერობაზე.....44

ძველი ბაბილონის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებანი ლიდერობაზე.....48

ძველი ინდოეთის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებანი ლიდერობაზე.....50

ბუდიზმი..... 54

ართჰაშასტრა.....54

ძველი ჩინეთის თეორიულ–ფილოსოფიური მოძღვრება ლიდერობაზე.....57

დაოსიზმი.....58

კონფუციანელობა.....59

მოიზმი.....61

ლეგიზმი.....62

ანტიკური საბერძნეთის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებები ლიდერობაზე

პლატონი და „სახელმწიფო“.....64

პლატონის იდეალური სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმი და იდეალური ლიდერი.....65

არისტოტელეს პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები ლიდერობაზე 69

ძველი რომის თეორიულ–ფილოსოფიური

შეხედულებანი ლიდერობაზე..... 72

შუა საუკუნეების თეორიულ–სამართლებრივი

შეხედულებები ლიდერობაზე 76

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდის

თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებანი 82

ლიდერობაზე..... 82

პოლიტიკური ლიდერი და თანამედროვეობა..... 87

პირველი თავის დასკვნა..... 92

თავი მეორე

პოლიტიკური ლიდერის საკითხები პოსტსაბჭოთა

ქვეყნებში..... 97

საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზები..... 100

აღმოსავლეთ ევრაზიის სახელმწიფოები: 105

ბელარუსი, მოლდოვეთი და უკრაინა..... 105

ბელარუსი..... 105

მოლდოვა..... 114

უკრაინა..... 117

ცენტრალური აზია: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი,

თურქმენეთი, უზბეკეთი..... 125

ყაზახეთი..... 125

ყირგიზეთი..... 130

ტაჯიკეთი 133

თურქმენეთი 137

უზბეკეთი 141
ამიერკავკასის განვითარება პოსტსაბჭოთა სივრცეში 146
აზერბაიჯანი 146
სომხეთი 149
ბალტიისპირეთის ქვეყნების განვითარება 156
პოსტსაბჭოთა სივრცეში 156
მეორე თავის დასკვნა 163
თავი მესამე 181
პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის შეფასების მეთოდოლოგია საქართველოს მაგალითზე 181
წინასიტყვეობა 181
კონცეფცია პატარა ქვეყნის შესახებ 182
პოსტსაბჭოთა საქართველო 195
ლიდერის როლი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განვითარების საკითხებში 200
საქართველოს პოლიტიკური ლიდერის როლი სახელმწიფოებრიობის განვითარებაში 204
პოლიტიკურ ლიდერთა მიერ დაშვებული შეცდომები და საბოლოო შედეგები 210
თავი მეოთხე
კვლევა საქართველოსათვის საჭირო პოლიტიკური ლიდერის თვისებების დადგენის მიზნით 224
დ ა ს კ ვ ნ ა 232

პროლოგი

*შამილი ამბობდა – **„პატარა ერს უნდა ჰქონდეს დიდი ხანჯალი“.***
*მაგრამ, **„დიდმა ხანჯალმა“** ვერ უზრუნველყო ჩრდილოეთ კავკასია დაპყრობისა და ფაქტობრივი გენოციდიდან.*
შემდეგ, ბედს შეგუებულმა ხუნძმა სახალხო პოეტმა ჰამზათ წადასამ ბრძანა –
„პატარა ერს უნდა ჰყავდეს დიდი მეგობარი“.
*მაგრამ საყველთაოდ ცნობილია, ლორდი პალმერსტონის აზრი იმის შესახებ, რომ **„...ქვეყნებს არ ჰყავთ მეგობრები ან მტრები, მათ აქვთ მუდმივი ინტერესები, რომელთაც უნდა მისდიოს სახელმწიფომ.“***

ჩვენი აზრით,
საქართველოს, როგორც პატარა ქვეყანას, უნდა ჰქონდეს
„დიდი ჭკუა“

ავტორებისაგან

თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში არსებულმა ცვლილებებმა კაცობრიობა მრავალი ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ბოლო ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო პოლიტიკურმა სისტემამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ერთი მხრივ საბჭოთა კავშირის დაშლა და მეორე მხრივ კი ახალი საერთაშორისო სისტემების დამკვიდრება. აღნიშნული გარდაქმნები შეეხო ყველა ტიპის სახელმწიფოს – განვითარებადს, განვითარებულს, დიდსა თუ პატარას. განსაკუთრებით მწვავე ვითარება შეიქმნა ტერიტორიულად პატარა, ეკონომიკურად სუსტ და სოციალურად არამდგრად სახელმწიფოებში, რომლებიც საერთაშორისო სივრცეში მხოლოდ თავის დამკვიდრებაზე, თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე არიან ორიენტირებულნი.

ნაშრომის მთავარი მიზანი მდგომარეობს თანამედროვე ტრანსფორმირებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პოლიტიკური ლიდერის როლის განსაზღვრაში. აღნიშნული საკითხი მოითხოვს პოლიტიკური ლიდერის ფენომენის კვლევას თანამედროვე პოლიტიკური სამყაროს მოთხოვნების გათვალისწინებით და სათანადო რეკომენდაციის შემუშავებას ეფექტურად მოქმედი პოლიტიკური ლიდერობისთვის. ამ ურთიერთობაში პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური ლიდერის, როგორც ქვეყნის მთავარი პოლიტიკური და მმართველი სუბიექტის მოღვაწეობის სფეროს კვლევა.

ადამიანი გარკვეულწილად ლიდერი ხდება იმის გამო, რომ აქვს ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრირების

მოთხოვნილება, მაგრამ ეს არ არის ლიდერობის ერთადერთი მიზანი. თომას კარლეილის[1] აზრით, ყველა ეპოქაში, მსოფლიო ისტორიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ დიდი პიროვნება, რომელსაც „შეიძლება ეწოდოს მხსნელი, ის ნაპერწკალი, რომელიც იწვევს „ალს“, თუმცა, ეს „მხსნელი“ კონკრეტულ ჯგუფს სჭირდება.[2] ამდენად, ისტორიული რეალობის გარდა, ლიდერის არსებობისათვის, მისი შესაძლებლობების რეალიზებისათვის აუცილებელია იმ ჯგუფის არსებობა, რომელიც მას მხარს დაუჭერს. საინტერესოა ასევე ზოგადად ლიდერის ფენომენი, რომელიც მოიცავს როგორც ლოკალურ, ასევე მაშტაბურ ლიდერებს. ასევე კონკრეტულად პოლიტიკური ლიდერი, მისთვის დამახასიათებელი ნიშან - თვისებები და მისი დამოკიდებულება პოლიტიკურ ძალაუფლებასთან.

მნიშვნელოვანია ასევე ნაციონალური ლიდერის ცნება, რომელიც შესაძლებელია სტანდარტულად განისაზღვროს – როგორც ხელისუფლების იერარქიის სათავეში მყოფი სუბიექტი, რომელსაც ძალუძს, საზოგადოება აამოქმედოს იმის გასაკეთებლად, რასაც ისინი სხვა შემთხვევაში ისინი ვერ გააკეთებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ლიდერი უძველეს, უნივერსალურ სოციოლოგიურ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენს და პოლიტიკური სფეროს აქტიური ელემენტი გახლავთ, XX საუკუნემდე არ არსებობდა მისი, როგორც მოვლენისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი მეცნიერება, რომელიც კონკრეტულად იქნებოდა ლიდერის თვი-

---

[1] თ.კარლეილი (1795-1881) შოტლანდიელი პუბლიცისტი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი

[2] კარლეილი ტ. „გმირები და გმირული ისტორიები“ 1841 წ;

სებების, აუცილებელი ფსოქოლოგიური მახასიათებლების და ლიდერისათვის საჭირო ნიშან-თვისებების კვლევაზე ორიენტირებული. დღეს მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე კი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის მატარებელს სწორედ ლიდერი წარმოადგენს.

ნაშრომში გამოკვეთილია გარემოება იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ლიდერის პრობლემატიკა ყველა დროის აქტუალური საკითხია. პოლიტიკაში ლიდერობა ეს ხელმძღვანელობის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც გავლენას ახდენს, როგორც სახელმწიფოზე, ასევე მოქალაქეზე და ზოგადად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ლიდერის პირადი თვისებები, იმდენად რამდენადაც თავისი ქმედებით მნიშვნელოვანწილად სწორედ ლიდერი, არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში.

პოლიტიკურ ლიდერის ძალაუფლება გულისხმობს ასევე იმასაც, რომ მას აქვს შესაძლებლობა მიიღოს რესურსები და გარანტიები ძალადობის წინააღმდეგ. ძალაუფლება თავად არის სპეციფიკური რესურსი ხელი მიგიწვდებოდეს სხვა დანარჩენ რესურსებთან, ამიტომაც ძალაუფლების დაკარგვის შიში გაიგივებულია „ყველაფრის დაკარგვის” შიშთან.

ამრიგად, არ არსებობს ლიდერი მიმდევრების გარეშე, იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც მას ენდობიან. ლიდერი არეგულირებს ურთიერთობებს საზოგადოებაში, აძლევს მათ გარკვეულ მიმართულებას, იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. თანამედროვე PR-ტექნოლოგები საზოგადოების არსის მნიშვნელობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ და ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ლიდერი, რო-

გორც წესი უნდა აღიქმებოდეს როგორც **„ერთერთი ჩვენთა-განი“** და იმავდროულად როგორც **„საუკეთესო ჩვენს შორის“.**

წინამდებარე ნაშრომი იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს კონცეფცია პატარა ქვეყნის შესახებ. საქართველო, ჩვენი სუბიექტური მოსაზრებით, პატარა ქვეყანაა. დღეს მსოფლიოში აქტუალურად დგას საკითხი პატარა ქვეყნების შესახებ, რადგან უმეტესობა ქვეყნებისა პატარაა. კვლევის საკითხია პატარა ქვეყნის დეფინიცია, რომელიც მრავალგვარია. მეცნიერები პატარა ქვეყანას სხვადასხვა კონტექტსში განიხილავენ, საბოლოო ჯამში კი ნაშრომში ჩამოყალიბებულია კონცეფცია პატარა ქვეყნის (საქართველოს) შესახებ.

ნაშრომის მთავარი ამოცანა გახლავთ ქვეყნის როგორც ისტორიული წარსულის კვლევა, ასევე მისი სამომავლო ხედვების განსაზღვრა. რაც საბოლოო ჯამში ხსნის დასახულ ამოცანას, კერძოდ, ისეთი თანამედროვე პოლიტიკური ლიდერის ტიპაჟის შექმნა, რომლსაც გათვალისწინებული ექნება ყველა დაშვებული შეცდომა, გააზრებული ექნება სწორი პოლიტიკური კურსი, რასაც სამომავლოდ გამოიყენებს იმისათვის რომ პატარა ქვეყანა გამოიყვანოს არსებული პოლიტიკური ჩიხიდან.

პოლიტიკური ლიდერის ფენომენის შესწავლის ძირითადი ამოცანებია ლიდერობის როგორც ანტიკური ასევე თანამედროვე ფილოსოფიური კონცეფციების შესწავლა და დამუშავება. ასევე პოლიტიკური ლიდერის, როგორც მმართველის ყოველმხრივი, კომპლექსურად შესწავლა და ლიდერობის თანამედროვე მეთოდების შემუშავება საქართველოს მაგალითზე. ზოგად სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით პატარა ქვეყნის კონცეფციის ანალიზი.

საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის მახასიათებლების შესწავლა და გაანალიზება პოსტსაბჭოთა სივრცის სპეცი-

ფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც ლიდერების მხრიდან მმართველობის სპეციფიკური ფორმების განხორციელების აუცილებლობას განაპირობებს.

ამრიგად, პოლიტიკური ლიდერი მეტად სპეციფიკური სუბიექტია, რომელსაც გამორჩეული, პოზიტიური და კომპლექსური უნარ-ჩვევები უნდა ახასიათებდეს, რომელთა შორის აუცილებელია რამოდენიმე თვისებების დომინირება. აღნიშნული ნიშან-თვისებები ყველა ქვეყნის მაგალითზე სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს ფორმირებული. კვლევის მიზანს სწორედ ლიდერობის ზოგადი ნიშან-თვისებებიდან და ჩვენი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე – პატარა ქვეყნის (საქართველოს) პოლიტიკური ლიდერისათვის საჭირო მთავარი მახასიათებლების განსაზღვრა წარმოადგენს.

ხათუნა მურადიშვილი და გიორგი ბაღათურია

შესავალი

დედამიწაზე ცივილიზაციის განვითარება მეტად რთულ და ამავე დროს საინტერესო ვითარებაში მიმდინარეობდა. სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოები არსებობდნენ, რომლებიც ძალთა გადანაწილების შედეგად წარმოიქმნებოდნენ ან წყვეტდნენ არსებობას. მათ მსოფლიო ისტორიის ჩამოყალიბებაში, მეტად თუ მცირედ, გარკვეული როლი ითამაშეს. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო „აღიგავა მიწისაგან პირისა“, მაგრამ დატოვა უდიდესი ცივილიზაციის კვალი და მკვლევარებს მოგვცა ზღვა თეორიული თუ პრაქტიკული მასალა შემდგომი კვლევებისათვის.

მანამ სანამ სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი და სისტემატიზირებული ფენომენი, დაიწყებდა თავის არსებობას მას უდიდეს მემკვიდრეობად ერგო ადრეკლასობრივი და თუნდაც პირველყოფილი თემური წყობილების გადმონაშთები. თუ მსოფლიო ცივილიზაციების ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ჰომო საპიენსი (Homo Sapiens – გონიერი ადამიანი) – როგორც სახეობა დაახლოებით სამასი ათასი წლისაა, ხოლო ცივილიზებული საზოგადოება მხოლოდ ოცი ათასი წლის. გამოდის რომ ადამიანი მთელი მისი ისტორიის 90% განმავლობაში ფორმირდებოდა და იმყოფებოდა პირველყოფილი ჯგუფური არსებობის პერიოდში. ადამიანის განვითარებაში და მისი თანამედროვე სახით ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა **ცეცხლის მოპოვებამ და დამორჩილებამ**. ცეცხლის კონტროლის შესაძლებლობა იყო გარდამტეხი მომენტი ადამიანის ევოლუციის პროცესში. ყოველივე ამას **ჰომო ერექტუსმა** თავისი შესაძლებლობების მიგნებითა და მოვლენების ურთიერთშეთავ-

სებით მიაღწია. ის უკვე აღარ იყო დამოკიდებული მეხის გავარდნასა თუ ლავის ამოფრქვევაზე. ამ მონაპოვარმა ადამიანს დააძლევინა ცეცხლის შიში, ჩამოუყალიბა ბუნებრივ მოვლებზე ზემოქმედებისა და მისი დამორჩილების ინსტიქტები და მისცა შესაძლებლობები კომპაქტურად დასახლებისა, რამაც შეუქმნა დასაბამი კაცობრიობის შემდგომ განვითარებას.

ასე თანდათან ინდივიდების ურთიერთობა ქმნის საზოგადოებას ანუ სოციუმს. ინფორმაცია, რომელიც ადამიანს მემკვიდრეობითი ნიშანთვისების გზით გადაეცემა, ცირკულირებს საზოგადოებაში და წარმოქმნის ჯერ ნოოსფეროს - ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედებას, ხოლო შემდგომ სხვადასხვა მეცნიერების საფუძველიც ხდება. მრავალი მეცნიერების სათავეს სწორედ პირველყოფილი საზოგადოებრივ - ეკონომიური ფორმაცია წარმოადგენს, სადაც ადამიანის გონივრული მოქმედებაა განვითარების მთავარი და მამოძრავებელი ფაქტორი, იმდენად რამდენადაც საზოგადოების ყველა მატერიალური და ინფორმაციული საქმიანობა ერთობლიობაში წარმოქმნის **კულტურას**.

ამ ეპოქის ადამიანმა (ჰომო ჰაბილისმა, ჰომო საპიენსმა), რომელიც მხოლოდ სუფთა ადამიანური თვისებებით გამოირჩევა საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოს განვითარებას ყოველგვარი წინასწარი დაგეგმარებისა და განზრახვების გარეშე. პირველყოფილი ადამიანი ინდივიდია, მაგრამ არა პიროვნება, რადგან მას საზოგადოება და გარემო ფაქტორები ინსტიქტურად აყალიბებს და რაიმე სწავლებასა და მოძღვრებას ადგილი არა აქვს, ამიტომ ის მოქმედებს გარემო მოვლენებიდან გამომდინარე ინსტიქტების დონეზე. მაგრამ ამ ადამიანმა თავისით მიაღწია განვითარების იმ დონეს, როცა მისი დიფერენცირება გახდა შესაძლებელი - ადამიანი, ინ-

დივიდი, პიროვნება, ზეადამიანი და ა.შ.

ამრიგად, ადამიანი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე ქმნადობის პროცესშია, მაგრამ რაც უფრო ფართო მაშტაბების ქმნილებებს ქმნიდა იგი მით უფრო მეტად იყო დამოკიდებული თანამოაზრეთა ჯგუფური მუშაობის პრინციპებზე. მაგალითად, სვეტიცხოველის ძირითადი იდეა არსაკიძეს ეკუთვნის, ეს მისი გონებრივი რესურსის შედეგია, მაგრამ სვეტიცხოველი მხოლოდ არსაკიძეს არ აუშენებია. ასევე მაგალითად, ჩვ.წ.აღ-მდე 26-ე საუკუნეში არქიტექტორ ჰემიუნუს გონებრივი რესურსია მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება ხეოფსის (გიზის) დიდი პირამიდა, მაგრამ მას დაახლოებით 100 ათასი კაცი აშენებდა. ორგანიზაციულობის მრავალმხრივი გაგებისა და განხორციელების გარეშე ვერც ალექსანდრე მაკედონელი მიაღწევდა რაიმეს, ვერც ნაპოლეონი, ვერც დავით აღმაშენებელი და ვერც თამარ მეფე.

და სწორედ მაშინ როცა ბიოლოგიურ ადამიანს გაემიჯნა პიროვნების, როგორც განვითარებული ადამიანის ნიშანთვისებები, საზოგადოებაში ჩამოყალიბებას იწყებს დომინანტი პიროვნების - ლიდერის ცნება.

ლიდერის ცნებამ კაცობრიობის განვითარებასთან ერთად მრავალგვარი სახეცვლილება განიცადა, რომლიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული, როგორც ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებასთან ისე სხვადასხვა ტიპის ეკონომიკურ ძვრებთან. აღასანიშნავია, რომ ლიდერის დონის განმსაზღვრელ ფაქტორებს საზოგადოების კულტურული და სოციალური ფონი წარმოადგენდა.

თავდაპირველი საზოგადოების ფორმა ადამიანების ერთად „თანაბრად, უკლასოდ“ ცხოვრება გახლდათ, რომელშიც გარკვეული ნაწილმა მარაგების (ეს ჯერ ქონება არ იყო) შეგროვების უნარი, ზოგმა კი ნადირობის უნარი გამოავლი-

ნა. ისინი ძალიან კარგად ართმევდნენ თავს ამ ურთულეს საქმეს და საზოგადოებაც ამ კუთხით მასზე დამოკიდებული გახდა. ადამიანების ჯგუფში უმცირესობამ გამოავლინა მმართველობის უნარები და თანდათან გამორჩეული ადამიანი გაჩნდა, რომელსაც შეეძლო წინ გაძღოლოდა თემსა თუ გვარს. ის რეიტინგული და გავლენიანი იყო მის სოციუმში. ასე თანდათან საზოგადოებაში გაჩნდა კლასები, რომლებიც ჯერ საქმიანობის სფეროების მიხედვით იყო დაყოფილი შემდეგ კი ეკონომიკური და გავლენიანი სფეროების მიხედვით. ადამიანს გაუჩნდა ერთი ან რამოდენიმე მაგრამ კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები და იცოდა თუ მას ჯეროვნად ვერ შეასრულებდა საზოგადოებაში თავს ვერ დაიმკვიდრებდა. ასევე გაჩნდნენ საზოგადოების გამორჩეული წევრები ე.წ. ბელადები, მმართველები, ლიდერები, მეფეები თუ იმპერატორები.

სახელმწიფო არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს კი ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი.

სახელმწიფოს ფუნქციონირება დაკავშირებულია ძალაუფლების განხორციელებასთან. ლიდერი არის ის ადამიანი, რომელიც ახორციელებს ძალაუფლებას და აერთიანებს მას ურთიერთობათა სხვადასხვა სისტემაში, სადაც პოლიტიკური ლიდერობა სოციალური ინსტიტუტის სახით არის წარმოდგენილი.

ნებისმიერი ტიპის სოციალურ ურთიერთობაში ჩნდება გარკვეული მიმართება დომინანტი და დაქვემდებარებული. ლიდერი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც აქვს ყველაზე მეტი ბერკეტი ზეგავლენის მოსახდენად. ეს გახლავთ გარკვეულწილად ურთიერთზემოქმედების ფაქტორი, კერძოდ ისევე როგორც ლიდერის პიროვნება და მისი ქცევის წესი განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრებას, ასევე საზოგადოების წევრთა ღირებულებითი ორიენტაციები ახდენს გავლენას ლიდერის მოქმედებაზე.

კატეგორია - პოლიტიკური ლიდერი საინტერესოა, რადგანაც მის ხელშია პოლიტიკის საფუძველი - ძალაუფლება და სწორედ ის აძლევს მიმართულებას შემდგომ პოლიტიკურ პროცესებს.

მართალია ლიდერობა ძალაუფლების ფლობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ სამყაროს მართვა ასეთი პროგრამებითა და „მაშინერიის“ მეშვეობით ნამდვილად ვერ შექმნის პოზიტიურ ურთიერთობას საზოგადოებას, ლიდღეს სახელმწიფოს, მართვა ახალ მიდგომებს მოითხოვს, რაც განსაკუთრებული თვისებების მქონე ლიდერების მმართველობასთან არის დაკავშირებული. ეს ყოველივე პოლიტიკური ლიდერის ფენომენის ახლებურად შესწავლასა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას საჭიროებს, რომელიც საფუძვლად დაედება სახელმწიფო მართვის თანამედროვე ტენდენციებს, რამაც საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნების პოლიტიკურ - ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ლიდერი უძველეს, უნივერსალურ სოციოლოგიურ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენს და პოლიტიკური სფეროს აქტიური ელემენტი გახლავთ, XX საუკუნემდე არ არსებობდა მისი, როგორც მოვლენისა და

მასთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი მეცნიერება, რომელიც კონკრეტულად იქნებოდა ლიდერის თვისებების, აუცილებელი ფსოქოლოგიური მახასიათებლების და ლიდერისათვის საჭირო ნიშან-თვისებების კვლევაზე ორიენტირებული.

დღეს მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე კი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის მატარებელს სწორედ ლიდერი წარმოადგენს.

ტერმინ „ლიდერის“ მრავალგვარი განმარტება არსებობს. ეტიმოლოგიურ კონტექსტში ლიდერი ნიშნავს პიროვნებას, რომელსაც მოცემული ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად ერთობლივი მოქმედებებისათვის, ინტეგრაციის მიზნით, ძალუძს სხვაზე ზემოქმედების მოხდენა. პოლიტიკაში მოქმედების მასშტაბისა და ხასიათის მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ სამი ტიპის ლიდერი:

- მცირე ჯგუფის ლიდერი;
- საზოგადოებრივი მოძრაობის (ორგანიზაციის, პარტიის) ლიდერი;
- პოლიტიკოსი, რომელიც მოქმედებს ძალაუფლების ურთიერთობების სისტემაში, სადაც პოლიტიკური ლიდერობა სოციალური ინსტიტუტის ხასიათით არის წარმოდგენილი; დერსა და სახელმწიფოს შორის.

ლიდერის ცნებამ კაცობრიობის განვითარებასთან ერთად მრავალგვარი სახეცვლილება განიცადა, რომლიც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძვრებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ასევე ლიდერის დონის განმსაზღვრელ ფაქტორს საზოგადოების კულტურული და სოციალური ფონი წარმოადგენდა.

სახელმწიფოს ფუნქციონირება ძალაუფლების განხორციელებასთანაა დაკავშირებულია. ლიდერი არის ის ადამია-

ნი, რომელიც ახორციელებს ძალაუფლებას და აერთიანებს მას ურთიერთობათა სხვადასხვა სისტემაში, სადაც პოლიტიკური ლიდერობა სოციალური ინსტიტუტის სახით არის წარმოდგენილი.

ნებისმიერი ტიპის სოციალურ ურთიერთობაში ჩნდება გარკვეული მიმართება დომინანტი და დაქვემდებარებული. ლიდერი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც აქვს ყველაზე მეტი ბერკეტი ზეგავლენის მოსახდენად. ეს გახლავთ გარკვეულწილად ურთიერთზემოქმედების ფაქტორი, კერძოდ ისევე როგორც ლიდერის პიროვნება და მისი ქცევის წესი განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრებას, ასევე საზოგადოების წევრთა ღირებულებითი ორიენტაციები ახდენს გავლენას ლიდერის მოქმედებაზე.

ნაშრომში „საერთო ნიადაგის კონცეფცია - სოლიდარული სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა თანამედროვე საქართველოში“ ავტორები გიორგი ბაღათურია და ოთარ ბაღათურია მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო მმართვას ახორციელებს ელიტა, ანუ გარკვეული ტიპის უმცირესობა, რომელიც მართავს უმრავლესობას. „ელიტა, რომელიც ხელისუფლებას ფლობს, მერიტოკრატიული თვალსაზრისით, ღირსეული ადამიანებისგან შედგება. ელიტა ფლობს ძალაუფლებას, რადგანაც მას საამისო თვისებები აქვს. ამრიგად ესაა ღირსეულთა ხელისუფლება, დამსახურებათა ხელისუფლება. მმართველი უმცირესობა მართავს უმრავლესობას იმიტომ, რომ იგი უკეთაა ორგანიზებული. ორგანიზებულობის უნარი თვით ხდება ხელისუფლების სიმტკიცის გარანტია. ამასთან, ორგანიზაციის სტრუქტურა აუცილებლად ხელს უწყობს

ელიტის ფორმირებას“[3].

თანამედროვე შეხედულებები ზოგადად ლიდერობის შესახებ მრავალმხრივ ხასიათს იძენს. დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი და კერძო საკუთრება ადამიანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლება-უნარიანობას წარმოადგენს ჩნდება ლიდერის როგორც მენეჯერის ინსტიტუტი. მენეჯერები თავისი გონებრივი უნარებით მართავენ საკუთარ ბიზნესს და მათ შესაძლობლებებზეა დამოკიდებული გარკვეულწილად ფინანსური წარმატება. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი პეტერ ფერდინანდ დრუკერმა, რომელმაც შეიძლება ითქვას შექმნა „მენეჯმენტის ფილოსოფია“ თქვა **„მენეჯმენტი აკეთებს საქმეებს კარგად. ლიდერობა აკეთებს კარგ საქმეებს“**

მათ ჩამოაყალიბეს ასევე შეხედულებები როგორი უნდა იყოს მმართველი, სხვადასხვა ეპოქის ფილოსოფოსთა ნააზრევზე დაყრდნობით. „აზროვნების ისტორიამ შეიმუშავა მრავალი საყურადღებო დასკვნა, რომელთა გათვალისწინება რეალური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების საშუალებას იძლევა. კონფუცის სწავლების მიხედვით ქვეყნის მართვისათვის საჭიროა საკმარისი სურსათი (მოსახლეობის გამოსაკვებად), იარაღი (ქვეყნის დასაცავად გარეშე და შინაური მტრებისგან) და ხელმწიფისადმი ხალხის ნდობა. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება დაითმოს იარაღი, სურსათის დათმობაც კი შეიძლება, მაგრამ **„თუ ხალხში არ იქნება ნდობა მთავრისა, ვერ გადარჩება ის ქვეყანა ვერანაირად“.** ამრიგად, ხელმწიფისადმი, მმართველისადმი ნდობა გადამწყვეტია

---

[3] გ.ბაღათურია, ო.ბაღათურია „საერთო ნიადაგის კონცეფცია - სოლიდარული სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა თანამედროვე საქართველოში“. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 2006 წ.

ქვეყნის მართვისათვის. მაგრამ როგორი უნდა იყოს თვით მთავარი, რათა მან დაიმსახურის ხალხის ნდობა? ლაო-ძის მიხედვით: „საუკეთესოა მთავარი, თუ მხოლოდ ვიცით, რომ არსებობს იგი ნაკლული არის, ხალხს რომ უყვარს და განადიდებს, ძლიერ ცუდია, რომლისაც ხალხს ეშინია, და თუ კი სძაგს ხალხსა მთავარი, იგი ყველაზე უარესია“. იქნებ მთავრის მიზანი არც უნდა იყოს ხალხის, მით უმეტეს თანამედროვეთა სიყვარულის ძიება? პოლიტიკური მოღვაწის დამსახურება თუ შეცდომები ხომ უკეთ ჩანს რეტროსპექტიული ანალიზით, დრო აფასებს მთავრის მიღწევევბს. გარდამავალ პერიოდში, როდესაც მთავარმა უნდა დაამკვიდროს ახალი წესები, ჩაატაროს რეფორმები, მას მრავალი წინააღმდეგობა ელის ვინაიდან „არაფერია უფრო ძნელი, წარმატების მისაღწევად უფრო საეჭვო, განსახორციელებლად უფრო სახიფათო, ვიდრე ახალი წესების დამკვიდრების ხელმძღვანელობა“ (მაკიაველი). ამასთან, „წარმატების მისაღწევად საჭიროა აიძულო ხალხი გააკეთოს საქმე, მხოლოდ შეგონებით ვერაფერს მიაღწევ“. ამ გზაზე შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული, ოღონდ „მთავარს არა აქვს უფლება ხალხის მიერ დაშვებული შეცდომების გამო დაიჩივლოს, რადგანაც ხალხის შეცდომა ყოველთვის მხოლოდ მთავრის გამო ხდება. რასაც აკეთებს მთავარი, მერე ხალხიც იმასვე იმეორებს“. ამდენად მთავარს, მონომახის მძიმე ქუდის სატარებლად განსაკუთრებული, ღვთის განგებით მინიჭებული ძალა და გამჭრიახობა უნდა გააჩნდეს, იგი უნდა ფლობდეს პოლიტიკური საქმიანობის ხელოვნებას. შემთხვევითი არ არის, რომ არისტოტელე პოლიტიკურ საქმიანობას განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფო მართვის ხელოვნებას, ხოლო დემოკრიტე თვლის, რომ პოლიტიკა უბრალოდ ხელოვნება კი არ არის, არამედ, მართლაცდა ხელოვნებათა შორის უმაღლესია.

ბრძნული პოლიტიკა სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების აყვავების წანამძღვარია, ცუდი პოლიტიკა კი - ნგრევისა და დაქვეითების.“

თანამედროვე პოლიტიკური ლიდერი მენეჯერთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც პოლიტიკური მენეჯერის ფორმას ატარებს, რაც ბიზნეს მენეჯერის კატეგორიისაგან მკვეთრად განსხვავდება. შედეგების თვალსაზრისით ორივე მართვას წარმოადგენს, ხოლო საქმიანობის თვალსაზრისით პირველი ბიზნესს ხოლო მეორე პოლიტიკურ სფეროს მიეკუთვნება.

კატეგორია **ლიდერი – პოლიტიკური მენეჯერი** საინტერესოა, რადგანაც მის ხელშია პოლიტიკის საფუძველი - ძალაუფლება და სწორედ ის აძლევს მიმართულებას შემდგომ პოლიტიკურ პროცესებს. მაქს ვებერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკა მომხიბვლელია სწორედ იმის გამო, რომ იძლევა ძალის ფლობის შეგრძნებას “ძალაუფლების ინსტინქტი”, რომელიც ბუნებრივია პოლიტიკოსისთვის, და აძლევს მას საშუალებას იმოქმედოს მიზნის მისაღწევად.

მაქს ვებერი თავის ნაშრომში „სოციალური კონცეფცია“, თვლის რომ მმართველობა ეს არის „მანქანა“, მანქანა სიტყვასიტყვით თავისი პირდაპირი მნიშვნელობით. „..ასეთი ადამიანური “მანქანა” უფრო ზუსტი და იაფია, ვიდრე მექანიკური აგრეგატი. “სამყაროს ვერავითარი მაშინერია (მანქანა) ვერ შეძლებს იმუშაოს ისეთი სიზუსტით, როგორც ამ ადამიანურმა მანქანამ და ამავე დროს იყოს ასე იაფიც”. მაგრამ მართვის მანქანა, ყოველი მანქანის მსგავსად, საჭიროებს პროგრამას. პროგრამა კი შეიძლება მას მისცეს მხოლოდ პოლიტიკურმა ლიდერმა (ან ლიდერებმა), რომლებიც გარკვეულ

მიზნებს ისახავენ".[4]მართალია ლიდერობა ძალაუფლების ფლობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ სამყაროს მართვა ასეთი პროგრამებითა და „მაშინერიის" მეშვეობით ნამდვილად ვერ შექმნის პოზიტიურ ურთიერთობას საზოგადოებას, ლიდერსა და სახელმწიფოს შორის.

ტომას კარლეილი თავის ნაშრომში „გმირები და გმირული ისტორიები" იკვლევდა გმირთა კულტებს, რომლებმაც კვალი დაამჩნიეს კაცობრიობის ისტორიას. მისი აზრით მსოფლიო ისტორია სწორედ ასეთი ლიდერების - დიადი ადამიანების მიერ განვლილ ისტორიას წარმოადგენდა.[5]

იგორ კვესელავა და ვაჟა შუბითიძე თავის ნაშრომში „პოლიტოლოგია" აქცენტს აკეთებენ ლიდერობის როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე გაგებაზე. ტრადიციული გაგებით ლიდერობა წარმოადგენს იშვიათ, მაგრამ ბუნებრივ ნიჭს[6].ამ შემთხვევაში საუბარია ლიდერის წმინდა პიროვნულ თვისებებზე. უფრო ზომიერი ფორმით იგივე ტრადიცია ქადაგებს ქარიზმის შესახებ, რომელიც მოიაზრება, როგორც პიროვნების ძალაუფლება და ავტორიტეტი. ავტორთა აზრით სამწუხაროდ, ძალზედ ცოტაა ნელსონ მანდელასა და დალაი ლამას მსგავსი ლიდერები, რომელთა ავტორიტეტებიც ეფუძნება განსაკუთრებულ ზნეობრივ თვისებებს.

მეცნიერულ ლიტერატურაში ერიხ ფრომმა შემოიტანა „ავტორიტარული პიროვნების" ცნება, რომელიც განიხილება როგორც ტოტალიტარული რეჟიმების სოციალური საყრდენი მისთვის დამახასითებელი ისეთი თვისებების გამო, როგორიცაა კონსერვატიზმი, აგრესიულობა, ძალაუფლების

---

[4] ვებერი მ. (1864-1920) ნაშრომი „სოციალური კონცეფცია" თავი 8

[5] კარლეილი ტ. „გმირები და გმირული ისტორიები" 1841 წ

[6] ი. კვესელავა, ვ. შუბითიძე „პოლიტოლოგია" საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2010 წ.

წყურვილი, ინტელიგენციისადმი სიძულვილი, აზროვნების სტერეოტიპები, კონფორმიზმი და ა.შ. იგი დევნის ყოველივე განსაკუთრებულს, იმას, რაც საშუალო დონეს სცდება.

თანამედროვე ლიტერატურაში კონცენტრირებას ხშირად სწორედ ლიდერების პიროვნულ თვისებებზე ახდენენ. მაგალითად, ჰაროლდ ლასუელი ნაშრომში „ფსიქოპათოლოგია და პოლიტიკა“[7] ამტკიცებს, რომ თავიანთ საქმიანობაში ლიდერებს ამოძრავებთ შინაგანი პათოლოგიური კონფლიქტები, რომლებიც რაციონალიზირდებიან მხოლოდ საჯარო აქტივობის დონეზე.

ნაშრომში „საერთო ნიადაგის კონცეფცია - სოლიდარული სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა თანამედროვე საქართველოში“ ავტორები გიორგი ბაღათურია და ოთარ ბაღათურია მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო მმართვას ახორციელებს ელიტა, ანუ გარკვეული ტიპის უმცირესობა, რომელიც მართავს უმრავლესობას. „ელიტა, რომელიც ხელისუფლებას ფლობს, მერიტოკრატიული თვალსაზრისით, ღირსეული ადამიანებისგან შედგება. ელიტა ფლობს ძალაუფლებას, რადგანაც მას საამისო თვისებები აქვს. ამრიგად ესაა ღირსეულთა ხელისუფლება, დამსახურებათა ხელისუფლება. მმართველი უმცირესობა მართავს უმრავლესობას იმიტომ, რომ იგი უკეთაა ორგანიზებული. ორგანიზებულობის უნარი თვით ხდება ხელისუფლების სიმტკიცის გარანტია. ამასთან, ორგანიზაციის სტრუქტურა აუცილებლად ხელს უწყობს ელიტის ფორმირებას“.

თანამედროვე პოლიტიკური ლიდერი მენეჯერთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც **პოლიტიკური მენეჯერის** ფორმას ატარებს, რაც ბიზნეს მენეჯერის კატეგორიი-

---

[7] Harold Lasswell Psychopaტhology and Poliტics, 1988

საგან მკვეთრად განსხვავდება. შედეგებით ორივე მართვას წარმოადგენს, მაგრამ საქმიანობის თვალსაზრისით პირველი ბიზნესს ხოლო მეორე პოლიტიკურ სფეროს მიეკუთვნება.

კატეგორია - **პოლიტიკური ლიდერი - მენეჯერი** საინტერესოა, რადგანაც მის ხელშია პოლიტიკის საფუძველი - ძალაუფლება და სწორედ ის აძლევს მიმართულებას შემდგომ პოლიტიკურ პროცესებს. მაქს ვებერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკა მომხიბვლელია სწორედ იმის გამო, რომ იძლევა ძალის ფლობის შეგრძნებას "ძალაუფლების ინსტინქტი", რომელიც ბუნებრივია პოლიტიკოსისთვის, და აძლევს მას საშუალებას იმოქმედოს მიზნის მისაღწევად.

მეცნიერულ ლიტერატურაში ერიხ ფრომმა შემოიტანა „ავტორიტარული პიროვნების" ცნება, რომელიც განიხილება როგორც ტოტალიტარული რეჟიმების სოციალური საყრდენი მისთვის დამახასითებელი ისეთი თვისებების გამო, როგორიცაა კონსერვატიზმი, აგრესიულობა, ძალაუფლების წყურვილი, ინტელიგენციისადმი სიძულვილი, აზროვნების სტერეოტიპები, კონფორმიზმი და ა.შ. იგი დევნის ყოველივე განსაკუთრებულს, იმას, რაც საშუალო დონეს სცდება.

თანამედროვე ლიტერატურაში კონცენტრირებას ხშირად სწორედ ლიდერების პიროვნულ თვისებებზე ახდენენ. მაგალითად, ჰაროლდ ლასუელი ნაშრომში „ფსიქოპათოლოგია და პოლიტიკა" (Harold Lasswell Psychopaტhology and Poliტics, 1988) ამტკიცებს, რომ თავიანთ საქმიანობაში ლიდერებს ამოძრავებთ შინაგანი პათოლოგიური კონფლიქტები, რომლებიც რაციონალიზირდებიან მხოლოდ საჯარო აქტივობის დონეზე.

გუსტავ ლე ბონი ნაშრომში „ბრბოს ფსიქოლოგია"[8] წერ-

---

[8] *Gusტave Le Bon „La Psychologie des Foules"* 1895

და, ლიდერები ყოველთვის მიჰყვებიან მასას და არასოდეს პირიქით.

სამართლებრივი აზრის წარმოშობა, თითქმის ყველგან, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებში - ძველ ეგვიპტელებთან, შუამდინარეთულ სამყაროში, ჩინელებთან, ინდოეთში, სპარსელებთან (ირანი აქემენიდურ ხანაში), ებრაელებთან, ძველ ელინებსა თუ რომაელებთან - მითოლოგიური წარმოდგენების სახით ყალიბდებოდა და სამყაროში ადამიანის როლისა და ადგილის შესახებ, მხოლოდ მითების მეშვეობით ოპერირებდა.

თანამედროვე, ყველაზე განვითარებულ პოლიტიკური ლიდერის ფორმას წარმოადგენს პრეზიდენტი. პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, ძალაუფლების ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, ზოგიერთ ქვეყანაში მას დიდ ძალაუფლება აქვს მინიჭებული, მაგალითად აშშ-ში, საფრანგეთში, რუსეთში, ზოგიერთში კი ნომინალური – გერმანია, იტალია, საქართველო.

პრეზიდენტი[9], კანცლერი, პრემიერი – ეს თანამედროვე ლიდერის სამართლებრივი ტერმინებია, რომელთა ფენომენიც ზემოაღნიშნულ მეცნიერ–ფილოსოფოსთა შეხედულებების ნაკრებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ამრიგად, პოლიტიკური ლიდერის ფენომენი, საუკუნეების განმავლობაში იყო ფილოსოფოსთა და პოლიტიკურ მოაზროვნეთა განსჯის საგანი. თვით ლიდერის არსი და მისი ფუნქციები ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა და მკვეთრად იცვლიდა სახეს. რამდენადაც პრიმიტიული იყო საზოგადოება იმდენად პრიმიტიული იყო შე-

[9] ეტიმოლოგიურად პრეზიდენტი ნიშნავს პიროვნებას, რომელიც თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს (ლათინურად: prae (წინ, თავში) + sedere (ჯდომა)).

ხედულება და მოთხოვნები ლიდერის შესახებ. საზოგადოების განვითარებამ ასე ვთქვათ დახვეწა თავისი გემოვნება და ხალხებიც უფრო მეტად მომთხოვნი გახდნენ ისინი ლიდერის მიმართ.

ლიდერის მთავარი დანიშნულება არის მართვა, ხოლო ფილოსოფიური არსი არის გონივრულად მართვა. პოლიტიკური ლიდერობა არაა მიმდინარეობა რომელიც რაღაც პერიოდით არსებობს კაცობრიობის ისტორიაში, თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერები ქმნიან მმართველობის ახალ კონცეფციებს, ამით თვით პოლიტიკური ლიდერის ფუნქცია–მოვალეობები იზრდება და ამით ყალიბდება თანამედროვე ლიდერის ფენომენი.

თავი პირველი
პოლიტიკური ლიდერობის თეორიულ-ფილოსოფიური საფუძვლები

ლიდერის ცნებამ კაცობრიობის განვითარებასთან ერთად მრავალგვარი სახეცვლილება განიცადა, რომლიც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძვრებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ასევე ლიდერის დონის განმსაზღვრელ ფაქტორს საზოგადოების კულტურული და სოციალური ფონი წარმოადგენდა.

სახელმწიფოს ფუნქციონირება დაკავშირებულია ძალაუფლების განხორციელებასთან. ლიდერი არის ის ადამიანი, რომელიც ახორციელებს ძალაუფლებას და აერთიანებს მას ურთიერთობათა სხვადასხვა სისტემაში, სადაც პოლიტიკური ლიდერობა სოციალური ინსტიტუტის სახით არის წარმოდგენილი.

თანამედროვე შეხედულებები ზოგადად ლიდერობის შესახებ მრავალმხრივ ხასიათს იძენს. დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი და კერძო საკუთრება ადამიანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლება-უნარიანობას წარმოადგენს ჩნდება ლიდერის როგორც მენეჯერის ინსტიტუტი. მენეჯერები თავისი გონებრივი უნარებით მართავენ საკუთარ ბიზნესს და მათ შესაძლობლებებზეა დამოკიდებული გარკვეულწილად ფინანსური წარმატება.

მითი ლიდერების, როგორც ღმერთების შესახებ

სამართლებრივი აზრის წარმოშობა, თითქმის ყველგან, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებში _ ძველ

ეგვიპტელებთან, შუამდინარეთულ სამყაროში, ჩინელებთან, ინდოეთში, სპარსელებთან (ირანი აქემენიდურ ხანაში), ებრაელებთან, ძველ ელინებსა თუ რომაელებთან _ მითოლოგიური წარმოდგენების სახით ყალიბდებოდა და სამყაროში ადამიანის როლისა და ადგილის შესახებ, მხოლოდ მითების მეშვეობით ოპერირებდა.

ზოგადად მითებს ახასიათებს ორი ძირითადი მიმართულება:

• მითიური ფაქტების შესახებ თხრობის ინფორმაციული მომენტები – ღმერთების ღირშესანიშნავი ქმედებებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ცნობები;

• იმპერატიულ-ნორმატიული მომენტების თანხვედრა – ადამიანებმა, უპირობოდ, უნდა გაუწიონ ანგარიში ამ მოვლენებსა და ფაქტებს;

ძველი მითების თანახმად, დედამიწაზე არსებული წესრიგი არის მსოფლიო, კოსმიური წესრიგის განუყოფელი ნაწილი, რომელსაც ღვთიური წარმომავლობა გააჩნია. მითებში, სწორედ

ასეთი ასახვის ასპექტში, გაგებულია და აღქმულია ადამიანთა მიწიერი ცხოვრება, მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოწყობა, ურთიერთობები როგორც სხვა ადამიანებთან, ისე ღმერთებთან, მათი უფლება-მოვალეობანი, ანუ ყველაფერი ის, რაც ნებადართული და აკრძალული იყო. სოციალური და სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბება რომ ღვთიურმა პირველწყარომ განაპირობა, ნათლად ჩანს ძველი მითების ძირითადი იდეასა და თემატიკიდან.

ძველი ხალხის მითებში საუბარია ღმერთების თავდაპირველ უშუალო მმართველობაზე, რომლებმაც, შემდგომში, ხალხს შეასწავლეს მმართველობის ხელოვნება და მიწიერ მმართველებს გადასცეს ხელისუფლება. ძველბაბილონური

და ძველინდური მითების თანახმად, ღმერთები იყვნენ მმართველის ძალაუფლების წყარო, თუმცა ისინი კვლავ განაგრძობდნენ მიწიერი საქმეების წარმართვასა და ადა-მიანთა ბედ-იღბლის განკარგვას.

ძალზედ ორიგინალურია ძველჩინური მითი მიწიერი ხელისუფლების ღვთიური წარმოშობისა და ხასიათის შესახებ, რომლის თანახმად, სწორედ ცისქვეშეთის უზენაესი მბრძანებლის პერსონა (ჩინეთის ვანი _ იმპერატორი) არის ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლი ცის უზენაესს ძალებთან. ამ მოძღვრების თანახმად, მთელი ხელისუფლება თავმოყრილია უზენაესი მმართველის პიროვნებაში, მისი პირადი პოტენციისა და შინაგანი ძალის სახით, ხოლო ყველა დანარჩენი თანამდებობის პირები და სახელმწიფო აპარატი, მთლიანობაში – მხოლოდ მმართველის პირადი ხელისუფლების თანაშემწეები არიან.

მოყვანილი მითიური ვერსიები, მიწიერი ხელისუფლებისა და წესრიგის ღვთიური წარმოშობის თაობაზე, საფუძვლად დაედო უფრო კონკრეტულ წარმოდგენებს ხელისუფლების, მმართველობის, სამართლის, სამართლიანობის, მართლმსაჯულების შესახებ.

ძველი ეგვიპტელების მოსაზრებებს სამართლიანობის, სიმართლის, მართლმსაჯულების შესახებ განასახიერებდა ქალღმერთი მა-ათი. მიწიერი ხელისუფლების (ფარაონების, ქურუმების, მოხელეების) და ოფიციალურად აღიარებული ქცევის წესების, მათ შორის მაშინდელი სამართლის ძირითადი წყაროს (ჩვეულება, კანონი, სასამართლო გადაწყვეტილება) ღვთიური ხასიათი იმას ნიშნავდა, რომ ყველა მათგანი შეესაბამება (ან უნდა შეესაბამებოდეს) მა-ათს _ სამართლიანობის ბუნებით-ღვთიურ წესრიგს. აქ საუბარია "სიმართლე _ სამართლიანობის" შესახებ, რომელიც, მომდევნო პერიოდის

სამართალგაგების ბუნებით-სამართლებრივ კონცეფციებში აღინიშნა როგორც ბუნებითი (ან ღვთიურ-ბუნებითი) სამართალი.

ამრიგად მითოლოგია გახლავთ უძველესი ცივილიზაციების ცხოვრებისა და ქცევის წესების შესანიშნავი ასახვა. მორჩილ სოციუმში ადამიანებსა და ღმერთს შორის დამაკავშირებელ სუბიექტს ლიდერი – ქურუმი წარმოადგენდა. მითოლოგია გაზღაპრებული თხრობაა თუმცა ანტიკური ცივილიზაციების განვითარება მითოლოგიის კვალდაკვალ მიმდინარეობს. ამ ცივილიზაციამ კაცობრიობას ძლიერი ფუნდამენტალური განათლება დაუტოვა, რომლებიც დღეს არამარტო ისტორიის კუთვნილებაა, არამედ სამართლებრივ ნორმებშია ნაწილობრივ კოდიფიცირებული.

მითოლოგიურმა წარმოდგენებმა „ლიდერის“ შესახებ შემდგომი განვითარება ძველი ეგვიპტის, შუამდინარეთის ქვეყნების, ინდოეთისა და ჩინეთის, ანტიკური საბერძნეთისა და რომის მოაზროვნეთა და ფილოსოფოსთა ნაშრომებში და სამართალში კოდიფიცირებულად, სამართლებრივად აისახა.

ძველი ეგვიპტის თეორიულ–ფილოსოფიული შეხედულებანი ლიდერობაზე

ცივილიზაცია განვითარების კვალდაკვალ იხვეწებოდა, მართვის ფორმები, რომელიც თავდაპირველად იდეურ იგივე იდეოლოგიურ პრინციპს წარმოადგენდა, რომლის გატარებაც სხვადასხვა სამართლებრივ აქტებსა თუ ძეგლებში გადამუშავების შედეგად ქმნიდა სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ კომპონენტს, აქ თავად მმართველობის ფორმა განსაზღვრავდა ამა თუ იმ სა-

ხელმწიფოს იდეოლოგიურ-პოლიტიკურ შინაარსს. ანტიკური ცივილიზაციების პერიოდში იდეოლოგიური ჩანასახები ძირითადად, ერთპიროვნული მმართველობის ფორმებში იჩენდა თავს ძველ ეგვიპტეში, ბაბილონში, ინდოეთში, ჩინეთსა თუ შუმერულ სახელმწიფოში.

ბუნებითი სამართლიანობის, როგორც მიწიერი სოციალურ-პოლიტიკური წესრიგის, კანონებისა და ადამიანთა ურთიერთობების საწყისის განდიდება მოცემულია მთელ რიგ ძველეგვიპტურ წყაროებში, კერძოდ: "პტახოტეპის მოძღვრებაში" (ქრ. შობამდე XXVIII ს.), "მიცვალებულთა წიგნში" (დაახლ. ქრ. შობამდე XXV-XXIV სს.), "ჰერაკლეოპოლის მეფის _ ახტოის მოძღვრებაში, შვილისადმი" (დაახლ. ქრ. შობამდე XXII ს.) დასხვა.

ძველი ეგვიპტე ათასწლეულების მანძილზე წარმოადგენდა მონათმფლობელურ სახელმწიფოს. მაგრამ იქ მაინც დიდიხანს ჰქონდა ადგილი პირველყოფილი წყობის ნარჩენების არსებობას, მონების ექსპლუატაციასთან ერთად ხდებოდა ასევე თავისუფალი მიწათმოქმედებისა და ხელოსნების ექსპუატაცია, რომელიც გამოიხატებოდა მძიმე მოსაკრებლებების გადახდის დაკისრებაში არამარტო სახელმწიფოს სასარგებლოდ არამედ არისტოკრატიის წარმომადგენლებისა და თავადაზნაურების სასარგებლოდ.

ძველი ეგვიპტის მმართველი წრეების პოლიტიკურ და სამართლებრივი აზროვნების წარმოჩენაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პტახოტეპის სწავლებებს, რომელიც ძვ.წ.აღ. III ათასწლეულს ეკუთვნის და მისი როგორც ფილოსოფიური მნიშვნელობის ნაშრომი მომდევლო ათასწლეულების მანძილზეც აქტუალური იყო. „პტახოტეპის სწავლებანში" ასახულია ასევე მისი სუბიექტური შეხედულებები საზოგადოებისა და სახელმწიფოს წყობის შესახებ.

პტახოტეპი გამოდის საზოგადოებრივი დიფერენციაციის მომხრედ. მისთვის ადამიანები რომლებიც საზოგადოების დაბალ ფენას განეკუთვნებიან არიან მდაბიონნი, ხოლო მაღალი ფენის წარმომადგენლები არიან დიდებულნი. ის მოუწოდებს მდაბიოებს იყვნენ მორჩილნნი და მოწიწებულნი მაღალი ფენის საზოგადოების წარმომადგენლებთან, რადგან მათი წარმატება დამოკიდებულია წარჩინებულთა და ძალაუფლების მქონე საზოგადოების ფენების კეთილ ნებაზე.

ამასთან ერთად პტახოტეპი მოუწოდებს მმართველებს არ იყვნენ ამპარტავნები მდაბიოებთან დამოკიდებულებაში, არ დაამცირონ ისინი, არ დაესხან მათ თავს და არ დაუშავონ რამე. „ფაქიზი ძალაუფლება“ პტახოტეპის აზრით უფრო ძლიერია ვიდრე ხისტი ძალაუფლება. არავინ არ უნდა ესწრაფვოდეს შიშის დანერგვას, მეფისა და ღმერთის გარდა.

პტახოტეპის შეხედულებებში სახელმწიფოს შესახებ ნათლად აისახება ეგვიპტის სახელმწიფო წყობის თავისებურებანი. სიტყვა „ღმერთი“ ხშირად პირდაპირ ნიშნავს სიტყვა „ფარაონს“. უსიტყვო მორჩილება ფარაონისადმი ეს გახლავთ ეგპიტელი სახელმწიფო მოხელის უმაღლესი მოთხოვნა.

ამრიგად “პტახოტეპის მოძღვრებაში” საუბარია სოციალური პირამიდის საფეხურებზე. რომლის უმაღლესი საფეხური ღმერთის შემდეგ ეკუთვნის ფარაონს, როგორ უზენაესს მმართველს და თავისი ძალაუფლების ერთპიროვნულ განმახორციელებელს, შემდეგ საფეხურზე დგანან ფარაონის მოხელეები, დიდგვაროვნები, რომლებიც ემსახურებოდნენ მისი ხელისუფლების განმტკიცებას. პტახოტეპის მიხედვით მიწიერმა მმართველებმა უნდა იზრუნონ, პირამიდის უკანასკნელ საფეხურზე მდგარ, მდაბიო ფენაზე, რათა არ მოხდეს მათი აღზევება წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი დაუპირისპირდება წარჩინებულთ და ძალადობის გზით, დაამხობს

კანონიერ ხელისუფლებას, ანუ ფარაონის მხრიდან უსაზღვრო ძალადობამ და შეუზღუდავმა ბატონობამ, შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო დიდი ძალადობა, რაც სრულ გადაგვარებამდე მიიყვანდა ძველ ეგვიპტეს.

მეტად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს ჰერაკლეოპოლის მეფის ახტოის მოძღვრებები შვილისადმი, რომელიც თვალნათლივ ასახავს იმ პერიოდის ეგვიპტური ცივილიზაციის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელთა იდეოლოგიას.

ავტორი ამ მოძღვრებაში ურჩევს შვილს შეინარჩუნოს მკაცრი, სამართლიანი, მაგრამ ამავე დროს ფაქიზი სახელმწიფო პოლიტიკა. თანამედროვე ტერმინოლოგიით ამას შეიძლება დიპლომატიური პოლიტიკაც ეწოდოს. ის აძლევს შვილს რეკომენდაციას ერთის მხრივ იყოს მკაცრი და დაუნდობელი იმ ამბოხებულების წინააღმდეგ ვინც ცდილობს მონათმფლობელს წაართვას საკუთრება, და მეორე მხრივ ურჩევს წავიდეს გარკვეულ დათმობებზე უბრალო „მდაბიო“ ადამიანებთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამბოხი და არეულობა.

მეფე ახტოი ასევე თვლის რომ მეფე არ უნდა ენდოს საზოგადოების დაბალ ფენას რადგან ისინი ყოველთვის შეეცდებიან სხვისი საკუთრების წართმევას: „არაფრისმქონე ყოველთვის დახარბებულია იმას რაც მას არა აქვს“. ახტოის აზრით ღარიბს არ უნდა დაუჯეროო რადგან ის არასოდეს იტყვის სიმართლეს, რადგან ის ყოველთვის სხვაზეა დამოკიდებული. არ არის მიზანშეწონილი ღარიბების მიიღო ჯარში „ღარიბი ეს არეულობაა ჯარში“. მდიდარი კი პირიქით იმსახურებს სრულ ნდობას: „მდიდარს სახლისაკენ არ გაურბის გული, რადგან ის ყველაფრისმქონეა და არ გააჩნია არაფრის საჭიროება“. აქედან გამომდინარე მეფე ახტოი „ფაქიზ“ პო-

ლიტიკას მმართველისა ამართლებს მხოლოდ იმით, რომ არ მოხდეს არეულობა ქვეყანაში, თუმცა ნდობა საზოგადოების დაბალი ფენისადმი მისი აზრით მიუღებელია.

მეორე მხრივ ახტოი ურჩევს შვილს იყოს ლმობიერი სუსტის მიმართ და არ დაუშვას კანონის უმკაცრესი, უსამართლო მეთოდებით ხალხის დასჯა. და მაინც მეფემ ორიენტირი ყოველთვის უნდა გააკეთოს მდიდრების მიმართ, რადგან დიდგვაროვანთა დაფასებით იქნება დაცული ხალხის კეთილდრეობა.

ახტოი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს გარდაცვლილ მმართველთა პატივისცემას. მათ უნდა დაუდგან ქანდაკებები, ძლიერი ქანდაკება ეს არის სიმბოლო თვით მმართველის სიძლიერისა, რომელიც საუკუნეებს დარჩება და შესაბამისაც ახტოიც ცდილობს თავისი შვილი ასე დამოძღვროს.

ამრიგად ძველეგვიპტური ცივილიზაცია იცნობდა მხოლოდ გაღმერთებულ, ტირან მმართველებს ფარაონების სახით. მორჩილება მმართველისადმი უნდა ყოფილიყო უსიტყვო, რადგან ისინი ღმერთის შვილები და მისი ნება–სურვილის მაცნეები და შემსრულებლები იყვნენ. პტახოტეპი და მეფე ახტოი დიპლომატიისა და აბსოლიტური დესპოტიის აღკვეთისაკენ მოუწოდებენ მემკვიდრეებს.

ძველი ბაბილონის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებანი ლიდერობაზე

ძველი ბაბილონი წარმოადგენდა უძველესს სახელმწიფოს სადაც მმართველობის ფორმა გახლდათ აღმოსავლური დესპოტია.

პოლიტიკური აყვავების ხანას ბაბილონის სახელმწიფომ მიაღწია ძვ.წლ აღ-მდე XVIII საუკუნეში ხამურაბის მმართველობის პერიოდში, როცა ქვეყანა მჭიდროდ ერთიანდება ბაბილონის მეფეთა დინასტიის ბატონობის ქვეშ.

ბაბილონის პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნება განმსჭვალულია რელიგიური შეხედულებებით. ღმერთები განაგებენ ადამიანების ბედს, ისინი ანიჭებენ მათ ყველა ბედნიერებასა და უბედურებას, ამარცხებენ მტრებსა და ჩუქნიან ხალხს გამარჯვებას. რელიგიური იდეებიდან გამომდინარეობს ასევე ყველა შეხედულებები სახელმწიფოსა და მისი მმართველობის შესახებ.

ბაბილონის ცივილიზაციაზე ხამურაბის მმართველობის პერიოდზე და მის კანონებზე. ხამურაბის კანონების საწყისი და დასკვნითი ნაწილები შეიცავს განუსაზღვრელი აღმოსავლური დესპოტიის ძალაუფლების განდიდებასა და სამართლებრივ დასაბუთებას (ძვ.წ.აღ. XVIII ს.) აქ უპირველესად ბაბილონის ცივილიზაციაზე ხამურაბის მმართველობის პერიოდზე და მის კანონებზე. ხამურაბის კანონების საწყისი და დასკვნითი ნაწილები შეიცავს განუსაზღვრელი აღმოსავლური დესპოტიის ძალაუფლების განდიდებასა და სამართლებრივ დასაბუთებას (ძვ.წ.აღ. XVIII ს.) აქ უპირველესად საუბარია სამეფო ძალაუფლების საღვთო წარმომავლობის შესახებ.

მისი კანონები წარმოაჩენენ მეფეს როგორც პირდაპირ ღვთაებრივ არსებას, რომლის მიხედვითაც მეფე ხამურაბი არის ღმერთი შამაშის მსგავსი, ის ღვთაებრივი მეფეა ბაბილონელებისათვის, ხელმწიფე - დამაკავშირებელი ცისა და მიწისა, სიმდიდრისა და სიუხვის მიმნიჭებელი, ბრძენი, ძლიერი და ყოვლისშემძლე. მეფე შემკულია ისეთი ღირსებებით, როგორიცაა სამართლიანი, სუსტების მფარველი, კანო-

ნების დამცველი, ყოველი მიწიერი სიმდიდრის წყარო და თავის ქვეშემრდომთა წარმატების საწინდარი.

ხამურაბი თავის კანონებს უწოდებს სახელმწიფოს ძლიერებისათვის მიმართულ სამართლებრივ კოდექსს, რომელიც ხამურაბის ბრძანების ქვის ქანდაკებაზე არის ამოტვიფრული ნიშანი იმისა, რომ როგორც ეს კანონები ისე ხამურაბიც უკვდავი დარჩება ისტორიისათვის, როგორც ძლიერი მმართველი,როგორც ხალხის მამა, რომელმაც მის ხალხს სამუდამო კედილდღეობა დაუტოვა და ქვეყანას მართავდა სამართლიანად.

კანონებში კარგად ჩანსბაბილონის მეფის, როგორც დესპოტიის განმახორციელებელი მმართველის ცოდნის დონე. მეფის ძალაუფლების სიძლიერე არამხოლოდ მის ეპოქაში არამედ სურვილი მისი სახელის უკვდავყოფისა. კანონის შექმნით ხამურაბბმა არამხოლოდ თავისი როგორც ლიდერის სახე წარმოაჩინა არამედ მარადიულობაც შესძინა მას. ესეც ერთპიროვნული და უდიდესი ძალაუფლების მმართველობის სიმბოლო გახლავთ.

ძველი ინდოეთის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებანი ლიდერობაზე

ძველი ინდოეთის პოლიტიკურ- იდეოლოგიური კონცეფციების სტრუქტურაში, ეგვიპტის მსგავსად წამყვან სახელმწიფო მდგომარეობას გამოხატავს რელიგიურ-მითოლოგიური მსოფლმხედველობა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თუ იქ ფარაონია ღვთაებრიობის გამოვლინება, ინდურ კულტურაში ამ ადგილს ბრაჰმანები იგივე ქურუმები იკავებენ.

ინდური კულტურის რელიგიურ-ფილოსოფიური სის-

ტემის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ბრაჰმანიზმი. მისი სახელი წარმოსდგება ღმერთი ბრაჰმას სახელიდან. ეს რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა აღმოცენდა ვედური რელიგიის წიაღიდან. ბრაჰმანიზმის ერთ-ერთ ქვაკუთხედი არის სულის გარდასახვა, კარმის კონცეფცია. ადამიანის მიერ გაკეთებული საქმეებით, კერძოდ სიკეთისა და ბოროტების მიხედვით განისაზღვრები მისი რეინკარნაციის შედეგად შემდგომი მოვლენის ფორმა. დადებითი კარმა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრებაში სავალდებულო წესების, რომელიც თვითეული კასტისათვის იყო დადგენილი, პირნათლად შესრულებასთან ერთგვარი გარანტორია იმისა რომ ადამიანი შემდგომ ცხოვრებაში დიდგვაროვნად, ან ბრაჰმანად მოევლინოს ამ ქვეყანას. სწორედ ეს კონცეფცია ეხმარებოდა იმდროინდელ ინდოეთს დაძაბული სოციალური საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პრობლემების დაძლევაში, სიტუაციის განთვირთვაში და დამშვიდებაში. ანუ თუ ამ ერთ კონკრეტულ ცხოვრებაში ადამიანი ღარიბი, სუსტი ან უპოვარი იყო მას კარგად უნდა შეესრულებინა ყველა რელიგიური მოთხოვნები (რომლებიც ბრაჰმანებიდან ანუ მეთაური – ლიდერებიდან მოდიოდა) ეცხოვრა უნდა მშვიდად და ღმერთი მას დააჯილდოებდა საუკეთესო შესაძლებლობით მომდევნო ცხოვრებაში არა ღარიბი და სუსტი არამედ მდიდარი, დაფასებული და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ყოფილიყო. ამით ბრაჰმანიზმმა ფაქტიურად მორჩილების რელიგიურ–მითოლოგიური კონცეფცია შექმნა. რომლებიც ქცევის წესებსი – დჰარმაშასტრაში გააერთიანა.

დჰარმაშასტრა - ეს არის ქცევის კოდექსი, რომლებიც თავდაპირველად ბრაჰმანებმა შეადგინეს თავიათი მოსწავლეებისათვის. დროთა განმავლობაში ისინი გახდა ავტორიტეტული სამართლის წყარო. დრაჰმაშასტრა საკმაოდ მრავალფე-

როვანი ხასიათის კანონებია, უპირველესად ის არის რელიგიურ-მორალური ტრაქტატი და სამართლებრივი მოძღვრება, ასევე ამავე დროს კრებულიც, რომელიც აერთიანებს იმ დროისათვის მოქმედი ჩვეულებითი წესების ნორმებს.

ასევე ცნობილია „მანუს კანონები“ (ძვ.წ. აღ-მდე II ს.), უფრო ზუსტად „მანუს მოძღვრებები დრაჰმაზე“. ის შეიცავს სახელმწიფოს მიერ სანქციონირებულ, დაკანონებულ ქცევის წესებს, განხილვებს ქორწინების წესების შესახებ, განწმენდისა და საკვების მიღების წესებს, ცოდვის გამოსყიდვისა და მონანიების წესებს, მეფეთა დრახმებს (წესებს), სასამართლოს მოწყობის სესახებ წესებს და ა.შ.

რაც შეეხება მმართველებს მათ შესახებ ვედებშია აღწერილია. იქ ნათქვამია, რომ მმართველების (მეფეების) ხელისუფლებაში მოსვლის ორი გზა. ერთი როცა მმართველი იქმნება ღმერთის მიერ, ანუ მისი ძალაუფლება მხოლოდ ღმერთის მიერაა განსაზღვრული და მეორე, როცა მმართველებს ირჩევს ხალხი (ღმერთის ნებით). ირჩევენ რა მმართველს ხელქვეითები ისინი არ ზღუდავენ მმართველს გარკვეულ ჩარჩოებით, თანამედროვე ეპოქაში არჩევნები, ხომ ადამიანის უპირველესი დემოკრატიული უფლებაა და შემდგომ მმართველი ანგარიშვალდებულია ამომრჩევლის წინაშე, ძველ ინდოეთში რასაკვირველია ამგვარი ფენომენი ძალიან შორსაა, თუმცა აი არჩევას რაც შეეხება თუნდაც პრიმიტივის დონეზე მაინც არის საუბარი.

აქ ბატონობს ძალაუფლების პატრიარქალური კონცეფცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მმართველი უნდა ზრუნავდეს თავის ხელქვეითებზე, მაგრამ ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არის მხოლოდ ღმერთის წინაშე. სახელმწიფოს მიზანიბ არის სუსტების დახმარება და დჰარმის დაცვისათვის ყველა პირობის შექმნა.

ვედური ეპოქა თავისი ბრაჰმანიზმის იდეოლოგიით დასასრულს ძვ.წ.აღ-მდე პირველ ათასწლეულში უახლოვდება. მან გარკვეულწილად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო სამართლის ცივილიზაციის ფორმირებაში. შეიძლება თამამად ითქვას რომ შედარებით ეგვიპტური ცივილიზაციისა უმნიშვნელო მაგრამ მაინც დემოკრატიული მმართველობის ჩანასახი ჩანს ამ მოძღვრებებში.

ბუდიზმი

დაახლოების 500 წლის წინ ჩვენს ერამდე ჩამოყალიბებას იწყებს უდიდესი ანტიბრაჰმანული სწავლება რომელსაც ბუდიზმი ეწოდება. ბუდიზმი როგორც რელიგია და ფილოსოფიური სწავლება დაფუძნებულია ბუდას ავტორიტეტზე, მისი ცხოვრების წესსზე. ბუდიზმი ეს არის რელიგია რომლისადმი კუთვნილება არ განისაზღვრება დაბადებით (განსხვავებით ბრაჰმანიზმიდან). ბუდიზმში წასვლა ეს არის შეგნებული არჩევანის რეზულტატი.

ბუდიზმის დამფუძნებელი სიდჰარტჰა გაუტამა, ბუდა სიტყვა-სიტყვით „გასხივოსნებულს“ ნიშნავს.ტვით ბუდა იყო მოხეტიალე ასკეტი. ის ორმოცი წლის განმავლობაში დადიოდა ინდოეთის ქალაქებში და ქადაგებდა თავის მოძღვრებას. მას უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა და მისი მოძღვრება ინდოეთის ფარგლებს გასცდა.

ბუდიზმი უარყოფს თეორიას სამეფო ხელისუფლების ღვთიური წარმოშობის შესახებ. სახელმწიფოს წარმოშობა აიხსნება ხალხის გადაწყვეტილებით აირჩიოს ხელისუფალი მას შემდეგ რაც წარმოიქმნა ოთხი სახის ბოროტება: ქურდობა, განკითხვა, ტყუილი და ძალადობა. ამისათვის ერთად შეიკრიბა ხალხი, აირჩიეს მმართველი, რომელსაც შეუთან-

ხმდნენ გაწეული სამსახურისათვის მოწეული ბრინჯის ნაწილის მიცემას. არჩევნების ჩატარების იდეა ბრაჰმანიზმისაგან განსხვავებით ხორციელდებოდა ყოველგვარი ღვთიური ჩარევისა და თანხმობის გარეშე. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ჩამოყალიბდა მიწების დასაკუთრების გამო წარმოქმნილი კონფლიქტების შედეგად.

არსებული წყაროები მოწმობენ, რომ ბუდიზმს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ქალაქის მოსახლეობისაგან, ჯარისკაცებისაგან, რომლებიც ბუდიზმში ხედავდნენ ბრაჰმანების დომინირებისა და მმართველობისაგან ხსნასა და განთავისუფლებას. ბუდისტური იდეა ხალხთა თანასწორობის შესახებ, კეთილმოსურნე მონარქის მმართველობის შესახებ, ეთიკის კულტის შესახებ - ყოველივე ეს ხელს უწყობდა ახალი სწავლების წარმატებასა და ფართო მასების მხრიდან უდიდეს მხარდაჭერას.

ართჰაშასტრა

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ინდური პოლიტიკური აზროვნების თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მმართველის ღვთაებრის წარმომავლობასთან ერთად გათვალისწინებულია მისი არჩევა ანუ ე.წ. ხელშეკრულება მმართველსა და ქვეშემრდომს შორის. რისი თვალსაჩინო მაგალითია ბუდიზმი. ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიქმნება მმართველის „დჰამმა“-ს ინსტიტუტი და მისი მოვალეობა. ინდური კონცეფციით ადამიანის მოღვაწეობის საფუძველია ტრიადა. ეს არის

- სათნოება, სიქველე - დჰარმა;
- ინტერესი, სარგებელი - არტჰა;
- სიომოვნება - კამა;

შესაბამისად არსებობს სამი მეცნიერება:

- „დჰარმაშასტრა“
- „ართჰაშასტრა“
- „კამაშასტრა“

რაც შეეხება „შასტრა“ ეს არის წიგნი სადაც თავმოყრილია ქცევის წესები.

თემატიკიდან გამომდინარე ყურადრება მახვილდება ართჰაშასტრაზე. არტჰაშასტრა ეს არის მეცნიერება სარგებლის შესახებ, ძველინდური ტრაქტატი, სახელმწიფოს მართვის რჩევა -დარიგებათა კრებული. ის იქმნებოდა ძვ.წ.აღ. IV - ახ.წ.აღ. II საუკუნეებში. ინდური დრაციებით ამ წიგნს მიაკუთვნებენ ჩანაკიას, რომელიც ასევე ცნობილია სახელით კაუტილიას.

კაუტილია ვიშნუგუპტა იყო ძველი ინდოეთის ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე და მოაზროვნე. გამოირჩეოდა მოხერხებულობითა და დახვეწილი პოლიტიკური ხედვით. იყო ჩანდრაგუპტა მაურიას მრჩეველი და ითვლება პოლიტიკური ტრაქტატის — „არტჰაშასტრას“ავტორად. ჩანაკია მიჩნეულია პოლიტიკური მეცნიერებისა და ეკონომიკის პიონერად და ინდოელი ისტორიკოსები ჩანაკიას ადარებენ ნიკოლო მაკიაველის.

ართჰაშასტრა ეს არის მოძღვრება სახელმწიფო მმართველობის შესახებ. მისი მსჯელობები არის პრაქტიკულად თავისუფალი თეოლოგიისაგან და ღრმად რეალისტური. პირველ პლანზე წამოწეულია ძლიერი, ცენტრალიზებული სამეფო ძალაუფლების იდეა. ართჰაშასტრას პოლიტიკურ მიზანი განსაზღვრულია როგორც მეფის დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიების გაფართოებაში, ამიტომ მონარქიის მეზობელი ქვეყნები რეალურ მტრებს წარმოადგენენ, ხოლო მეზობლის მეზობლები კი მოკავშირეებს. კაუტილია

პირველ რიგში მმართველებს ურჩევს იხელმძვანელონ სახელმწიფოსათვის სარგებლის მოტანისათვის.

სახელმწიფოსა და რეალური მმართველის უპირატესობისა და სახელმწიფოს კეთილდრეობისათვის ყოველგვარი მორალური ნორმების უგულებელყოფის იდეებისათვის მას ადარებენ ნიკოლო მაკიაველს.

ამრიგად ართჰაშასტრას მიხედვით ხელმწიფე უნდა იყოს კეთილშობილი წარმომავლობის, იღბლიანი, სამართლიანი, გულმართალი, სიტყვის პატრონი, ცნობისმოყვარე, მჭერმეტყველი, საზრიანი, შორსმჭვრეტელი, მას უნდა ჰქონდეს სწავლისა და ჭეშმარიტების წვდომის უნარი, იგი უნდა ფლობდეს ომისა და მშვიდობის არჩევის ხელოვნებას, უნდა შეეძლოს სიკეთესა და ბოროტებაზე შესაბამისი პასუხის გაცემა, არ უნდა ჰყავდეს უღირსი მოხელეები, არ უნდა ახასიათებდეს მანკიერებანი, მრისხანება, სიხარბე, დაბნეულობა, ცილისწამებისადმი მიდრეკილება. მეფეს, რომელსაც არ აქვს დადებითი თვისებები და ღუპავენ ქვეშევრდომები ან მტრები.

ინდური პოლიტიკური აზრის მიხედვით ადამიანები არიან არასრულყოფილნი, ეგოისტურები და არ სურთ შეგნებულად შეასრულონ თავისი მოვალეობა (დჰარმა). `ართაჰაშასტრას~ ავტორის აზრით მხოლოდ ბრძენ და გამჭრიახ მმართველს შეუძლია ღმერთის მიერ დადგენილი წესრიგის შენარჩუნება. ბრძენმა ხელმწიფემ უნდა იცოდეს რას ელიან მისგან ქვეშევრდომები, რადგან საქმის გასაკეთებლად საჭიროა ქვეშევრდომთა წახალისება.

შემდგომი ინდური პოლიტიკური აზროვნება დაკავშირებულია ინდუიზმთან, რომელიც წარმოადგენს ერთ მთლიან, დიდ რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებების კომპლექს, რომელიც გაჯერებულია ბრაჰმანიზმის, ბუდიზმისა და სხვა მოძღვრებებით.

ამრიგად ძველი ინდური ცივილიზაცია იძლევა შედარებით თავისუფალ იდეოლოგიას სახელმწიფო მართვისა და მორჩილებას არა ძალადობითა და დესპოტიის საშუალებით, არამედ რელიგიური ნორმების შესაბამისად მოითხოვს. აქ აღინიშნება გარკვეული წინსვლა იმ თვალსაზრისით, რომ მმართველი არ არის ღვთიური წარმოშობის ის უბრალოდ ბრძენია და გამორჩეულია სხვა დანარჩენებისაგან მმართველობის ნიჭითა და უნარებით. ინდური პოლიტიკური აზროვნების თავისებურებას და ალბათ ყველაზე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სწორედ ეს გარეომოება, რომ ხელისუფლების ღვთაებრივ წარმომავლობასთან ერთად გათვალისწინებულია მმართველის არჩევა ანუ ხელშეკრულება მმართველსა და ქვეშემრდომს შორის. ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიქმნება მმართველის „დჰამა“ მოვალეობა.

ძველი ჩინეთის თეორიულ–ფილოსოფიური მოძღვრება ლიდერობაზე

ჩინეთიც კაცობრიობის კულტურის აკვანს წარმოადგენს. ჩინეთის მრავასაუკუნოვანმა ისტორიამ წარმოშვა დაოსიზმი, კონფუციზმი, მოიზმი და ლეგიზმი, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს შორეული აღმოსავლეთის სამართლებრივი მოძღვრების ფორმირებაში. ამასთანავე უდიდესი გავლენა მოახდინა ბუდიზმმაც, რომელიც I საუკუნეში შევიდა ჩინეთში და VI საუკუნეში ფართო განზოგადებას პოულობს იქ. კონფუციანელობა, ბუდიზმი და დაოსიზმი დარჩნენ რა დამოუკიდებელ სწავლებად, ჩინურ მსოფლმხედველობაში შეირწყმნენ ერთ მთლიანობად.

დაოსიზმი

დაოსიზმი არის ძვ.წ.აღ IV-III ჩამოყალიბებული ფილოსოფიურ-რელიგიური მიმდინარეობა. დაოსიზმის პრინციპები გადმოცემულია წიგნში „დაო დე ძინი“, რაც თარგმანით ნიშნავს „წიგნი გზისა და ღირსებისა“. წიგნის ავტორი გახლავთ ლაო ძი ძვ.წ. VI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ჩინელი ფილოსოფოსი. თავად სიტყვა „ლაო-ძი“ ნიშნავს მოხუც ფილოსოფოსს, მასწავლებელს. დაოსიზმის უმთავრეს პრინციპს *„დაო“*-გზა და *„ძი“*- ღირსება წარმოადგენს.

დაო არის წყარო სამყაროს მრავალფეროვნებისშესახებ. ეს არის გარკვეული გზა რომელსა უნდა გაჰყვეს ყველა - სულიერიც და უსულოც. თრადიციული თეოლოგიური წარმოდგენით `დაო~ ციური ნების გამოვლინებად განიხილება. დაოსიზმის უმთავრესი პრინციპი არის – მოვლენათა ბუნებრივი მიმდინარეობის ბრინციპი, რომლის თანახმადაც ადამიანის ინდივიდუალურობის მაქსიმუმის მიღწევა სამყაროს შეცნობის საფუძველზე ხდება, ანუ მისი დაოსთან, როგორც უმაღლეს სიქველესთან და ბუნებრივ თანასწორობასთან შერწყმის საფუძველზე.

დაოსიზმის მიხედვით ბუნებრივი მდგომარეობის მიღწევის მთავარ მეთოდს უმოქმედობა წარმოადგენს, ყოველგვარი მიზანმიმართული მოქმედების უარყოფა. მისი მთავარ მოწოდებაა: მმართველებმა თავი შეიკავონ ხალხის შევიწროვებისა და ძალადობისაგან, ამკრძალავი და იმპერატიული, მიუღებელი კანონების შექმნისაგან, ხალხთან მმართველები უნდა იყვნენ მოწიწებულნი და მშობლიურნი, ანუ არა უცხო და მიუწვდომელი, ისინი უნდა იყვნენ მართალნი, მეგობრულნი საზოგადოებრივი ჩინის მიუხედავად თანას-

წორნი ყველასთან. ასევე მმართველს მოეთხოვება იყოს პატიოსანი და გულახდილი.

ამრიგად ყოველი არსის დასაბამი კანონი, "საგანთა დედა" - ქვეყნიერების მარადიული ცვლაა, რაც არ ემორჩილება არც ღმერთებს, არც ადამიანურ ძალას. ამიტომ ადამიანი უნდა დაემორჩილოს, დანებდეს, არ იმოქმედოს, იყოს პასიური, აშენოს მცენარეები და ცხოველები და თაყვანი სცეს კულტს. ასე რომ საერთოდ დაოსიზმი აქტიური მოქმედების წინააღმდეგია და, გარკვეული თვალსაზრისით, უმოქმედობის ფილოსოფიას წარმოადგენს.

კონფუციანელობა

კონფუციანელობა ძვ.წ.აღ VI საუკუნიდან იღებს სათავეს. კონფუციის სწავლება გადმოცემულია კრებულში „ლინ იუი“ – საუბრები და გამონათქვამები, რომელიც მისმა მოწაფეებმა შეადგინეს მისი სიკვდილის შემდეგ ძვ.წ.აღ-მდე V საუკუნეში.

კონფუცი ეყრდნობა სახელმწიფოს წარმოშობის პატრიარქალურ - პატერნალისტურ კონცეფციას. სახელმწიფო ეს არის დიდი ოჯახი. ბრძენი მმართველი, რომელიც სარგებლობს სამაგალითო ქცევით და არის კედილდღეობაზე მზრუნველი, ოჯახის უფროსის მსგავსად. ის არ უნდა იყოს მორიდებული ზემოქმედების ხერხების არჩევისას. კონფუცი იყო არისტოკრატიული მმართველობის მომხრე, მისი აზრით სახელმწიფოს უნდა მართავდეს კეთილშობილი წარმომავლობის მამაკაცები მონარქის მეთაურობით და არა ხალხი. მაგრამ არისტოკრატია ეს არის კეთილშობილი საზოგადოება არა წარმომავლობით, არამედ მათი ცხოვრების წესითა და შეხედულებებით.

კონფუცი სკეპტიკურად უდგება მმართველობას იმ კანონების საშუალებით, რომლთა შესრულება უზრუნველყოფილი იყო სასჯელით. ადამიანებზე ზემოქმედების მთავარი საშუალება არის მორალი, რიტუალი, ხოლო კანონმდებლობამ უნდა შეასრულოს მხოლოდ დამხმარე ფუნქცია. სწორედ რიტუალებია ჩადებული აღმზრდელობის პროცესში, ის არის ურთიერთობის პროცესუალური არსი. მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობდა ყოველი ჩინელისათვის ცხოვრების წესისა და ურთიერთობის რეგულირების განმსაზღვრელი წესები: მამა და შვილი, უფროსი და დაქვემდებარებული, ქმარი და ცოლი, მოქალაქე და მმართველი და ა.შ. ეს არის გარკვეული სახის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით გაჯერებული ბუნებრივი კანონზომიერება.

კონფუციანელობა ეწიააღმდეგება უძრაობის პრინციპს დაოსიზმისაგან განსხვავებით. ამ სწავლებიდან გამომდინარე ადამიანის სამყარო არაფრით არ განსხვავდება ბუნებრივი სამყაროსაგან. ამდენად ადამიანმა უნდა გამოიმუშავოს ისეთი წესები და ჩვევები ბუნების კანონებთან შესაბამისობაში. ადამიანები თავისუფლად შეიძლება დავარწმუნოთ მოიქცეს გარკვეული წესის მიხედვით, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში არის აუცილებელი სახელმწიფოს მხრიდან სასურველი შედეგის დასჯადი მექანიზმებით მიღწევა.

ამრიგად, კონფუცის მიხედვით მმართველები უნდა იყვნენ სრულყოფილნი („ძიუნ-ძი“ კეთილშობილნი) და უნდა ემორჩილებოდნენ რიტუალის მკაცრ ნორმებს - „ლი“-ს (პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, ცოდნისადმი მისწრაფება, ერთგულება, უფროსების პატივისცემა, ჰუმანური დამოკიდებულება ქვეშევრდომებისადმი). კეთილშობილი სახელმწიფო მოხელე ყოველთვის სამართლიანია და მზად არის გადადგეს. „ლუნ იუი“ მთლიანად დამყარებულია უძველეს

ჩინურ ტრადიციებზე, რომლებსაც კონფუცი შემოქმედებითად განიხილავდა, არსებული რეალობის გათვალისწინებით. კონფუცის სწავლების მთავარი მიზანია ბრძნული და სამართლიანი წესრიგის უზრუნველყოფა.

მოიზმი

მოიზმი არის ჩინური ფილოსოფიური სკოლა, რომლის ფუძემდებელია პოლიტიკური მოღვაწე, მოისტური სკოლის დამფუძნებელი მო (ან მოძი), რომელიც ცხოვრობდა ძვ.წ. აღ 470-391 წლებში. ის გახლდათ ერთ-ერთი ჩინოვნიკი სუნების დინასტიის მმართველობის დროს.

მოიზმი უპირველესად იყო მოძღვრება. ის ქადაგებდა ორმხრივ კეთილგანწყობას ადამიანებს შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდა მმართველების მიერ „მდაბიოთა“ მიმართ კეთილგანწყობა. მო ძი გმობს დიდებულთა ფუფუნებას, რაც მონარქის დროისა და ფინანსების გადაჭარბებული ხარჯვაა, ყოველი ეს მიმართული უნდა იყოს სახელმწიფოს კეთილდღეობისაკენ. ის ოცნებობდა შემცირებულიყო ურთიერთდაპირისპირებულობა მდიდარსა და ღარიბს, მმართველსადა მმართულს შორის. ამიტ ქადაგებდა ურტიერთპატივისცემასა და სიყვარულს.

მო ძი ამტკიცებდა რომ სწორედ ურთიერთ პატივისცემისა და სიყვარულის დეფიციტის გამო ხდება ყველა ქურდობა, ძალადობა, სუსტების ჩაგვრა ძლიერების მხრიდან, ყველა გაუგებრობა და მღელვარება.

აკრიტიკებს რა მო ძი არსებულ სახელმწიფოებრივ წყობას, ის გმობს ხელისუფლებისაგან მძიმე გადასახადების დაკანონებას, მმართველთა არაკეთილსინდისიერებსა და ქედ-

მაღლობას. ის მმართველის მთავარ ფუნქციად აცხადებს ხალხზე ზრუნვასა და მისი კეთილდღეობის შენარჩუნებას.

თავისი შეხედულების განსამტკიცებლად მაო ძის მმართველების მიერ სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების საუკეთესო გზად ხელშეკრულება მიაჩნია. როდესღაც, აცხადებს ის, ადამიანები ცხოვრობდნენ ისე რომ არ ჰქონდათ კანონები, არ ჰყავდათ მმართველები, არც აღიარებული ლიდერი, ამიტომ იყო მრავალი განსხვავებული შეხედულებები და მათ შორის თანდათან წარმოიქმნა უთანხმოება, ამიტომ მათ გამოარჩიეს ბრძენი და უნარებით აღსავსე ადამიანი, დააყენეს ის თავიანთ მმართველად და დასახმარებლად დაუნიშნეს მას სამი მრჩეველი - მინისტრი.აქდან გამომდინარე მაო ძის მოსაზრებით ლიდერის არსებობა არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელი შეიქმნა.

მაო ძი ოცნებობდა იმ დროზე, როცა მმართველები დაიცავენ ბუნებით კანონებს - დაოს, როცა განადგურებული იქნება ეშმაკობა, მლინქვნელობა და გაუმაძღრობა. მაშინ ზეცა და მიწა შეერწყმება ერთმანეთს ჰარმონიულად, დაისადგურებს ბედნიერება და კეთილდღეობა და ხალხიც დამშიდდება.

ლეგიზმი

ლეგიზმი - ჩინურად ფა-ზი ფაქტობრივად კანონიერი, ეს გახლავთ ფილოსოფიურ-პოლიტიკური, დაოსიზმისა და კონფუციანელობის საპირისპირო მოძღვრება.

ლეგიზმის მიმდინარეობის დამაარსებლად მიიჩნევენ შან იანს (ძვ. წ.აღ. 390-338 წწ) შანის ოლქის მმართველს. შან იანი თვლიდა რომ მმართველობის მთელი ძალაუფლება თავმოყრილი უნდა იყოს უმაღლესი მმართველის ხელში, ხოლო მმართველის უმთავრეს მიზანს ძლევამოსილი მმარ-

თველობის შექმნა უნდა წარმოადგენდეს, რომელიც შეძლებს მთელი ჩინეთის გაერთიანებას.

ლეგისტების მთავარი იდეა სამართლებრივი კანონების უზენაესობა წარმოადგენს, როგორც საზოგადოებაში ასევე სახელმწიფოში. კანონი - თავისი განსაზღვრული და მყარი ხასიათიდან ასევე მისი უნარიდან - დადამყაროს ერთგვაროვნება, გამომდინარეუნდა იყოს მმართველობის ძირითად არსში ჩადებულიდა მისი გარეშე არსებობა იყოს შეუძლებელი. კანონშემოქმედი შეიძლება იყოს მხოლოდ მმართველი. ლეგისტები კანონს განსაზღვრავენ როგორც დაწერილს და გამოქვეყნებულ წესებს, რომლის შესრულებაზე კონტროლი დავალებული უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ხელისუფლებას. იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნას კანონის შესრულება ისინი უნდა გამოქვეყდნენ. ლეგისტების აზრით ასევე საჭირო იყო ხალხისა და თანამდებობის პირების მიერ კანონის სწორად გაგების უზრუნველყოფა.

ამრიგად, ლეგისტებმა (კანონისტებმა) სახელმწიფოს ორგანიზების კონფუცისეული მოდელის არსებითად საპირისპირო სისტემა ჩამოაყალიბეს. კონფუცის ბრძენი მმართველი, თავის ხალხზე მზრუნველი მამა მათ შეცვალეს დესპოტით, რომელიც მართავს მკაცრი სასჯელების გამოყენებით საყოველთაო ურთიერთდასმენის პირობებში. თუმცა ლეგიზმი მაინც ვერ გახდა სახელმწიფო იდეოლოგია, კონფუციანელობისაგან განსხვავებით.

კონფუციანელობა და ლეგიზმი როგორც ვხედავთ, წარმოადგენდა პოლიტიკური დაპირისპირების კლასიკურ ნიმუშს, თავიანთი მიმდევრებითა და მსოფლმხედველობრივი მრწამსით ძველ ჩინურ რეალიებში.

ანტიკური საბერძნეთის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებები ლიდერობაზე

ანტიკური ეპოქიდან დღემდე მრავალმა საუკუნემ განვლო, თავისი განვითარების მზარდი დინამიკით. კაცობრიობა განვითარდა ტექნოლოგიურად, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, მეცნიერულად, მაგრამ ის საკითხები რომლებიც ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს აწუხებდათ დღესაც აქტუალურია და განსჯისა თუ კამათის საგანს წარმოადგენს. სწორედ ამაშია ანტიკური ეპოქის ფილოსოფიის უნიკალურობა. მას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალურობა. საუკუნეების წინ ამ დარგმა განავითარა და საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ ცნებებს როგორიცაა სახელმწიფო, სამართალი, კანონი, კანონის უზენაესობა, ლიდერი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი შეხედულებები პოლიტიკურ ლიდერზე, როგორც საკვანძო სუბიექტზე სახელმწიფოს მმართვაში.

ამ თვალსაზრით მსოფლიო მნიშვნელობისაა ,პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომები, რომლებიც ამ თემასეძღვნება.

პლატონი და „სახელმწიფო“

ბიზანტიაში არსებობდა ასეთი წესი: ვიდრე ბიბლიას აიღბდნენ წასაკითხად, მანამდე საგუდაგულდს იბანდნენ ხელებს... სწორედ, ბიზანტიელი ფილოსოფოსი მიქელ ფსელოსი ამბობდა, რომ ...დაუბანელი ხელით პლატონიც არ უნდა გადაშალოო. პლატონის პიროვნება იმდენად დიდია, იგი იმდენად საზოგადო ფიგურა იყო რომ მას იცნობენ, პოეტები,

დურგლები, ექიმები, შამანები, პოლიტიკოსები და საზოგადოებრივი ფენის თითქმის ყველა წარმომადგენელი.

პლატონის შრომები 50 წლის მოღვაწეობის შედეგია. მათი უმრავლესობა დიალოგის ფორმითაა დაწერილი. დიალოგთა უმრავლესობაში წამყვანია სოკრატე. პლატონი საკუთარ აზრებს, როგორც წესი, მისი პირით გადმოგვცემს.

პლატონის „სახელმწიფო“ ფილოსოფიური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ნაშრომს წარმოადგენს, ერთი მხრივ იმიტომ რომ ამ დიალოგს თვით პლატონის ფილოსოფიურ სისტემაში მთავარი ადგილი უჭირავს და მეორეს მხრივ იმიტომ, რომ ამ ნაშრომში პლატონი წმინდა პოლიტიკური საკითხების გარდა მათივე სიღრმისეული და კონტექსტური გადმოცემისათვის ეხება თავისი ფილოსოფიური სისტემის თითქმის ყველა დანარჩენ მნიშვნელოვან პრობლემას. პლატონი ამ ნაშრომში პოლიტიკური ხასიათის საკითხებს სხვათა შორის კი არ ჰყვება, არამედ სავსებით მიზანდასახულად წარმოგვიდგენს მათ როგორც ადამიანის მსოფლმხედველობის ორგანულ, თუ დამაგვირგვინებელ თემად. ეს კი აშკარად პოლიტიკური თვითცნობიერების ზენიტია, ანუ როდესაც ადამიანი არა მხოლოდ ცხოვრობს პოლიტიკურად, არამედ იცის ყოველივე პოლიტიკის შესახებ და ფიქრობს პოლიტიკური ცხოვრების ავკარგიანობაზე.

პლატონის იდეალური სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმი და იდეალური ლიდერი

პლატონის სახელმწიფოს იდეალურ სახელმწიფოს უწოდებენ. პლატონის იდეალურ სახელმწიფოში ძალიან სა-

ინტერესოა მისი შეხედულებები პოლიტიკური რეჟიმის მიმართ.

იდეალური სახელმწიფო, რომელზედაც პლატონი საუბრობს შეიძლება განხორციელდეს ორი კონკრეტული ფორმით: ის შეიძლება იყოს ან მონარქია ან არისტოკრატია იგივე რაც რჩეულთა მმართველობა. რჩეულები, რომლის შესახებაც პლატონი ლაპარაკობს მემკვიდრეობითი კასტა არ არის. იდეალური სახელმწიფოს მმართველები რჩეული ფილოსოფოსები არიან. აქ „ფილოსოფოსში“ პლატონი არ გულისხმობს დიპლომირებულ ფილოსოფიის მაგისტრს. პლატონი ძალიან ბევრს საუბრობს ფილოსოფოსი მმართველის ამა თუ იმ თვისების დახასიათებისას. მათ ინტერესებზე, მოწოდებებზე და მისიაზე, ასევე მათ მნიშვნელობაზე საზოგადოებისათვის.

პლატონი იდეალურ სახელმწიფოს არისტოკრატიული მმართველობის გარდა ლაპარაკობს მმართველობის შემდეგი ფორმების სახელმწიფოებზე:

- ტიმოკრატიაზე, ანუ ეს გახლავთ ქონებრივ ცენზზე დამყარებული რეჟიმი;
- ოლიგარქიაზე, ანუ უმცირესობის მმართველობა;
- დემოკრატიაზე ანუ ხალხის მმართველობა;
- ტირანიაზე ანუ ერთის მმართველობა, რომელიც საკუთარი სურვილით ხორციელდება.

თანამედროვე დროისათვის ყველაზე მეტად ღირებულ მმართველობის ფორმას – დემოკრატიას პლატონი იდეალურ სახელმწიფო მმართველობად მაინც და მაინც არ მიიჩნევს და ბოლოდან მეორე ადგილას აყენებს მას. თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ პლატონისათვის „დემოკრატია“ ისევე, როგორც ძველი რომაელებისათვის „რესპუბლიკა“ ანუ „პლებსის მმართველობა“ გათანაბრებუ-

ლი იყო არა იმდენად „ხალხის მმართველობასთან“, რამდენადაც „მდაბიოთა მმათველობასთან“.

სახელმწიფოს მმართველის – თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ ლიდერის გონება, გული და მთლიანად მისი ფიზიკური სხეული უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფოს და სხვას არავის და არაფერს, თუ ეს ასე იქნება, ხსნის პლატონი, ის იქნება იდეალური მმართველი და სახელმწიფოც შესაბამისად იდეალური, ანუ საუკეთესო. იდეალურ სახელმწიფოში დაბადებული ბავშვი, პლატონის ფილოსოფიით, თავადვე უნდა იყოს იდეალური და ამის შემდგომ აღზრდითა და ეთიკის ფილოსოფიის დახმარებით შესაძლებელია ის გახდეს საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელი. აქ აქცენტი გაკეთებულია იმ ფაქტორზე, რომ მშობლების საქმიანობითა და მათი გავლენის წყალობით კი არ უნდა აღწევდეს ადამიანი წარმატებას არამედ დამოუკიდებლად, ამით ის უფრო ამაღლებულ და საზოგადოებისათვის მისაღებ ინდივიდად ჩამოყალიბდება. თანამედროვე პირობებშიც ურიგო არ იქნება ამ ფილოსოფიასთან მიახლოებული კონცეფიციები თუ შემუშავდება და ადამიანი მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების, როგორც ინტელექტუალური, ასევე ფიზიკური, მიაღწევს საწადელს და გახდება ლიდერი, რომელიც ერთიორად იქნება დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში და არ იქნება ანგარიშვალდებული სხვის, თუნდაც მშობლების (როგორც ამას პლატონი აყალიბებდა) წინაშე. ის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე იქნებოდა ანგარიშვალდებული და სახელმწიფოს სამსახური იქნებოდა მისი ცხოვრების ამომავალი წერტილი.

აქ მახსენდება ციტატა დიდი კონსტანტინე გამსახურდიას დიდოსტატის მარჯვენადან „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ

სასტიკ ბომონს არაფერი გამოგივა ხელიდან“. სახელმწიფოს მართვაც ხომ ნამდვილი ხელოვნებაა.

პლატონისეული ფილოსოფიით მის სახელმწიფოში ყველა ბავშვისთვის გარანტირებულია ერთნაირი სწავლება 20 წლამდე. ვისაც შემდგომი სწავლის ნიჭი და სურვილის არა აქვს, იგი უერთდება მწარმოებელთა ფენას. 10 წლის სწავლის შემდეგ იგივე საზომით გამოიყოფა მხედართა ფენა. დარჩენილები კიდევ ხუთი წელი იწაფებიან დიალექტიკაში. 35 წლის რჩეულთა სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობაზე კიდევ 15 წლიანი შემოწმება მოელით. ამრიგად, 50 წლის ადამიანი იძენს უნარს თავად სიკეთე ჭვრიტოს და მისი მიხედვით იმოქმედოს (“სახელმწიფო’, 540). აი რა ასაკიდან თვლის პლატონი ადამიანის მზაობას, რომ მისი იდეალური სახელმწიფო მართოს. ვინ შეიძლება ყოფილიყო იდეალური მმართველი სახელმწიფოს სათავეში ზემოთჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით ასეთები არიან ფილოსოფოსები. ასე ფიქრობდა პლატონი სახელმწიფოში მოეხსნა მემკვიდრეობითი კლასები, როგორც სოციალური უბედურების მიზეზი. ამით აცილებელია სამოქალაქო ომიც, რაც პლატონს ყველაზე დიდ უბედურებად მიაჩნადა

ასე რომ პლატონი იდეალური სახელმწიფო მმართველობის იდეიისათვის კომპლექსურად აერთიანებს ყველა კომპონენტს ადამიანების რესურს, სახელმწიფოს ფორმებს, საკუთრების ფორმებს, ადამიანთა უუფლებობის დასაშვებობას და თვლის რომ თუ რომელიმე მათგანით, ერთით მაინც არ არის სახელმწიფო უზრუნველყოფილი ის იდეალური ანუ“საუკეთესო“ ვერასოდეს გახდება.

არისტოტელეს პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები ლიდერობაზე

არისტოტელე (ძვ.წ.აღ-მდე 384-322 წ.) ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი და მეცნიერ-ენციკლოპედისტი გახლდათ. მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი ნაშრომები წარმოადგენილია ტრაქტატებში „პოლიტიკა“, „ეთიკა“, „ათენელების პოლიტიკა“.

არისტოტელე სვამს კითხვას: შეიძლება თუ არა იგივეობრივი იყოს კარგი და საქმიანი ადამიანის ცნებები? მოქალაქე სახელმწიფოსადმი ისეთივე მიმართებაშია, როგორც გემის ერთი მეზღვაური დანარჩენი ეკიპაჟის მიმართ მიუხედავად იმისა, რომ ეკიპაჟის წევრები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მდგომარეობით და საქმიანობით, ყოველი მათგანის კონკრეტული მიზანი მეზღვაურთან მიმართბაში არის კარგი ურთიერტობა, ხოლო საერთო საქმიანი მიზანი წარმატებული ცურვაა. იგივეა მოქალაქეთა მიმართ. როგორი განსხვავებული მიზნებიც არ უნდა ჰქონდეთ მათ, საერთო იქნება მათი ურთიერთობის შენარჩუნება. ეს ურთიერთობა კი სახელმწიფო წყობაა. ამ შეხედულებით ლიდერს სახელმწიფო მმართველობა აქვს ჩაბარებული და მას კარგად ვერ განახორციელებს, თუ გათავისებული არ ექნება ურთიერთდაქვემდებარების ცნება. ნათქვამი, თუ დამორჩილება არ იცი, ვერ იბატონებ. მმართველი უნდა გამოირჩეოდეს სათნოებით, სწორედ ეს ანიჭებს მას გამორჩეულის სტატუსს სხვა დანარჩენებისაგან. ქვეშევრდომისაგან ის არ უნდა მოვითხოვდეს განსჯას – ეს ლიდერის მოვალეობაა, ქვეშევრდომს სწორი მსჯელობა მოითხოვება მხოლოდ. ქვეშევრდომი გავს ფლეიტის გამკეთებელ ოსტატს, მმართველი კი ისაა ვინც უკრავს ფლეიტაზე.

არისტოტელეს შეხედულებით არისტოკრატიულია სახელმწიფოს მხოლოდ ის სახეობა, როცა მართავენ საუკეთესონი სათნოების თვალსაზრისით. სახელმწიფოს მხოლოდ ამ წყობილებაშია ერთი და იგივე კარგი მოქალაქე და კარგი ადამიანი. არისტოკრატიის დროს თანამდებობაზე არჩევა განპირობებულია არა მარტო სიმდიდრით, არამედ მაღალი ზნეობრივი თავისებურებებითაც.

არისტოტელეს აზრით ბუნებრივი პროცესების შედეგად, წარმოიქმნა სახელმწიფო. მოდგმის გაგრძელების აუცილებლობა ადამიანებისგან ერთად ცხოვრებისა და, ზოგადად, პოლიტიკურ კავშირებად გაერთიანებას იწვევს, რადგანაც `ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური არსებაა. არისტოტელემ თავის მოძღვრებებში უკვე საუბრობდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო. ამით მან მონტესკიეზე ადრე მისცა კაცობრიობას ხელისუფლებას სამ შტოდ დიფერენცირების იდეა, სადაც ყოველ მათგანს როგორც სპეციფიურ სფეროს მიუჩინა თავისი მოქმედების სფერო.

არისტოტელესთან სახელმწიფოს კლასიკური ფორმა განისაზღვრება ორი კრიტერიუმით: პირველი მმართველთა რაოდენობის მიხედვით (ერთი, რამდენიმე და უმრავლესობა) და მეორე მიღწეული მიზნებით (საერთო სიკეთე და პირადი სარგებელი).

აქედან გამოიყო სამი „სწორი“ ფორმა:

- მონარქია;
- არისტოკრატია
- პოლიტეა;

და სამი „არასწორი“ ფორმა:

- ტირანია;
- ოლიგარქია;

• დემოკრატია;

არისტოტელეს აზრით პოლიტიკა ეს ქმედებისა და კეთების ფილოსოფიაა, ანუ პრაქტიკული ფილოსოფიაა. ადამიანის სამართავად საჭიროა სახელმწიფო, საითკენაც თავისი ბუნებით ისწრაფვის ადამიანი, როგორც „სოციალური ცხოველი“. სახელმწიფო აღემატება ინდივიდს, მაგრამ არ შთანთქავს მას, როგორც ეს პლატონის პოლიტიკაში ხდება.

არისტოტელეს მიხედვით არსებობს ხელისუფლების სამი ფორმა:

• მონარქია - ერთი პიროვნების მმართველობა

• არისტოკრატია - მცირე მასათა მმართველობა;

• დემოკრატია - მრავალთა მმართველობა.

და რაც მთავარია მისი აზრით მმართველობის საუკეთესო ფორმა ის ფორმაა, რომელიც საუკეთესოდ ესადაგება ცალკეულ ხალხს.

ამრიგად, სახელმწიფო მმართველობის ფორმასთან ერთად ბერძენი მოაზროვნეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ აგრეთვე მმართველთა პიროვნულ თვისებებსაც. მმართველები უნდა იყვნენ მაღალზნეობრივი, კაცთმოყვარე, პატიოსანი და გონიერი ადამიანები, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობაზე. უდავოდ სასარგებლოა, რომ სახელმწიფოს სათავეში იყვნენ პატიოსანი ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს უშუალოდ მართავენ. მმართველმა, სანამ იგი სახელმწიფოს სათავეში მოექცეოდეს, უნდა გაიაროს მორჩილების სკოლა, რადგან შეუძლებელია კარგად მბრძანებლობდე, თუ არ ისწავლე ხელქვეითობა. თუ მმართველი პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს, მაშინ სახელმწიფო დესპოტური ხდება, ხალხზე ზრუნვის შემთხვევაში კი ჰუმანური. ამავე დროს აუცილებელია მმართველთა ანგარიშვალდე-

ბულება ხალხის წინაშე. არისტოტელეს მიხედვით პოლიტიკა ცოდნის პრაქტიკული დარგია, მას ნაკლები კავშირი აქვს თეორიასთან. რაკი ახალგაზრდები ცხოვრებისეულ საქმეებში გამოუცდელნი არიან, ხოლო პოლიტიკა არის ცხოვრების საკითხებზე მსჯელობა, ამდენად, ახალგაზრდები პოლიტიკოსებად ვერ გამოდგებიან.

ძველი რომის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებანი ლიდერობაზე

ძველი რომის პოლიტიკურ–სამართლებრივი შეხედულებებზე ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა ბერძნულმა ცივილიზაციამ. ამდენად მსოფლიო პოლიტიკურ–სამართლებრივ აზროვნებში რომს დიდი წვლილი არ შეუტანია. რომაელებმა ძირითადად სახელი გაითქვეს ბევრი სამართლებრივი იდეების ფორმირებასა და სისტემატიზირებაში, რომლებიც იურისპრუდენციის ძირითადი პრინციპები გახლდათ. ძველბერძენი ფილოსოფოსების მოძღვრებებზე დაყრდნობით შემუშავებულია მოქმედი სამართლის წყაროებით, გამოკვლეულია კანონისა და სამართლის თანაფარდობა.

ძველი რომაული ცივილიზაციის ღირშესანიშნავი წარმომადგენელია მარკუს ტულიუს ციცერონი. ის მრავალმხრივ განათლებული ადამიანი გახლდათ, პოლიტიკური მოაზროვნე, ადვოკატი, ყველაზე სახელგანთქმული ორატორი, მეცნიერი, ფილოლოგი, მწერალი და ფილოსოფოსი, შესანიშნავი მხედართმთავარი და კონსულტანტი.

თხზულებებში „სახელმწიფოს შესახებ“ და „კანონთა შესახებ“, ციცერონი ცდილობდა ჩამოეყალიბებინა რომის სახელმწიფოებრიობის სრულყოფის მექანიზმები, რითაც, მან,

ფაქტობრივად, სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლები შექმნა. ციცერონის მიხედვით სახელმწიფო წარმოადგენს „მრავალი ადამიანის ისეთ კავშირს, სადაც სამართლის საკითხებში ადამიანთა შორის თანხმობა სუფევს და მათ აქვთ საერთო ინტერესები“. მათი თანხმობა ემყარება ადამიანური ბუნებისთვის დამახასიათებელ თვისებებს – გონიერებასა და სამართლიანობას, რაც ბუნებრივ სამართალს, უმაღლეს, ჭეშმარიტ კანონს შეადგენს. სახელმწიფო მოწყობის საუკეთესო ფორმად ციცერონი თვლიდა შერეულ ფორმას, სადაც შეხამებული იქნებოდა სამეფო ხელისუფლების (მონარქის ზრუნვა ქვეშევრდომებზე), არისტოკრატიისა (მმართველთა სიბრძნის) და დემოკრატიის (ხალხის თვისუფლება) ღირსებები. სახელმწიფოში კანონს უნდა ემორჩილებოდეს ყველა მოქალაქე და არა მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

გაიუს იულიუს კეისარი ძველი რომის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, რეფორმატორი, მწერალი და ორატორი იყო. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დროისა და გარემოების ფაქტორების გათვალისწინებას, მათ სწორ ანალიზს. მის რეფორმებში მთავარი იყო ასეთი იდეები: რომის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანება,ბატონსა და მონას შორის ურთიერთობის მოწესრიგება, ნაციონალური შუღლის შესუსტება სხვადასხვა ერებს შორის, ადმინისტრაციის მოწესრიგება, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება შუამავლების გარეშე, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება. კეისარი მოწინააღმდეგებთან (შეურიგებელთა გარდა) შემრიგებლურ პოლიტიკას ატარებდა, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში იწვევდა ყველას, პარტიებისა და პირადად მისდამი დამოკიდებულების მიუხედავად, იახლოვებდა მოწინაღმდეგეებსაც, ატარებდა გამაერთიანებელ

პოლიტიკას და ყველას ძლიერ ენდობოდა. მან შექმნა გამაერთიანებელი ტენდენციები იტალიაში, გამოსცა ქალაქების მარეგულირებელი კანონები, საერთო მუნიციპალური კანონები და სხვ.

ძვ.წ.აღ. I საუკუნეში მონათმფლობელურ რომში დაემხო რესპუბლიკური წყობილება და დამყარდა სამხედრო დიქტატურა, რომელმაც რომის დაცემამდე იარსება. საზოგადოების რღვევამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაშიც, გაჩნდა ახალი ფილოსოფიური მიმართულება სტოიციზმის სახით.

სტოიციზმი — ძველი ფილოსოფიური სკოლაა, რომელიც დაარსდა ათენში, მის დამაარსებლად ითვლება ზენონი. სახელწოდება მომდინარეობს იმ დარბაზიდან, სადაც სტოელების პირველი შეხვედრა გაიმართა. სტოიციზმი სამ ნაწილად იყოფა:

• ძველი სტოა — მისი წარმომადგენელია ზენონი .

• საშუალო სტოა — წარმომადგენლები პანაეთიუსი და პოსიდონიუსი

• ახალი სტოა — სენეკა, ეპიქტეტუსი, მარკუს ავრელიუსი

სტოიციზმის მთავარი იდეა ბუნებასთან ჰარმონიაში მოსვლაა. ადამიანი სიკვდილის შემდეგ უნდა შეერწყას მსოფლიო ლოგოსს, ამიტომ მანამდე მასთან უნდა იყოს ჰარმონიაში. სტოიციზმი შესაძლებელია მივიჩნიოთ „ხორცთმოძულეობის“ მიმდინარეობად. სტოიკოსის უმთავრესი მიზანი არის კეთილად ცხოვრება და შემდეგ სიკვდილი. ხშირად სტოიკოსები სიცოცხლეს სუიციდით ამთავრებდნენ რათა უფრო მალე შერწყმოდნენ მსოფლიო ლოგოსს.

სტოიციზმი ცდილობდა პასუხი გაეცა იმ ეპოქის ადამიანთა სულიერი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების-

თვის. თვდაპირველად სტოიციზმი ძველ საბერძნეთში წარ-მოიშვა. ბერძნულმა სტოიციზმმა ფართო გავრცელება ჰპოვა რომში, განსაკუთრებით სენეკას (4-65 წწ.), ეპიქტეტეს (50-138 წწ.), მარკუს ავრელიუსის ნააზრევში. სტოიკოსები, ბერძენი მოაზროვნებისგან განსხვავებით, რომლებიც პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არ მონაწილეობდნენ, ახლოს იყვნენ სახელმწიფოს მეთაურებთან (მარკუს ავრელიუსი თავად იყო იმპერატორი) და, ამდენად, მათ თეორიული ნააზრევის პრაქტიკულად განხორციელების დიდი შესაძლებლობები ჰქონდათ.

რომაელებსა და დაპყრობილ ხალხებს შორის წი-ნააღმდეგობის შენელების, სიმშვიდის შენარჩუნებისა და ერ-თსულოვნების უზრუნველყოფის მიზნით სტოიკოსები ამუ-შავებდნენ მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის, კოსმოპოლი-ტიზმისა და აშ. მოძღვრებებს. რომაელი სტოიკოსების აზ-რით ლოგიკა, ფიზიკა და ეთიკა სრულყოფილად გან-საზღვრავს წარმოდგენას ბუნებისა და საზოგდოების შესა-ხებ. სტოიკოსების აზრით სამყაროში ბატონობს ჰარმონია. სამყარო ერთიანი სახელმწიფოა და იგი შექმნილია ერთიანი სუბსტანციიდან, ამიტომაც ადამიანი, რომელიც სამყაროს გონიერი ელემენტია, სრულ თანხმობაში უნდა იყოს ბუნე-ბასთან. სტოიკოსებს ახასიათებდა პესიმიზმი (რაც სიკვდი-ლის აპოლოგიით გამოიხატება) და საზოგადოების უკუღმართობას, მასში არსებულ ბოროტებას ეყრდნობოდა. ფაქტობრივად, რომაელთა სტოიციზმი ქრისტიანობის გავ-რცელების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. როდე-საც რომაელი ისტორიკოსები წერდნენ იმ ეპოქის შესახებ, აღნიშნავდნენ, რომ საზოგადოების დეგრადაცია სიმდიდრის დაგროვებით იწყება, რაც შემდეგ მმართველების ფუფუნება-ში ჩაფლობითა და ქვეყნის დაცემით სრულდება. ეს თვალსა-

ჩინოდ დაადასტურა რომის იმპერიის ნგრევამ. ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, რომი იმიტომ დაეცა 410 წელს, რომ იგი გარყვნილების ბუდედ იქცა.

შუა საუკუნეების თეორიულ–სამართლებრივი შეხედულებები ლიდერობაზე

ტერმინი „შუა საუკუნეები“ სათავეს იღებს პერიოდს XVIII საუკუნემდე, როდესაც ჰუმანისტმა მეცნიერებმა ისტორიულ ეპოქას ანტიკურობის დასასრულიდან მის აღორძინებამდე „შუა“, ასევე „ბნელი საუკუნეები“ უწოდეს. ამ ორ ეპოქის წყალგამყოფად ძირითადად სამი თარიღი სახელდება: თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღება (1453 წელი), დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (1492 წლიდან) და რეფორმაცის დასაწყისი გერმანიაში (1517 წელი). სამივე თარიღი მეტად მნიშვნელოვანია. ეს პერიოდები ერთმანეთისაგან სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ხასიათით განსხვავდებიან.

მაღალი შუა საუკუნეების ყველაზე გავლენიანი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი გახლდათ **თომა აქვინელი.** დომინიკელთა ორდენის წევრი. პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, თომიზმის ფუძემდებელი, რომელიც დღემდე კათოლიციზმის ცენტრალურ ფილოსოფიურ მოძღვრებად ითვლება.

თომა აქვინელის მთავარ დამსახურებად ითვლება მკაცრი მეცნიერული - არისტოტელესეული - მეთოდის ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა დამტკიცების სამსახურში ჩაყენება. აქვინელის მოძღვრების ქვაკუთხედად შეიძლება ჩაითვალოს რწმენისა და გონების ჰარმონიული თანხვედრა.

მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებებია: „თეოლოგიის ჟამი“ (Summa ტheologiae), „ჟამი წარმართთა წინააღმდეგ“ (შუმმა ცონტრა გენტილეს) და „ჭეშმარიტების შესახებ“ (Quesტiones dispuტaტae de veriტaტe).

თომა აქვინელი მიიჩნევდა, რომ როგორც ცალკეული ადამიანის, ისე საზოგადოების კეთილდღეობა ღვთაებრივი განგებულობით განისაზღვრება და ადამიანის მიერ ღმერთის კანონების დარღვევა საკუთარი კეთილდღეობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. საერო ხელისუფლების მიზანი მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობაა, საეკლესიო ხელისუფლებისა კი _ ღვთებრივი ნეტარების მიღწევა, ამდენად, საერო ხელისუფლება საეკლესიო ხელისუფლებას უნდა ემორჩილებოდეს. მმართველობის სამართლიანი ფორმები არის მონარქია, არისტოკრატია და პოლისური სისტემა, არასამართლიანი – ტირანია, ოლიგარქია და დემოკრატია, თუმცა დემოკრატია მაინც ტირანიაზე უკეთესია. საუკეთესო ფორმა არის მონარქია, რომელშიც გათვალისწინებულია არისტოკრატიისა და პოლისური დემოკრატიის ელემენტები, ვინაიდან, საერთო კეთილდღეობის მიღწევა ყველაზე უფრო ეფექტიანად ერთმმართველობით ხორციელდება.

სახელმწიფო მართვის თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რელიგიური სისტემის დიდმა რეფორმატორმა, **მარტინ ლუთერმა.** მას ქვეყნის მართვა, მართალია მეტად მძიმე, მაგრამ, სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის აუცილებელ, სასარგებლო საქმედ მიაჩნდა. ლუთერის მიხედვით მმართველს შესაძლოა ჰქონდეს ძლიერება და სიმდიდრე, მაგრამ, უფრო მეტად მნიშვნელოვანია მისი „ბუნებრივი გონება და სამართლიანობა˜, ასევე ცხოვრებისეული გამოცდილება. ასეთი მმართველი ღმერთის რჩეულია. ლუთერის აზრით, საერო და სასულიერი ხელისუფლება ერთმა-

ნეთისგან გამიჯნული უნდა იყოს, თუმცა ხელისუფლება ბრძენიც უნდა იყოს და ღვთისმოშიშიც, რაც ღვთის წყალობის უტყუარი ნიშანი იქნებოდა. ამავე დროს, კანონების მკაცრად აღსრულების მიზნით, ხელისუფლებას ძალისა და მახვილის მკაცრად გამოყენებაც უნდა შეეძლოს.

XIV-XVI საუკუნეებში დასავლეთ ევროპამ თავისი კულტურული და პოლიტიკურ–სამართლებრივი განვითარების პიკს მიაღწია, რომელიც ისტორიაში რენესანსის, აღორძინების სახელით შევიდა. ქრონოლოგიურად დაგვირგვინდა გვიანი შუა საუკუნეების ბნელი წლები, ხოლო ამ პერიოდი პოლიტიკურ–სამართლებრივი აზროვნება გახდა წინამორბედი უახლესი ისტორიისა. ეს გახლდათ მეცნიერებასა და ხელოვნებაში უდიდესი მიღწევებისა და აღმოცენების ეპოქა. ევროპა რენესანსის პერიოდში თითქოს ხელახლა ხსნიდა მისთვის ახალ კულტს ადამიანისა, რომელიც აღვსილი იყო ცხოვრების წყურვილითა და აღმოჩენებით. ადამიანის მისია გახდა: პოლიტიკის, სახელმწიფოსა და სამართლის გაძლიერება და დახვეწა. ბევრ ქვეყანაში იწყებს გაძლიერებას ძლიერი მონარქები, რითაც ეცემა კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკური რეიტინგი. იმ ეკლესიისა რომელიც მანამდე ერთადერთ რეალურ და გამაერთიანებელ ძალას წარმოადგენდა დასავლეთ ევროპაში. ამავე დროს საზოგადოების მორალური შეხედულება, რომელიც აშკარად იბრძოდა ფეოდალიზმისა და კათოლიციზმის წინააღმდეგ, მაინც ხელმძღვანელობენ რელიგიური მსოფლმხედველობით.

სწორედ ამ ეპოქაში ჩნდება უდიდესი მოაზროვნე, ადამიანი რომელმაც რეალურ პოლიტიკურ აზროვნების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა – ფლორენციელი მოაზროვნე **ნიკოლო მაკიაველი.** მაკიაველმა პირველმა სრულად ჩამოაცილა რელიგია პოლიტიკას და მდიდარი ისტო-

რიული ფაქტობრივი მასალის გაანალიზებით განიხილა პოლიტიკური ბატონობის მექანიზმები, სახელმწიფო მართვის ხელოვნება, ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების მეთოდები.

მაკიაველის აზრით, სახელმწიფო ორი ტიპისაა: რესპუბლიკა ან სამთავრო. სამთავროები ან მემკვიდრეობითნი არიან, რომელთაც დიდი ხნის მანძილზე მართავს მთავართა ერთი საგვარეულო, ანდა – ახალნი. მემკვიდრეობით მთავარს, ვისი ქვეშემრდომნიც დიდი ხანია მორჩილებენ მის საგვარეულოს, გაცილებით უფრო უადვილდება ძალაუფლების შენარჩუნება, ვიდრე ახალ მბრძანებელს, ვინაიდან საამისოდ მთავრისათვის საკმარისია არ დაარღვიოს წინაპართა მიერ დაფუძნებული წესრიგი და უნარიანად გამოიყენოს ყველა ხელსაყრელი ვითარება: ასე რომ, თვით ის მთავარიც კი, რომელიც მაინცდამაინც არ გამოირჩევა დიდი ჭკუითა და გამჭრიახობით, ყოველთვის შეინარჩუნებს ძალაუფლებას, თუკი რაღაც უჩვეულო და საგანგებო ძალადობის შედეგად არ დაკარგა იგი. მემკვიდრეობითი მთავრის დასამხობად გაცილებით ნაკლები მიზეზი არსებობს და ნაკლები აუცილებლობა, ამიტომაა, რომ ის უფრო მეტად უყვარს ხალხს და თუ რაღაც უჩვეულო ბიწიერება მის მიმართ საყოველთაო სიძულვილის წყაროდ არ იქცა, საფუძველსმოკლებული არ იქნება ვივარაუდოთ, რომ ქვეშემრდომისთვის, დიახაც, სასურველი იქნება იგი; ხოლო მისი საგვარეულოს სიძველე და უწყვეტობა თავისთავად გააქარწყლებენ ყოველგვარი სიახლის მიზეზსა და ხსოვნას, ვინაიდან ერთი ცვლილება ყოველთვის გზას უხსნის მეორეს.

მაკიაველს განხილული აქვს ის გარემოება, თუ რატომ არ აუჯანყდა ალექსანდრეს მიერ დაპყრობილი დარიოსის სამეფო ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრეებს.

ის ამბობს, რომ ერთია დაამარცხო ქვეყნის ერთპიროვნული ლიდერი, და მეორე, დაიმორჩილო ყველა წვრილ-წვრილი მთავარი. დაპყრობილ სახელმწიფოში, სადაც ბევრი სამთავროა, ხშირია აჯანყებები. ალექსანდრემ მმართველობა გადაუნაწილა თავის ქვეშემრდომ სარდლებს, სწორედ ამიტომ არ შექმნია მას არავითარი პრობლემა.

მაკიაველის ღრმა რწმენით, ძლიერი მთავრი არის საჭეთმპყრობელი, რომელიც ოსტატურად აღწევს თავს პირმოთნეთ, არ არის ზედმეტად ხელგაშლილი, არ აქცევს ყურადღებას უსაფუძვლო საზოგადოებრივ აზრს, იმორჩილებს ბრბოს, მუდმივად შრომობს, ფიქრობს ბრძოლაზე და არ არის მიცემული განცხრომას, უყვარს ისტორია და ა.შ

მაკიაველისტური შეხედულება გვასწავლის, რომ მმართველს თუკი სურს სიკეთის მსახურება, ბოროტების გზაზე დადგომაც უნდა შეეძლოს. მაკიაველი პოლიტიკისა და მორალის ურთიერთმიმართებაზე შემდეგ კონცეპტს გვთავაზობს: ,,უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე – ძალის მეშვეობით. პირველი ნიშნეულია ადამიანებისთვის, მეორე კი მხეცებისათვის, მაგრამ რაკი პირველი ხშირად არასაკმარისია, ძალაუნებურად უნდა მივმართოთ ხოლმე მეორეს. ამიტომ, მთავრისათვის აუცილებელია, რომ თანაბარი წარმატებით იბრძოდეს როგორც მხეცი და როგორც კაცი. სწორედ ამნაირი, თუმცაღა შეფარვით გამოთქმული შეგონებით მიმართავდნენ მთავრებს ძველი მწერლები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ აქილევსს და ძველი დროის ბევრ სხვა მთავარსაც აღსაზრდელად აბარებდნენ კენტავრ ქირონს, რათა მისი მეთვალყურეობით დავაჟკაცებულიყვნენ. ამ ნახევრად მხეცისა და ნახევრად კაცის ზედამხედველობას აქ მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ მთავარი უნდა ითვისებდეს და ისისხლხორ-

ცებდეს ორივე ბუნებას და რომ ერთი მეორის გარეშე უდღეურია. ამრიგად, თუ მთავარი იძულებული იქნება იბრძოდეს როგორც მხეცი, ცხოველთა მთელი სიმრავლიდან ლომსა და მელას უნდა ირჩევდეს, ვინაიდან ლომს არ შეუძლია თავი დაიცვას გველისაგან, მელას – მგლებისაგან. მაშასადამე, მელა უნდა იყო, რომ შენიშნო გველი, და ლომი, რომ დაიფრინო მგლები. იმას, ვინც მხოლოდ ლომობას იჩემებს, ბევრი რამ არ ესმის".[10]

ამრიგად, ნიკოლო მაკიაველის ნაწარმოები – ,,მთავარი" ზოგადსაკაცობრიო კულტურის უბრწყინვალესი ნიმუშია. იმდენად ძვირფასია მისი ფილოსოფია, რომ მისით უნდა ხელმძღვანელობდეს გონიერი მმართველი. მან ძალიან რაციონალური თეორია შემოგვთავაზა. მაკიაველის ნაშრომი არის ძვირფასი სიბრძნის სკივრი, რომლის მარგალიტები უხვადაა მიმობნეული მსოფლიო ცივილიზაციის სხვადასხვა სფეროში. მაკიაველის შემდეგ ასეული წლები გავიდა მაგრამ მის ფილოსოფიურ შეხედულებებს მმართველის შესახებ დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა და დღესაც ღირებული და ყურადსაღებია.

[10] Джон Локк – «Два трактата о правлении», в кн. Джон Локк, Избранные произведения в трех томах. Изд. «Мысль». Москва 1988., том 3

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებანი ლიდერობაზე

ბურჟუაზიაულმა რევოლუციამ ევროპაში მოიტანა რადიკალური გარდაქმნები საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და მმართველობაში. ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რევოლუცია გამოიხარა იმაში, რომ იდეოლოგიურმა რეფორმაციამ, რომელმაც ინგლისში პურიტანიზმის ფორმა მიიღო, ასე ვთქვათ თამაშობდა რევოლუციურ–მობილიზაციულ როლს. აქ პოლიტიკურმა ქარტეხილებმა თავისი გავლენა მოახდინა მოაზროვნეებზე, რომლის საფუძვლეზე მსოფლიომ მიიღო ისეთი გენიალური ფიგურები, როგორებიცაა თომას ჰობსი და შარლ ლუი მონტესკიე და მათი შეუდარებელი პოლიტიკურ–ტეორიული მოძღვრებანი, სახელმწიფოს მმართველობის, მმართველისა და პოლიტიკის შესახებ.

თომას ჰობსისა და ჯონ ლოკის როლი პოლიტიკის ფილოსოფიაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს. ნაწილობრივ მათ შეხედულებებზე დგას თანამედროვე დასავლური სამყაროს სახელმწიფო მოწყობის სისტემა. მათმა იდეებმა დიდწილად განსაზღვრეს ახალი დროის დასავლური პოლიტიკური აზროვნების პრობლემატიკა. ადამიანის ბუნება, პოლიტიკის ფილოსოფია, სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეა - ეს ის საკვანძო საკითხებია, რომელზედაც ფუნდამენტურად მსჯელობდა ეს ორი ფილოსოფოსი.

თომას ჰობსი (1588-1679 წ.) გახლდათ ინგლისელი ფილოსოფოსი, რომელიც ფართოდაა ცნობილი მისი ღვაწლისთვის პოლიტიკურ ფილოსოფიაში. ჰობსის მიერ 1651 წელს გამოცემული წიგნი **„ლევიათანი“** (მოკვდავი ღმერთი) წარმო-

ადგენს თანამედროვე დასავლური პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს. წიგნში იგი მსჯელობს საზოგადოებისა და ხელისუფლების ჩამოყალიბების პროცესსა და მის მიზეზებზე.

„ლევიათანი“ სოციალური კონტრაქტის თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებელ ნაშრომად ითვლება. მისი იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანთა ბუნება ხელს უწყობს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოების სხვა წევრებთან თანამშრომლობას, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელ თეორიად იქცა. თავის „ლევიათანში,“ ფილოსოფიური დედუქციის საშუალებით ჰობსი ცდილობს ახსნას პოლიტკური სინამდვილის ბუნება.

ჰობსის თეორიის მიხედვით სახელმწიფო არის ხელოვნური ადამიანი, მხოლოდ უფრო დიდი და უფრო ძლიერია, ვიდრე ბუნებრივი ადამიანი, რომლის უსაფრთხოებისა და დაცვისათვისაა ის შექმნილი. ამ დიდ მანქანას ჰობსი უწოდებს ლევიათანს, რომელიც მისი თქმით, არის იგივე თანამეგობრობა, იგივე სახელმწიფო. მისი ნაშრომის მიზანია ახსნას ამ ხელოვნური ადამიანის, სახელმწიფოს, ბუნება. როგორია სუვერენის უფლებები, სამართალი და ხელისუფლება. იმისათვის, რომ გაიგოს პოლიტიკური ცხოვრების ფუნდამენტური არსი ჰობსი წარმოიდგენს ადამიანებს საწყის მდგომარეობაში, სადაც ჯერ არ არის გამოგონებული სუვერენული სახელმწიფო. იგი ამ მდგომარეობას უწოდებს „ბუნებრივ მდგომარეობას“ (სტატე ოფ ნატურე). ბუნებრივ პირობებში ყოველი ადამიანი საფრთხეშია ყველა სხვა დანარჩენის მხრიდან. ადამიანებს აქვთ ერთმანეთისადმი მუდმივი შიში – ეს არის ბუნებრივი მდგომარეობა „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ.“ ამ სიტუაციიდან ჰობსი ხედავს ერთადერთ გამოსავალს – სუვერენული სახელმწიფოს შექმნა.

თომას ჰობსის საპირისპირო შეხედულება სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, საკუთრების და სხვა საკითხების შესახებ ჩამოაყალიბა ჯონ ლოკმა. ის გახლდათ გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნე, რომლის სახელი მჭიდროდაა ასოცირებული განმანათლებლობასთან. ხშირად მას ლიბერალიზმის ფუძემდებლადაც მიიჩნევენ. მისი ნაშრომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ახალი დროის ევროპული ცოდნის თეორიის, მეორე მხრივ კი — ლიბერალური პოლიტიკური მოძღვრების განვითარებისთვის. ამ უკანასკნელ თემაზე ლოკის ძირითადი იდეები ჩამოყალიბებულია „ორ ტრაქტატში მმართველობაზე“, განსაკუთრებით კი მის მეორე ნაწილში.

ლოკი ერთ რამეში ეთანხმება ჰობს, რომ ადამიანს აქვს ძლიერი ემოციები, მაგრამ უფრო ოპტიმისტურად უდგება, იმ საკითხს რომ ადამიანს არა შიში არამედ სიცოცხლის გახანგრძლივების ან შენარჩუნების სურვილი აქვს. ლოკის აზრით ადამიანს აქვს მოვალეობა და უფლება შეინარჩუნოს საკუთარი სიცოცხლე.

„ღმერთმა ადამიანი ისეთი შექმნა, რომ ის ყოველთვის ესწრაფვის საზოგადოებაში ყოფნას. პირველი საზოგადოება შედგებოდა ქმრისა და ცოლისაგან, რამაც ბიძგი მისცა საზოგადოების წარმოშობას — მშობლები და შვილები. დროთა განმავლობაში, ამას დაემატა ბატონს და მსახურის ასოციაციაც. მიუხედავად იმისა, რომ აქ მმართველიც არის და მართულიც, ასეთი საზოგადოება, რაც არ უნდა დიდი იყოს ის, არავითარ შემთხვევაში არ არის პოლიტიკური საზოგადოება.

ლოკი არაერთხელ აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოების მთავარი მიზანია საკუთრების შენარჩუნება (1.310)“[11]

ჰობსისა და ლოკისგან განსხავებით ჟან-ჟაკ რუსო, პირიქით, აიდეალებდა ადამიანის ბუნებრივ არსებობას სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, რადგანაც თვლიდა, რომ თავისი ბუნებით ადამიანი კეთილი არსებაა. საზოგადოებრივი ხელშეკრულების ძირითადი ამოცანაა ისეთი ფორმის ასოციაციის პოვნა, რომელიც დაიცავს პიროვნებას და მის კერძო საკუთრებას.

რუსოს მოსაზრებით როდესაც სახელმწიფოში მმართველნი ამა თუ იმ ნებას განახორციელებენ, მათი ეს მოქმედება სუვერენის დავალებით უნდა ხდებოდეს. რუსოს მიხედვით, ქვეყანაში გაბატონებული ნება უნდა იყოს მხოლოდ საყოველთაო ნება ანუ კანონი, რომელსაც მასში კონცენტრირებული საზოგადოებრივი ძალა აქვს. თუ მმართველი მოინდომებს რაიმე დამოუკიდებელი, ინდივიდუალური აქტის გატარებას, მაშინვე შესუსტდება მისი კავშირი მთელთან ,,,საყოველთაო ნებასთან”. თუ მმართველის ნება უფრო აქტიური გამოდგა და თავისი კერძო ნება თავს მოახვია ხალხს, მაშინ მოისპობა საზოგადოებრივი კავშირი, დაინგრევა პოლიტიკური ორგანიზმი და ადამიანები კარგავენ რა მოქალაქეობრივ უფლებებს, უბრუნდებიან ისევ ბუნებრივ უფლებებს. ხალხის ,,მე”-ს გამოამჟღავნებს მხოლოდ საერთო კრება.

მსოფლიო პოლიტიკურ და სამართლებრივ ისტორიაში უდიდესი წვლილი შეიტანა ფრანგმმა განმანათლებელმა შარლ ლუი დე მონტესკიე, რომლის შეხედულებებზე დიდი

---

[11] გ. ბაღათურია, ო. ბაღათურია. “სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მმართვისა და ბიზნესის ამოცნებში“ თბ. 2009 წ.

ზეგავლენა მოახდინა იმ დროინდელმა პოლიტიკურ– ნაციონალურმა ცვლილებებმა, რასაც მოგვიანებით იგი თავის ნამუშევარში მოიხსენიებს.

შარლ მონტესკიემ ხელისუფლების დაყოფის იდეა ქტიურად განავითარა ნაშრომში „კანონთა გონში“ (1748 წ.), რომელიც მისი შემოქმედების ზენიტს წარმოადგენს. აქ მონტესკიემ გადმოსცა თავისი შეხედულებები მმართველობის ზომიერი ფორმების შესახებ. ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად დაყოფის აუცილებლობა გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან, მისი მიდრეკილებიდან ბოროტად ისარგებლოს ძალაუფლებით. მონტესკიე თვლიდა, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც ექნება შეუზღუდავი

ძალაუფლება, დაიწყებს მის ბოროტად გამოყენებას. ხელისუფლებას თავისი ზღვარი უნდა ჰქონდეს და არ უნდა ხელყოფდეს ადამიანთა უფლებებს. მონტესკიემ ჩამოაყალიბა მმართველობის სამი ტიპი: რესპუბლიკა, მონარქია და დესპოტია. მონტესკიეს იდეალურად მიაჩნდა დემოკრატიული რესპუბლიკა, თუმცა მაშინ ასეთი ფორმის რეალიზება შეუძლებელი იყო. ამიტომ, მონტესკიეს აზრით, აჯობებდა არისტოკრატუიული დემოკრატია, როდესაც მონარქის მმართველობას გააწონასწორებდა ხალხის წარმომადგენელთა მმართველობა. მონტესკიეს აზრით, გადასახადების აკრეფა უნდა იყოს საკანონმდებლო ორგანოს გამსაკუთრებული უფლებამოსილება. კანონმდებელი ახდენს აღმასრულებელი ხელიუფლების დაფინანსებას, რითაც ზემოქმედებს მასზე, ხოლო აღმასრულებელ ხელიუფლებას უნდა ჰქონდეს ვეტოს დადების უფლება კანონმდებლის მიერ მიღებულ კანონებზე. კანონები უნდა დაამტკიცოს ორპალატიანი საკანონმდებლო

ორგანოს ორივე პალატამ. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია ხელისუფლების ამ ორ შტოსაგან.

ამრიგად ინგლისის ბურჟუაზიაული რევოლუციის პერიოდის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებანი ლიდერობაზე მეტად განსხვავებულია ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფოიურ შეხედულებებისაგან. აქ თეორიული მოძღვრებები გარდასახულია სამართლებრივ აქტებში და უფრო სრულყოფილ, ასე ვთქვათ აკადემიურ ელფერს იძენს. ზემოთჩამოთვლილი განმანათლებლების თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებები საფუძვლად დაედო მსოფლიოს განვიტარებული სახელმწიფოების კონსტიტუციებსა და სამართლებრივ აქტებს.

პოლიტიკური ლიდერი და თანამედროვეობა

პოლიტიკური ლიდერის ფუნქციებმა და როლმა თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის პირობებში თეორიულ შეხდულებზე დაყრდნობით პრაქტიკულად ძალიან დიდი ფორმირება განიცადა. პოლიტიკურ ლიტერატურაში კარგა ხანია განიხილება საკითხი "დიდი ადამიანების თეორიიის" შესახებ. ამ პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი. ერთის მხრივ თითქოს ლიდერების როლი პოლიტიკურ ისტორიაში არც თუ ისე მნიშვნელოვანია, რადგან თავად ლიდერები მთლიანად დამოკიდებულნი არიან გარემო პირობებზე და არა მათ პიროვნულ, შინაგან მახასიათებლებზე. მეორე მსოფლიო ომის დროს გამორჩეული პოლიტიკური ფიგურები სწორედ ამ თვალსაზრისის დასაცავად გამოდგება. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს პოლიტიკური თამაშების შესაბამისი ფუნქცი-

ები და როლები, რომლებიც სიტუაციების მიერაა კონსტიტუირებული, კერძოდ თუ ამა თუ იმ სუბიექტის პიროვნული თვისებები უპასუხებს გარემოს მიერ წაყენებულ მოთხოვნებს, ეს სუბიექტები დაიკავებენ შესაბამის ადგილებს პოლიტიკური თამაშის ველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სუბიექტების გამორჩეულ თვისებებს მნიშვნელობა არა აქვს. სწორედ ამის გათვალისწინებით ლიდერებს, ისე როგორც ეს იყო დე გოლის ან ჩერჩილის შემთხვევაში, უწევთ ხოლმე შესაბამის სიტუაციებზე დალოდება, რადგან სხვადასხვა სიტუაცია სხვადასხვა ლიდერს მოითხოვს.

მეორეს მხრივ, პიროვნებას ნამდვილად შეუძლია გადამწყვეტი როლის შესრულება კონკრეტულ ისტორიულ მომენტში. იმისათვის, რომ ამა თუ იმ პირმა პოლიტიკური ლიდერობა გასწიოს საჭიროა ერთი მხრივ შესაბამისი პიროვნული თვისებები და მეორე მხრივ შესატყვისი სიტუაციური ველი. პოლიტოლოგია ლიდერის როლისა და ფუნქციების ანალიზტან ერთად განსაზღვრავს ლიდერის მოტივაციასა და სტილს, ასევე გარემოს. თავად ლიდერი არ შეიძლება არ ითვალისწინებდეს გარემოს რომელშიაც მას უხდება მოქმედება. მან მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც საკუთარი ხალხის ხასიათი, ასევე მიმდინარე პოლიტიკური მომენტი, საერთაშორისო ვითარება და მისი გარემომცველი ინსტიტუტები. პოლიტიკური ლიდერის როლის შესახებ ორ მოდავე ჯგუფს შორის ჭეშმარიტება სადღაც შუაში მდებარეობს. არსებობს შემთხვევები, როდესაც ლიდერზე, მის გადაწყვეტილებაზე ძალზე ბევრია დამოკიდებული და პირიქით, როდესაც არჩევანის გაკეთების არეალი ძალზე შეზღუდული, თითქმის ნულოვანია.

პოლიტკური ლიდერების ფუნქციონალური ტიპოლოგია უაღრესად მრავალწახნაგოვანი შეიძლება იყოს. ლიდე-

რები შეიძლება იყვნენ არსებული პოლიტიკური წესრიგის შემნარჩუნებელი კონსერვატორები და ამას აკეთებდნენ როგორც პატერნალიზმის და პოპულიზმის ხარჯზე (ბისმარკი), ასევე წმინდა იდეოლოგიური მოსაზრებებით (ჰიტლერი, მაო). ლიდერების მეორე ჯგუფი, პირიქით, მომხრეა ცვლილებებისა (ეიზენჰაუერი), ოღონდ ერთნი ამას აკეთებენ არსებული ვითარებების გადასინჯვით (რეიგანი, ტეტჩერი), ხოლო მეორენი კი მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებით.

პოლიტიკურ ლიდერთა შორის შეიძლება დამოუკიდებელ ჯგუფად გამოიყოს მენეჯერების ჯგუფი - ლიდერები, რომელთაც მოღვაწეობა მოუწიათ სტაბილურ სახელმწიფოებში. მენეჯერი ლიდერები იმდენად გლობალური ამოცანების გადაწყვეტით კი არ არიან დაკავებულები, რამდენადაც ყოველდღიური რუტინით, როდესაც ისინი დეტალურად აანალიზებენ ყოველდღიურ მოვლენებს (ამგვარი მმართველობის წესს მიაწერენ პრეზიდენტ კარტერს). მენეჯერებთან გამორიცხული არ არის გარკვეული ნოვაციები. შესაბამისად, მაშინ მოხდება ყოველდღიური პოლიტიკის ან მისი რაღაც ასპექტების ცვლილებები, შესაძლოა უფრო თამამი სიახლეები, როგორც ამას ვხედავდით აშშ-ის პრეზიდენტის ჯიმი კარტერის მიერ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის წინ წამოწევით და მისი გადაქცევით საერთაშორისო ურთიერთობათა განმსაზღვრელ პარამეტრად.

პოლიტიკური ლიდერისათვის საჭირო პერსონალური თვისებების კლასიფიკაცია კვლავ მაქს ვებერმა განსაზღვრა. თუმცა, ვებერის ლიდერების თეორია ეხება მხოლოდ ლეგიტიმური

ხელისუფლების ლიდერებს და არა ლიდერებს ზოგადად. ლიდერების უფრო ფართო დახასიათება პეიჯმა წარმოადგინა, რომელიც თვლიდა რომ ლიდერთა დასახასია-

თებლად უნდა გამოვიყენოთ ისეთი პარამეტრები, როგორიცაა პიროვნული ფაქტორები – ბიოგრაფიული მონაცემები და სოციალური წარმოშობა, ასევე მისი სტატუსი, პოლიტიკური როლი, რომლის განხორციელება ლიდერს დააკისრა არსებულმა ვითარებამ, ორგანიზაცია, რომელთანაც ლიდერს უწევს ურთიერთობა, შემდეგ მისი პოლიტიკური ამოცანები, ღირებულებების სისტემა და გარემომცველი ინსტიტუტები. ანუ ლიდერის პიროვნული, სოციალურ პოლიტიკური ცხოვრების ყველა საფეხური უნდა იქნეს შესწავლილი.

ვებერის თეორიით, უმაღლეს ხელისუფალს შეიძლება სამი მოტივით დაემორჩილოს საზოგადოება. პირველია ტრადიციული საფუძველი, ე.წ. "ასე იყო და ასე იქნება", მეორე, ქარიზმატული ლიდერის შარმი, რომელიც ირაციონალურ-სასწაულებრივი ან "ცისფერი სისხლის" ან, ბოლოს გამორჩეული პიროვნული თვისებების წყალობით იქვემდებარებს საზოგადოებას და მესამეა რაციონალური საფუძველი, რომლის დროსაც ლიდერისათვის მხარდაჭერა განპირობებულია მის მიერ შემოთავაზებული პროგრამის გონივრულობით და გადამწყვეტი უმრავლესობისათვის მისაღებობით.

ვებერის მიერ შემოთავაზებული მორჩილების მექანიზმებიდან, პირველი "მუშაობდა" პატერნალისტურ და ფეოდალურ საზოგადოებაში. მეორე საჭირო ხდებოდა ექსტრემალურ პოლიტიკურ ვითარებებსა და გარდამავალ ეპოქებში. რაც შეეხება მართვის მესამე, რაციონალურ ფორმას, იგი უფრო ლიდერ-მენეჯერთა მმართველობის წესს ჩამოჰგავს, რომელიც სტაბილურ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობს და რომლის არსიც თანამედროვე ლიდერის კონცეფციას განეკუთვნება.

თანამედროვე, ყველაზე განვითარებულ პოლიტიკური ლიდერის ფორმას წარმოადგენს პრეზიდენტი. ეს არის ტიტული, რომელსაც ატარებენ ქვეყნების, ორგანიზაციების, კომპანიების, სასწავლებლების პირველი პირები. ეტიმოლოგიურად პრეზიდენტი ნიშნავს პიროვნებას, რომელიც თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს (ლათინურად: prae (წინ, თავში) + sedere (ჯდომა)).

მისი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო შეხვედრების, ცერემონიების გაძღოლა, ამჟამად ის უპირატესად თანამდებობის პირთან ასოცირდება, რომელსაც აღმასრულებელი ხელისუფლება აქვს. პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, ძალაუფლების ხარისხი ლავირებს ქვეყნიდან ქვეყანაში, ზოგიერთ ქვეყანაში მას დიდ ძალაუფლება აქვს მინიჭებული, მაგალითად აშშ-ში, საფრანგეთში, ზოგიერთში კი ნომინალური – გერმანია, იტალია.

ამრიგად შეიძლება ითქვას რომ პოლიტიკური ლიდერობის თეორიულ–ფილოსოფიური ნააზრევის კვალდაკვალ განხილვისას თვალნათლივ დავინახეთ როგორ ვითარდებოდა ის ამ ხნის მანძილზე. განვითარების გზა რასაკვირველია არ დასრულებულა რადგან სამყაროც უფრო და უფრო ვითერდება და მითოლოგიური ლიდერიდან თანამედროვე პოლიტიკურ ლიდერამდე საკმაოდ საინტერესო მეცნიერული შეხედულებები განვითარდა. პრეზიდენტი, კანცლერი, პრემიერი – ეს თანამედროვე ლიდერის სამართლებრივი ტერმინებია, რომელთა ფენომენიც ზემოთჩამოთვლილ მეცნიერ–ფილოსოფოსთა შეხედულებების ნაკრებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

პირველი თავის დასკვნა

ამრიგად, პოლიტიკური ლიდერის ფენომენი, საუკუნეების განმავლობაში იყო ფილოსოფოსთა და პოლიტიკურ მოაზროვნეთა განსჯის საგანი. თვით ლიდერის არსი და მისი ფუნქციები ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა და მკვეთრად იცვლიდა სახეს. რამდენადაც პრიმიტიული იყო საზოგადოება იმდენად პრიმიტიული იყო შეხედულება და მოთხოვნები ლიდერის შესახებ. საზოგადოების განვითარებამ ასე ვთქვათ დახვეწა თავისი გემოვნება და უფრო მეტად მომთხოვნი გახდნენ ისინი ლიდერის მიმართ.

თეორიულ–ფილოსოფიური თვალსაზრისით ლიდერის ფენომენის ჩამოყალიბება კომპლექსურად განვითარდა ძველი აღმოსავლურიდან – თანამედროვე ცივილიზაციამდე. თანამედროვე ლიდერის მიმართ საზოგადოების მოთხოვნები მისი სრულყოფილებიდან გამომდინარეობს.

ანტიკურ ეპოქაში ლიდერის, როგორც ღმერთის მიმართ არსებული წარმოდგენები იმდენად ფუნდამენტალური იყო რომ საზოგადოების ცნობიერებაში მის მიმართ მხოლოდ შიშისა და კრძალვის ფაქტორი არსებობდა. იმ ეპოქის სწავლებანიც (პრახოტეპი, ახტოი, ხამურაბი და ა.შ.) ლიდერის წარმომავლობაზე და მისდამი უსიტყვო მორჩილებაზე იყო ორიენტირებული. ამ თეორიების თანახმად ლიდერი ერთმმართველი, აბსოლიტური ძალაუფლების მქონე ინდივიდია, რომელსაც არ ირჩევს საზოგადოება, არამედ ის საზოგადოებისათვისაა გამორჩეული ღმერთების მიერ. ის არის მხოლოდ დადებითი თვისებების მატარებელი – ბრძენი, კეთილგონიერი, კანონიერი... თუმცა უკანონოდ და დესპოტურად იქცევა, მაგრამ ეს სოციუმისათვის ღმერთების ნება–

სურვილია რომლის წინააღმდეგ წასვლა იდეაშიც კი არ არსებობს.

ძველი აღმოსავლური და შუამდინარეთის მოძღვრებებში მმართველის შესახებ არის მოწოდებაც, რომ მან არ უნდა გამოიყენოს უმკაცრესი დასჯის მექანიზმები, თიტქოს აქ რბილდება პოლიტიკური მმართველობა, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფო მმართვის სადავეები მხოლოდ საზოგადოების რჩეულ ფენებს ეკუთვნის. ამ ეპოქის პოლიტიკურ ლიდერს თანამედროვე ლიდერთან ერთი საერთო კონცეფცია აქვს: უნარი მართოს სახელმწიფო.

პოლიტიკური ლიდერის თაობაზე განსხვავებული თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებები ჩამოაყალიბა ინდოეთისა და ჩინეთის მოძღვრებებმა. აქ განსხვავებულად შეერწყა ერთმანეთს ლიდერის ღვთიური წარმომავლობა და ადამიანური ბუნება. ამ კონცეფციამ მეტად მრავალფეროვანი განვითარება გამოიწვია და გაჩნდა სხვადასხვა მიმდინარეობები (ბუდიზმი,მოიზმი, დაოსიზმი, კონფუციანელობა, ლეგიზმი და ა.შ.) ყოველმა მათგანმა პოლიტიკური მმართველის თავისებური კულტი შექმნა. საერთო მიზანი კი ქვეყნის საუკეთესოდ მმართვა იყო. ამ ფილოსოფიურმა შეხედულებებმა პოლიტიკური ლიდერის თაობაზე ამ ქვეყნების ფუნდამენტალურ პრინციპებს დაუდო საფუძველი.

ანტიკური საბერძნეთისა და რომის იმპერიაში პოლიტიკური ლიდერის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებები წმინდა ფილოსოფიური ხდება. აქ ლიდერი ღმერთების შვილი არ არის, თუმცა ღმერთების მფარველობა აქვთ და არისტოკრატიულ წრეს განეკუთვნებიან. ძველი ბერძნული ფილოსოფიური შეხედულებებით იდეალური სახელმწიფოს მმართველები რჩეული ფილოსოფოსები არიან. რომაელი მოაზროვნეები კი თვლიდნენ, რომ არისტოკრატიულია სა-

ხელმწიფოს მხოლოდ ის სახეობა, როცა მართავენ საუკეთესონი სათნოების თვალსაზრისით.

ანტიკური და შუა საუკუნეების პოლიტიკური იდეოლოგიებისაგან განსხვავებით, XIX საუკუნის დამდეგიდან თეორიულ–ფილოსოფიურ შეხედულებათა საფუძველზე წარმოიშვა პრაქტიკული თანამედროვე სახის გამართული სისტემები – მთელი თავისი მკაცრად რეგლამენტირებული წესდებითა და დასაბუთებული მსჯელობებით, შედარებით დემოკრატიული ლიდერების ინსტიტუტები, რაც უდავოდ გახდა თანამედროვე ლიდერობის შესახებ შეხედულებების საწინდარი. დადგა ეპოქა, რომელსაც სამართლიანად ეწოდა „მასების ერა“, შედეგად კი წარმოიშვა სოციალური თანასწორობის იდეა.

აქედან უკვე პოლიტიკური ლიდერის როგორც აბსოლიტური მმართველის, როგორც ტირანის, დიქტატორის ფუნქციები არამარტო საზოგადოების დონეზე იქნა უარყოფილი და დაგმობილი, არამედ უკვე ფუნდამენტალურ მეცნიერულ დონეზე დაიგმო აბსოლუტიზმი და დემოკრატიული მმართველის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისაკენ დაიწყო აქტიური მოძრაობა.

სახელმწიფოების განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა მართვის ფორმები, რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივ ნორმებსა თუ კანონებში გადამუშავების შედეგად ქმნიდა სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ კომპონენტს, სადაც მმართველობის ფორმა განსაზღვრავდა ამა თუ იმ სახელმწიფოს იდეოლოგიურ-პოლიტიკურ შინაარსს და პოლიტიკური ლიდერის სახესა (პრეზიდენტი, კანცლერი, პრემიერ–მინისტრი) და ფუნქცია–მოვალეობებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე პოლიტიკური ლიდერის თეორიულ–ფილოსოფიური შეხედულებები თანამედროვე პოლიტიკური ლიდერის ფენომენის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მთავარი თეორიული არსი ლიდერისა არის მართვა, ხოლო ფილოსოფიური არსი არის გონივრულად მართვა. პოლიტიკური ლიდერობა არაა მიმდინარეობა რომელიც რაღაც პერიოდით არსებობს კაცობრიობის ისტორიაში, თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერები ქმნიან მმართველობის ახალ კონცეფციებს, ამით თვით პოლიტიკური ლიდერის ფუნქცია–მოვალეობები იზრდება და ამით ყალიბდება თანამედროვე ლიდერის ფენომენი.

თავი მეორე
პოლიტიკური ლიდერის საკითხები პოსტსაბჭოთა ქვეყ-ნებში

მსოფლიოს უახლეს ისტორიაში საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბებაც და დაშლაც მეოცე საუკუნის უდიდეს პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს. მისი არსებობა მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სივრცის თანამედროვე განვითარების განმსაზღვრელი მოვლენაა.

საბჭოთა რუსეთი 1917 წელს პირველი მსოფლიო ომისა და უზარმაზარი იმპერიების დაშლის, ამასთან ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური ჩამორჩენილობის ფონზე იღებს სათავეს. იდეოლოგიის დომინანტური როლის წყალობით ისეთი მყიფე დემოკრატიის ქვეყანაში, როგორიც ცარისტული რუსეთი იყო, ომის შემდგომ გაჩენილმა კრიზისმა ორიგინალური გამოსავალი ახალი სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის გაჩენასა და ლეგიტიმაციაში ჰპოვა, რომელმაც ათწლეულები იარსება და საბოლოოდ კომუნისტური რეჟიმის კრიზისით დასრულდა.

საბჭოთა კავშირი ფორმალურად იყო მოკავშირე რესპუბლიკების ფედერალური კავშირი, ხოლო ფაქტობრივად ცენტრალიზებულად მართული და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის მიერ დომინირებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ასევე ფორმალურად ხელისუფლება შედგებოდა „დემოკრატიულად“ არჩეული საბჭოებისაგან და პარლამენტისაგან, რეალური ძალაუფლება კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას ჰქონდა, რომელიც განსაკუთრებით სტალინის მმართველობისას ტოტალიტარულად, ხოლო შემდეგ დიქტატორულად მარ-

თავდა ქვეყანას.

საბჭოთა მოდელზე, კერძოდ მისი სტრუქტურულად ფორმირებაში, კონკრეტულმა სუბიექტურმა ზემოქმედებამაც ძალიან დიდი როლი ითამაშა. თვითეულმა ლიდერმა თავისი არჩევანითა და მისწრაფებებით, მმართველი ბიუროკრატიული სისტემის ევოლუციას ღრმა კვალი დაამჩნია.

სსრკ–ს ჩარჩოებში მოქმედი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების სისტემა ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მექანიზმების მნიშვნელოვან შესაძლებლობებსა და რესურსებს ფლობდა, რომლებსაც არსებობა მიუხედავად სისტემის დაშლისა მაინც არ შეუწყვეტიათ და ამ სახით აგრძელებდნენ ისინი პოსტსაბჭოთა ეპოქაში არსებობას.

საბჭოთა კავშირის დაშლა 1991 წლის 8 დეკემბერს ბელოვეჟის შეთანხმებამ დაასრულა. რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ საბჭოთა სოციალისტური ქვეყნების კავშირი როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა წყვეტს თავის არსებობას. ამასთანავე შეთანხმებულ იქნა საკითხი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის თაობაზე (დსთ СНГ– Содружества Независимых Государств). 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა–ატაში მისი შექმნის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთეს 11 ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა. მასში შესვლაზე უარი განაცხადეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და საქართველომ.

ამრიგად 1991 წლის ბოლოსათვის დიადი საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა. ლიტვა, ლატვია და ესტონეტი პირველები გახდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ისინი ოფიციალურად სცნო როგორც რუსეთმა ასევე სხვა ქვეყნებმაც. ამ პერიოდში საქართველო, სომხეთი, უკრაინა და მოლდოვა ცდილობდნენ წარემართათ დამოუკიდებლობის კურ-

სი. დამოუკიდებელი ქვეყნების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები გახდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოები, რეალური ხელისუფლება სულ უფრო კონცენტრირებული გახდა პრეზიდენტის უფლებამოსილების ქვეშ. რუსეთის ძირითადი საკანონმდებლო აქტების მიღება ხდებოდა არა პარლამენტის მიერ დადგენილებებით, არამედ პრეზიდენტის მითითებით. უმაღლესი ორგანო გახდა სახელმწიფო საბჭო. ცხრა სახელმწიფომ მოაწერა ხელი ეკონომიკურ შეთანხმებას, რომელიც მოწოდებული იყო საერთო მეურნეობის ორგანიზაციული რღვევის შეჩერებისაკენ. 1991 წლის შემოდგომაზე შედგა მოლაპარაკება, რომლითაც გადაწყდა კონფედერაციის შექმნა და ახალი სახელის სუვერენული სახელმწიფოთა კავშირის წარმოშობა.

ამრიგად XX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრა საბჭოთა კავშირი და მის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოები ახალ სამართლებრივ სივრცეში მოექცნენ, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცე ეწოდა.

ტერმინი პოსტსაბჭოთა სივრცე შემოიტანა პროფესორმა პრაზაუსკასმა სტატიით „დსთ როგორც პოსტკოლონიალური სივრცე“[12]. სიტყვათა ასეთი წყობა ჩამოყალიბდა 1991 წლის დეკემბრის შემდეგ, როცა ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა უარი განაცხადეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესავლაზე, რომელიც მოწოდებული იყო დაერეგულირებინა ურთიერთობები ახალ სახელმწიფოებს შორის. “პოსტსაბჭოთა სივრცის” ტერმინის მნიშვნელობაში ახალი იყო, ის რომ ქვეყნები განთავისუფლდა საბჭოთა იდეოლო-

[12] Празаускас А. СНГ как постколониальное пространство // Независимаягаз. 1992. 7 февр

გიისაგან და გაჩნდნენ ახალი „მოთამაშენი“, რომლებიც ადრე არ ფიგურირებდნენ.

დასავლეთის პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები თვლიან რომ ტერმინი „პოსტსაბჭოთა სივრცის“ ხშირი გამოყენება ხელოვნურადაა წარმოებული. დიდი ბრიტანეთის საგარეო სამეთა ექს-მინისტრმა დევიდ მილიბენდმა უარჰყო ამ ტერმინის ხელმისაწვდომობა, კერძოდ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „უკრაინა, საქართველო და სხვა ქვეყნები ეს არ არის „პოსტსაბჭოთა სივრცე“. ისინი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოებია, რომლებთაც გააჩნიათ საკუთარი კანონები ტერიტორიულ მთლიანობაზე. რუსეთმა დროა დაივიწყოს ფიქრი საკუთარ თავზე, როგორც საბჭოთა კავშირის რელიქტურ მოვლენაზე. საბჭოთა კავშირი და პოსტსაბჭოთა სივრცე უკვე აღარ არსებობს. სამაგიეროდ არსებობოს აღმოსავლეთ ევროპის ახალი რუკა, ახალი საზღვრებით, რომელთაც დაცვა სჭირდება სტაბილურობისა და უსაფრთხოების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. მე ვფიქრობ, რომ რუსეთის ინტერესებში შედის ახალი საზღვრების არსებობასთან შეგუება, და არა წარსულ საბჭოთა კავშირზე გოდება. ის წარსულია და სიმართლე გითხრათ ასეც უნდა იყოს“

რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩამოყალიბებას, ეს პროცესი ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ლიდერები სხვადასხვაგვარად აფასებდნენ ამ გაერთიანების პერსპექტივებს და შერჩევითი პრინციპებით უდგებოდნენ დსთ–ს ამოცანებისა და მიზნების სამომავლო გეგმებს. პირველ წლებში ლიდერებს მოუხდათ ისეთი რთული და პრობლემატური საკითხების გადაჭრაზე მუშაობა როგორიც იყო – ახალი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ფორმულირება, სამართალმემკვიდრეობისა და სსრკ–ს ქონების განაწილება და

კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალი სახელმწიფოების პოლიტიკური ელიტები პირველ რიგში ორიენტირებულნი იყვნენ იმ საკითხების გადაწყვეტაზე, რომელებიც დაკავშირებული იყო ეროვნულ–სახელმწიფოებრივი ფენომენის გაძლიერებაზე, პოლიტიკური ძალაუფლების რეფორმირებაზე და საერთაშორისო სისტემაში ინტეგრაციაზე.[1314]

საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზები

რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა 1991 წლის ზამთარში გაუარესდა. მკვეთრად გაიზარდა ინფლაციის ტემპი. მცირდებოდ სამრეწველო და სასოფლო–სამეურნეო საქონლის წარმოება. ელცინის დაპირებებმა, ფასების რეგულაციის, საბაზრო ეკონომიკაში, მრეწველობასა თუ სხვა მნიშვნელოვან სფეროში ხელფასების ზრდის შესახებ, ასევე დაპირებამ ყოველგვარ წარმოებაზე კონტროლის აკრძალვის შესახებ გამოიწვია მკვეთრი ინფლაცია და რუბლის კურსის ვარდნა, რამაც საბოლოო ჯამში მაღაზიებიდან სურსათისა თუ სხვა საყოფაცხოვრებო პროდუქტების გაქრობა გამოიწვია. აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლის იმედებს ამყარებდნენ დასავლეთზე. სსრკ–ს ვალი 1991 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 70 მილიარდ ამერიკულ დოლარს.

თანამედროვე გადასახედიდან ინტერესის სფეროს წარმოადგენს საკითხი საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზების

---

[13] Дунаев О. Про довольствие // Оазис. 2011. № 4. С. 3)

[14] Ризоев М. Главное, чтобы не было войны // Оазис. 2011. № 18. С. 5.)

შესახებ. კონკრეტულად იყო თუ არა ეს ფაქტი სათავეში მყოფი პოლიტიკური ლიდერის - მიხეილ გორბაჩოვის პრობლემით გამოწვეული. ამ კითხვაზე პასუხს დღეს ბევრი ექსპერტი თუ პოლიტოლოგი ეძებს. ცალსახაა რომ საბჭოთა კავშირის დაშლა გარდაუვალი პროცესი იყო. გადარჩენის მინიმალური შანსიც კი არ არსებობდა, რადგან ხალხს უკვე იმ სისტემაში ცხოვრება აღარ უნდოდათ. ქვეყანა ასევე სისტემის მოუქნელობის გამოც დაიშლა. ასე რომ კონკრეტული პიროვნების, ლიდერის გორბაჩოვის როლი აქ უმნიშვნელოა.

საბჭოთა კავშირის დაშლა უდავოდ იყო მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რამაც მსოფლიო გეოპოლიტიკა სრულიად სხვა სივრცეში გადაიყვანა. თუკი საბჭოთა კავშირის დაშლამდე მიმდინარეობდა იდეოლოგიური დაპირისპირება და მოწინააღმდეგე ბლოკები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ იდეოლოგიურ საფუძველზე ფინანსური და სამხედრო დახმარებებით გადმოებირებინათ კონკრეტული სახელმწიფო, ახლა მიმდინარეობდა შეიარაღების გამალებული კამპანია. 1990-იანი წლების დასაწყისში კი აღმოჩნდა, რომ ერთი მეტოქე უბრალოდ რუკიდან გაქრა. რაც შეეხება სსრკ-ის სამართალმემკვიდრეს მანაც კი ვესტერნიზაციის სტრატეგია არჩია და ეკონომიკის „შოკური თერაპიის“ საწარმოებლად დასავლური დახმარებების იმედზე აღმოჩნდა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სსრკ-ის დაშლის წინაპირობები 1980-იანი წლების შუა ხანებში ჯერ კიდევ არ ჩანდა. მე-20 საუკუნის აშშ-ის ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკოსის ჯორჯ ქენანის სიტყვებით „უახლოეს ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება იმაზე უფრო უცნაური, გამაოგნებელი და ამავე დროს აუხსნელი მოვლენა, ვიდრე საბჭოთა კავშირის სრული დაშლა და შემდგომ გაუჩინარება იქნება“. ნიშანდობილია, რომ სსრკ-ში არსებობდა უამრავი პრობლემა,

თუმცა 1980-იანი წლების დასაწყისში არცერთი არ იყო იმპერიისათვის მომაკვდინებელი. 1970 იან წლებში საბჭოთა მოსახლეობას უფრო დიდი გაჭირვებაც ახსოვს, თუმცა კავშირი არ დაშლილა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია სსრკ-ის დაშლის შიდა ფაქტორები. მიხეილ გორბაჩოვი აწარმოებდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის „საყრდენი ბურჯების“ თავისუფლების შეზღუდვისა და ცენზურის შეცვლას „გამჭვირვალობითა“ და „საჯაროობით“ ყოველგვარი გეგმის გარეშე. „გლასნოსტის“ პოლიტიკა სსრკ-ის დაშლის ერთ-ერთი მიზეზთაგანია, რაც ნიშნავდა წლების განმავლობაში აკრძალული სიმართლის თავისუფალ ბეჭდვას, პრობლემურ საკითხებზე ხმის ამაღლებას. შესაძლებელი შეიქმნა ეკრანებზე გამოსულიყო მანამდე დისიდენტურად მიჩნეული ფილმები, გამოცემულიყო „საბჭოთა რეჟიმის მტრების“ წიგნები. არქივების გახსნამ ცხადი გახადა, რომ სტალინის მოწინააღმდეგეთა ჩამოშორების პოლიტიკა არა მხოლოდ მტრებს, არამედ, საბჭოთა კავშირის გმირებსაც შეეხო. შესაძლებელი გახდა სტალინის კრიტიკა და მისი დადანაშაულება მილიონობით საბჭოელი მოქალაქის მსხვერპლში. საჯარობის პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა, რომ საბჭოელ მოქალაქეებს მიეღოთ ინფორმაცია ლიდერების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, იმაზე თუ, რა მძიმე მდგომარეობაში იყო საბჭოთა ეკონომიკა, ჯანდაცვის სისტემა სოციალური ფონი, რამაც გაამძაფრა წინააღმდეგობრივი მოძრაობა.

გარდაქმნა „პერესტოიკა“ სსრკ-ის დაშლის კიდევ ერთი ძირითადი მიზეზი იყო. ეს გულისხმობს გორბაჩოვის მიერ 1987 წელს ინიცირებულ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო სსრკ-ში საბაზრო ეკონომიკის ელემენტების თანდათანობითი დანერგვა. გორ-

ბაჩოვს სურდა ახალი განზომილება მიეცა საბჭოთა ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის, თუმცა ეს ვერ მოახერხა რადგან უკვე დაგვიანებული იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზი ნამდვილად იყო წლების განმავლობაში მმართველობით სისტემაში არსებული ჰერონტოკრატია, თუმცა მისი საბჭოთა მოდელი, რატომღაც ინტელექტს მოკლებული მოხუცების მმართველობას ნიშნავდა. სსრკ-ის პოლიტბიუროში ცდილობდნენ ხელმძღვანელი ადვილად სამართავი (შესაბამისიად დაბალი ინტელექტის მქონე) პირი დაესვათ. გორბაჩოვის შემთხვევაში კი ნამდვლად შეცდომა მოუვიდათ, რადგან ის შედარებით განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე იყო. თუმცა პროგრესი საბჭოეთისათვის მომაკვდინებელი აღმოჩნდა.

სოციალურმა ფაქტორებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს სსრკ-ის დაშლაზე. ქვეყანაში წარმოების დანახარჯები სამომხმარებლო პროდუქტზე აღემატებოდა მისგან მიღებულ მოგებას. ამ განსხვავებების დაფარვას საბჭოთა ბიუჯეტის მეხუთედი ხმარდებოდა. კავშირს ესაჭიროებოდა მეტი და მეტი ხარჯები აშშ-სთან პარიტეტის შესანარჩუნებლად. აღმოჩნდა რომ ბოლოს ამ ხარჯების გაღება სამომხმარებლებო ფასების გაზდით უნდა მომხდარიყო, რამაც მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია, რომლის მიზანს ხელფასებისა და პენსიების შენარჩუნება წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის კიდევ ერთი მიზეზი გახდა ჩერნობილის კატასტროფა, რომელმაც გამოავლინა საბჭოთა მთავრობის დანაშაული. მათ უბრალოდ არ გააფრთხილეს მოსახლეობა ატომური საფრთხის შესახებ. აგრეთვე, ჩერნობილის კატასტროფამ საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწი-

ლის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე უარ-ყოფითად იმოქმედა.

კიდევ ერთი მიზეზი აღმოჩნდა აშშ-ს, როგორც იდეო-ლოგიური მტრის თითქმის წაშლა საბჭოთა მოქალაქეების აზროვნებიდან. გორბაჩოვი აშკარად მიდიოდა რეიგანთან დიალოგზე, სთავაზობდა მას ბირთვული არსენალის განა-ხევრებას, ორი ლიდერი უფრო ხშირად იღებდა სურათებს გაღიმებული სახეებით მოგიზგიზე ბუხრის ფონზე, რამაც შესაძლოა საბჭოთა მოქალქეების ნაწილს აფიქრებინა, რომ აშშ აღარ არის ისეთივე მტერი, როგორიც უკანასკნელი დეკა-დების განმავლობაში იყო.

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი ავღანეთის ომია – სსკრ ისევე ჩაეფლო ავღანურ ჭაობში, როგორც ამერიკა ვიეტნამში. ბოლოს სიტუაცია მაინც უმართავი შეიქნა, საჭირო გახდა საბჭოთა ინტერვენცია, ხოლო პარტიზანულ ომში ავღანეთის დამარცხება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მიზეზთა შორის იყო ბერლინის კედლის რღევა, რამაც მოვლენები განსაკუთრებით დააჩქარა. ამას მოჰყვა უსისხლო „ხავერდოვანი“ რევოლუციები (უპირველესად ჩეხეთში), პო-ლონეთში, ბულგარეთსა და უნგრეთში. მრავალპარტიულ არჩევნებში აღმოჩნდა რომ მანამდე 99,9 %-ით ლიდერი კო-მუნისტური პარტია ყველგან მარცხდებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლას ჰქონდა პერსონალურ ფაქ-ტორთან დაკავშირებული მიზეზებიც. რაშიც აშშ-ს ძლიერ პრეზიდენტი იგულისხმება, რომლის გარეშეც, შესაძლოა საბჭოთა კავშირი არ დაშლილიყო. 1981 წელს აშშ-ს სათავეში მოვიდა რონალდ რეიგანი, რომლის უმთავრესი მიზანი იყო „ბოროტების იმპერიის“ (evil empire) განადგურება. მისი მსოფლმხედველობა ნასაზრდოვები იყო დემოკრატიული პრინციპებითა და დასავლური კულტურის ფასეულობე-

ბით. მას სურდა, ისტორიაში დარჩენილიყო, როგორც „მშვიდობისმყოფელი პრეზიდენტი“.

რეიგანმა შეიმუშავა დოქტრინა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავებას. იგი გადაწყვეტს, მკაცრი პასუხი გასცეს საბჭოთა გამოწვევას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. პრეზიდენტის განსხვავებული აზროვნების ნიმუშია მისი მოსაზრება, რომ აშშ-მა ხელი არ უნდა შეუშალოს საბჭოეთის ექსპანსიას ავღანეთში, რადგანაც იგი უმიზნოდ ხორციელდება და ეკონომიკურად ფიტავს მას, ქრონიკული წარუმატებლობა კი მორალურ დეგრადაციას უწყობს ხელს. აღმოჩნდა, რომ აშშ-მ შეძლო სსრკ-ის დუელში გამოწვევა და ეკონომიკური ფაქტორებით სსრკ-ის სისიხლის ღვრის გარეშე დაშლა, არცერთი იმპერია კაცობრიობის განმავლობაში ასე მარტივად შიდა ფაქტროებისა და პოლიტიკურ ლიდერთა შეცდომების გამო არ დაშლილა – ამ მხრივ სსრკ ნამდვილად „სანიმუშო იმპერია“ იყო.

აღმოსავლეთ ევრაზიის სახელმწიფოები: ბელარუსი, მოლდოვეთი და უკრაინა

ბელარუსი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები აღმოჩნდნენ დილემის წინაშე – როგორ უნდა შეენარჩუნებინათ თავიანთი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა?! სახელმწიფოები მოექცნენ ახალ სამართლებრივ სივრცეში და მათი შედგომი პოლიტიკური განვითარებისათვის მიზანშეწონილი იყო ინტეგრაცია რუსეთთან თუ დასავლეთთან.

ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ქვეყნებიდან ბელარუსი დიდი ხნის განმავლობაში გამოთქვამდა მზაობას რუსეთთან ინტეგრაციისათვის და დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან იწყებს არა ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, არამედ ახორციელებს საერთო წარსულის ნარჩენების ინტეგრაციას ახალ სახელმწიფოში. სწორედ ამ პოლიტიკური მიდგომის გამო რუსეთ–ბელორუსის ინტეგრაციის პროექტი, შედეგების მიუხედავად, დასაწყისშივე განწირული იყო პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის სამაგალითო პროექტის სტატუსისათვის.

ამრიგად, 1990 წლიდან ბელარუსი იწყებს რუსეთთან დაახლოებისა და ინტეგრაციის პროცესს. რაც საბოლოოდ ამ ორი ქვეყნის მიერ სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. მაგრამ დღევანდელ ვითარებას თუ გადავხედავთ აღნიშნული კავშირის რეალური განხორციელება ძალიან საკამათო თემაა.

1994 წლის 10 ივლისს ბელარუსის პრეზიდენტი გახდა ალექსანდრე ლუკაშენკო. ამ პერიოდში ქვეყანაში იყო ეკონომიკური და სისტემური კრიზისი, რაც გამოიხატებოდა ბევრ ყოფილ სსრკ–ს ქვეყნებს შორის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაბალი მაჩვენებლებით, სახელმწიფოში კერძო სექტორის მიერ მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 30 % წარმოებაში (უარესი მდგომარობა მხოლოდ თუქმენეთში იყო), საზოგადოებაში სოციალური ფენების არ არსებობაში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანას არ ჰყავდა ოფიციალური მილიონრები, არც ერთი მსხვილი წარმოება არ იყო კერძო მეწარმეების ხელში. ასეთმა პოლიტიკურმა ფონმა, ლუკაშენკოს პირადულმა რწმენებმა და არჩევანმა, განსაზღვრა ბელარუსის პოლიტიკა – რუსეთთან ინტეგრაცია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორი სლავი ქვეყნის კავშირი და გაერთიანება

რუსეთში განიხილებოდა, როგორც მტკიცე ფაქტორი რუსეთის პოზიციათა გაძლიერებისათვის დსთ-ში.

თავდაპირველად ალექსანდრე ლუკაშენკოს პოლიტიკური გეზი სწორედ რუსეთისათვის ქვეყნის კარის ღიად დატოვება გახლდათ. ამის დასტურია ქვეყნებს შორის მიმოსვლის გასამარტივებლად შემოღებული მიგრაციის ბარათები, გარდა ამისა, ბელარუსის მოქალაქეებს არ ჭირდებოდათ რუსეთში სამუშაოს დასაწყებად რაიმე სახის შეთანხმების გაფორმება. ბელორუსის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა (НИСЭПИ) ჩაატარა კვლევა, რომლის თანახმადაც 2009 წლის დასასრულს ბელორუსის მოსახლეობის 80% არ თვლიდა რუსეთს საზღვარგარეთის ქვეყნად, ასევე თვლიდნენ რომ ისინი ბევრად უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე მეზობელი ქვეყნები.[15]

საბჭოთა კავშირის დაშლის დროს ბელორუსი იყო ყველაზე გასამხედროებული ქვეყანა მსოფლიოში. კერძოდ მის ტერიტორიაზე განთავსებული იყო დიდი რაოდენობით სამხედრო და ბირთვული იარაღი. ასრულებდა რა ბელარუსი უსაფრთხოებისა და განიარაღების საკითხებში აღებულ ვალდებულებებს 1992 წლისათვის ქვეყნიდან სრულად გატანილი იქნა სამხედრო ტექნიკა და ბირთვული იარაღი. ბელარუსმა სრულყოფილად შეასრულა საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებული ვალდებულებები და გახდა ქვეყანა ბირთვული იარაღის გარეშე. ის მიუერთდა ევროპის კონვენციას ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ. ყოველივე ეს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადებითად იქნა

---

[15] Лондон: постсоветского пространства больше нет // BBßRussian.com.2008. 13 авг. URL: hტტp://news.bbc.co.uk/hi/russian/ inტernaტional/newsid 7558000/7558484. sტm

შეფასებული.

ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის ეიფორიაში მყოფ ბელორუს ხალხზე დადებითად იმოქმედა ლუკაშენკოს კორუფციასთან მებრძოლის იმიჯმა. პარლამენტის ანტიკორუფციული კომიტეტის თავმჯდომარეობის დროს 70 დეპუტატი კორუფციის ბრალდებით დააკავა. და 1994 წლის არჩევნებში მოსახლეობის პასუხმაც არ დააყოვნა - პირველ ტურში 45.1%-მა, ხოლო მეორე ტურში უკვე 80.1%-მა ბელარუსმა ამომრჩეველმა მას დაუჭირა მხარი. აქედან დაიწყო ალექსანდრე ლუკაშენკო უსასრულო მმართველობა, რის გამოც მას „ევროპის უკანასნელი დიქტატორიც“ კი უწოდეს. თუმცა, შემდეგ, ეს დამოკიდებულება შერბილდა

საბჭოთა დროიდან ბელარუსია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მისი სამრეწველო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. თუ 1913 წელს ბელარუსიაზე მოდიოდა მაშინდელი რუსეთის ნაციონალური შემოსავლიდან 38 %. 1990 წელს ბელარუსიის ხვედრითი წილი ყოფილ სსრკ-ს ნაციონალურ შემოსავალში 10,1% იყო, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მოცულობით იგი პირველ ადგილზეც კი იმყოფებოდა. ეკონომიკური პოტენციალით ყოფილ სსრკ-ში ბელარუსია მეოთხე ადგილზე იყო რუსეთის, უკრაინის და ყაზახეთის შემდეგ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, როდესაც ინტენსიურად დაიწყო გაჩანაგებული სახალხო მეურნეობის აღდგენა. მის ტერიტორიაზე განლაგდა გერმანიიდან გამოტანილი სამრეწველო საწარმოების საკმაოდ დიდი ნაწილი, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.[16]

---

[16] Иоффе г. Авторитаризм без олигархии // Pro еѣ ѿпѣга. (Московский Центр Карнеги) 2011. № 3–4. С. 32

ამრიგად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეკონომიკური კუთხით საკმაოდ მიზანმიმართული და სოციალისტური ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს ლიდერი გახდა ლუკაშენკო და 1995 წლიდან მისი ხელმძღვანელობით ქვეყანა დაადგა „საბაზრო სოციალიზმის“ მშენებლობის გზას, რაც ფასების პოლიტიკასა და კერძო სექტორზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების საშუალებას იძლეოდა.

ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების მიუხედავად ქვეყანაში შეინიშნებოდა პოლიტიკური დაძაბულობა, რომელიც ქვეყნის დესტაბილიზაციისკენ იყო მიმართული. ჩატარდა ხელახალი არჩევნები, რომლის შედეგადაც 2006 წელს მესამედ და 2010 წელს მეოთხედ ლუკაშენკო არჩეული იქნა პრეზიდენტად. თუმცა ყველა არჩევნები ეუთოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ არ იქნა ობიექტურად აღიარებული.

ვლადიმირ პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში კონსესუსის პოლიტიკის გატარება იწყება, რომლის მთავარ ელემენტს წარმოადგენს რუსეთის საგარეო პოლიტიკის განსხვავებული კურსით წარმართვა. კერძოდ რუსეთის როგორც ,,დიდი სახელმწიფოს” შესაძლებლობების გადაფასება და საგარეო პოლიტიკის ამ კუთხით წარმართვა. აღნიშნული ცვლილებები რა თქმა უნდა ბელარუსიასაც შეეხო.

ვლადიმირ პუტინმა და ალექსანდრე ლუკაშენკომ ვერ მოახერხეს საერთო პოზიციის ჩამოყალიბება კავშირის სტრუქტურის შესახებ. ისინი დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ განსხვავებულ პოზიციებს რუსეთ-ბელორუსიის სამოკავშირეო სახელმწიფოს მოდელის შესახებ – ფედერაცია? კონფედერაცია თუ ევროკავშირის მსგავსი მოდელი? ლუკაშენკომ კატეგორიულად უარყო პუტინის გეგმა – შექმნილიყო სა-

ხელმწიფოთა ფედერაცია. მისი განცხადებით, აღნიშნული გეგმა ფედერაციის შექმნის შესახებ რეალურად გულისხმობდა, ბელარუსიის შთანთქმას რუსეთის ფედერაციაში. ლუკაშენკოს პოლიტიკური არგუმენტით, ფედერაცია ეს უკვე ნიშნავს ეროვნულ სუვერენიტეტზე უარის თქმას.

1990-2010 წლებში ბელორუსის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 54,71 ამერიკულ დოლარს და მსოფლიო ბანკის სიაში 190 ქვეყანას შორის ბელარუსი 68-ე ადგილს იკავებს, რაც შეეხება მოგვიანებით, კერძოდ, 2011 წლისათვის ბელარუსი უკვე 56-ე ადგილზეა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი უკვე 134.56 ამერიკული დოლარს შეადგენს. (იხ.ცხრილი N1)

ცხრილი N1. პოსტსაბჭოთა ქვეყნების სია მშპ–ს (ნომინალი) მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე [17]

ქვეყნები	2006	2008	2010	2012	2014	2015
აზერბაიჯანი	2 473	5 575	5 843	7 392	17 521	17 993
ბელარუსი	3 849	6 377	5 819	6 685	18 187	17 654
ესტონეთი	12 503	17 738	14 062	16 316	28 140	28 595
თურქმენეთი	2 140	3 919	4 479	6 511	15 474	16 445
ლატვია	8 713	14 858	10 743	13 984	23 548	28 712
ლიტვა	8 865	14 071	11 149	14 097	27 687	28 353
მოლდოვა	951	1 696	1 632	2 038	4 983	5 006
საქართველო	1 765	2 920	2 614	3 508	9 163	9 630
სომხეთი	2 126	3 917	3 125	3 338	8 070	8 468
ტაჯიკეთი	407	709	740	872	2 291	2 749
უზბეკეთი	643	1 023	1 365	1 717	5 573	6 068
უკრაინა	2 303	3 891	2 974	3 867	8 666	7 519

[17] https://ka.wikipedia.org/wiki ქვეყნების_სია_ერთ_სულ_მოსახლეზე_მშპ-ის_(ნომინალი)_მიხედვით

ყაზახეთი	5 292	8 514	9 070	11 935	24 228	24 268
ყირგიზეთი	543	966	880	1 160	3 322	3 363

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო მისი ქვეყნის ირგვლივ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე აცხადებს რომ ის ყველაფერს გააკეთებს თავისი ქვეყნის დასაცავად. რუსეთი ბელარუსს მასთან შეერთებას სთავაზობს, ევროკავშირი კი კოლონიზაციას. „ამიტომ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია გავძლოთ და დავიცვათ ქვეყანა", - განაცხადა ლუკაშენკომ.

ალექსანდრე ლუკაშენკოს შეხედულება ბელარუსიის ევროკავშირის საფუძველზე სამოკავშირეო სახელმწიფოს მოდელირებასთან დაკავშირებით ცალსახად მიუღებელია. ის ყოველგვარი სამოკავშირეო ურთიერთობების წინააღმდეგია, რადგან თვლის, რომ ეს რამდენიმე ნაბიჯით უკან დახევას ნიშნავს…. ჩვენ გვაქვს გაცილებით მეტი გამოცდილება, ვიდრე ევროკავშირს სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნაში, რადგან ჩვენ ვიცხოვრეთ ერთად – საბჭოთა კავშირში."

სამოკავშირეო სახელმწიფოს ეკონომიკური ასპექტის ერთ-ერთ მიზანს ერთიანი ვალუტის შექმნა წარმოადგენდა. მაგრამ მხარეები ვერ შეთახმდნენ საერთო ვალუტაზე. მათ ვერც საბაჟო კანონთა ჰარმონიზაცია მოახდინეს და შედეგად თითოეულმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა, როგორც ცალკე ერთეულებმა, გადაწყვიტეს.

აღნიშნული კავშირი დღემდე ვერ განხორციელდა რადგან რუსეთისა და ბელარუსის პოლიტიკურ ლიდერებს სხვადასხვა ინტერესები აქვთ. ისინი სამოკავშირეო სახელმწიფოში საკუთარი სარგებლის მიღების განსხვავებულ გზას ხედავდნენ და ეს შეხედულება დღესაც არ შეცვლილა.

ამრიგად, თანამედროვე ბელარუსი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც დსთ-ს აქტიური წევრია. ყოფილ

სსრკ-ში იგი წარმოდგენილი იყო როგორც მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაჰქონდა თითქმის ყველა რესპუბლიკაში. ბელარუსი დასავლეთით მდებარე ევროპულ ქვეყნებს უახლოვდება წარმოების დონით. ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ბელარუსს შესაძლებლობა ეძლევა დასავლეთის ბაზარზე შეღწევისა და თავის ადგილის დამკვიდრებისა.

სტატისტიკური მონაცემებით საბჭოთა პერიოდში, კერძოდ 1985 წლისათვის ბელარუსში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 10,4 აშშ ამერიკულ დოლარს შეადგენს, ეს მაშინ როცა როცა ბელარუსიის ეკონომიკა მთლიანი კავშირის სივრცის შემადგენელი ნაწილი იყო. რაც შეეხება შემდგომ განვითარებას - 1990 წლისთვის მშპ მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა 12,00 აშშ ამერიკული დოლარი. ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის მიერ წარმოებული ეკონომიკური, საგარეო და საშინაო სტრატეგიების შედეგად 1990-2010 წლებში ქვეყნის მშპ 54,71 აშშ შეადგენს და მსოფლიო ბანკის სიაში 190 ქვეყანაში 68-ე ადგილს იკავებს, ხოლო 2011 წლისათვის უკვე 56-ე ადგილზეა ქვეყნის მშპ კი 134.56 აშშ ამერიკული დოლარი შეადგენს.

ამრიგად, ალექსანდრე ლუკაშენკოს ეკონომიკური პოლიტიკით ბელარუსმა ბალტიის ქვეყნების მსგავსად, შეინარჩუნა მსხვილი მექანიზებული კომპლექსები, მოახდინა მათი ნაწილობრივი პრივატიზაცია, გაატარა რეფორმები აგრარულ სფეროში, რასაც მოჰყვა გარკვეული პოზიტიური შედეგები. მაგრამ თანამედროვე პერიოდში რთულ ვითარებაში მიმდინარეობს სახელმწიფოში ფერმერული და გლეხური მეურნეობების დამკვიდრება, სახელმწიფო სანახევროდაც ვერ აგვარებს იმ პრობლემებს, რომლებიც აგრარულ სფეროში არსებობს. უნდა ითქვას, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ ძიების პროცეს-

შია, იგი ცდილობს რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ინტეგრირებას და შესაბამისად ეს პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

ამრიგად, ალექსანდრე ლუკაშენკოს როგორც პოლიტიკური ლიდერის ფენომენი საკმაოდ მკაფიო პოლიტიკით გამოიჩევა საგარეო ურთიერთობების საკითხებში. ის ღიად აცხადებს, რომ არ ენდობა დასავლეთს, მაგრამ უნდა მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს... ის ასევე არ ენდობა რუსეთს, მიუხედავად იმისა, რომ მასთან კარგი ურთიერთობა აქვს. ლუკაშენკო რუსეთის მიერ შექმნილ ყველანაირ კავშირშია გაწევრიანებული, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთმა ის, ვერც აფხაზეთისა და ოსეთის აღიარებაში დაითანხმა და ვერც ურთიერთობის დაძაბვაში.[18] წლების განმავლობაში ლუკაშენკოს საგარეო პოლიტიკას მხოლოდ ერთი ვექტორი ჰქონდა. იგი ყოველთვის მოსკოვზე იყო მიბმული, სხვა ძალა მისთვის არ არსებობდა, მაგრამ 2008 წლიდან მისი პოლიტიკა იცვლება, იგი ასე ვთქვათ პოლიტიკურ ვაჭრობას იწყებს - არ აღიარა ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი და ევროკავშირმა ბელარუსიასთან სავიზო რეჟიმი შეარბილა.

რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, ლუკაშენკომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისს გადაარჩინა, თუმცა პიროვნული ხედვა - ბელარუსის რესურსებით რუსეთზე მიბმა დღესაც აქტიურ ფაზაშია. საგულისხმოა ის ფაქტი რომ ქვეყანა თავის გეოგრაფიულ მდებარეობას შესაბამისად იყენებს და ლიდერის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი სახელმწიფოებრივ სტატუსისა და ქვეყანაში სიმშვიდის გარკვეულ გარანტორს წარმოადგენს.

---

[18] ქვეყნების_სია_მშპ-ის_(მუპ)_მიხედვით https://ka.wikipedia.org/wiki/

მოლდოვა

სსრკ-ის დაშლის პერიოდში, 1991 წელს მოლდოვამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა იმავე საზღვრებში, რაც მოლდას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკას ეკავა.

მოლდოვა წარმოადგენს საზოგადოებრივად მრავალფეროვან საზოგადოებას. ნაწილი მოლდოველები თავს რუმინელებს უწოდებენ და თავიანთ მშობლიურ ენად რუმინულს თვლიან, მეორე ნაწილი აღიარებს თავის დამოუკიდებლობას, მაგრამ ურჩევნია საკუთარ ენად რუმინული აღიაროს. სწორედ ეს ჯგუფი გახლავთ დღეს დომინანტი მოლდავურ პოლიტიკაში. მესამე ნაწილი მოლდაველებისა ანტირუმინული ორიენტაციისანი არიან. აქედან გამომდინარე ცხადია ასეთი მრავალფეროვნებაში პოლიტიკურ სიმშვიდეზე საუბარიც კი ზედმეტია.

მოლდოვა ევროპის ყველაზე ღარიბი სახელმწიფოა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანაში დაიხურა ყველა დიდი საწარმო, ქარხანა-ფაბრიკები, რამაც გამოიწვია მასობრივი უმუშევრობა. მოსახლეობის უმეტესობა საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოს საძებნელად.ამ პერიოდში მოლდოვის მშპ იყო მხოლოდ 30%, რაც შეადგენდა 1,24 მილიარდ დოლარს.[19] ეს კი იმას ნიშნავს რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის ქვეყანაში ცხოვრების ელემენტარულ პირობებს. მოლდოვაში არ არის კერძო, მსხვილი ბიზნესი და სახელმწიფო მონოპოლია. თუმცა პოლიტიკური თვალსაზრისით აქ არასდროს ყოფილა ავტორიტარული

[19] ალექსანდრე ლუკაშენკოს ინტერვიუ: ,,პრორუსულსაც და პროდასავლურსაც ფესვებიანად ამოვთხრი,, https://www.timer.ge

რეჟიმი. ხელისუფლება ქვეყანაში ყოველთვის გადადიოდა ოპოზიციის ხელში არჩევნების გზით.

მოლდოვეთი ორჯერ იდგა სერიოზული პოლიტიკური გარდაქმნების წინაშე. პირველად, როცა პრეზიდენტი ლუჩინსკი ცდილობდა ქვეყანა საპრეზიდენტო გაეხადა, თუმცა ცდა უშედეგო აღმოჩნდა და პარლამენტმა პირიქით გაიფართოვა თავისი უფლებამოსილებანი. მეორედ, 2001 წელს კომუნისტური პარტიის გამარჯვების შემდეგ, მაგრამ აქ კომუნისტური პარტია იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო და შეიტანა შესწორებები კანონში მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების, სასამართლო ხელისუფლების გაეძლიერების და პროკურატურაში რეფორმების გატარების თაობაზე, ასევე გაეფართოებინა საპარლამენტო უფლებამოსილებანი და განეხორციელებინა საარჩევნო რეფორმები. ანუ მოლდოვეთი პოლიტიკურ განვითარებას აშკარად საჭიროებდა, რაც ხელოვნურად მანამდე ყოვნდებოდა.

მოლდოვური პოლიტიკური ლიდერებიდან აღსანიშნავია ვლადიმერ ვორონინი2, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ძალაუფლების სრული კონცენტრირებით ახორციელებდა ქვეყანაში ხელისუფლებას.

მოლდოვეთის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული პირველი მცდელობა კრახით დასრულდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი პოლიტიკური ლიდერის ვორონინის შეხედულება იყო, კერძოდ მას მიაჩნდა, რომ მოლდოვას დამოუკიდებლად შეეძლია დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება და მხოლოდ საბაჟო კავშირში (სადაც რუსეთი, ბელარუსი და ყაზახეთი შედიან) გაერთიანება მისცემდა მას სრულფასოვნად განვითარების საშუალებას. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა საპროტესტო მსვლელობები, რომელთა მოთხოვნა

ხელისუფლების გადადგომა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშნვა იყო.

მოლდოვეთის დაძაბული პოლიტიკური ვითარება, კერძოდ პრეზიდენტის არჩევის ორი უშედეგო მცდელობის შემდეგ პარლამენტის დაშალა და ხელახალი არჩევნების დანიშვნა, საზოგადოებაში უწესრიგობას იწვევდა დიდ ნეგატიურ გავლენას ახდენდა ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვა დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, იქ დღესაც შენარჩუნებულია მსხვილი სახელმწიფო მეურნეობები და კოლმეურნეობები. ინდივიდუალურ სექტორში გვხვდება, როგორც გლეხური მეურნეობები, ისე ნებაყოფილობით შექმნილი კოოპერაციული გაერთიანებები.

საბჭოთა მმართველობის პერიოდში 1985 წლისათვის მოლდოვას მშპ 12,8 მლ. ამერიკულ დოლარს შეადგენს, რაც 1990 წლისათვის 13,4 მლ. ამერიკულ დოლარამდე იზრდება, რაც შეეხება მსოფლიო ბანკის 2011 წლის მონაცემებს - მოლდოვა 180 ქვეყანას შორის 139-ე ადგილზეა და მშპ 10.99 მლ. ამერიკულ დოლარამდე ეცემა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ორ მნიშვნელოვან გარემოებაზე: პირველი ის რომ თვით საბჭოთა კავშირის პერიოდშიც მოლდოვას ეკონომიკა დიდი მზარდი ტენდენციებით არ გამოირჩევა, მაგრამ მაშინ მთლიანი საბჭოთა ეკონომიკის სივრცეში იყო მოქცეული და ეს ეკონომიკაზე უარყოფით ზეგავლენას არ ახდენდა, და მეორე ეკონომიკური კურსი პოსტსაბჭოთა პერიოდში პირიქით ვარდნას განიცდის. მოლდოვადან პოსტსაბჭოთა პერიოდში მოხდა ადამიანური რესურსების საზღვარგარეთ მასობრივი გადინება, რამაც ქვეყანაში არა მხოლოდ მუშა-ხელის, არამედ განვითარებული და პერსპექტიული კადრების დეფიცი-

ტი შექმნა. ყოველივე ამ გარემოებამ კი საგრძნობლად შეაფერხა მისი განვითარება.

აქ ჩანს პოლიტიკური ლიდერის სუსტი პოლიტიკა, რის გამოც ქვეყანა მხოლოდ ევროკავშირისა და რუსეთის დახმარებებით ცხოვრობს და ვერ ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება-რეალიზაციას. სუსტი ეკონომიკა კი განაპირობებს პოლიტიკურ სისუსტეს და დამოკიდებულებას სხვა გაერთიანებებზე თუ სახელმწიფოზე.

ევროკავშირის მხრიდან სისტემატური დახმარების გაწევა მოლდოვეთისათვის მისი ეკონომიკური პრობლემების შედეგია, ამიტომ მისთვის პრიორიტეტულია ევროკავშირში ინტეგრაცია. ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მოლდოვას ყველაზე მეტი მხარდაჭერა აქვს ევროკავშირიდან ამ პოლიტიკური მოვლენის განსავითარებლად. მთელი ხელისუფლება, მათ შორის კომუნისტურიც კი აცხადებდნენ, რომ ევროპული ინტეგრაცია საშინაო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. ეს არ განიხილებოდა მოლდოვეთში როგორც ანტირუსული პროექტი. მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი დღესაც თვლის რომ რუსეთი ეს არის საკვანძო პარტნიორი მოლდოვეთისათვის.

უკრაინა

უკრაინა განეკუთვნება ისეთი ქვეყნების რიცხვს სადაც 1991 წლიდან თითქმის ყველა პოლიტიკური მნიშვნელობის გადაწყვეტილელბები კომპრომისის გზით არის მიღებული. ის ასევე გამოირჩევა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან იმით, რომ მალევე, 1991 წ., დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად გახდა დემოკრატიული სახელმწიფო და რაც მთავარია მშვიდობიანი გზით, ეთნიკური კონფლიქტების

გარეშე. ყოველივე მიღწეული იქნა ეროვნულ-დემოკრატიული ოპოზიციისა და ყოფილ კომუნისტურ პარტიას შორის მოლაპარაკებებისა და კომპრომისების საშუალებით. ამიტომაც მას სხვაგვარად კომპრომისების ქვეყანასაც კი უწოდებენ.

უკრაინა პირველი ქვეყანა იყო დსთ-ში, სადაც 1994 წელს მოხდა როგორც კონსტიტუციის, ასევე პრეზიდენტისა და პარლამენტის შეცვლა კომპრომისის შედეგად. ამ პერიოდიდან უკვე უკრაინაში, გაჩნდნენ ე.წ. „ოლიგარქები", რომლებმაც მსუბუქი და მძიმე მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნები დაისაკუთრეს პრივატიზების გზით.

2002 წლის არჩევნებში უპრეცენდენტო შემთხვევა მოხდა უკრაინაში – კომუნისტურმა პარტიამ გზა დაუთმო პარტია „ნაშა უკრაინას", რომელსაც სათავეში ედგა ვიქტორ იუშენკო.[20] უნდა ითქვას, რომ მისი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინის გაერთიანებას, სამართლიანობის დამკვიდრებას და კორუფციასთან ბრძოლას. იუშენკოს მთავარი მიზანი იყო ქვეყნის ევროპულ მოდელზე ფორმირება, რომლის აუცილებლობაც საზოგადოებას აჩვენა. ეს რასაკვირველია პოლიტიკური ლიდერის დიპლომატიური ტაქტი და სვლა იყო გამარჯვებისაკენ რამაც საბოლოოდ პოზიტიური შედეგი გამოიღო.

რაც შეეხება ვიქტორ იანუკოვიჩის[21] (2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იყო ვიქტორ იუშენკოს ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე-კანდიდატი) გუნდს, ისინი იყენებდნენ ანტიდასავლურ, ანტიამერიკულ რიტორიკას, რაც სა-

---

[20] უკრაინის პრეზიდენტი 2005-2010 წწ. უკრაინის პოლიტიკური კოალიციის „ნაშა უკრაინას" ლიდერი;
[21] უკრაინის პრეზიდენტი 2010 -2014 წწ.

ხალხო პროტესტს იწვევდა ასევე სახალხო პროტესტს დასაბამი მისცა ადგილობრივ და უცხოელ დამკვირვებლთა დასკვნებმა იმის შესახებ, რომ 2004 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების მეორე ტურში წამყვან კანდიდატებს შორის (ვიქტორ იუშენკო და ვიქტორ იანუკოვიჩი) ხმების რაოდენობა გაყალბებულ იქნა იანუკივიჩის სასარგებლოდ. ოპოზიციური პარტიის მიერ დაიგეგმა მასობრივი აქციის მოწყობა. საბოლოო ჯამში ამ ყველაფერმა წარმოშვა ე.წ. „ნარინჯისფერი“ რევოლუცია.

უკრაინა დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას, მაგრამ ქვეყანაში საბოლოოდ მაინც დაიძაბა პოლიტიკური ფონი, კერძოდ ნარინჯისფერი რევოლუციის სლოგანები და მოწოდებები დარჩა მხოლოდ ქაღალდზე. ამ გარემოებამ გამოიწვია იმ ხალხის იმედგაცრუება, რომლებმაც იუშენკოს და მის პარტიას მხარი დაუჭირეს. გარდა ამისა იუშენკოს გზაზე ისეთი სახის წინააღმდეგობები წარმოიშვა, როგორიცაა კონსტიტუციურად პრეზიდენტის როლის დასუსტება. ამასთანავე ქვეყანაში ზედიზედ გაიმართა არცევნები, რის გამოც იუშენკოს ამომრჩეველთა „შენარჩუნება“ და ამის გამო მუდმივ „ტონუსში“ყოფნა უწევდა.. ასევე „ნარინჯისფერთა“ ბანაკისა და პრემიერ მინისტრ ტიმოშენკოს შორის მუდმივი კონფლიქტი კიდევ უფრო ასუსტებდა პრეზიდენტის როლს.

ყოველივე ამან 2010 წლის არჩევნებში გამარჯვება მოუტანა ვიქტორ იანუკოვიჩს და მის პარტიას. ამის შემდგომ უკრაინის პოლიტიკური ლიდერები სხვადასხვა საშუალებებითა და ხერხებით ცდილობენ მოსვლას ხელისუფლებაში და ქვეყანა რომლესაც კომპრომისების ქვეყანას უწოდებდნენ 2012 წლისათვის შეიძლება ითქვას დესტაბილიზაციის თუმ-

ცა ასევე გამოღვიძებული საზოგადოების მქონე ქვეყნად მოიხსენიება.[22] რუსული ფაქტორი რათქმაუნდა ძალიან დიდ როლს თამაშობდა უკრაინის საშინაო პოლიტიკაში. განსაკუთრებით ეს ღიად გამოჩნდა რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ჯერ კიდევ ინაუგურაციამდე, ვლადიმერ პუტინის ვიზიტით კიევში, სადაც 1997 წელს გაფორმებულ „სტრატეგიულ პარტნიორობის“ შეთანხმება აღდგენილ იქნა და დამატებით ხელი მოეწერა შეთანხმებას რეგიონალურ და საბაჟო საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთთანამშორმლობის შესახებ და ელჩად უკრაინაში დაინიშნა რუსეთი ფედერაციის ყოფილი პრემიერი ვიქტორ ჩერნომირდინი.

მოვლენების ამგვარად განვითარებას ხელი შუწყო ასევე ვაშინგტონის უკრაინისადმი გაურკვეველმა სტრატეგიამ. გაურკვეველი იყო ევროკავშირის პოზიციაც. პოლიტიკური ლიდერი ასეთ ვითარებაში გაურკვევლობაში ჩავარდნენ, რამაც დესტაბილიზაციის პროცესი კიდევ უფრო გაამწვავა და რაც დრემდე მწვავე ვითარებაში გრძელდება.

რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების ფონზე უკარინის ლიდერები დასავლეთთანაც აგრძელებდნენ ურთიერთობებს და 2005 წელს უკრაინამ მიიღო სამხედრო დოქტრინა, რომელიც მიზნად ისახავდა ნატოში გაწევრიანებას. ლიდერების ამ გადაწყვეტილებაზე რუსეთი უმალვე გამოეხმაურა და გააკეთა განცხადება, რომ უკრაინის ნატოში ინტეგრაცია გამოიწვევს ამ ორ ქვეყანას (უკრაინაა-რუსეთს) შორის ურთიერთობების სერიოზულ შეცვლას. რასაც მოჰყვა 2006 წლის ივლისში კრიმელი მოსახლეობის საპროტესტო აქცია და რომლებმაც შეძლეს ამერიკა-უკრაინის სამხედრო სწავ-

---

[22] Костенко О. Независимость на разлив. Что изменилось в бывших советских республиках: Молдавия сегодня // Аргументы и факты. 2011. 13 апр.

ლებების შეჩერება, რამაც თავისთავად უკრაინასა და ნატოს შორის თანამშრომლობა გარკვეული დროით დაამუხრუჭა. ამ გარემოებებმა გააფიქრა უკრაინა დსთ–დან გამოსვლის თაობაზე, რადგან უკრაინის საგარეო საქმეთა უწყება თვლიდა, რომ დსთ-მ თავისი მისია, რაც დებულებით იყო გათვლილი , უკვე შეასრულა და უკრაინისათვის საკმარისი იყო სუამის წევრად დარჩენა.[23]

პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ უკრაინის პოლიტიკური ლიდერების მიერ პირველ რიგში ვერ იქნა მიღწეული კონსესუსი შიდა პოლიტიკურ საკითხებში, ამას დაემატა ოფიციალური კიევის შიდა პოლიტიკური ხაზის სისტემატური ცვლა მმართველი კოალიციის მიმდინარე პოზიციების შესაბამისად. თუკი ადრე რუსეთი ცდილობდა უკრაინა პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩაერთო ყველა ეკონომიკურ თუ პოლიტიკური ინტეგრაციის პროექტებში, 2005 წლის შემდეგ ის ამ გეგმებზე უარს აცხადებს.

მეზობელ ქვეყანასთან დაძაბული ურთიერთობების მეტ-ნაკლებად დარეგულირება მოახერხა ვიქტორ იანუკოვიჩმა, მაგრამ მისი პარტია უკვე აღარ განიხილებოდა უკრაინულ პოლიტიკურ სივრცეში, როგორც „პრორუსული ძალა“, ხოლო იანუკოვიჩი როგორც ყველაზე ხელსაყრელი პარტნიორი. მისდამი ნდობაც და მისი ძალაუფლებაც გარკვეულწილად შესუსტდა. მიუხედავად იმისა რომ 2007 წელს რუსეთის პრემიერ მინისტრ ფრადკოსა და იანუკოვიჩს შორის ახალი გეგმის გაფორმებისა, რომელიც მიზნად ეკონომიკურ თანამშრომლობას ისახავდა, უკრაინა ჯერ კიდევ რჩებოდა რუსეთისათვის არაპოროგნოზირებად პარტნიორად. რუსეთი

[23] 2012 – год дестабилизации и год пробуждения украинского общества //Портал From ua. 2011. 31 дек. URL: http://www.from-ua.com/news/90ce8177b8eb0.html

ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ უკრაინაში არ არსებობს მოლაპარაკებისუნარიანი მხარე.

თანამედროვე უკრაინულ პოლიტიკაში აქტუალურია ასევე იულია ტიმოშენკოს, როგორც პოლიტიკური ლიდერის პერსონა. ის თავიდანვე ითვლებოდა ანტირუსული ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსად. იუშენკოს წინააღმდეგობის მიუხედავად ახალმა პრემიერმა (ტიმოშენკომ) მოითხოვა ბუნებრივი აირის ხელშეკრულებების გადახედვა. აღნიშნული კი მხოლოდ ერთს ითვალისწინებდა მიზნად: პრემიერის ხელში მთელი ძალაუფლების მოქცევას, რადგან ბუნებრივი აირი ეს ისეთი თემა გახლდათ უკრაინიასათვის, რომელიც ადრეც და მომავალშიც ერთადერთი ბერკეტი იყო უკრაინის პოლიტიკურ ასპარეზობაში. ახალი პრემიერის პროგრამა გათვლილი იყო მოსახლეობაზე და არა თანამდებობის პირებზე, კერძოდ ხელფასების ზრდა, პენსიების მომატება, მრეწველობის განვითარება და კორუფციასთან ბრძოლის გამკაცრება. საპრეზიდენტო კამპანიის მზადებისას დროებით იანუკოვიჩის პარტიასთან მისი დაახლოება, შეფასდა როგორც არაპროფესიონალური, არაპოლიტიკური სვლა2. მალევე ნარინჯისფერი კოალიცია დაიშალა და საპრეზიდენტო არჩევნებში წაგებული ტიმოშენკო უკვე ოპოზიციურ ფრთას ჩაუდგა სათავეში. თუმცა უკრაინის უახლესი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ნარინჯისფერი რევოლუციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო არასწორი პოლიტიკური ნაბიჯების გამო ისევ უკრაინელი ხალხის მიერ ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდა.

ამრიგად, უკრაინა სიდიდით მეხუთე ქვეყანაა რუსეთის ეკონომიკურ პარტნიორებს შორის და პირველი დსთ-ში, რაც მის ეკონომიკურ რესურსს განაპირობებს. ამასთანავე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უკრაინა რჩება ევროკავშირისა

და დასავლეთის ქვეყნების უმსხვილეს ექსპორტიორ და იმ-პორტიორ ქვეყნად საქონლით ვაჭრობაში.

უკრაინა ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყა-ნაა, რომელსაც აქვს მძლავრი ინდუსტრია და მაღალმექანი-ზებული სოფლის მეურნეობა. საბჭოთა მმართველობის პე-რიოდში 1985-1990 წლებში უკრაინის მშპ 13,3 მლ. ამერი-კულ დოლარს შეადგენს, რაც შეეხება მსოფლიო ბანკის 2011 წლის მონაცემებს - უკრაინა 180 ქვეყანას შორის 38-ე ადგილ-ზეა და მშპ 308.29 მლ. ამერიკულ დოლარს შეადგენს. უკრაი-ნა მჭიდროდ იყო ინტეგრირებული რუსეთთან და სხვა რეს-პუბლიკებთან, აღნიშნული კავშირების გაწყვეტამ ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა. ამდენად უკრაი-ნის ლიდერები ვიქტორ იუშენკო და იულია ტიმოშენკო ინ-ტენსიურად ცდილობენ დასავლეთისაკენ გეზის აღებას და ურაინის ეკონომიკის დასავლურ რელსებზე გადაყვანას, თუმცა მათი მცდელობა პოლიტიკაში კრახით დასრულდა და ვიქტორ იანუკოვიჩი ცდილობს აღადგინოს კავშირები რუსეთთან.

ბოლო წლებში უკრაინის პოლიტიკური კრიზისი ევრო-კავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადების პროცე-სებმა განაპირობეს, რასაც შედეგად პოლიტიკური ხელისუფ-ლების ცვლელებები მოჰყვა. საბოლოო ჯამში უკრაინა გაიყო ე.წ. პრო-რუსულ და პრო-დასავლურ ნაწილებად. პრო-და-სავლურმა ხელისუფლებამ, რომელიც 2014 წელს არსენ იაცე-ნუკის ხელმძღვანელობით, დროებითი მთავრობის სახით ჩამოყალიბდა, აღადგინა ევროინტეგრაციის პროცესი - ხელი მოწერეა ასოცირების ხელშეკრულების ჯერ პოლიტიკურ, ხოლო შემდგომ ეკონომიკურ ნაწილს.

პოლიტიკური ლიდერის ასეთმა გადაწყვეტილებამ ქვე-ყანაში უფრო მეტი არეულობა და დაძაბული მდგომარეობა

გამოიწვია. აღმოსავლეთ უკრაინაში დაიწყო აქციების სერიები რუსული ენის სტატუსთან დაკავშირებით. 2014 წლის მარტში ყირიმის ავტონომიურმა რესპუბლიკამ და ქალაქ სევასტოპოლის მცხოვრებლებმა რუსეთის მხარდაჭერით, უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, ყირიმის სტატუსის შესახებ რეფერენდუმი გამართეს. რეფერენდუმზე დაყრდნობით ყირიმმა უკრაინისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შემდეგ ეტაპზე კი მიიღო გადაწყვეტილება რუსეთთან მიერთების თაობაზე ფედერაციის სუბიექტის სახით. ყირიმის პროსების შემდგომ უკრაინაში იქმნება დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკები, სადაც, როგორც სეპარატისტულ რეგფიონებში უკრაინის ხელისუფლება საომარ მოქმედებებს იწყებს. ყოველივე ეს მიუთითებს უკრაინის ლიდერების ნაჩქარევ გადაწყვეტილებებზე, რამაც უკრაინა პოლიტიკური კრიზისის ზღვარზე მიიყვანა, რომელიც აისახა ქვეყნის საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროზე. ამგვარ პოლიტიკურ ვითარებაში 2014 წლის 25 მაისს ჩატარდა არჩევნები და გაიმარჯვა პეტრო პოროშენკომ, რომელმაც არჩევნების მომდევნო დღეს განაცხადა დემოკრატიულ საწყისებზე ახალი საპარლამენტო კოალიზიის შექმნის თაობაზე, რომელიც მისი თქმით იქნება „პროევროპული და ანტიკორუფციული კოალიცია, მატყუარებისა და პოპულისტების გარეშე.“

ევროკავშირმა ჯერ კიდევ ვერ მიიღო გადაყვეტილება უკრაინის ევროკავშირში მოწვევისა და ნატოში გაწევრიანების თაობაზე. დაწყებული პროცესები შეჩერების შემდეგ ვერა და ვერ იღებს ახალ საწყისებს. ესეც რასაკვირველია პოლიტიკური მმართველობისა და არადიპლომატიურ მიდგომების შედეგია.

ცენტრალური აზია: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი

ყაზახეთი

ყაზახეთი მდიდარი ქვეყანაა და ნავთობისა თუ ბუნებრივი აირის მარაგების სიმრავლის წყალობით ის იზიდავს ინვესტიციებს უცხო ქვეყნებიდან. ქვეყნის ელიტის უდიდესი ნაწილი თვლის რომ ყოველივე ამას ქვეყანა უნდა უმადლოდეს ნურსულთან ნაზარბაევს. ნაზარბაევი ჯერ კიდევ სკ-ს მდივნობიდან მოჰყვება ხოლო 1990 წლის აპრილიდან ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთი დამოუკიდებლობის მოპოვების შედგომ არცერთ სხვა პრეზიდენტს არ იცნობს 2007 წელს მიღებული იქნა კანონი „ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის“ შესახებ, სადაც პრეზიდენტს პერსპექტივაში აქვს განუსაზღვრელი რაოდენობით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.

ბოლო 20 წლის განმავლობაში პოსტსაბჭოთა სივცეში ყაზახეთი არაერთი პოლიტიკური მოვლენების ინიციატორი გახდა. ნდობისა და სამხედრო საკითხებში გამყარების თაობაზე 1996 წელს მიღებული იქნა გადაყვეტილება შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (შთო) შექმნისა, ხოლო 2000 წელს ასტანაში ბელორუსიის, ყაზახეთის, რუსეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის პოლიტიკური ლიდერების მიერ ხელმოწერილი იქნა შეთანხმება ევრაზიული ეკონომიკური გაერთიანების შექმნის თაობაზე. 2010 წელს კი ყაზახეთი იყო ეუთოს წევრი - პირველი ცენტრალური აზიის ქვეყანა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელიც ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდა. ამ წარმომადგენლობის აპოთეოზი გახდა ეუთოს

წერი ქვეყნების ლიდერთა სამიტი.[24]

ყაზახეთში ფაქტიურად არ არსებობს ოპოზიცია, რამაც საზოგადოების ნაწილის შიში გამოიწვია, რომელიც პრეზიდენტისა და მისი ოჯახის ავტორიტარული მმართველობის საშიშროებას ეფუძნებოდა. ამიტომ რეფორმატორების ჯგუფი გამოეყო მმართველ სისტემას და შექმნეს მოძრაობა „ყაზახეთის დემოკრატიული არჩევანი“. მისი მიზანი იყო, რაც შეიძლება საჯარო ყოფილიყო ქვეყანაში ხელისუფლების განხორციელება, რაც შეიძლება საზოგადოების მეტ ნაწილს მიეღო მონაწილეობა მმართვაში. რეფორმატორებმა ვერ შეძლეს თავიანთი მიზნების განხორციელება, რადგან მონაწილეთა ნაწილი დაპატიმრებულ იქნა, ხოლო ნაწილმა შექმნა ახალი პარტია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის.[25]

სხვადასხვა დროს ყაზახეთის პოლიტიკურ ლიდერს ნაზარბაევს ოპონირებას უწევდნენ ისეთი გავლენიანი პოლიტიკოსები, როგორებიც იყვნენ კაჟეგელდინი, ჟაკიანოვი, აბლიაზოვი და ა.შ. ყაზახეთის პარლამენტში მხოლოდ ერთი პროპრეზიდენტული პარტიაა „ნურ ოტანი“, მაგრამ 2010 წ. ყაზახეთმა, როგორც ეუთოს წარმომადგენელმა ევროპის წინაშე განაცხადა, რომ პარლამენტს მრავალპარტიულს გახდიდა.

აღსანიშნავია რომ ყაზახეთში პოლიტიკურმა ლიდერმა გარკვეულწილად კლანური მმართველობა ჩამოაყალიბა. ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების ხელშია ქვეყნის ეკონომიკური თუ სამრეწველო ობიექტები, ამიტომ ისინი თავისთავად უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკაზე, მაგრამ ნაზარბაევის თანამდებობაზე მათ პრეტენზია არ გააჩნიათ. ის მათთვის უპირობო ლიდერია, რომლის

---

[24] Полупанов В. 20 лет без СССР. Как живет Казахстан сегодня // Аргументы и факты. 2011. 29 июня. URL: http://www.aif.ru/society/article/44086

[25] Нигмет А. Игры жизни // Оазис. 2011. № 24. С. 1–2

ჩრდილ ქვეშ ქმნიან ტაქტიკურ კავშირებს და ანაწილებენ რესურსებს.

ქვეყანაში მოქმედებს მედიის ქცევის განსაკუთრებული კოდექსი მთავარი რედაქტორებისათვის, რომლებმაც ძალიან კარგად იციან ზღვარი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადალახონ. პრეზიდენტის მიერ არაბული რევოლუციების შემდეგ დაბლოკილი იქნა ინტერნეტ პორტალები და სოციალური ქსელები. ლიდერის შეხედულებით ეს ქვეყნის თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა.

ეკონომიკური კრიზისი, რომლემაც მთელი ევრაზია მოიცვა რასაკვირველია ყაზახეთსაც შეეხო. 2007 წელს ქვეყანა ფაქტიურად ხორბლის რესურსის გარეშე დარჩა, გაძვირდა საყოფაცხოვრებო სურსათის ღირებულება. კრიზისიდან გამოსასვლელად ლიდერმა მთავრობასთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება აეკრძალათ ქვეყნიდან სასურსათო რესურსების ექსპორტი, რათა მთელი დარჩენილი მარაგით თვით ქვეყანას ესარგებლა.

პრეზიდენტმა ნაზარბაევმა შეიმუშავა გეგმა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კერძოდ მსხვილი კორპორაციული წარმოებების შექმნის შესახებ. ეს ეკონომიკური სვლა პრეზიდენტის აზრით გამოიყვანდა ქვეყანას კრიზისიდან. ყაზახეთმა ფაქტიურად დაიწყო მუშაობა ქვეყნის შიდა პროდუქტის ზრდაზე. აღსანიშნავია რომ 1985 წლისათვის ქვეყნის მშპ 8,9 მლ. ამერიკულ დოლარს შეადგენდა, რაც 1990 წლისათვის 17,7 -მდე გაიზარდა. ნაზარბაევის სჯერათ, თუნდაც იმიტომ რომ, ყაზახეთი პოსტსაბჭოთა ეკონომიკური განვითარების კუთხით უკვე ლიდერი ქვეყანა იყო. ეს ეკონომიკური რეფორმები დსთ-ს მიერ შეფასებული იქნა როგორც საუკეთესო. 2010 წლის დეკემებერს მსოფლიო სავალუტო ფონდის მისიამ განაცხადა, რომ სახელმწიფო სექტორის მხარდაჭერი-

სა და მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე არსებული სიტუაციის წყალობით ყაზახეთში გრძელდება ქვეყნის შიდა პროდუქტის აღდგენა და ზრდა. 2011 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებით ყაზახეთი 180 ქვეყანაში 53-ე ადგილზეა, ხოლო მშპ 196.60 მლ. ამერიკულ დოლარს შეადგენს.

ყაზახეთი ჩქარი ტემპით და საკმაოდ ეფექტურად მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკურ ათვისებაში. 2006 წელს საქართველოში ყაზახურმა ინვესტიციებმა 1 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინეს. ასევე აქტიურია ყაზახეთი აზერბაიჯანში. 2007 წელს აზერბაიჯანისა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა საქონლის ბრუნვის სტრატეგიული განვითარების მიზნით დადეს სამმხრივი ხელშეკრულება და გაზარდეს ინვესტიცია 1 მილიარდ ამერიკულ დოლარამდე , რომელიც ჩაიდო ბაქო-თბილი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტში.

ნაზრბაევი ცდილობას „კეთილისმოსურნე“ ურთიერთობების დამყარებას როგორც აშშ-სთან, ასევე ევროკავშირთან. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას ის დაფუძნებულია უფრო ფუნდამენტალურ ხელშეკრულებაზე, რომელიც ბორის ელცინის მიერ 1992 წელს იქნა ხელმოწერილი და ითვალისწინებს ურთიერთთანამშორმლობისა და დახმარების პრინციპებს. რაც შეეხება პუტინისა და მედვედევის პერიოდში დამყარებული იქნა ინტენსიური პირადი კონტაქტები, რამაც განაპირობა ყაზახეთისათვის მნიშვნელოვანი შეთანხმებების მიღწევა, რომლებმაც განსაზღვრული დონით უზრუნველჰყვეს ორი ქვეყნი ეკონომიკური ინტეგრაცია და თანამშორმლობა.

იმდენად რამდენადაც ყაზახეთის პრეზიდენტი ქვეყნისათვის უპირობოდ საუკეთესო პოლიტიკური ლიდერი გალხდათ 2010 წლის ზაფხულში მას კანონმდებლობით მიენიჭა

„ერის ლიდერის“ ოფიციალური სტატუსი. აღნიშნულ მოვლენას გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები პარტია „ალგასა“ და საზოგადოებრი მოძრაობა „ყაზახეთი- 2012“ ლიდერები, რომლებმაც მოითხოვეს რეფერენდუმის ჩატარება და ნაზარბაევისათვის საპრეზიდენტო უფლებმოსილებების შეჩერებას1. რეფერენდუმის ჩატარების იდეამ ფართო რეზონანსი მიიღო როცა დაისვა საკითხი პრეზიდენტის უფლებამოსილების 2020 წლამდე გაგრძელების შესახებ. ამ რეფერენდუმის იდეას მხარი დაუჭირა პარლამენტმა. მხოლოდ მთავრობამ და საკონსტიტუციო საბჭომ აღნიშნული საკითხის რეფერენდუმის გზით გადაყვეტა არაკონსტიტუციურად სცნო.

ყაზახეთის ბუნებრივი პირობები, რესურსების სიმდიდრე და პირველ რიგში გეოპოლიტიკური მდებარეობა ქვეყანას უდიდეს პოტენციალს მატებს საერთაშორისო ასპარეზზე. ასეთი ეკონომიკური წინსვლის გაგრძლების შემთხვევაში ყაზახეთი მალე გახდება ისეთი მნიშვნელობის მქონე ქვეყანა, როგორიც დასავლეთი მაღალგანვითარებული ქვეყნები არიან. ჯერჯერობით კი ცენტრალური აზიის მოწინავე და დსთ-ს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყაზახეთის პოლიტიკურმა ლიდერმა მოახერხა ქვეყანა სწორი პოლიტიკური კურსით წაეყვანა და მალევე გამოსულიყო ეკონომიკური კრიზისიდან. ყაზახეთის მიერ განხორციელებული ეკონომიკური ტრანსფორმაცია საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა. ქვეყანამ შეძლო რიგი პრობლემების დაძლევა და მდგრადი ეკონომიკის შექმნა. ყოველივე აღნიშნული ფაქტი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც პოლიტიკური ლიდერის სწორი არჩევანი.

ყირგიზეთი

1990-იანი წლების შუა პერიოდამდე ყირგიზეთის დემოკრატიული განვითარება ისეთი ტემპით მიდიოდა როგორც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში. თუმცა მეზობელი სახელმწიფოების ზეწოლისა და პირველი პრეზიდენტის ასკარ აკაევის[26] კლანური მმართველობის გამო ეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე უკვე თვალნათლივ ალაპაკადა საზოგადოება აკაევის არასწორ რეფორმებზე, განსაკუთრებით საკონსტიტუციო რეფორმებზე, რომელთა წყალობითაც მას შეეძლო განუსაზღვრელი რაოდენობით მიეღო არჩევნებში მონაწილეობა.

აკაევმა არჩევნების დროს მიმართა განსხვავებულ პოლიტიკას ის დაეყრდნო მხოლოდ ეთნიკურად ყირგიზ მოსახლეობას და აწარმოებდა მათთან ინტენსიურ შეხვედრებს რამაც თავისთავად დანარჩენი ეთნიკური მოქალაქეების აღშფოთება გამოიწვია.[27] ეს არ იყო პოლიტიკური ლიდერის სწორი პოლიტიკა რადგან ასეთი ფორმით საზოგადოების დაყოფას მხოლოდ დაძაბულობა მოაქვს ქვეყანაში. ასეთივე მეთოდები იქნა გამოყენებული 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც.

ყველაზე გარდამტეხი წელი ყირგიზეთისათვის 2003 წელი იყო, როცა ხელისუფლებამ ჯალაბადის რეგიონში მშვიდობიანი დემონტრანტები ჩაცხრილა. ამ მოვლენების მთავარ დამნაშავედ ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი - აკაევი და მისი გარემოცვა ითვლებოდა. აკაევის უსუსურ პოლიტიკა-

---

[26] ყირგიზეთის პრეზიდენტი (1991-2005);

[27] Чеботарев А. KZ Лидер // Оазис. 2010. № 15. С. 1

ზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ყველაზე კულმინაციურ მომენტში, როდესაც ხალხი საპარლამენტო არჩევნებით უკმაყოფილებას გამოხატავდა ის თავისი ნათესავებისა და თანამოაზრეების რჩევით არ წავიდა მოლაპარაკებებზე უკმაყოფილო საზოგადოებასთან. საბოლოო ჯამში ყოველივე ეს მივიდა მასობრივ არეულობამდე და დაუმორჩილებლობამდე, რომელსაც მოგვიანებით „ტიტების რევოლუცია“ ეწოდა.

ყველასათვის მოულოდნელად ყირგიზეთის ერთ-ერთი ოპოზიციური ფრთის ლიდერი გახდა ექს-პრემიერი ბაკიევი, რომლის მთავარი ოპოზიციური იდეა იყო აკაევის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა, რამაც მისი აზრით ქვეყანაში დესტაბილიზაცია და არეულობა გამოიწვია. მისი მმართველობის პირველ წლებშიც ბაკიევი ამ ფრაზას იმეორებდა მაგრამ შემდგომ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა გერმანიასა და ჩინეთში ელჩებად ბაკიევმა თავისი ნათესავები დანიშნა, ხოლო უფროსი შვილი მარატი გახდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ინოვაციებისა და ინვესტიციების განვითარების სააგენტოს დირექტორი. ეს სააგენტო გახდა როგორც „სახელმწიფო სახელმწიფოში“. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ პრეზიდენტი ბაკიევის მიერ არ შესრულებული არც ერთი წინასაარჩენო დაპირება და მისმა პოლიტიკურმა მმართველობამ ქვეყანა უარესს კრიზისში შეიყვანა. 2009 წელს საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებით ყირგიზეთი აღიარებულ იქნა „არადამოუკიდებელ, არათავისუფალ“ სახელმწიფოდ. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმზად აღნიშნული სიტუაციისა დასახელდა ადამიანის უფლებების დარღვევა, რესურსების უკონტროლოდ გამოყენება, TRANSPARENCY INTERNATIONAL-ის კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ 2009 წლის მონაცემებით ყირგიზეთი კო-

რუფციის მაჩვენებლით 162-ე ადგილზე იყო 180 ქვეყანას შორის.[28]

საბოლოო ჯამში, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა მოვლენებმა 2010 წლის აპრილში საზოგადოებაში დაპირისპირებისა და ახალი საპროტესტო აქციის სახე მიიღო. ივნისში მსოფლიო შეძრა ყირგიზეთის მეორე დიდ ქალაქ ოში ეთნიკურმა დაპირისპირებამ, სადაც ათი ათასობით ადამიანი დაიღუპა. ოპოზიციურ მოძრაობას სათავეში ედგა საზოგადოებრივი ლიდერი როზა ოტუნბაევა[29] . ის მკაცრად აკრიტიკებდა ბაკიევის პოლიტიკას, ასევე მისი ახლობლების უხეშ ჩარევას ქვეყნის მმართველობაში. სახალხო რევოლუციამ, რომელმაც სულ რაღაც ორ დღეზე შეძლო სახელმწიფო ორგანოებზე ზეწოლის მოხდენა, გარკვეულწილად სიგნალი იყო მეზობელი ქვეყნებისათვის, კერძოდ ისინი მივიდნენ იმ დასვნამდე, რომ რევოლუციები პოსტსაბჭოთა სივრცეში აღარ იყო ხავერდოვანი და უსისხლო. დროებითმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ოტუნბაევა დაენიშნათ გარდამავალ პერიოდში ქვეყნის პრეზიდენტად. ამის შემდგომ ჩატარდა არჩევნები რომელსაც შეიძლება ეწოდოს დემოკრატიული და ცივილური, პარლამენტი გახდა მრავალპარტიული. ოტურბაევამ აღადგინა ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტებიი, როგორიცაა კონტროლო ქვეყანაში ნარკოტიკული ნივთიერების მოძრაობაზე, რომელიც წინა პრეზიდენტის მიერ ლიკვიდირებულ იქნა.[30]

ყოველივე ამის შედეგად ყირგიზეთი გახდა არამხო-

---

[28] Усенбаев Д. Поиск пути на Островке // Оазис. 2011. № 2. С. 4;

[29] ყირგიზი პოლიტიკოსი და დიპლომატი. სოციალ - დემოკრატიული პარტიის და პარლამენტის ოპოზიციური სოციალ - დემოკრატიული პარტიის ლიდერი. 2010 წლის აპრილის მოვლენების შემდეგ გახდა გარდამავალი მთავრობის ხელმძღვანელი;

[30] Турсунов М. Защита в законе // Оазис. 2010. № 5. С. 8

ლოდ ტრანზიტული ქვეყანა, არამედ მსოფლიო ბაზრის პროდუქციის მომხმარებელი.[31] 2011 წლის 30 ოქტრომრის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ალმაზბეკ ატამბაევმა (63%). პირველი რაც ახალმა ლიდერმა განაცხადა, რომ ყირგიზეთი იყო მზად შესულიყო ევრაზიულ კავშირში.

ამრიგად 2007 წლიდან ყირგიზეთში არსებული გაუთავებელი პოლიტიკური გარჩევები, არასტაბილურობა და ეთნიკური კონფლიქტი უარყოფითად აისახა ქვეყნის როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ ვითარებაზე.[32] დამოუკიდებელი განვითარების წლებმა აჩვენა ყირგიზეთის პოლიტიკური ლიდერის არასწორი პოლიტიკის მწვავეშედეგები ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტრატეგიების დასახვასა და რეალიზაციაში. დღეს მდგომარეობა შედარებით სტაბილურია, რადგან ყირგიზეთი თავისი მდიდარი ბუნებრივი რესურსების წყალობით დღესაც მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის თვალსაზრისით.

ტაჯიკეთი

რაც შეეხება ტაჯიკეთს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ქვეყანა უამრავი პრობლემების წინაშე დადგა. 1991 წელს პარლამენტში წამოჭრილი კამათი და დისკუსია მასობრივ მიტინგში გადაიზარდა და საბოლოოდ სამოქალაქო ომით დასრულდა (1992-1997წ.), რომელსაც შედეგად მოჰყვა 1 მილიონი ლტოლვილი, დაახლოებით 100 ათასი დაღუპული და სრულიად დაშლილი ეკონომიკა. ამ პერიდში გაჩნდა მოსაზრება ტაჯიკეთის რეგიონებად დაყოფისა და მეზობე-

---

[31] Нуриева А. Между трещиной и разломом // Оазис. 2010. № 20. С. 7
[32] Мамиров Т. Наркотики и революции // Оазис. 2011. № 19. С. 8

ლი სახელმწიფოებისადმი მიერთების შესახებ. საერთაშორისო ორგანიზაციების დიდხნიანი მოლაპარაკებების შედეგად საბოლოოდ გახდა შესაძლებელი სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.

არეულობამ და სამოქალაქო ომმა ქვეყანას მილიარდობით დოლარის ზარალი მოუტანა და მეზობელი ქვეყნებისაგან განვითარების თვალსაზრისით 10 წლით ჩამორჩენილი გახადა. ტაჯიკეთის იმდროინდელ პოლიტიკურ სისტემას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „იმიტირებული დემოკრატია“. ის ყალიბდებოდა კონფლიქტის ჩარჩოებში და პოსტკონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების ფონზე, რამაც საბოლოოდ ქვეყანა მიიყვანა გასამხედროებულ პოლიტიკამდე და პოლიტიკურ პროცესებში ისლამური რელიგიის აქტიულ ზეგავლენამდე. ბოლო წლებში ტაჯიკეთში რეგიონული მმართველობის კლანი შეცვალა „ოჯახური“ მმართველობის კლანმა და ჯამში ქვეყანაში პოლიტიკური პარტიები ვერანაირ გავლენას პოლიტიკურ მოვლენებზე ვერ ახერხებდნენ, რაც თავისთავად დემოკრატიულ პრინციპებს სცილდებოდა.

ასეთ პოლიტიკურ ფონზე ხელისუფლებაში მოდის პრეზიდენტი ემომალი რახმონი რომლის მმართველობა განსხვავებული ფორმით ხორციელდება. მან შეიტანა ცვლებები კონსტიტუციაში, რომლითაც მიეცა უფლება კიდევ ორჯერ 7 წლის ვადით არჩევნების გზით გახდარიყო პრეზიდენტი. ქვეყანაში არსებული ინფორმაციული ვაკუუმი და მოსახლეობის განვითარების დაბალმა დონემ ხელი შეუწყო რახმონის ავტორიტარულ მმართველობის განხორციელებას. ტაჯიკეთში ამ პერიოდისათვის არ არის ყოველდღიული პრესა, არის მხოლოდ ყოველკვირეული, ქვეყანა გადადის ელექტროენერგიის ლიმიტირებულ მიწოდებაზე. ყოველივე ამის შედე-

გად ადამიანები იშვიათად ახერხებენ ტელეგადაცემებზე თვაყურის დევნებას. განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა იყო სოფლებში. მოსახლეობის 50 % ღებულობს მიზერულ ინფორმაციას ხოლო დანარჩენი საერთოდ არაა საქმის ყურში ტაჯიკეთის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებზე. გაძლიერებული ავტორიტარიზმის პირობებში ერთ–ერთ ყველაზე რთულ პრობლემას ქმნის ურთიერთდამოკიდებულება ხელისუფლებასა და ისლამს შორის. ტაჯიკეთი ერთადერთი ქვეყანაა ცენტრალურ აზიაში სადაც ლეგალურად მოქმედებს ისლამური პარტია და გარდა ამისა ის ხელისუფლების ოპოზიციაში დგას. აქ პოლიტიკური ლიდერის მიერ მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა ისლამური პარტიის წინააღმდეგ საპირისპირო შედეგს იძლევა და ძლიერდება რადიკალური ისლამი და მისი მიმდევრები მრავლდებიან ქვეყანაში.

საბოლოო ჯამში 2000 წლისათვის ტაჯიკეთში მსოფლიო სავალურო ფონდის მიერ გატარებული იქნა ეკომომიკური რეფორმები რამაც შესაძლებელი გახადა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და შედეგად ტაჯიკეთში მწარმოებლური ვარდნა შემცირებულია.[33] შემუშავებული იქნა პრიორიტეტები კრიზისული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. თუმცა სასურველ მიზნებს ტაჯიკეთმა დღემდე ვერ მიაღწია. აღნიშნულის ერთ–ერთ მიზეზად არაპროფესიონალი კადრები დასახელდა.[34]

ტაჯიკეთის პრეზიდენტი ცდილობს დაძლიოს ეკონომიკური მდგომარეობა მაგრამ რეალური გამოსავლის პოვნა სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის პირობებში, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუშაოს საძებნელად გადის

---

[33] Султонов Х. Право выбора без прав // Оазис. 2011. № 18. С. 2

[34] Рахими С. Приравнять экспорт к импорту. // Оазис. 2011. № 1. С. 7;

ქვეყნიდან, ძალიან ძნელია. აღნიშნული პირობების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი სსრკ–ს ნოსტალგიაშია. ტაჯიკეთის ეკონომიკა რჩება დახურული, რაც სტიმულს აძლევს ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდას.[35]

რაც შეეხება რუსეთთან ტაჯიკეთის ურთიერთობების რღვევას პრობლემას ქმნიდა პოლიტიკურ ლიდერებსა შორის შეთანხმების მიუღწევლობა, რაც გამოწვეული იყო ტაჯიკეთის ლიდერის სისუსტის ფაქტორით.

ტაჯიკეთი ბოლო წლებში აქტიურობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად და პარარელურად იხილავს საკითხს საბაჟო კავშირში შესვლასთან დაკავშირებით ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და ტაჯიკეთს საერთო სახმელეთო საზღვარი არ გააჩნიათ ბოლო დროს ამქვეყნების ისტორია საკმაოდ ხშირად იკვეთება. ცენტრალური აზიიდან რუსეთის მიმართულებით ხდება მილიონობით ადამიანების მიგრაცია.

ამრიგად ტაჯიკეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე ღარიბი და ნაკლებად განვითარებული ქვეყანაა, რაც პოლიტიკური ლიდერის სუსტ პოლიტიკაზე მეტყველებს. ქვეყნის მშპ საბჭოთა პერიოდში 1985-1990 წლებში 10,7 მლ. ამერიკული დოლარიდან 15,6 მდე მერყეობს, თუმცა ეს ერთიანი ეკონომიკური სისტემის პირობებში, ხოლო მსოფლიო ბანკის 2011 წლის მონაცემებით 180 ქვეყანაში ტაჯიკეთი 129-ე ადგილზეა და მშპ 14.7 მლ.ამერიკული დოლარამდე ეცემა. ქვეყანაში პარლამეტში კანონებს ავტოკრატი პოლიტიკური ლიდერის სასარგებლოდ ღებულობენ, თუმცა აღსანიშნავია რომ ტაჯიკეთის პარლამენტმა ერთხმად მიიღო კანონი „მშვიდობის, ერთიანობისა და ერის ლიდერის“ შესახებ. კანონის მი-

[35] Тохиров г. Преодолевая трудности // Оазис. 2011. № 2. С. 3

ხედვით, ქვეყნის პრეზიდენტი ემომალი რახმონი ერის ლიდერად გამოცხადდა „გადამრჩენის ისტორიული მისიის შესრულებისთვის“. 16-პუნქტიანი კანონი დღევანდელი პრეზიდენტის სტატუსს დაარეგულირებს მას შემდეგ, რაც ის ქვეყნის მეთაურის თანამდებობას დატოვებს. ეს ტატუსი, კერძოდ, ემომალი რახმონს პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის შემდეგ ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს.

თურქმენეთი

თურქმენეთში პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებული იქნა მანამ სანამ ეს კონსტიტუციურად იქნებოდა დაკანონებული. 1990 წელს პრეზიდენტი გახდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი საფარმურად ნიაზოვი, რომელმაც ოფიციალური გაპრეზიდენტების შემდეგ თავი გამოაცხადა თურქმენთა ლიდერად და „დიდებული თურქმენბაში“ უწოდა.

მრავალი წლის განმავლობაში ამქვეყნის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, მედია საშუალებები იშვიათად აშუქებდნენ ინფორმაციას მისი ეკონომიკური წარმატებების შესახებ. ამიტომ თურქმენეთი ითვლება დსთ–ს ყველაზე ჩაკეტილ სახელმწიფოდ. 1999 წელს ჯერ უვიზო რეჟიმი გაუქმდა რუსეთთან, ხოლო 2001 წელს ორმაგი მოქალაქეობის სტატუსიც.[36]

ნიაზოვის მმართველობა 1990 წლების დასაწყისში დაიწყო მისი როგორც ყოფილი პარტიული მუშაკიდან – ერის ლიდერად ფორმირებაზე ზრუნვა, რომელიც ასე ვთქვათ პოლიტიკური ლიდერისათვის შეუფერებელი ნიშან–თვისებე-

[36] Акоходжаева М.Перекрой // Оазис. 2011. № 5. С. 4;

ბით გამოირჩეოდა. პირველ ეტაპზე ახალი ეროვნული იდეების დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვან სეგმენტად აღიარებს ისლამს. მან გამოიყენა ისლამი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული და რეგულირებული ფორმით და გამოაცხადა, რომ სახელმწიფო უბრუნდება ისლამს, როგორც ეროვნული კულტურის ნაწილს. თავისი ხელისუფლების გაძლიერებისათვის ნიაზოვი ცდილობს ისლამური სიმბოლიკების უზურპაციას და საზოგადოების დაყვანას იმ იდეამდე, რომ ისლამი ეს თვითონ არის. ის ითხოვდა, რომ მისი ნაშრომის „Рухнама“[37] ციტირება მომხდარიყო ყურანთან ერთად. აღნიშნული გარემოება იწვევდა საზოგადოების უკმაყოფილებას, თუმცა ღიად ამაზე არავინ საუბრობდა.[38]

ეს თურქმენების დამორჩილებისა და მათგან აგრესიის რისკის შემცირების უნიკალური საშუალება გამოდგა. წლების განმავლობაში ნიაზოვმა გაატარა ბევრი არასწორი რეფორმა, მათ შორის დახურა მეცნიერებათა აკადემია და 1998 წლიდან ქვეყანაში არავის მიუღია საკანდიდატო და სადოქტორო ხარისხი. ნიაზოვი მხოლოდ თავისი შეხედულებებითა და ფანტაზიებით მართავდა ქვეყანას და ამიტომაც თავისი კალენდარი შექმნა სადაც კვირის დღეებს სახელები გადაარქვა, შეკვეცა საშუალო და სრული განათლების მიღების ვადები: 9 წელი სკოლაში და 2 წელი უმაღლეს სასწავლებელში, განაცხადა, რომ არცერთ საზღვარგარეთში მიღებულ დიპლომს, რომელიც გაცემულია ბოლო 10 წლის განმავლობაში არ აღიარებდა, გააუქმა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ბალეტი, ოპერა და თეატრი, დააწესა აკრძალვები სწავ-

---

[37] Ruh – „სული“ და nama – „წიგნი“ : „სულიერება“

[38] Зотов г. 20 лет без СССР. Как живет сегодня Туркмения? // Аргументы и факты. 2011. 26 окт. URL: hტტp://www.aif.ru/socieტy/ arტicle/46791

ლების ახალ მეთოდებზე. ამ შემთხვევაში ნოაზოვი თვლიდა, რომ რადგან თურქმენ ხალხს აქვთ „რუხმანა“ სხვა რამ მისი ინტელექტუალური განვითარებისათვის აბსოლიტურად ზედმეტია. ეს ნაბიჯი ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ლიდერს არ სურს განათლებული საზოგადოება ჰყავდეს, რადგან განათლებულობა წარმოშობს პროგრესს და შესაძლოა პროტესტსაც კი. 2003 წლის ივლისში გრძელდება თურქმენბაშის ფანტაზიების ციკლი და ის ღებულობა გადაწყვეტილებას გადაარქვას აშხაბადის ყველა ქუჩას, გარდა ცენტრალური მაგისტრალებისა სახელები და დაარქვას მათ მისი, მისი მამისა და დედის სახელები. მოგვიანებით ის ღებულობს კანონს „მოწევის აკრძალვის თაობაზე“ და სანქციის სახით აწესებს ჯარიმას ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

საბოლოო ჯამში პოლიტიკური ლიდერის ასეთმა არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ, 2000 წელს ქვეყანა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობამდე მიიყვანა. აღნიშნული ოფიციალური ვერსიით ორგანიზებულიიყო ექს – მინისტრებისა და კონსულების მიერ. მათგან დიდი ნაწილი დაპატიმრებულ იქნა და მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით.[39]

დსთ–ს ჩამოყალიბების დღიდან თურქმენეთი ერთადერთი ქვეყანაა რომელიც დსთ–ს სტატისტიკის კომიტეტს არ აწვდის ინფორმაციას ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების შესახებ. არც პრეზიდენტი ნიაზოვი ესწრება ხშირად დსთ–ს სამიტებს. თუმცა ეს არ გახლდათ შემაფერხებელი ფაქტორი, იმისა, რომ რუსეთის შემდეგ დსთ–ს ქვეყნებისათვის თურქმენთი ყოფილიყო საიმედო მსესხებე-

[39] Айтаков С. Конституция абсурда // Оазис. 2011. № 17. С. 7

ლი ქვეყანა.[40] ნიაზოვმა ერთ–ერთ დსთ–ს სამიტზე კაზანში მიავლინა თავისი წარმოამდგენელი ვიცე–პრემიერი აკიევი, რომელმაც დააყენა საკითხი თურქმენეთის დსთ–დან გამოსვლის შესახებ და ის როგორც ასოცირებული ქვეყანა ისე დარჩა დსთ–ს რიგებში.[41]

2006 წელს საფარმურად ნიაზოვი გარდაიცვალა რითაც მისი პიროვნული დიქტატურა ქვეყანაში დასრულდა. ახალმა პრეზიდენტმა გურბანბული ბერდიმუჰამედოვმა ცივილური დემოკრატიული გზით ჩაატარა არჩევნები, რომელშიც მონაწოლეობის მიღების უფლება მისცა ოპოზიციურ პარტიებსაც და დაიწყო ქვეყნის ახალ ცივილურ რელსებზე გადაყვანა. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ნიაზოვის გარდაცვალების შედეგ ისლამური ფრთა გაძლიერდებოდა ქვეყანაში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ახალმა პრეზიდენტმა უარი განაცხადა „ერის გმირის“ ტიტულზე, თუმცა 2010 წლის ოქტომბერში ის ღებულობს ახალ ტიტულს „Аркадаг“ რაც ნიშნავს „დასაყრდენს“, ხოლო სიმბოლური მნიშვნელობით ნიშნავს „ჩვენი მფარველი, საყრდენი და იმედი“ .

ქვეყანა მნიშვნელოვნად გაიხსნა რამაც მისცა საშუალება დასავლეთის დიპლომატებს ალაპარაკებულიყვნენ ქვეყნის დემოკრატიზაციაზე. ახალი იდეოლოგიის მთავარი ვექტორი გახდა პოლიტიკური ლიდერის მიერ წამოყენებული დევიზი „სახელმწიფო ადამიანისათვის“. 5 წლის განმავლობაში მან გაატარა საბანკო, სასოფლო–სამეურნეო და ენერგო რეფორმები. დაუბრუნა ხალხს ლიკვიდირებული სოცია-

---

[40] Панфилова В. Кто стрелял в Туркменбаши // Независимая газ. 2002. 27 нояб. URL: http://www.ng.ru/cis/2002-11-27/5_niyzov.html

[41] Соловьев И. Ашхабад собирает долги // Независимая газ. 2001. 6 марта. URL: http://www.ng.ru/cis/2001-03-06/5_ashgabad.html;

ლური სფეროები: სრულყოფილი განათლება, ჯანდაცვა, ბუ-ნებრივი აირის სუბსიდიები, წყალი, ელექტროენერგია, ასევე სარკინიგზო და სახელმწიფო ტრანსპორტით სარგებლობა იაფი ტარიფით. ახალი პოლიტიკური ლიდერის მინუსად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებების მხრივ რეფორ-მების გაუტარებლობა, კერძოდ პოლიტპატიმრების საკითხი.

საერთო ჯამში პრეზიდენტი სერიოზულად ფიქრობდა ქვეყანა გადაექცია მეორე ემირატებად, მეორეს მხრივ თურ-ქმენეთი კორიდორის ფუნქციას ასრულებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. აღნიშ-ნულით იყო დაინტერესებული ამერიკაც. თავის მხრივ რუ-სეთის ინტერესების სფეროში შედის და მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება ბუნებრივი აირის მიწო-დებასთან დაკავშირებით. ყოველივე აღნიშნულმა ქვეყანას განვითარების ახალი სტრატეგიები და მიმართულებები მის-ცა. აღნიშნული რესურსები კი თურქმენბაშის ლიდერობის დროს არ გამოყენებულა რამაც ქვეყანა განვითარების თვალ-საზრისით საკმაოდ უკან დახია. 1990 წლისათვის ქვეყნის მშპ 16,2 მლ. ამერიკულ დოლარს შეადგენს, ხოლო ახალი რე-ფორმების გატარების წყალობით 2011 წლის მსოფლიო ბან-კის მონაცემებით ის 93-ე ადგილზეა 180 ქვეყანას შორის და მშპ 39.4 მლ. ამერიკულ დოლარს შეადგენს. თურქმენეთი დღესაც ეკონომიკური ფორმირების პროცესშია.

უზბეკეთი

საბჭოთა კავშირის პერიოდში უზბეკეთი უღარიბეს ად-გილად ითვლებოდა, სადაც მოსახლეობის 60% მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში ცხოვრობდა. დღეს კი, ქვეყანა მსოფლიოში ბამბის წარმოებით მესამე, ხოლო ოქროსა და გა-

ზის უდიდესი მწარმოებელია, ასევე წარმოების დარგში ლიდერია. 1994 წლიდან, ინფლაციის მაღალი დონის მიუხედავად, მთავრობამ რეფორმები დაიწყო, შემოიღო მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, ჩაატარა ფართო პრივატიზაცია, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი შეკვეცა, გააუმჯობესა საინვესტიციო გარემო. ასე რომ, მოსახლეობის რაოდენობრივ სიუხვის მიუხედავად ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების უქონლობისა და მონოკულტურის არსებობამ და საბჭოთა ეპოქაში სოფლის მეურნეობაში ჩაკეტილობამ უზბეკეთს მოუტანა კატასტროფული შედეგები, რომლის გამოსწორებასაც თანამედროვე ლიდერები ცდილობდნენ.

პირველ ეტაპზე პოლიტიკური ლიდერები არასასურველად თვლიდნენ კერძო საკუთრების შემოღებას და მხარს უჭერდნენ გრძელვადიანი არენდის შემოღებას. მათი გათვლებით დასაწყისში ეს ქვეყნის ეკონომიკისათვის საუკეთესო გამოსავლი უნდა ყოფილიყო.

უზბეკეთის ეკონომიკურ განვითრება ეტაპობრივად განხორციელდა. საზღვაო გზებისაგან იზოლირებული უზბეკეთისათვის უმნიშვნელოვანესი იყო „აბრეშუმის გზის“ პროექტი. ოფიციალური ტაშკენტი ამ სატრანსპორტო დერეფანს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

ისლამ კარიმოვმა, უზბეკეთის პირველმა პრეზიდენტმა, ამ იდეის შესახებ ჯერ კიდევ 1998 წელს განაცხადა.[42] ამასთანავე ამ პროექტის წარმატებისათვის საჭირო იყო ქვეყნის საბანკო სისტემის სრულყოფა, ნდობის მოპოვება საზოგადოებაში და საზღვარგარეთის ინვესტორებთან, რათა მათ

---

[42] Агамамедова З. Нейтралитет Туркменистана // Мировая политика и международные отношения. 2003. Т. 1. № 3. URL: http://www.intertrends.ru/three/012.htm

თავისუფლად შეენახათ თავიანთი დანაზოგი საბანკო დაწესებულებებში და ინვესტორებს ქვეყანაში ინვესტიცია თავისუფლად ჩაედოთ.[43]

მიუხედავად იმისა ქვეყანაში ოპოზიციური პარტიების არსებობა დაუშვებელია.[44] კარიმოვმა თავის პოლიტიკურ გზაზე ჩამოიშორა ყველაზე ელიტარული პარტიები უზბეკეთში – „ბირლიკი' და „ერკი". ასევე ამ ქვეყნის კონსტიტუცია ერთადერთია დსთ–ს ქვეყნებში სადაც არ არის გათვალისწინებული პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი.[45]

2005 წლის ანდიჟანის (ქალაქი უზბეკეთში) მოვლენები უზბეკეთის ისტორიაში შევიდა როგორც შეიარაღებული აჯანყება „სამართლიანი სახელმწიფოს" ისლამურ კანონებზე დაყრდნობით შექმნის დასავლეთის მიერ კი ეს მოვლენა განსხვავებულად შეფასდა – ეს იყო მთავრობის საწინააღმდეგო მასობრივი აქციის დარბევა რა დროსაც დაიღუპა 187 და დაშავდა ასობით ადამიანი.[46][47]

საერთაშორისო ორგანიზაციებმა მოქმედ პოლიტიკურ ლიდერს და ხელისუფლებას მოსთხოვეს დამოუკიდებელი საგამოძიებო სამუშაოების ჩატარება, რაზედაც ხელისუფლებამ უარი განუცხადა მათი აზრით ეს ქვეყნის საშინაო საქმეს წარმოადგენდა. აღნიშნულის გამო ამერიკამ და ევროკავშირმა დააწესეს ემბარგო უზბეკეთიდან საქონლის მოწოდებაზე და იმ მაღალი რანგის უზბეკი ჩინოვნიკების ევროპაში შეს-

---

[43] Левитин Л. Узбекистан на историческом повороте. Критические заметки сторонника президента Ислама Каримова. М.: Вагриус, 2001. С. 214–215

[44] Межгосударственный статистический комитет СНГ: стат. бюлл. 1997. № 2. С. 70;

[45] В Узбекистане продолжается реформирование финансово-банковской системы //Независимая газ. 2010. 2 дек. URL: http://www.ng.ru/cis/2010-12-02/6_uzbekistan.html;

[46] Панфилова В. Узбекистан не айсберг и не может дрейфовать // Независи- мая газ. 2006. 1 сент. URL: http://www.ng.ru/cis/2006-09-01/6_zbekistan.html;

[47] Андижанский мятеж. Запад признал правоту властей Узбекистана //Независимая газ. 2011. 29 янв. URL: http://www.ng.ru/cis/2011-01-29/100_andijan.html

ვლაზე აკძალვა, რომლებიც ანდიჟანში ადამიანების დაღუპ-ვაში იყვნენ გარეულნი. საპასუხოდ კარიმოვმა ექსტრემის-ტებთან თანამშრომლობის მოტივაციით ხანაბადში განთავ-სებული ამერიკის ბაზა, რომელსაც ამერიკა ავღანეთში ჯა-რის უზრუნველსაყოფად იყენებდა დახურა. ამ თვალსაზრი-სით კარიმოვის, როგორც პოლიტიკური ლიდერის პოლი-ტიკა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საშინაო საქმეებ-ზე ორიენტირებულ პოლიტიკად, რომელშიც ის გიგანტ სა-ხელმწიფო კავშირებსაც არ ირევს და უფრო მეტიც არ უშინ-დება მათ.

ამის შემდგომ კარიმოვი თავისი ქვეყნის პოლიტიკურ გეზს აღმოსავლეთისაკენ იღებს, კერძოდ პეკინთან აფორმებს ოცამდე შეთანხმებას, ენერგეტიკის, ნავთობის მოპოვების და ბუნებრივი აირის, ასევე სავაჭრო ურთიერთობის გაფართოე-ბის სფეროში. პოლიტიკური ლიდერი დასავლეთთან ურთი-ერთობის გაფუჭების შემდგომ არ ვარდება გაუგებრობაში და ქვეყნის კრიზისში ჩაგდებისაგან თავის ასაცილებლად საუ-კეთესო გამოსავალს პოულობს, რაც მის დიპლომატიაზე მი-უთითებს. მიუხედავად საერთო საზღვრის არარსებობისა პერსპექტიულ პროექტებში განიხილება საკრინიგზო მაგის-ტრალი „უზბეკეთი–ყირგიზეთი–ჩინეთი“, რომელიც განაპი-რობებს ინდოეთთან და იაპონიასთან ურთიერთობების გაღრმავებას.[48][49]

2011 წლის 7 დეკემბერს კარიმოვის სიტყვით გამოს-ვლის დროს მან მკაფიოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ უზბეკეთი მიუხედავად ზოგიერთის ნოსტალგიური დამო-

---

[48] Левитин Л. Узбекистан на историческом повороте. Критические заметки сторонника президента Ислама Каримова. М.: Вагриус, 2001. С. 243

[49] Андижанский мятеж. Запад признал правоту властей Узбекистана //Независимая газ. 2011. 29 янв. URL: http://www.ng.ru/cis/2011-01-29/100_andijan.html

კიდებულებით სსრკ–სთან მიმართებაში აღარასოდეს დაბრუნდება უკან იქ სადაც მას არ მისცეს განვითრების საშუალება და ის ნებისმიერ ასეთი ინტეგრაციის წინააღმდეგი იყო. ეს გამოსვლა მაინც არ გამოქვეყნდა რუსულ ენაზე და სხვათაშორის რუსული პოლიტიკის გამო 1993 წელს ქვეყანა გადავიდა ლათინურ დამწერლობაზე.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების მიხედვით მთავარი ფინანსური, სავაჭრო და ინფორმაციული დინებები 21-ე საუკუნეში განაწილდება აშშ-ევროპა-აზიის, განსაკუთრებით ცენტრალური აზიის სამკუთხედში. ცენტრალური აზიის რეგიონი ბოლო წლებში სულ უფრო მზარდ ყურადღებას იქცევს. საბჭოთა ეპოქაში ამ რეგიონს "საბჭოთა შუა აზია და ყაზახეთი"უწოდებდნენ. ამგვარი სახელწოდებიდან უკვე ჩანს, რომ საბჭოთა სივრცეში, ამ რეგიონს არ განიხილავდნენ როგორც ერთ მთლიანობას, რაც ცოტა არ იყოს და მოულოდნელი იყო უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის და ყაზახეთის პოლიტიკური ლიდერებისათვის. ახალი გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე რეგიონის ლიდერებმა გადაწყვიტეს რეგიონს ეწოდოს ცენტრალური აზია. თუმცა, უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი მიზანშეწონილად თვლიდა შეენარჩუნებინათ ძველი სახელწოდება - შუა აზია. მაგრამ ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა თავისი გაიტანა.

ცენტრალური აზიის ქვეყნების ბედი პოსტსაბჭოთა სივრცეში სხვადასხვა ფორმირებებით გამოიჩევა, რიგი სახელმწიფოები ახერხებენ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებასა და განვითარებას, თუმცა არის ქვეყნები, სადაც განვითარება პოლიტიკური ლიდერების ავტორიტარული დამოკიდებულების გამო შეფერხდა. აზიური ლიდერების საერთო

მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ „ერის მამის ლიდერის“ წოდება, რაც უმეტესწილად მათი ავტორიტარული მმართველობის რეჟიმიდან უფრო გამომდინარეობს, ვიდრე დამსახურებიდან. რადგანაც რიგი ქვეყნები (ტაჯიკეთი, ყირგიზეთი. თურქმენეთი) პოლიტიკური ლიდერების არასწორმა და სუსტმა პოლიტიკამ უდიდესი პოლიტიკური საფრთხის წინაშე დააყენა.

ყველაფრის მიუხედავად ეს ქვეყნები მსოფლიო მნიშვნელობის მაგისტრალებსა და მარაგებს ფლობენ და პოლიტიკური ლიდერების სწორი მიდგომებითა და დიპლომატიით ისინი ბევრად უფრო დიდ ცივილიზაციას უნდა ფლობდნენ. თუმცა ხაზგასასმელია გარე ფაქტორებიც და ისიც რამდენად არის სასარგებლო პატარა ქვეყნების კიდევ უფრო ფართო ეკონომიკურ არეალზე გასვლა.

ამიერკავკასის განვითარება პოსტსაბჭოთა სივრცეში

აზერბაიჯანი

საბჭოთა სივრცის დაშლის შემდეგ ამიერკავკასია იმ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც შიდა პოლიტიკური არეულობა პიკს აღწევს და ეს სამი ქვეყანა მძიმე შიდა პოლიტიკური კონფლიქტების გამო დიდხანს ვერ ახდენს თავისი სახელმწიფოებრიობის სრულყოფას.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით აზერბაიჯანი ლიდერობს. მასზე მოდის რეგიონის ტერიტორიის 47 და მოსახლეობის 48 პროცენტი. აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთზე მაღალია არა მარტო მშპ-ის საერთო მაჩვენებელი, მშპ ერთ

სულ მოსახლეზე გაანგარიშებით და ჰუმანური განვითარების ინდექსი, არამედ საშუალო ხელფასის მაჩვენებელიც და ის 50 ამერიკულ დოლარს შეადგენს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანა დაადგა განვითარების საბაზრო ეკონომიკის გზას, მთლიანად შეიცვალა საკუთრების ფორმები და დაწინაურდა კერძო სექტორი, ქვეყანა განთავისუფლდა ე.წ. გეგმიური ეკონომიკისგან. თანდათანობით იცვლება მისი სპეციალიზაციაც, იგი თავად ქვეყნის ინტერესების შესატყვისი ხდება

თანამედროვე აზერბაიჯანის ისტორია იწყება 1991 წლის 18 ოქტომბრიდან, როდესაც მიღებულ იქნა ქვეყნის კონსტიტუცია და განსაკუთრებით მაშინ როცა გამწვავდა კონფლიქტი მთიან ყარაბახში.

აღნიშნული საკითხის მოუგვარებლობა შეიძლება შეფასდეს ერთის მხრივ საგარეო პოლიტიკის დესტაბილისაზაციით, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც პოლიტიკური ლიდერის სისუსტედ უნდა მივიჩნიოთ, რომელიც არა კონკრეტული ეპოქის არამედ უფრო ადრეული ისტორიიდან იღებს სათავეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანს მუდმივი კონფლიქტის პირობებში მართავდნენ სხვადასხვა ლიდერები. 1990 წელს, როცა საბჭოთა ჯარებმა აზრბაიჯანში სისხლისღვრა მოაწყვეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელმირა კაფაროვა მოსკოვში იმყოფებოდა და მომხდარი მის მიერ იქნა შეფასებული როგორც ძალადობა და ადამიანის უფლებების დარღვევა, თუმცა, მიუხედავად ამისა 1994 წელს კაფაროვის სახელი მოიხსენიება იანვრის ტრაგედიის მთავარ დამნაშავეებს შორის, რომელმაც ვერ მოახერხა ხალხის უსაფრთხოების დაცვა. მის შემდეგ დროებით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე თანამდებობას იკავებს იაკუბ მამედოვი, რომელმაც 7 მაისს სომხეთის პრეზიდენტთან ლეონიდ ტერ–პეტროსიანთან თეირანში ირანის მე-

დიატორობით მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ცეცხლის შეწ-ყვეტის თაობაზე, რომელიც მეორე დღესვე დაირღვა, რასაც მოჰყვა ქალაქ შუშის დაპყრობა სომხეთის ჯარების მიერ. თავის ინტერვიუებში მამედოვი ყოველთვის ცდილობდა პასუხის-მგებლობისაგან თავის აცილებას.

1992 წლის მარტში სახელმწიფო გადატრიალების შედე-გად დამხობილ იქნა პრეზიდენტ აიაზ მუთალიბოვის მმარ-თველობა და ხელისუფლების სათავეში მოვიდა სახალხო ფრონტი აბულფაზ ელჩიბაის მეთაურობით. თუმცა ვერც მან ვერ შეაჩერა პოლიტიკური კრიზისი და ხალხის მოთხოვნით ხელისუფლებაში მოვიდა ჰეიდარ ალიევი, რომელიც აზერ-ბაიჯანს მართავდა 1969-1982 წლებში, 1993 წელს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც ალიევმა ხმები 98,8% დააგროვა. მისმა დაბრუნებამ ქვეყანაში ცხოვრების რადიკა-ლური შეცვლა განაპირობა. საბრძოლო მოქმედებების შეჩე-რების შემდეგ ალიევმა მოაწერა ხელი ე.წ. საუკუნის კონ-ტრაქტს მსოფლიოში უმსხვილეს ნავთობისა და ბუნებრივი აირის კორპორაციებთან აზერბაიჯანის სექტორის გაფარ-თოების შესახებ. ქვეყანაში შემოვიდა საზღვარგარეთის ინვეს-ტორები, რასაც ეკონომიკური განვითარება მოჰყვა.

საბჭოთა კავშირის დროს 1985 წელს აზერბაიჯანის მშპ 7,4 ათასს ამერიკულ დოლარს შეადგენდა. აღნიშნული მაჩვე-ნებელი კი 1990 წლისთვის, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისათვის უკვე 16,7 ათასს ამერიკულ დოლარამდე აი-წია. რაც შეეხება მსოფლიო ბანკის მონაცემებს 2011 წლის-თვის 180 ქვეყანას შორის აზერბაიჯანი 71 ადგილზეა და ქვეყნის მშპ 89.29 მლნ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ეს მაჩ-ვენებელი აშკარად მიუთიტებს აზერბაიჯანის სწორ ეკონო-მიკურ პოლიტიკაზე, რომელიც განპირობებულია მისი პო-ლიტიკური ლიდერების – ჰეიდარ და ილხამ ალიევების მი-

ერ ქვეყნის სტრატეგიული გეგმის სწორად შემუშავებასა და რეალიზებაზე. რასაკვირველია საგარეო ფაქტორებიც დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკაზე, მაგრამ ძირითადი დატვირთვა მაინც ლიდერის ფენომენზე და მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე მოდის.

აზერბაიჯანი დიდი ხანია ლიდერობს დსთ–ს ქვეყნებს შორის განვითარების ზრდის ტემპებით. მსოფლიო სავალუტი ფონდმა აღიარა, რომ აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის ანტიკრიზისული პროგრამა ყველაზე ეფექტური იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში. სახმრეთ კავკასიის სავალუტო რეზერვის 80 % – ზე მეტი აზერბაიჯანზე მოდიოდა. აღნიშნულ პოლიტიკას დღემდე წარმატებულად ანხორციელებს ალიევის მემკვიდრე პოლიტიკაში მისი შვილი ილხამ ალიევი, რითაც აზერბაიჯანი გახდა მსოფლიოში ბუნებრივი აირის ბაზრის უმსხილესი და უმნიშვნელოვანესი მოთამაშე.

სომხეთი

სომხეთის პოლიტიკური ისტორია პოსტსაბჭთა სივრცეში მეზობელი ქვეყნებისაგან მკვეთრად განსხვავებულ ვითარებაში წარიმართა. სომხეთის დამოუკიდებლობის ფაქტორი გახდა ყარაბახი. ჯერ კიდევ 1998 წლიდან პირველადი პრობლემა იყო ტერიტორიული ფაქტორი, მხოლოდ წინააღმდეგობის ვექტორი მიმართული იყო არა მოსკოვზე, არამედ ბაქოზე. 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმში სომხეთი არ მონაწილეობდა. მიუხედავად ნედლეულისა და ენერგორესურსების უქონლობისა, ქახანა–ფაბრიკების გაჩერებისა და მსხვილი სასოფლო სამეურნეო სფეროს ვიწრო საბაზრო მეურნეობად გადაქცევისა სომხეთი სსრკ–დან გამოსვლის იურიდიულ პროცედურებს განიხილავდა. 1994 წელს

ხელისუფლებამ მსოფლიო სავალურო ფონდის დახმარებით სომხეთის პირველმა პრეზიდენტმა ტერ–პეტროსიანმა შემ-ლო ეკონომიკის ლიბერალიზაცია, კერძოდ სიღარიბის შემ-ცირებით, ინფლაციის დაწევითა და თავისი ვალუტის სტა-ბილიზაციით. თუმცა ყოველივე ეს მას თანამდებობად და-უჯდა. 1998 წელს მან დატოვა თანამდებობა. თუ 1990 - იან წლებში სომხეთის პოლიტიკური კლასი ლიბერალური ინ-ტელიგენციისაგან შედგებოდა. „... დღეს ხელისუფლება მო-ითხოვს არა იდეოლოგებს, არამედ ჩინოვნიკებს, რომლებსაც ხელეწიფებათ გადაწყვეტილებების მიღება და მისი აღსრუ-ლება ყოველგვარი ორატორული შესაძლებლობებისა და რე-ვოლუციური წარსულის გარეშე„ [50]

დაიწყო ინტელექტუალების შეცვლა ტექნოკრატებით, რომლების უფრო ადეკვატურად აფასებდნენ რეალობას და შეძლებდნენ ახალი სომხეთის, რომელიც არქაული ეკონომი-კითა და სუსტი პოლიტიკური ინსტიტუტებით ხასიათდე-ბოდა. ამ დროისათვის პარლამენტში ფაქტიურად არ არის ოპოზიცია, და ვინც არის რეალურად ვერ ახდენენ გავლენას პოლიტიკაზე

თუ პოსტსაბჭოთა თაობის პირველი სომხური ელიტე-ბი ხელისუფლების გარშემო იყვნენ კონსოლიდირებულები, ყარაბახის კონფლიქტის დასრულების შემდგომ კონსოლი-დაცია სრულდება და წინააღმდეგობები მიტინგების რეჟიმ-ში გადადის, თუმცა სიტუაციაზე რეალური ზემოქმედების გარეშე. რაც შეეხება სომხეთის ეკონომიკას, დიდი ბუნებრი-ვი რესურსების არქონის პირობებში, „ნულიდან“ უნდა ფორ-მულირებულიყო. საბჭოთა კავშირის პერიოდში 1985 წელს 31,1 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს, ხოლო 1990 წლი-

[50] Инсамов К.. Нищие, но гордые // Оазис. 2011. № 23. С. 6

სათვის 29,5 ათასს ამერიკულ დოლარამდე ეცემა. რაც შეეხება მსოფლიო ბანკის სიას 180 ქვეყანას შორის სომხეთი 124–ე ადგილზეა და მშპ 16.55 მლნ. ამერიკულ დოლარს შეადგენს.

ბიზნესმენები აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ერთმანეთთანაც და სახელმწიფოსთანაც, ამიტომ ისინი მთავარი პოლიტიკური მოთამაშენი გახდნენ. ამდენად ხელისუფლებას ანხორციელებენ არა პოლიტიკური პარტიები არამედ ელიტარული ბიზნეს ჯგუფები.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის ნგრევისა და სომხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად ჩამოყალიბების შემდეგ, ქვეყნის გეოგრაფიული მოწყობა, ისტორიული გამოცდილება და ყარაბახის კონფლიქტი ჯამში ერთად, განაპირობებს სომხეთის საგარეო პოლიტიკურ კურსსა და განსაზღვრავს ძირითად პოლიტიკურ მიმართულებებს.

რაც შეეხება სომხეთის პოლიტიკურ ლიდერებს, მათი პოლიტიკური ნაბიჯები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ სომხეთის პოლიტიკურ განვითარებაზე.

1990-იანი წლების ბოლოს სომხეთში ხელისულების სათავეში ეროვნული მოძრაობა მოვიდა ტერ-პეტროსიანის ხელმძღვანელობით. პეტროსიანის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იყო რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. პრეზიდენტის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თურქეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას. ტერ-პეტროსიანი და მისი თანამოაზრეები მიიჩნევდნენ, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის არსებულ ისტორიულ გამოცდილებას ხელი არ უნდა შეეშალა ორ სახელმწიფოს შორის პრაგმატული ურთიერთობების დაწყებისათვის. პრეზიდენტ პეტროსიანის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იყო რეგიონის ქვეყნებთან

მჭიდრო თანამშრომლური ურთიერთობების წარმოებაზე, რაც სომხეთისათვის

მომგებიანი იქნებოდა. კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობების წარმოება თურქეთთან სომხეთის ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა, გახსნილი საზღვრები კი ამ დრომდე "ჩაკეტილ" სახელმწიფოს სატრანზიტო ფუნქციას შესძენდა.

ხელისუფლებაში მოსული პრეზიდენტ ქოჩარიანის ადმინისტრაციას, პეტროსიანისაგან განსხვავებით, უდავოდ ჰქონდა მხარდაჭერა დიასპორისაგან, რადგან მან მოახდინა დიასპორის ინტერესების ინკორპორირება ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებში. პრეზიდენტობის პერიოდში სომხეთის საგარეო კურსის განსაზღვრისას მოწინავე ადგილი გენოციდის აღაირებას ეკავა და საერთშორისო ასპარეზზე პრეზიდენტი ქოჩარიანი თურქთისადმი უარყოფითად განწყობილ მოკავშირეებს აქტიურად ეძებდა. ნაციონალისტური განწყობების გავლენა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე კი მკვეთრად გაიზარდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ რადიკალურ ნაციონალისტური პარტიიის - დაშნაკცაუტუნის ლეგალიზაცია მოახდინა. საბოლოოდ კი დიასპორის მხარდაჭერით, რადიკალურ-ნაციონალისტური მოძრაობების გააქტიურების შედეგად, სომხეთ-თურქეთს შორის ურთიერთობები პრეზიდენტ რობერ ქოჩარიანის მმართველობის პერიოდში კიდევ უფრო დაიძაბა, ორივე ქვეყანა პრაგმატული პოლიტიკის რელსებს ასცდა და მათ შორის არსებული ანტაგონიზმი კიდევ უფრო გაძლიერდა.

სერჟ სარქისიანის პერიოდში სომხეთის საგარეო პოლიტიკა თურქეთისადმი დიდად არ განსხვავდება მისი წინამორბედის მიერ გატარებული პოლიტიკისაგან. სომხეთის

გენოციდის აღიარება კვლავ წარმოადგენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს. სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დათბობას მოასწავებდა 2009 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული ციურიხის ოქმი, რომელიც ითვალისწინებდა ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთბების აღდგენასა და სუვერენიტეტის პატივისცემას. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევდნენ, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ახალი ფაზა იწყებოდა და ისტორიული ნარატივებით გამყარებულ პოლიტიკას პრაგმატული პოლიტიკური კურსი ჩაანაცვლებდა. თუმცა მოლაპარაკებების რაუდი ჩაიშალა (დიასპორა ციურიხის ოქმის რატიფიცირების წინააღმდეგი იყო) სომხეთსა და თურქეთს შორის "გაუცხოების" პოლიტიკა გრძელდება.

სომხეთის იზოლაცია განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან მისი საფუძველი სომხეთის ამჟამინდელი გეოპოლიტიკური პოზიციიდან გამომდინარეობს. ეს ქვეყანა მდებარეობს კავკასიის არასტაბილურ რეგიონში - საქართველოს, აზერბაიჯანისა და რუსეთის შემადგენლობაში არსებული ჩეჩნეთისა და დაღესტნის მერყევი რესპუბლიკების გვერდით. რეგიონი გარშემორტყმულია რუსეთით, თურქეთითა და ირანით - სამი ძლიერი ძალით, რომელთაც განსხვავებული ინტერესები აქვთ. პატარა სომხეთს კი, ცხადია რომ ნამდვილად რთული პოზიცია უკავია. ერევანი აზერბაიჯანს ემტერება მთიანი ყარაბაღის გამო, მას ასევე აქვს დაძაბული ურთიერთობა თურქეთთან, რომელთანაც საზღვარიც ჩაკეტილი აქვს, თან თურქეთი მხარს უჭერს აზერბაიჯანს. საქართველოც მჭიდროდ თანამშრომლობს აზერბაიჯანთან და თურქეთთან ენერგო და უსაფრთოხების საკითხებში. ირანი კი კავკასიაში მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშე არ არის, ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის მაინც. ასეთ მერყევ გა-

რემოში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სომხეთმა რუსეთთან სტრატეგიული კავშირები აირჩია და შეუერთდა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს, ასევე და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას. სომხეთში, გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზაზე, დაახლეობით 5 000 რუსი სამხედრო იმყოფება, რუსეთი ასევე პასუხისმგებელია სომხეთ-თურქეთის საზღვრის დაცვაზეც. რუსეთი ფლობს სომხეთის სტრატეგიული ინფრასტრუქტურის დიდ ნაწილს, მათ შორის ენერგო და სატელეკომინუკიაციო კომპანიებს. ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული, სწორედ, რუსეთთან.

ამრიგად, სამხრეთ კავკასია მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობით ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილს წარმოადგენს, რეგიონში მწვავედ დგას რუსული, ქართული, სომხური, თურქული, აზერბაიჯანული და ზოგადად დასავლური ინტერესების თანხვედრის პრობლემა, ეს კი ხშირ შემთხვევაში საკმაოდ არასასურველ შედეგებამდე მიდის. მსოფლიო პოლიტიკურ ლიტერატურაში ტერმინი "სამხრეთ კავკასია" ახალი დამკვიდრებულია. ეს მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას, შედეგად საქართველომ, სომხეთმა და აზარბაიჯანმა დამოუკიდებლობა აღიდგინეს, რამაც რეგიონში სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია.

ამიერკავკასიის ქვეყნები თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობებზეა დაფუძნებული. დღეისათვის ამ სახელწიფოებს შორის ხელმოწერილია 100-ზე მეტი სახელშეკრულებო-სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს თანამშრომლობის ყველა სფეროს. ეს სფეროები მოიცავს: მუდმივი პოლიტიკური დიალოგი ორმხრივ ფორმატში; თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში, რაც ითვალისწინებს ენერგოუსაფრთხოების

გარანტიებს. კერძოდ, 2008 წლის ნოემბერში, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და აზერბაიჯანის ნავთბკომპანიას შორის (სოკარი) გაფორმდა 5 წლიანი მემორანდუმი საქართველოსთვის აზერბაიჯანული გაზის მოწოდების თაობაზე. ამავდროულად ამ ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებს ისეთი მსხვილმასშტაბიანი, რეგიონული მნიშვნელობის მქონე ენერგეტიკული მიღწევები, როგორებიცაა „ყულევის“ ნავთობტერმინალი, „ბაქო-სუფსისა“ და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენები, აგრეთვე „ბაქო-თბილისი-ერეზუმის“ გაზსადენი. ამავდროულად საქართველო აზერბაიჯანიდან ევროპისთვის გაზის მიწოდების ალტერნატიულ გზას წარმოადგენს.

სომხეთი ამიერკავკასიის ყველაზე პატარა ქვეყანას წარმოადგენს და შეიძლება ითქვას ყველაზე არახელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა აქვს. მას არ აქვს საქართველოს მსგავსად შესაძლებლობა ზღვის გავლით დაუკავშირდეს ევროპას. ის იძულებულიც კია მეზობლებთან დაამყაროს ჰარმონიული ურთიერთობა, რათა შეძლოს სხვა რეგიონებთან დაკავშირება. სომხეთში თავს იყრიდა მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო გზები. თურქების მიერ სომხური ტერიტორიების ანექსიის შედეგად, სომხები იძულებულნი გახდნენ საქართველოში კერძოდ კი უმეტესად სამცხე-ჯავახეთში დასახლებულიყვნენ. ურთიერთობის სტაბილურობა და უსაფრთხოება ორივე მხარისთვის და ასევე რეგიონისთვის მეტად მნიშვნელოვანია[51].

---

[51] ნაშრომი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც სომხეთში განხორციელდა რადიკალური ცვლილებები. სახალხო პროტესტის შედეგად სომხეთის პრემიერ-მინისტრად არჩეულ იქნა რეფორმატორი პოლიტიკოსი ნიკოლ ფაშინიანი, რაც ქვეყნის გავნვითარებას ახალ პერსპექტივებს უქმნის.

ამრიგად, სამხრეთ კავკასია მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ყოველთვის ევროპისა და აზიის ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. ის წარმოადგენს კონტინენტების ერთგვარ დერეფანს, რომლის წყალობითაც ეს უკანასკნელნი ერთმანეთს უკავშირდებიან. სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას თავისი წვლილი შეაქვს რეგიონის განვითარებაში. ამ ქვეყნების, როგორც პატარა ქვეყნების, პოლიტიკურ ლიდერებზეა დამოკიდებული ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკა, ასევე მათი როლის გაზრდა ევრაზიის პოლიტიკაში გარკვეული ადგილის დამკვიდრებისათვის, თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის და მომავალში სტრატეგიული როლის შესრულებაში.

ბალტიისპირეთის ქვეყნების განვითარება პოსტსაბჭოთა სივრცეში

1990 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნებში უმაღლესი საბჭოს არჩევნებში სახალხო ფრონტის გამარჯვების შემდეგ სამივე რესპუბლიკის მიერ მიღებული იქნა დოკუმენტი, რომლითაც გამოცხადებულ იქნა მათი დამოუკიდებლობა და უკანონოდ სცნეს საფუძველი, რომლითაც 1940 წელს მიუერთდნენ ისინი სსრკ–ს. 2001 წლის 24 აგვისტოში რუსეთმა, ისლანდიის შემდეგ სცნო ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის დამოუკიდებლობა. ბალტიისპირელებმა მალევე უარი თქვეს თავიანთ წარსულზე, რადგან არასოდეს თვლიდნენ ისინი თავს სსრკ–ს ნაწილად და გეზი პირდაპირ ევროპისაკენ აიღეს.

2004 წლის 29 მარტიდან ბალტიისპირეთი უკვე ნატოს წევრი ქვეყნებია, ხოლო 2004 წლის 1 მაისიდან ისინი შევიდნენ ევროკავშირში.

2008 წლის ივნისში ლიტვის პარლამენტმა მიიღო კანონი საბჭოთა სიმბოლიკის ნაცისტურ სიმბოლიკასთან გათანაბრებისა და მისი საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში – საჯაროდ გამოუყენებლობის თაობაზე, რადგან ისინი ასოცირდება ნაცისტურ პროპაგანდასთან და კომუნისტურ ოკუპაციურ რეჟიმებთან. ბალტიისპირეთი საბჭოთა სისტემის მიმართ ყველაზე რადიკალური პოლიტიკით გამოირჩევა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ კანონით აკრძალული იყო ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის დროშის, გერბისა და სიმბოლიკის, უნიფორმის ჩათვლით დემონსტრირება.[52]

ასეთი მკვეთრი პოლიტიკით ბალტიისპირეთი თავიდანვე ღიად გაემიჯნა პოსტსაბჭოტა სივრცეს და ჩქარი ტემპით შევიდა ყველა ევროპულ გაერთიანებაში. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციაში ქაოსითა და პოლიტიკური დესტაბილიზაციით ამ ქვეყნების ლიდერებმა შესანიშნავად ისარგებლეს და თავიანთი ქვეყნების სრული ევროინტეგრაცია მოახდინეს, რამაც სამომავლოდ ბალტიისპირეთის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი.

რაც შეეხება რუსეთთან ამ ქვეყნების შემდგომ პოლიტიკური შეხების წერტილებს, ეს მხოლოდ 16 წლის შემდეგ 2010 წელს განხორციელდა, როცა პირველად ლატვიის პრეზიდენტ ვალდის ზატლერსას ოფიციალური ვიზიტი შედგა მოსკოვში. ვიზიტის სამუშაო ენა იყო რუსული. ეს პირველი დიპლომატიური ნაბიჯი იყო ორი ურთიერთდაპირისპირებული ქვეყნების პოლიტიკური ლიდერებისა, რომელსაც პოზიტიური შედეგები მოჰყვა ორივე მხარისათვის.

---

[52] Сидоров С. В поисках великой узбекской мечты // Аргументы и факты. 2011. 20 апр. URL: http://www.aif.ru/society/article/42497

ესტონეთის საწყისს რეფორმებში დადებითი როლი შეასრულა არა მხოლოდ უცხო ქვეყნები დახმარებებმა, კრედიტებმა თუ სესხებმა 285 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით, არამედ ასევე თვით ქვეყნის 100 მილიონი დოლარის ოდენობით კაპიტალმა, რომელიც ომამდე პერიოდის ესტონეთს ჰქონდა და რომელიც საზღვარგარეთის ბანკებში იყო გაყინული 1940 წელს მისი სსრკ–სთან მიერთების გამო.[53]

საერთო ჯამში ბალტიისპირეთის ქვეყნები პოსტსაბჭოთა პერიოდში ყველაზე საუკეთესო სოციალურ–ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდნენ, ვიდრე დსთ–ს სხვა წევრები. 2001 წელს გაზეთი The New York Times წერდა: „ბალტიისპირეთის სამივე სახელმწიფომ საკმაო მოგება მიიღო ბოლო ათწლეულის მანძილზე რუსეთისაგან ნავთობისა და მსგავსი ტვირთის გადაზიდვისას ტალინის პორტის, როგორც სატრანზიტო ხაზით, საბაჟო გადასახდელების სახით, ასევე რიგისა და ვენტსპილსის პორტებით სარგებლობით. რუსი ექსპერტების შეფასებით ლატვიისა და ლიტვის ეკონომიკის 25% შეადგენს ვაჭრობა. ეს მოგება კი რუსეთისაგან იქნა მიღებული“.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლატვიაში გატარდა რადიკალური ეკონომიკური რეფორმები, შემოღებული იქნა ლატვიური რუბლი, რომელიც მოგვიანებით ლატვიურმა ლატმა შეცვალა. დაიწყო პრივატიზაციები და რესტიტუციები. საერთაშორისო ორგანიზაციები აძლევდნენ ლატვიის ლიდერებს რეკომენდაციებს გაეფართოებინათ მშობლიური ენის გამოყენების შესაძლებლობები ადმინიტრაციულ საქმიანობაში. 2011 წელს ლატვიაში დაიწყო აქცია

---

[53] Искандарян А. Армения между автократией и полиархией // Pro et ratio. 2011. № 3–4. С. 23–24;

„მშობლიური ენისათვის“ რომლის მიზანი იყო რუსული ენისათვის მეორეხარისხოვანი ოფიციალური ენის სტატუსის მინიჭება. 2011 წლის 7 მარტს დაიწყო ხელმოწერების შეგროვება საკითხის რეფერენდუმზე გასატანად. თუმცა რუსულ ენას ლატვიაში მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დღესაც.

ესტონეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში ეკონომიკურად მეტად განვითარებული ქვეყანაა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა აქ ხორციელდებოდა სწრაფი ლიბერალური პოლიტიკით, პრივატიზაციით, სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმებით. 1991-1994 წლებში არსებული ეკონომიკური კრიზი მალევე 1995 წელს შეიცვალა ზრდის პროცესით. მსოფლიო კრიზისი ესტონეთის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახა, რასაც მოჰყვა ესტონეთის მოქალაქეების უკმაყოფილება, თუმცა მოგვიანებით წინა წლებთან შედარებით ქვეყანაში დასაქმებულთა რიცხვი გაიზარდა და პრობლემები მეტ–ნაკლებად რეგულირებას დაექვემდებარა.[54]

აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 1985 წლისათვის ლიტვაში 23,9 ათასს ამერიკულ დოლარს, ლატვიაში 22,6 ათასს ამერიკულ დოლარს, ხოლო ესტონეთში 26,0 ათასს ამერიკულ დოლარს შეადგენდა, ანუ ჯამში ბალტიისპირეთის ქვეყნების მშპ მოცულობა 1985 წლისათვის იყო 72,5 ათასს ამერიკულ დოლარი. აღნიშნული მაჩვენებლები 1990 წლისათვის შემდეგნაირად ნაწილდება მშპ მოცულობა ლიტვაში - 23,3; ლატვიაში - 26,9, ხოლო ესტონეთში - 35,8, ჯამში კი 86,0 ათასს ამერიკულ დოლარამდე გაიზარდა. გამომდინარე აქე-

[54] Литовское правительство запретило использование советской символики, приравняв ее к нацистской // Интерфакс. 2008. 17 июня. URL: http://news.mail.ru/politics/1824669

დან ცხადია, რომ თვით საბჭოთა სივრცეში ბალტიისპირეთი თავისი ეკონომიკური რესურსების გამოყენებას მაქსიმალურად ახერხებდა, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობაზე მიუთითებს. რაც შეეხება მსოფლიო ბანკის მიერ 2011 წელს გამოქვეყნებულ სიას მშპ მოცულობის მიხედვით 180 ქვეყანათა შორის ლიტვა მე-60 ადგილზეა და მშპ მოცულობა 60,38 მლრ.ამერიკული დოლარს შეადგენს, ლატვია 95-ეადგილზეა და მშპ მოცულობა 36,59 მლრ. ამერიკულ დოლარს შეადგენს, ხოლო ესტონეთი 107 ადგილზეა და მშპ 26,83 მლრ.ამერიკულ დოლარს შეადგენს. ამრიგად დამოუკიდებლად არსებობის წლებში ყველაზე წარმატებული ეკონომიკური თვალსაზრისით ლიტვის რესპუბლიკაა.

ესტონეთი, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს ნატოს სამხედრო მისიაში ერაყსა

და ავღანეთში. საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის Freedom House–ის მსოფლიოში თავისუფალი პრესის რეიტინგის მიხედვით 2010 წელს ესტონეთი მე–19, ხოლო ლატვია 56-ე ადგილზეა. ეს კი მიუთითებს რომ ესტონეთში დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება ზენიტშია და ქვეყანა ამ კუთხით განვითარების სწორ გზას ადგას.

ბალტიისპირეთის ქვეყნები: ლიტვა, ლატვია და ესტონეთი დასავლეთის სრულფასოვანი წევრები არიან, რაც მოსკოვს ძალადობრივი პოლიტიკის გატარების შანსს არ უტოვებს. დასავლეთმა და, კონკრეტულად კი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახერხა და ეს სამი პოსტსაბჭოთა ქვეყანა საკუთარ ბანაკში გადაიყვანა. ეს ფაქტი მათსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში განმსაზღვრელია, რადგან სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან დამოკიდებულებისგან განსხვავებით, მოსკოვსა და ბალტიისპირეთის რომელიმე ქვეყანასთან ინტერაქცია ორმხრივი ურთიერთობების ჩარჩოში არ

ჯდება, რადგან სამივე მათგანი არის დასავლეთის სრულფასოვანი წევრი და თავად ეს ქვეყნებიც რუსეთთან ურთიერთობის მხოლოდ მრავალმხრივ ფორმატს ირჩევენ. შესაბამისად, მოსკოვი ამ ქვეყნების რამე ფორმით იძულების პოლიტიკას არ ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს რუსეთზე თითქმის 100%-იანი ენერგოდამოკიდებულება აქვს. ამჟამად კრემლის უმთავრესი მიზანი ამ ქვეყნებში მცხოვრები ეთნიკურად რუსი მოსახლეობის ინტერესების დაცვაა.

რაც შეეხებათ ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ისინი ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეობის ყველა ინდიკატორს აკმაყოფილებენ, თუმცა მათ მიმართ რუსეთის პოლიტიკა საქართველოსგან რადიკალურად განსხვავდება. ამის უმთავრესი განმაპირობებელი ის ფაქტია, რომ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრები არიან, რაც მათ მიმართ კრემლის პოლიტიკას ცვლის, რადგან მათზე ძალადობა, დასავლეთზე ძალადობის ტოლფასია. მთავარი საკითხი, რაც ბალტიისპირეთის ქვეყნებს უკავშირდება, არის ის, თუ რეალურად რატომ დათმო რუსეთმა ისინი და რამდენად აქვთ ამის შანსი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების რუსეთის „პრივილეგირებული ინტერესების ზონიდან“ გასვლა ორი ფაქტორის თანხვედრამ გამოიწვია - დასუსტებული რუსეთი და აშშ-ის პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის გაზრდის სურვილი, რაც არამარტო ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებით, არამედ „ფერადი რევოლუციების“ ხელშეწყობით გამოიხატა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებთან მიმართებაში, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნე-

ბისგან განსხვავებით, რუსეთს არ ჰქონდა ისტორიული და ფსიქოლოგიური კომპლექსები, რადგან მომმე რესპუბლიკები ისინი მხოლოდ მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ გახდნენ და ამიტომ მარტივად შეეგუა მათ მიერ საკუთარი გავლენის ზონიდან გასვლას. თუმცა ისიც ყურადსაღებია რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ისტორიულ და ფსიქოლოგიურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, განმსაზღვრელი მაინც უსაფრთხოებაა. შესაბამისად, მათი ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება მხოლოდ და მხოლოდ ათწლეულის დასაწყისში რუსეთის დასუსტების შედეგი იყო. ასე, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების პოლიტიკას საგარეო ფაქტორებმაც შეუწყო ხელი, რაც პოლიტიკური ლიდერერობის მიერ მაქსიმალურად იქნა გამოყენებული და შესაბამისად ქვეყანაზე მორგებული. ასეთი შანსი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც ჰქონდათ მეტ-ნაკლებად, თუმცა მათი ლიდერების მიერ პოლიტიკის სხვა კუთხით წარმართვა მოხდა. რასაკვირველია ეს ყველა შემთხვევაში წარუმატებლობით არ დასრულებულა (ყაზახეთი, აზერბაიჯანი) 2004 წლის, ანუ ბალტიისპირეთის ქვეყნების დასავლურ ბანაკში ოფიციალურად გაწევრიანების შემდეგ, მოსკოვის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში უჩვეულო სიხისტეს იძენს და რეალურად ყველა მეთოდის გამოყენებით ცდილობს არ დაუშვას მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება. რაც შეეხება სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების დასავლურ ბანაკში გადასვლას, შეიძლება ითქვას, რომ ამის ალბათობა დღეს საკმაოდ დაბალია, რადგან არ არის წარმოდგენილი ორი უმთავრესი წინაპირობა - სუსტი რუსეთი და აშშ-ის რეალური ინტერესი, რომ ათწლეულის დასაწყისის მსგავსი ხისტი პოლიტიკით საკუთარ ბანაკში გადაიყვანოს პოსტსაბჭოთა ქვეყნები.

მეორე თავის დასკვნა

ამრიგად, საბჭოთა კავშირის დაშლა მთელი რიგი პროცესების ერთობლიობას წარმოადგენდა. ეს გარდაუვალი პროცესი იყო, მაგრამ ამ ფაქტის წინაშე მდგარი სახელმწიფოს ლიდერები თავდაპირველად გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდნენ, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობა და დემოკრატიული მმართველობა ნეგატიურ მოვლენად არ უნდა შეფასდეს, გარკვეულწილად პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის ეს არც ისე პოზიტიური აღმოჩნდა. მთავარ მოვლენას წარმოადგენდა ახალი, უცხო ცივილიზაციის სწორად მიღება და ახალი ტიპის ლიდერების შერჩევა, რომლებიც ქვეყნებს სრულიად ახალ სამართლებრივ სიცრცეში მოაქცევდნენ. მთელი 70 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ზესახელმწიფოდ აღიარებული რუსეთი, რომელიც დანარჩენი ნაწილის მაკოორდინირებელ სუბიეტს წარმოადგენდა უცებ „უცხო“, „მეზობელი“ და რიგ შემთხვევებში „დამყრობელიც“ გახდა.

პოსტსაბჭოთა პერიოდი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, ერთი დიდი, სუპერ-სახელმწიფოს ნაცვლად საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში 15 ახალი სახელმწიფო გაჩნდა. რამაც გლობალური ცვლილებები გამოიწვია მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივრცეში.

ახალი ერა ახალ ლიდერებს, ახალ მმართველობით სისტემებსა და ინსტიტუტებს მოითხოვდა და ყველაზე დიდ პრობლემას, თითქმის ყველა ქვეყანაში საკადრო დეფიციტი წარმოადგენდა. დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა უნდა ემართა ლიდერს, რომელიც თვითონ უნდა ყოფილიყო უპირველესად დამოუკიდებელი და მას სუვერენიტეტი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებასთან უნდა შეესაბამებინა. მსგავსი პოლიტიკური ლიდერების პოვნა

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კი დიდ დეფიციტს წარმოადგენდა. ამდენად დემოკრატიული ლიდერის ფენომენმა პოსტსაბჭოთა სივრცეში ფორმირების რთული გზა განვლო.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს და რომლებსაც დემოკრატია მხოლოდ შორიდან უნახავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ პიროვნებებს, ლიდერებს, რომლებმაც დროისა და მომენტის შესაბამისად უნდა იმოქმედონ და თავიანი ხალხისთვის ის ერთადერთი სწორი გზა მონახონ, რომელიც მათ პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გზაზე დააყენებს. აღსანიშნავია, რომ დასავლურ სამყაროს, მიუხედავად სურვილისა, არ აქვს დემოკრატიული განვითარების კონკრეტული ჩარჩო პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. მაგრამ ნათელია, რომ დასავლეთისთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სტაბილურ მმართველებს აღმოსავლეთით, რადგან სტაბილური და საიმედო მმართველი ნიშნავს სტაბილურ და საიმედო მოკავშირეს.

საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში არჩეულია სახელმწიფო მოწყობის საპრეზიდენტო მოდელი, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში საპრეზიდენტო არჩევნების ნაწილს იწონებს საერთაშორისო თანამეგობრობა, ნაწილს – იწუნებს, ზოგიც მეტნაკლებად მისაღებია მათთვის. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ახლო აღმოსავლეთის სივრცეში ეგრეთ წოდებული ფერადი რევოლუციების გზით მოხდა სახელმწიფოს ჩამოყალიბების მცდელობა. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით, ორი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა – საქართველო და უკრაინა – გამოირჩეოდნენ. მიუხედავად ამისა, აღასანიშნავია, რომ ქართული და უკრაინული დემოკრატია ჯერ კიდევ სრულყოფილების პროცესშია.

უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუციის ტალღაზე მო-

სული ხელისუფლება ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებისას შეიცვალა და უკრაინული რევოლუციის მებაირახტრის, იუშჩენკოს, ადგილი პრორუსულად ორიენტირებულმა ვიქტორ იანუკოვიჩმა დაიკავა. იუშჩენკოს სახელი უკვე ჩაიწერა უკრაინისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ისტრიაში ერთ-ერთ დემოკრატ მმართველად. უნდა ითქვას, რომ მისი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინის გაერთიანებას, სამართლიანობის დამკვიდრებას და კორუფციასთან ბრძოლას. იუშენკოს მთავარი მიზანი იყო ქვეყნის ევროპულ მოდელზე ფორმირება, რომლის აუცილებლობაც საზოგადოებას აჩვენა. ეს რასაკვირველია პოლიტიკური ლიდერის დიპლომატიური ტაქტი და სვლა იყო გამარჯვებისაკენ რამაც საბოლოოდ პოზიტიური შედეგი გამოიღო ლიდერისათვის ის უკრაინის პრეზიდენტი გახდა.

მეორე მხრივ, იანუკოვიჩის უკრაინამ, როგორც სახელმწიფომ, დასავლეთსა და რუსეთს შორის დაბალანსების პოლიტიკა არჩია და ცდილობდა დამოუკიდებელ მოთამაშედ ჩამოყალიბებას, დღეს უკრაინაში განსხვავებული ვითარებაა, ხელისუფლების სათავეში ახალი პოლიტიკური ლიდერი პეტრო პოროშენკო დგას უკრაინული დემოკრატიაც და დაბალანსების პოლიტიკაც დღესაც ჩამოყალიბების პროცესშია, რომელიც ქვეყანას სამოქალაქო ომის ფასად უზის. ამჟამად ვერც ერთი პოლიტიკური ლიდერი ვერ ახერხებს სიტუაციის ჩიხიდან გამოყვანას, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე და სოციალურ ფონზე ცუდად აისახა. გასულ წლებთან შედარებით უკრაინის ეკონომიკური მაჩვენებელი დაეცა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ მაჩვენებლით დღეს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს შორის მე-10 ადგილს იკავებს.

ბელარუსის უცვლელმა პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუ-

კაშენკომ ისიც მოახერხა, რომ რამდენიმე წლის წინათ „ევროპის უკანასკნელ დიქტატორად“ შეირაცხა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ქვეყნებიდან ბელარუსის ლიდერი ლუკაშენკო დიდი ხნის განმავლობაში გამოთქვამდა მზაობას რუსეთთან ინტეგრაციისათვის და დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან იწყებს არა ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, არამედ ახორციელებს საერთო წარსულის ნარჩენების ინტეგრაციას ახალ სახელმწიფოში. ლუკაშენკოს ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების მიუხედავად ქვეყანაში შეინიშნებოდა პოლიტიკური დაძაბულობა. მართალია, ბელარუსის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებამდე მისადმი დამოკიდებულება თითქოს შერბილდა, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებისას ბელარუსულ ოპოზიციასთან ანგარიშსწორების გამო ალექსანდრე ლუკაშენკო დასავლეთისთვის კვლავ მიუღებელ ფიგურად იქცა.

ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ორიენტირი დღესაც ბუნდოვანია, მაგალითად ყირგიზეთში, რომელიც მნიშვნელოვანი ქვეყანაა იმ თვალსაზრისით, რომ ნატოს სამხედროები აქტიურად იყენებენ „მანასის“ ბაზას ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად. ყირგიზეთის საგარეო ორინეტირები გაურკვეველია: ერთი მხრივ, პირველი ადამიანი, ვისაც ყირგიზეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი როზა უტუმბაევა შეხვდა, ვლადიმირ პუტინი იყო, მეორე მხრივ კი, საქართველოში იმყოფებოდა ყირგიზეთის სამთავრობო დელეგაცია, ქართული რეფორმების გაცნობისა და გადაღების მიზნით, რაც დასავლური სამყაროსკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება იქნეს მიჩნეული. აქ იკვეთება პოლიტიკური ლიდერის არამყარი შეხედულებები მისი ქვეყნისთვის ყველაზე უფრო მორგებული

პარტნიორის შერჩევისას: აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ცივილიზაცია? ეს ყველაზე რთული კითხვა აღმოჩნდა.

თურქმენეთის მაგალითი თვალნათლივ გვიხატავს თუ როგორ შეიძლება პოლიტიკურმა ლიდერმა ავტორიტარიზმით დაამუხრუჭოს ქვეყნის თავისუფალი, დემოკრატიული განვითარება.. აღნიშნულ ფაქტს ხელი შეუწყო საზოგადოების განვითარების დაბალმა დონემ, რამაც პოლიტიკური ლიდერის ფანტაზიის უნარს საჭირო ნიადაგი მოუმზადა. თვით თუქმენბაშმა იზრუნა თურქმენი ხალხის ჩამორჩენილობის გაძლიერებაზე არასწორი საგანმანათლებლო სისტემით, რადგან როგორც ზემოთ ავღნიშნეთ განვითარებული საზოგადოება არ მისცემს პოლიტიკურ ლიდერს მსგავსი პოლიტიკის გატარების უფლებას. დღეს თურქმენეთი ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა, რომლის ძირითად რესურსს ენერგომატარებლები შეადგენს, ამდენად მისი განვითარების დონე ბოლო წლებში შესამჩნევლად გაიზარდა.

მრავალწლიანი ერთმმართველობით გამოირჩევა ასევე ყაზახეთიც, ნურსულთან ნაზარბაევი ერის უპირობო ლიდერია, თუმცა აქ ქვეყნის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ის არ ცდილობს საზოგადოების დეგრადირებას, პირიქით მზადაა ნებისმიერ განვითარებისათვის. ნაზარბაევის პოლიტიკა მეტად მოზომილია, რაც პოლიტიკური ლიდერის სიფრთხილეზე მიუთითებს. მისთვის რუსეთი მტკიცე პარტნიორია, თუმცა არც დასავლეთთან მეგობრობაზე აცხადებს უარს. ამასთანავე მის პოლიტიკურ მიდგომებში ხაზგასმულია მეზობელ დიდ ქვეყანასთან, რომელთანაც ისტორიული წარსული აკავშირებს, ღრმა ურთიერთობების არსებობა. რასაკვირველია საზოგადოებისათვის ლიდერის ეს ტიპი მისაღები და პატივსაცემია. აქედან გამომდინარე თვით საზოგადოების ფენომენზეც ბევრია დამოკიდებული თუ

როგორი ლიდერი ჰყავს ერს.

ზოგადად, ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის პოლიტიკური ლიდერი „ერის მამად“ უფრო მოიაზრება, ვიდრე წმინდა პოლიტიკოსად, არსებობს მათდამი ნდობის სულ სხვა პარამეტრები

აზერბაიჯანის მაგალითზე კი თავისუფლად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებისათვის მთავარი მომენტი პოლიტიკური ლიდერის სწორი პოლიტიკაა, თუნდაც ის დემოკრატიული ფორმის საწყისებზე არ იყოს აგებული. იქ სადაც ეკონომიკა ძლიერია, დემოკრატიაც თავისთავად აღმასვლას განიცდის. ის დიდი ხანია ლიდერობს დსთ–ს ქვეყნებს შორის განვითარების ზრდის ტემპებით. მსოფლიო სავალუტი ფონდმა აღიარა, რომ ილხამ ალიევის მიერ გატარებული რეფორმა ცენტრალური ბანკის ანტიკრიზისული პროგრამის თაობაზე, ყველაზე ეფექტურია პოსტსაბჭოთა სივრცეში. აღნიშნულ პოლიტიკას დღემდე წარმატებულად ანხორციელებს ალიევი, რითაც აზერბაიჯანი გახდა მსოფლიოში ბუნებრივი აირის ბაზრის უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი მოთამაშე. ალიევის პოლიტიკა განიხილება რა დასავლეთის პარტნიორად, არ ჩქარობს დემოკრატიული რეფორმების გატარებას და უკრაინის მსგავსად, ცდილობს ბალანსის შენარჩუნებას რუსეთსა და დასავლეთს შორის. (თუმცა უკრაინა მისთვის სამაგალითოდ ვერ გამოდგება) აზერბაიჯანის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო დასავლეთი ილჰამ ალიევს არ სთხოვს დაჟინებით, ფასადურად მაინც უერთგულოს დემოკრატიულს ფასეულობებს. მიუხედავად ყველაფრისა აზერბაიჯანში პოლიტიკური ლიდერების ბოლო დროინდელმა მონაცვლეობამ მემკვიდრეობით ხასიათი მიიღო, რაც დემოკრატიული მმართველობის საერ-

თო კონტურებს სცილდება. ალიევეს მმართველობის პოლიტიკურ სტილს აზერბაიჯანის განვითარებისათვის ხელი არ შეუშლია, რაც მთავარია ქვეყანაში ეკონომიკური დონე საკმაოდ მაღალია, კერძოდ მსოფლიო ბანკის მონაცემებით ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლებით აზერბაიჯანი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილზეა.(იხ.ცხრილი)

პოსტსაბჭოთა სივრცე, ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის გარდა, ერთგვარ „პოლიტიკურ ლაბორატორიად“ იქცა. დასავლური სამყარო თანამედროვე დემოკრატიამდე ლოგიკური და ბუნებრივი განვითარების გზით მივიდა, ხოლო პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს არა აქვთ მსგავსი გამოცდილება, ამასთან მათი კულტურული და სოციალური განვითარება ერთმანეთისგან მკვეთრდ განსხვავდება.

ნაშრომში გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოკრატიული განვითარება პოლიტიკურ-ეკონომიკური კუთხით. აღმოჩნდა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საუკეთესო შედეგებს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მიაღწიეს. სხვა მიზეზთა შორის ბალტიისპირეთის წარმატება განაპირობა იმან, რომ:

1) ბალტიისპირეთის ქვეყნები ტერიტორიულად ახლოს იყვნენ ევროპასთან,

2) საბჭოთა სივრცეში ბალტიისპირეთის ქვეყნები განვითარების ევროპული ნიშნებით გამოირჩეოდა. ბალტიისპირეთს დამოუკიდებლობის მრავალწლიანი ისტორია აქვს, რომელიც 1940 წელს რუსეთის ანექსიით დასრულდა და ამიტომაც მისი ევროინტეგრაციისათვის საზოგადოებაში სრული მზაობა შეინიშნებოდა,

3) ლიტველ, ლატვიელ და ესტონელ ადამიანთა დიდი ნაწილი თავს საბჭოთა მოქალაქედ არასოდეს მიიჩნევდა.

4) პოლიტიკურმა ლიდერებმა ეს შესაძლებლობა საჭირო დროს აამოქმედეს და პირველი სწრაფი გარღვევა მოახდინეს ევროსივრცეში.

მაგალითად, ესტონეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველმა პრეზიდენტმა ლენარტ მერმა (1992-2006 წ) დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ განაცხადა და საზღვრები გახსნა. ბუნებრივია, თავიდან ესტონეთის ბაზარი იმპორტირებული პროდუქციით გაივსო, რამაც ადგილობრივი წარმოება მეტად რთულ ვითრებაში ჩააგდო. მათ გაცილებით მაღალი ხარისხის, ლამაზად შეფუთული პროდუქტისთვის უნდა გაეწიათ კონკურენცია. მაგრამ პარალელურად საკოლმეურნეო სტანდარტებიდან ლ.მერმა კერძო სექტორზე გადასვლის ევროპული მოდელი შეიმუშავა და საბოლოოდ ესტონეთში თავისუფალი ბაზრის პრინციპმა გაამართლა, ადგილობრივმა წარმოებამ ევროსტანდარტებზე გადაწყობა რთულად, მაგრამ მაინც მოახერხა და დღეს უკვე ბევრი პროდუქტით ადგილობრივ მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს და ექსპორტზეც გააქვთ თავიანთი საქონელი. რასაკვირველია საბჭოთა წარსულის მქონე ესტონეთისათვის ევროკავშირის სივრცეში ინტეგრაცია მარტივი არ იქნებოდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო შიში პოსტსაბჭოთა კავშირის სივრცისაც კი, რომ ამ ქვეყნის ლიდერმა ყველა ეკონომიკური სიძნელე გადალახა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით ესტონეთი თავისი მთლიანი შიდა პროდუქტით ერთ სულ მოსახლეზე ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის მეორე ადგილზეა. (იხ.ცხრილი).

რაც შეეხება ლიტვას აქ მოვლენები ბალტიისპირეთში მიმდინარე მოვლენების კვალდაკვალ განვითარდა. მისი პირველი პრეზიდენტის ვიტაუტას ლანდსბერგისის პოლიტიკაც დასავლეთთან ინტეგრაციას ეფუძნებოდა. განსაკუთ-

რებულად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თავისი ქვეყნის ინტერესების გამტარებლად ლანდბერგისი პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგაც გვევლინება. კერძოდ, 2005 წლის იანვარში, ევროპარლამენტში, უკვე წევრის სახით, ის ნაცისტური და საბჭოური სიმბოლოების წინააღმდეგ გამოდის.[55]

ლანდსბერგისი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ჩარევას ბალტიის ქვეყნების საქმეებში, მოითხოვდა, რუსეთსაგან კომპენსაციას ლიტვისთვის და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, ოკუპაციის შედეგად მიყენებული ზიანის გამო.

ამ პოლიტიკური ლიდერის აზრით თუ *სამართალი არ არის, ხალხს, ზოგადად, სამართლის არ სჯერა.* ისინი უკმაყოფილო არიან დემოკრატიით, სახელმწიფოს პოლიტიკით, რადგან ხედავენ, რომ ისევ იმ ხალხს (ძველი რეჟიმის წარმომადგენლებს) აქვს ძალაუფლება, ან დიდი გავლენით სარგებლობენ. 2010 წელს რადიო „თავისუფლების“ კორესპოდენტის კლერ ბიგის მიერ დასმულ კითხვას - დღევანდელი თვალსაწიერიდან, რას გააკეთებდა სხვანაირად პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას? საინტერესო პასუხი გასცა ვიტაუტას ლანდსბერგისმა: „უფრო *ფრთხილად მოვეკიდებოდი.* პოლიტიკური კორუფციის დახვეწილ ფორმებს. მე, შესაძლოა, ზედმეტად ვენდობოდი, ზოგადად, ხალხის კეთილ ნებას და ამას ყველა არ იმსახურებდა“.[56] ასე რომ პოლიტიკურმა ლიდერმა მის მიერ დაშვებული ერთი კონკრეტული შეცდომა თავადვე აღიარა, რაც თანამედროვე ლიტვის პოლიტიკური ლიდერისათვის პოლიტიკური გზავნილი შეიძლება იყოს.

---

[55] Economic Development // U. S. Library of Congress. URL: http://countrystudies.us/estonia/16.htm

[56] Вашанов В. Двадцать лет после распада. Плюсы и минусы постсоветской независимости: попытка баланса // Независимая газ. 2011. 11 нояб. URL: http://www.ng.ru/ideas/2011-11-11/5_20years.html

დღეს ლიტვის პრეზიდენტი დარია გრიბაუსკაიტე გახლავთ, რომელიც პირველი ქალი პრეზიდენტია ლიტვის პოლიტიკურ ისტორიაში. მისი პოლიტიკა მიმართულია დასავლეთისაკენ და რუსეთში არანაკლებ საშიშ აგრესორს ხედავს ვიდრე ეს ისლამური სახელმწიფოები არიან. თან ღიად აცხადებს, რომ დასავლეთი ამისათვის ქმედით ზომებს არ იღებს და მომდევნო საფრთხე გამორიცხული არ არის რომ ბალტიისპირეთი იყოს.[57] გრიბაუსკაიტე ყოველივე ამას დასავლეთის ლიდერების სისუსტედ მიიჩნევს, რამაც შესაძლოა რუსეთი მსოფლიო პოლიტიკის ლიდერად აქციოს. ამრიგად ლიტვის პრეზიდენტი ევროკავშირში თუ ნატოში ყოფნით თავის ქვეყანას დაცულად ვერ მოიაზრებს და ღიად აღიარებს მათ უსუსურობას.

ამრიგად ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა NATO-სა და ევროკავშირის წევრია და ადამიანური განვითარების ინდექსით, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით, დემოკრატიისა და სამოქალაქო თავისუფლებების ხარისხით, უფრო მეტად ცენტრალურ ევროპას მიეკუთვნებიან, ვიდრე პოსტსაბჭოთა სივრცეს. მათი ლიდერების პოლიტიკურმა გეზმა, რომელიც დასავლეთთან წარმატებული ინტეგრაციას ისახავდა მიზნად, გარკვეული შედეგიც გამოიღო, შეიძლება ითქვას გაამართლა, კერძოდ მისი მეშვეობით ბალტიისპირეთის ქვეყნებმა რუსეთის ექსპანსიისგან თავის დაცვის სამართლებრივი გარანტიები მიიღეს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მათი პრაქტიკული გამოყენება დასავლეთის დიდი სახელმწიფოების ნებაზეა დამოკიდებული.

ამრიგად, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების განვითარე-

---

[57] სტატია: „ვიტაუტას ლანდსბერგისი: „კომუნიზმი არასოდეს დამარცხებულა“ http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1981098.htm I 11.03.2010 წ

ბა სხვადასხვა ტენდენციებით განვითარდა, მაგალითად აზერბაიჯანის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა გარკვეულწილად ენეგრომატარებლებს ეფუძნება. ნაწილი ქვეყნებისა პოლიტიკური ძალაუფლებისა და ორიენტირის ძიებაშია, მაგალითად ბელორუსმა რამდენჯერმე შეცვალა თავისი საგარეო ორიენტირი, თუმცა პრეზიდენტი ლუკაშენ-კო მაინც ახერხებს ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას.

ცხრილი 2. პოსტსაბჭოთა ქვეყნების სია ადამიანის განვითარების ინდექსების მიხედვით [58]

ქვეყანა	2016 წ
ესტონეთი	0.840 %
ლიტვა	0.834 %
ლატვია	0.810 %
ბელარუსი	0.798 %
საქართველო	0.754 %
ყაზახეთი	0.754 %
აზერბაიჯანი	0.751 %
უკრაინა	0.748 %
სომხეთი	0.731 %
თურქმენეთი	0.712 %
უზბეკეთი	0.702 %
ყირგიზეთი	0.696 %
ტაჯიკეთი	0.673 %
მოლდოვა	0.663 %

[58] ქვეყნების_სია_ადამიანის_განვითარების_ინდექსის მიხედვით; https://ka.wikipedia.org/wiki

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ლიდერებისთვის, რომელთაც მიზნად ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოკავშირეობა აქვთ დასახული, მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ რუსეთი მას ყველა მეთოდის გამოყენებით შეუქმნის პრობლემებს. თუმცა, ეს იმას არ გულისხმობს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყანა არ უნდა შეეცადოს დასავლეთში ინტეგრაციას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბალტიისპირეთის ქვეყნების სახით ამის შესანიშნავი მაგალითი არსებობს, რომლის განხორციელება კონკრეტული ქვეყნის მონაცემებზე დაყრდნობით გარკვეულწილად შესაძლებელია.

აქედან გამომდინარე, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკური ლიდერების მთავარი ამოცანაა, არ გაიჭყლიტონ მსოფლიოს უდიდესი ზესახელმწიფოების ორთაბრძოლაში და რადგან პოსტსაბჭოთა სივრცეში სამოქალაქო საზოგადოება განვითრების პროცესშია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ლიდერებს და სწორედ ამ ლიდერებზეა დამოკიდებული, გაივლის თუ არა მათი ქვეყანა იმ გამოცდას, რასაც მსოფლიოს წამყვანი მოთამაშეების პირველობისკენ სწაფვა, ან თვითმყოფადობისა და ეკონომიკური კურსის შენარჩუნება ჰქვია.

მაგალითად, ყაზახეთის მოქმედმა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა უარი თქვა ყაზახი საზოგადოებისა და ხალხის მიერ შეთავაზებულ რეფერენდუმზე, რას მას სიცოცხლის ბოლომდე გარანტირებულად შეუნარჩუნებდა პრეზიდენტის პოსტს. ამის მთავარ მიზეზად შემდეგს ასახელებენ: ნაზარბაევს არ უნდოდა, ეჭვქვეშ დაეყენებინა ყაზახეთის განვითარების დემოკრატიული გზა - ეს პოლიტიკური ლიდერის თანამედროვე სტანდარტებია.

მეორე მხრივ, ნურსულთან ნაზარბაევი ყაზახეთს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან მეთაურობს, რაც, ერთი შეხედვით, გამორიცხავს კლასიკურ დემოკრატიულ მმართველობას, თუმცა პრეზიდენტი ნაზარბაევი ყოველთვის ზედმიწევნით იცავდა სამართლებრივ მხარეს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას. შესაძლოა, ამიტომაც, მაშინ, როდესაც გასული საუკუნის 90-იან წლებში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სამხედრო გადატრიალებები, სამოქალაქო ომები და ეთნიკური დაპირისპირებები მძვინვარებდა, ყაზახეთი სახელმწიფო განვითარების სამართლებრივ გზას მიჰყვებოდა. ნურსულთან ნაზარბაევს თითოეული თავისი ქმედება ყაზახეთის კონსტიტუციასთან ჰარმონიაში მოჰყავდა და მხოლოდ არჩევნების გზით რჩებოდა ხელისუფლებაში.

ერთი შეხედვით, ნაზარბაევის მმართველობა დემოკრატიულობის ელფერს ნაკლებად ტოვებს, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც - დემოკრატია მდიდარი ქვეყნების ფუფუნებაა, სადაც ადამიანებს სოციალური პრობლემები მოგვარებული აქვთ. ნურსულთან ნაზარბაევის არჩევანია: ეკონომიკური კეთილდღეობით – დემოკრატიული მმართველობისკენ. ამ სახელმწიფოს ეკონომიკური მიღწევები კი გულგრილს არავის ტოვებს: ყაზახეთში ამ 25 წლის განმავლობაში შეიქმნა საშუალო ფენა, რაც დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი წინაპირობაა.

ნურსულთან ნაზარბაევის მკაფიო და თანმიმდევრულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მოახერხა ის, რომ მინიმუმამდე შეამცირა ყაზახურ ეკონომიკაზე გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა. გლობალური ფინანსური კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური კატაკლიზმები ყველა პოსტსაბ-

ჭოთა ქვეყანამ განსხვავებულად გადაიტანა: აზერბაიჯანში ხელისუფლებამ გავლენა ნავთობისა და გაზის მეშვეობით შეინარჩუნა, საქართველომ სოლიდური დასავლური დახმარება მიიღო და ამის წყალობით ასე ვთქვათ გადარჩა, თუმცა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. უკრაინამ და ბელარუსმა რუსეთისგან შეღავათიანი პირობებით ენეგრომატარებელბის მიღებით შეძლეს ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, რაც მეტად მყიფე საფუძველია, რადგან გამოდის, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკა მხოლოდ რუსეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ყაზახეთს: ამ ქვეყნის ლიდერმა სირთულეები საკუთარი ქვეყნის რესურსების მაქსიმალური გამოყენებით დაძლია: ეკონომიკა ვითარდება და ინტენსიურად ინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც ყაზახეთს კონკურენტუნარიან ქვეყნად აქცევს მსოფლიოში.

პოლიტიკური ლიდერის მიერ ყაზახეთში სასურველი სტაბილურობის დამყარებამ ის გახადა სასურველი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორი, განსაკუთრებით, დასავლეთისთვის, რომელიც დაინტერესებულია სტაბილურობით ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში: სწორედ სამხრეთ კავკასიაა ის გასასვლელი, რითაც ყაზახური ბუნებრივი რესურსები უნდა მოხვდეს ევროპაში.

მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთის მეთაური 25 წელია ქვეყნის სათავეშია, ყაზახეთს არასდროს შეუქმნია პრობლემები დასავლეთისთვის, პირიქით, ყოველთვის ერთგვარი სტაბილიზატორის როლს ასრულებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ნურსულთან ნაზარბაევმა ამას 25 წელი უკვე მოახმარა და, თუ ყაზახეთის დღევანდელი მიღწევებით ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ ნურსულთან ნაზარბაევის შემდგომ პრეზიდენტს დახვდება ქვეყანა, რომელიც ორგანუ-

ლად ჩაეწერება ცივილიზებულ მსოფლიოში, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის თანამედროვე ქვეყნად ქცევის ნიმუში.

საქართველო იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების რიგს განეკუთვნება, სადაც სახელმწიფოებრიობის განვითარება მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ისტორიამ აჩვენა, რომ ეს რთული ვითარება არა მხოლოდ გარე, არამედ შიდა ფაქტორებითაც იყო გამოწვეული. სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საკითხს პოლიტიკური ლიდერის დილემა წარმოადგენს. საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის დილემის კვლევისას გასათვალისწინებელია როგორც ქვეყნის განვითარების მთლიანი ისტორიულ-ცივილიზაციური გზა, ასევე ქართული ხასიათის თავისებურებები და, განსაკუთრებით, უკანასკნელი (პოსტსაბჭოთა) პერიოდის სახელმწიფოებრივი გამოცდილება.

ამრიგად, აღნიშნული კვლევისას გამოიკვეთა როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების საუკეთესო თუ სუსტი პოლიტიკური ლიდერების პორტრეტები. ყველა ქვეყნის პოლიტიკური ვითარების შესწავლისას პოლიტიკური ლიდერის ფენომენის ჩამოყალიბების გზაზე რამდენიმე მნიშვნელოვან დასკვნამდე მივდივართ:

- პოლიტიკური ლიდერობა პირის არამხოლოდ აკადემიურ მონაცემებთან, არამედ მის დიპლომატიურ უნარებთანაა დაკავშირებული;
- პოლიტიკური ლიდერის მიზანი და მისწრაფება სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიულ გეგმებთან თანაფარდობით უნდა იქნეს განხორციელებული;
- პოლიტიკური ლიდერის მიერ შესწავლილი უნდა იქნეს ქვეყნის განვითარების ყველა შესაძლო გეგმა და მათგან არჩევანის საუკეთესოზე შეჩერება;

- პოლიტიკურ ლიდერს უნდა შესწევდეს უნარი, პოლიტიკური წარსულის მიუხედავად, მეზობელ ქვეყნებთად დაბალანსების პოლიტიკის განვითარებისა, საჭირო შემთხვევებში საჭირო დოზით კომპრომისით სარგებლობისა. აქ პოლიტიკური ლიდერის მიერ მთავარი აქცენტი გაკეთებული უნდა იქნეს ქვეყნისათვის ყველაზე მეტად აუცილებელ და საჭირო პოლიტიკაზე;
- უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიდერის მოღვაწეობის არეალს, კერძოდ იმ საზოგადოებას და პოლიტიკურ სივრცეს, სადაც ის თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს. ყველა ქვეყანას გააჩნია თავისი ბუნებრივი რესურსი, როგორც წიაღისეულით, ასევე აგილმდებარეობის გათვალისწინებით. ძლიერმა პოლიტიკურმა ლიდერმა არ უნდა გაუშვას ხელიდან არც ერთი შესაძლებლობა;
- ქვეყნის განვითარებისა და პოლიტიკური ლიდერის ხარისხის მაჩვენებლი ქვეყანაში საბოლოო ჯამში მისი მსოფლიო პოლიტიკაში მისი ადგილი და მაღალი ეკონომიკური ინდექსებია;

საქართველო იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების რიგს განეკუთვნება, სადაც სახელმწიფოებრიობის განვითარება მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ისტორიამ აჩვენა, რომ ეს რთული ვითარება არა მხოლოდ გარე, არამედ შიდა ფაქტორებითაც იყო გამოწვეული. სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საკითხს პოლიტიკური ლიდერის დილემა წარმოადგენს.

საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის დილემის კვლევისას გასათვალისწინებელია როგორც ქვეყნის განვითარების მთლიანი ისტორიულ-ცივი-

ლიზაციური გზა, ასევე ქართული ხასიათის თავისებურებები და, განსაკუთრებით, უკანასკნელი (პოსტსაბჭოთა) პერიოდის სახელმწიფოებრივი გამოცდილება.

ამრიგად, აღნიშნული კვლევისას გამოიკვეთა როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების საუკეთესო თუ სუსტი პოლიტიკური ლიდერების პორტრეტები. ყველა ქვეყნის პოლიტიკური ვითარების შესწავლისას პოლიტიკური ლიდერის ფენომენის ჩამოყალიბების გზაზე რამდენიმე მნიშვნელოვან დასკვნამდე მივდივართ:

✓პოლიტიკური ლიდერობა პირის როგორც აკადემიურ ასევე დიპლომატიურ უნარებთან დაკავშირებული ცნება;

✓პოლიტიკური ლიდერის მიზანი და მისწრაფება სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიულ გეგმებთან თანაფარდობით უნდა იქნეს განხორციელებული;

✓პოლიტიკური ლიდერის მიერ შესწავლილი უნდა იქნეს ქვეყნის განვითარების ყველა შესაძლო გეგმა და მათგან არჩევანის საუკეთესოზე შეჩერება;

✓პოლიტიკურ ლიდერს უნდა შესწევდეს უნარი, პოლიტიკური წარსულის მიუხედავად, მეზობელ ქვეყნებთან დაბალანსების პოლიტიკის განვითარებისა, საჭირო შემთხვევებში საჭირო დოზით კომპრომისით სარგებლობისა. აქ პოლიტიკური ლიდერის მიერ მთავარი აქცენტი გაკეტებული უნდა იქნეს ქვეყნისათვის ყველაზე მეტად აუცილებელ და

საჭირო პოლიტიკაზე;

✓უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიდერის მოღვაწეობის არეალს, კერძოდ იმ საზოგადოებას და პოლიტიკურ სივრცეს, სადაც ის თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს. ყველა ქვეყანას გააჩნია თავისი ბუნებრივი რესურსი, როგორც წიაღისეულით, ასევე აგილმდებარეობის გათვალისწი-

ნებით. ძლიერმა პოლიტიკურმა ლიდერმა არ უნდა გაუშვას ხელიდან არც ერთი შესაძლებლობა;

✓ქვეყანაში განვითარებისა და პოლიტიკური ლიდერის ხარისხის მაჩვენებლი მსოფლიო პოლიტიკაში მისი ადგილი და მაღალი ინდექსებია;

ამრიგად პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური ლიდერების შეფასებებიდან გამომდინარე ჩვენს მიერ შემუშავეული იქნა ცნება „ლიდერობის ტეტრაედრი“[59] (იხ.ილუსტრაცია), რომელიც აერთიანებს საუკეთესო ლიდერობისათვის აუცილებელ კომპონენტებს. ესენია: **ლიდერობის პიროვნება, საშინაო ფაქტორები, საგარეო ფაქტორები და ქვეყნის ისტორიული ფონი**. აღნიშნული ფაქტორების თანხვედრაზეა დამოკიდებული ლიდერის ფენომენის ჩამოყალიბება.



[59] **ტეტრაედრი** – ოთხწახნაგიანი სხეული, რომლის ყოველი წახნაგი სამკუთხედია

თავი მესამე

პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის შეფასების მეთოდოლოგია საქართველოს მაგალითზე

წინასიტყვაობა

საქართველო პატარა ქვეყანაა. ეს დეფინიცია ჩვენს სუბიექტურ შეგრძნებას წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ პატარა ქვეყანას ახასიათებს მისთვის, როგორც პატარა ქვეყნისთვის, განმსაზღვრელი სუბიექტური და ობიექტური თავისებურებები.

საქართველო მრავალმხრივ პატარა ქვეყანაა, როგორც ტერიტორიულად, ასევე ეკონომიკურად, მოსახლეობის რაოდენობითა და რესურსებით, თუმცა არსებობენ უფრო პატარა სახელმწიფოები, მაგრამ განვითარების მაღალი მაჩვენებლებით. პატარა ქვეყნის როლი მსოფლიო გლობალურ სივრცეში არც თუ ისე დიდია, მაგრამ არა უმნიშვნელო. ქვეყნის განვითარებისათვის მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თვალსაზრისით. გეოპოლიტიკური ვითარების ქვეყნისათვის სასიკეთოდ გამოყენება დამოკიდებულია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფაქტორებზე, აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის (ლიდერების) მიდგომებსა და პოლიტიკური კურსზე, რომლის ორიენტირი ქვეყანაში არსებული ბუნებრივი თუ ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენება უნდა იყოს.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველო მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში იმყოფებოდა დიდი ქვეყნების მტრული გარემოცვის პირობებში,

რამაც თავის კვალი დაამჩნია არა მხოლოდ ქვეყნის განვითარებას, არამედ ერის მენტალიტეტსაც, საქართველო დღესაც არ იმყოფება სრულიად მეგობრულ გარემოცვაში, რაც კიდევ უფრო გაწვავდა მე–20 საუკუნის მიწურულსა და 21–ე საუკუნის დასაწყისში. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების კვლევა რაც განაპირობებს პატარა ქვეყნის განვითარებას, მათ შორის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის როლი.

სულ სხვაა პატარა ქვეყნის არსებობისა და განვითარების პირობები ევროპაში, აზიასა თუ სხვა კონტინენტებზე და მათ შორის კავკასიაში, საერთო კანონზომიერებებთან ერთად, ყველა ქვეყანას გააჩნია მისი საკუთარი სპეციფიკური თავისებურებები, რომლებიც გამომდინარეობს ქვეყნის განვითარების ისტორიული პროცესებიდან, არსებული პოლიტიკური ვითარებიდან (როგორც გლობალური, ისე ლოკალური თვალსაზრისით), გეოგრაფიული მდებარეობიდან და ა.შ.

ჩვენი ამოცანაა განვიხილოთ, როგორც საერთო–ზოგადი კანონზომერებები, ისე საქართველოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გამოწვევები და შევეცადოთ ვიპოვოთ ქვეყნის განვითარების ოპტიმალური გზა პოლიტიკური ლიდერის მეშვეობით.

კონცეფცია პატარა ქვეყნის შესახებ

,,პატარა ქვეყნის“ ერთმნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული განმარტება არ არსებობს, რადგან ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია.

თანამედროვე მსოფლიოში მრავალი უმწვავესი საკითხი წარმოიშვა: როგორ ვებრძოლოთ ტერორიზმს, გარდაუვალია

თუ არა ცივილიზაციების შერწყმა, როგორია გლობალიზაციის პროცესები და ბოლოს როგორი უნდა იყოს მსოფლიო წესრიგი მესამე ათასწლეულში. თანამედროვე მსოფლიოს ტენდენციებმა აჩვენა, რომ გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში უფრო და უფრო აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას ე.წ. „პატარა ქვეყნები“, რომლებიც არ გამოირჩევიან ტერიტორიული სიდიდით და აქვთ გარკვეულწილად შეზღუდული ეკონომიკური და ადამიანური რესურსები.

ტერმინი „პატარა ქვეყნის“ გამოყენება ჯერ კიდევ „ცივი ომის“ პერიოდიდან დაიწყო, ძირითადად საშუალო ეკონომიკური განვითარების მქონე ისეთი ევროპული სახელმწიფოების აღსანიშნავად, როგორებიცაა მაგალითად ბელგია, ჰოლანდია, დანია, შვედეთი და ა.შ. დეკოლონიზაციის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი ამ ტერმინის გამოყენება დაიწყო იმ ახალი სახელმწიფოების აღსანიშნავად, რომლებიც ამ პროცესების განვითარების შედეგად წარმოიქმნა.

თანამედროვე პერიოდში პატარა ქვეყნები შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად დაიყოს.

- **პირველი** - განვითარებადი პატარა ქვეყნები რომლის მოსახლეობა რამოდენიმე ათასიდან სამ მილიონს აღწევს;
- **მეორე** - ეკონომიკურად განვითარებული პატარა ქვეყნები სამი მილიონიდან რვა მილიონამდე მოსახლეობით. ასეთი ქვეყნების იდენტიფიცირება „საშუალო ქვეყნების“ სტატუსის გამოყენებით უფრო მართებული იქნებოდა.

დიდი ხანია პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში დომინირებს შეხედულება იმის შესახებ, რომ პატარა ქვეყნები განიცდიან დიდი ქვეყნების ძალაუფლების ზეგავლენას – ჰეგე-

მონობას. ასე მაგალითად, ამერიკელი პროტესტანტი თეოლოგი რაინჰოლდ ნიბურის აზრით, საერთაშორისო პოლიტიკაში უძლიერესი ქვეყნების ჰეგემონობა გარდუვალია, რაც იმპერიალიზმსაც შეიძლება ნიშნავდეს.[60] ასეთ შემთხვევაში პატარა ქვეყნები მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკის განხორციელების ობიექტს წარმოადგენენ, მათ არ შეუძლიათ საშინაო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმართვა. საერთაშორისო ასპარეზზე პატარა ქვეყნები ტრადიციულად უმწეონი იყვნენ, კერძოდ მათ არც სამხედრო და არც პოლიტიკური ძალა არ გააჩნდათ და ძლიერი ქვეყნების ბატონობის პირობებში მათ დაქვემდებარებული ადგილი ეკავათ. რაც შეეხება კვლევებს აღნიშნული მიმართულებით ის მეტად მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარია.[61]

ამერიკელი მეცნიერი *ჯორჯ ქენანი* მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სისტემა ზოგადად იერარქიული უნდა იყოს, რომელშიც წესრიგს ძლიერი ქვეყნები დაამყარებენ. ის ლიბერალურ-ამერიკული წარმოდგენა კი, რომლის თანახმადაც დიდი სახელმწიფოები ბუნებით ცუდები არიან, ხოლო პატარა ქვეყნები – უმანკონი და კეთილნი, უტოპიურია. ამგვარი წარმოდგენის შედეგია ქენანის მოსაზრება, რომ *"არსებობს სუსტი და უუნარო ქვეყნების მთელი გროვა, რომელთა სუვერენული სტატუსი სრული უაზრობაა"*. ვიეტნამში დაწყებულ ომთან დაკავშირებით, კონგრესის ერთ-ერთ კომიტეტში მოწყობილ სხდომაზე გამოსვლისას ქენანი შეეხო ანარქიას საერთაშორისო სისტემაში და ძლიერი ქვეყნების და, პირველყოვლისა,

---

[60] სტატია: „დალია გრიბაუსკაიტე - აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროკავშირში მომავალი იწყება ვებ.გვერდი: http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1981098.html 29.11.2013

[61] სტატია: საერთაშორისო ურთიერთობები, გეოპოლიტიკა და საქართველო (მეორე ნაწილი) ვებ.გვერდი: http://www.for.ge/view.php?for_id=16013&cat=12 09.05.2012

აშშ-ის როლი დაახასიათა როგორც მსოფლიო მშვიდობის სტაბილურობის ფაქტორი და შენიშნა, რომ *"არსებობს ძალიან ბევრი ახალი პატარა სახელმწიფო გამოუცდელი მთავრობით, ქვეყნები ეროვნული სახელმწიფოებრიობის სუსტი ტრადიციებით. მერწმუნეთ, ისინი ერთმანეთთან ბრძოლას დაიწყებენ და ჩვენი, როგორც ძლიერი ქვეყნის, როლი უნდა იყოს ამ კონფლიქტების იზოლირება, შერბილება, რადგან ისინი დიდ ზიანს მიაყენებენ მსოფლიო მშვიდობას"*.

პატარა ქვეყნის, როგორც ცნების, ერთ-ერთი ყველაზე მიღებული დეფინიცია ეკუთვნის რობერტ კიოჰეინს. იგი ასკვნის, რომ ქვეყნის სისუსტე, ან სიძლიერე, დამოკიდებულია ამ ქვეყნის ლიდერის მხრიდან პრობლემის აღქმის უნარზე. კერძოდ, თუ რა როლს ასრულებს მისი ქვეყანა მსოფლიოს სისტემურ თამაშში.

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოები მჭიდროდ უთიერთდამოკიდებულნი არიან, გლობალიზაციის პირობებში უფრო და უფრო ინტენსიური ხდება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, გარემოს დაცვითი და სხვა სახის ურთიერთობების დამყარება. სხვადასხვა სახის პრობლემები აიძულებს სახელმწიფოებს შეიმუშაონ საერთო სტრატეგიები და იმოქმედონ შეთანხმებულად.

1977 წელს ჯოზეფ ნაიმ და რობერტ კიოჰეინმა თავიანთი შეხედულებები ჩამოაყალიბეს ნაშრომში „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება"[62]

ისინი ამბობენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები გაცილებით უფრო გართულდა, ვიდრე ეს იყო ომამდე. ადრე ურთიერთობები

---

[62] Julia Hillebrandt, Kleine europäische Länder in internationalen Organisationen" 2008 (http://www.grin.com/de/e-book/94012/kleine-europaeische-laender-in-internationalen-organisationen

წარმოებდა სახელმწიფოს ლიდერებს შორის და ძალის გამოყენება ყოველთვის მოიაზრებოდა როგორც ერთ-ერთი საშუალება ქვეყნის ლიდერებს შორის წამოჭრილი კონფლიქტების გადასაჭრელად. აქ კი დისბალანსი სუსტ და ძლიერ, დიდ და პატარა ქვეყნებს შორის აშკარა ხასიათს ატარებდა. უსაფრთხოების და თვითგადარჩენის „მაშტაბურ პოლიტიკას“ ჰქონდა უპირატესობა ეკონომიკის და სოციალური საკითხების შემცველ „მცირე პოლიტიკასთან“ შედარებით. ამ კრიტერიუმების შეჯერებით რობერტ კიოჰეინი მიდის იმ დასკვნამდე, რომ *„პატარაა სახელმწიფო, რომლის ლიდერები თვლიან, რომ მას არასოდეს არ შეეძლება მარტო, ან სხვა პატარა ჯგუფთან ერთად, მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა სისტემაზე.“*

აღსანიშნავია, რომ ეს განსაზღვრებები ზუსტად მაინც ვერ გადმოსცემენ ცნება „პატარას“ ბუნებას. ერლინგ ბიოლმა თავის ნაშრომში „სუსტი სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკაში“ აღნიშნა – *„ბელგია შეიძლება პატარაა საფრანგეთთან მიმართებაში, მაგრამ ლუქსემბურგი პატარა ქვეყანაა ბელგიასთან მიმართებაში და საფრანგეთი პატარა ქვეყანაა აშშ-სთან მიმართებაში.“*[63].

პოლიტიკურ მეცნიერებაში „პატარა ქვეყნის“ დეფინიცია არსებითად ეყრდნობა უსაფრთხოების მოსაზრებებს. უსაფრთხოების ასპექტის ქვეშ იგულისხმება პატარა ქვეყნის უნარი შეძლოს მშვიდობიანი არსებობა. რობერტ როტშაინი პატარა ქვეყნის დეფინიციას შემდეგნაირად აყალიბებს: *„სუსტია ის სახელმწიფო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საკუთარ უსაფრთხოებას საკუთარი ძალებით და იძულებულია ფუნდამენ-*

---

[63] В. Н. Тимошенко „КОНЦЕПЦИЯ «МАЛОЙ СТРАНЫ» И ВНЕШНЯЯ ПОЛИТИКА НОВОЙ ЗЕЛАНДИИ В КОНЦЕ XX ВЕКА; Вестник Челябинского государственного университета. 2009. № 6 (144)

ტალურად დაეყრდნოს სხვა სახელმწიფოებსა და მის ინსტიტუტებს დახმარების საკითხში. ასეთი სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში აღიარებულნი უნდა იქნენ „სუსტ სახელმწიფოებად“[64].

რაც შეეხება ჰანს მორგენთაუს, ის აყალიბებს დიდი ქვეყნის განსაზღვრებისადმი განსაკუთრებულ მიდგომას პატარა ქვეყანასთან მიმართებაში. კერძოდ აღნიშნავს, რომ: *„ძლიერია სახელმწიფო რომელსაც შესწევს უნარი შეეწინააღმდეგოს სუსტ სახელმწიფოს, თუმცა უუნაროა უფრო ძლიერ სახელმწიფოსთან “.* [65]

პატარა ქვეყნის დეფინიციის ძიების დროს მნიშვნელოვანია, რომ არ იქნეს პარალელი გავლებული პატარასა და სუსტ ქვეყნის დეფინიციას შორის. სუსტი ქვეყნები არასტაბილური ქვეყნებია, რომლისთვისაც დამახასიათებელია სამოქალაქო ომები, ანარქია, კორუფცია და ა.შ. პატარა ქვეყანა კი შეიძლება იყოს ძლიერიც, მდიდარიც და წარმატებულიც. ასე მაგალითად ლუქსემბურგის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 493 500 მლნ. მცხოვრებს და ქვეყნების სიაში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის (ნომინალი)

ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებლი აქვს მსოფლიოში (122,272 ამერიკული დოლარი)[66].

პატარა ქვეყნის, როგორც სპეციალური კატეგორიის მქონე ცნების ანალიზის მნიშვნელობის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ პატარა ქვეყნებს საერთო მახასიათებლებიც გააჩ-

---

[64] Robert O. Keohane, ,,Lilliputians' Dilemmas: Small States in International Relations”, International Organization, 23:.2 (1969), 295

[65] Erling Bjol , ,,Small States in International Politics”, in Schou et al., Small States, 9

[66] Vgl. Rothstein, Robert L. (1968), Alliances and small powers, S. 29; zitiert nach Krantz, Olle (im Erschei¬ nen), S. 2

ნია, რომელიც მათ დიდი ქვეყნებისაგან გამოარჩევს. კერძოდ ისინი აქტიურად არიან ჩაბმულნი საერთაშორისო სავაჭრო სივრცეში. თუმცა, რასაკვირველია მათ ასევე განასხვავებენ თავისი ინსტიტუტებით, ინფრასტრუქტურით, სამხედრო ძალაუფლებით, გეოპოლიტიკური მდგომარეობით და სხვა ფაქტორებით.

ეკონომიკური თვალსაზრისით საერთაშორისო სივრცეში მკაფიო განსხვავებებია პატარა და დიდ ქვეყნებს შორის. პატარა ქვეყნებში სამომხმარებლო ბაზარი მცირეა, ამიტომ ამ ქვეყნის ბიზნეს – კომპანიები ცდილობენ თავიანთი საქმიანობის გაფართოებას საგარეო ბაზრებზე საკუთარი წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამდენად, ასეთი ქვეყნების გაწევრიანება საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციებში მეტად სასარგებლოა მათთვის, არა მხოლოდ ბიზნეს გეგმებიდან გამომდინარე, არამედ ეროვნული პროდუქციის ექსპორტის გაფართოებისა და მსოფლიო ბაზარზე ადგილის დამკვიდრების თვალსაზრისითაც.

პატარა ქვეყნის ანალიზის კიდევ ერთი საფუძველია ის რომ, დედამიწაზე უმრავლესობა ქვეყნებისა პატარაა. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის საერთო ჯამში 62 დამოუკიდებელი სახლმწიფო არსებობდა. მომდევნო ნახევარი საუკუნის მანძილზე კი მათი რაოდენობა 74-დან 192-მდე გაიზარდა.[67] მათი ასეთი მკვეთრი ზრდა გამოწვეულია მსოფლიოში განვითარებული ორი გლობალური ხასიათის მქონე პოლიტიკური მოვლენით:

1. დეკოლონიზაცია - პროცესი, რომლითაც ბოლო მოეღო ევროპის სახელმწიფოების მიერ „ზღვის გაღმა“ ტერიტორიებისა და ხალხების კონტროლს. შესაბამისად, წარმოიქმნება

[67] Vgl. Morgenthau, Hans J. (1972), Science: Servant or Master?, S. 129

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. რომლებიც პატარა და რიგ შემთხვევებში სუსტ ქვეყნებად მოიაზრება. ამ მრავალრიცხოვანი, ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების საერთო სახელწოდებაა „მესამე სამყარო“ და ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობების ამ ახალი აქტიურობის აღსანიშნავად;

2. საბჭოთა კავშირის დაშლა – პროცესი, რომელმაც XX საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში გამოიწვია მსოფლიო რუკიდან ერთი უზარმაზარი სახელმწიფოს გაქრობა, რომელსაც „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“ ეწოდებოდა (1991 წ.), რამაც საფუძველი ჩაუყარა მის ნაცვლად 15 დამოუკიდებელი და 4 თვითგამოცხადებული ან ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას;

ყოველივე აქედან გამომდინარე ამ პატარა ახალწარმოქმნილ 87 სახელმწიფოს ჰყავს 5 მილიონზე ნაკლები მოსახლეობა, 58 სახელმწიფოს 2,5 მილიომზე ნაკლები და 35 სახელმწიფოს 500 ათასსზე ნაკლები. ყველა ეს სახელმწიფო პატარა ქვეყნების სტატუსის მატარებელია, თუმცა საერთაშორისო ურთიერთობებში ისინი უმნიშვნელო და უფუნქციო როლს არ თამაშობენ.[68] პატარა ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობებში კონსტრუქციულ როლს თამაშობენ, იმიტომ, რომ ისინი აქტიურად უჭერენ მხარს მულტილატერალიზმს[69]. რაც გულისხმობს დასახული მიზნის მისაღწევად პატარა და დიდი სახელმწიფოების ურთიერთშეთანხმებულ, წინასწარგანსაზღვრულ მოქმედებას.

---

[68] Vgl. http://www.un.int/mongolia/NCAFP.htm (22.04.2005, 19:33 h)

[69] **მულტილატერალიზმი** – საერთაშორისო ურთიერთობების განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც დაფუძნებულია ისეთ მექანიზმზე, რომელიც ითვალისწინებს თვითეული მონაწილე სუბიექტის – სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში საკუთარი ინტერესების გამოყენების შესაძლებლობას.

პატარა ქვეყნების გაგება, მათი პრობლემები, მიღწევები და შანსები გახდა საერთაშორისო ურთიერთობებში თანაბრად ყურადსაღები სხვა დიდი და ძლიერი სახელმწიფოებში არსებულ საკითხებთან ერთად. ის ასევე აქტუალური და მნიშვნელოვანია კვლევის თვალსაზრისით.[70]

ამდენად პატარა ქვეყნებისათვის აუცილებელია საერთაშორისო პროცესებში აქტიური ჩაბმა, რადგან ეს მისცემთ მათ განვითარების საშუალებას. ისინი არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით, აუცილებელია სხვა ქვეყნების მაგალითებზე საკუთარი კონცეფციების შემუშავება. პატარა ქვეყნის ეროვნულმა ნაწარმმა უნდა დააკმაყოფილოს მსოფლიოში არსებული სხვადასხვა სავაჭრო სტანდარტები, ეს კი მის სრულყოფილებას მოითხოვს. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციები კი აღნიშნულ საკითხებში პატარა ქვეყანას აქტიურ დახმარებას უწევენ. რასაკვირველია მათი, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მანევრირების არეალი საკმაოდ მცირეა, ამიტომ საჭიროა შიდა ეკონომიკური მდგომარეობის განვითარება, რათა პატარა ქვეყნის გარკვეულმა შიდა პროდუქტმა გაუძლოს მსოფლიოში არსებულ გლობალურ კონკურენციას, რაც შეიძლება გამოიხატოს ქვეყანაში შემოსულ საქონელზე იმპორტის გადასახადების მაღალი კოეფიციენტის დაწესებაში, რათა არ დადგეს ეროვნული პროდუქციის გასაღების პრობლემა. თუმცა ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ პატარა ქვეყანამ უნდა ჩაკეტოს საზღვრები და ხელი უნდა შეუშალოს მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებში, იქნება ეს სავაჭრო თუ სხვა სახის, მის აქტიურ ჩაბმას. პირიქით ასეთ შემთხვევაში შედეგი შესაძლოა

[70] Dunning, John (1977), Trade, Location of Economic Activity and the MNE: A Search for an Eclectic App¬ roach, S. 410-414

ნეგატიური აღმოჩნდეს, რადგან პატარა ქვეყანას არ გააჩნია იმდენი რესურსი რომ დააკმაყოფილოს საკუთარი ბაზრის მოთხოვნები თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში.

მეორე მხრივ, აღნიშნული გარემოება – საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიური ჩაბმა, არ შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს პატარა ქვეყნისათვის. ისინი გარეშე ძალების ზემოქმედების ხაფანგში არ უნდა მოექცნენ და გარკვეულწილად ეკონომიკური დაუცველობის სინდრომი არ უნდა განვითარდეს. ეს დაუცველობა შეიძლება წარმოშვას შიდა ბაზრის სიმწირემ და სპეციფიკურმა ეკონომიკამ, რომლითაც შესაძლოა ძლიერმა სახელმწიფომ ისარგებლოს და ეკონომიკური ჰეგემონობა განახორციელოს პატარა სახელმწიფოზე. სპეციფიკა ასევე გამოიხატება იმპორტ - ექპორტის არაპროპორციულობაში, აღნიშნული დისბალანსი კი ეკონომიკურ და სავაჭრო უწესრიგობას იწვევს. ეს უწესრიგობა კი თავისთავად იწვევს პატარა ქვეყნებში საბაზრო ფასების რყევას, რასაც მისი ეკონომიკა ვერ უძლებს. აღნიშნული პრობლემა ძლიერ სახელმწიფოებში ან არ არსებობს ან არსებობს მაგრამ გავლენას ვერ ახდენენ მის ეკონომიკურ მონაცემებზე.

ამრიგად, ცნება “პატარა” შეფარდებით ხასიათს ატარებს და არც პატარა ქვეყნის ყველასათვის მისაღები განმარტება არსებობს. ქვეყნების კლასიფიკაცია შეიძლება ტერიტორიის სიდიდის, მათი მოსახლეობის რიცხოვნობის, ერთობლივი ეროვნული პროდუქტის და სხვა მრავალი მახასიათებლის მიხედვით, მაგრამ პატარა ქვეყნის დეფინიცია უფრო კომპლექსური, თვისებრივი მოვლენა არის. რა თქმა უნდა, ქვეყნის სიდიდე და მოსახლეობის რიცხოვნობა ნებისმიერი დეფინიციის საფუძველს წარმოადგენს, რადგან სწორედ ეს ორი მახასიათებელი განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას, მის პოლიტიკურ “წონას” და გავლენას.

პატარა ქვეყნის დეფინიციის ჩამოყალიბება, ბევრმა ცნობილმა მკვლევარმა სცადა, რომელსაც წარმოგიდგენთ პატარა ქვეყნის დეფინიციის საბოლოო ვერსიას, რომელიც ჩვენი აზრით ყველაზე უკეთ გამოხატავს ამ ცნების შინაარსს:

✓"პატარად" ვგულისხმობთ ისეთ სახელმწიფოს, რომლის საგარეო ძლიერებაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება თუნდაც ერთ-ერთ მის მეზობელს" (ო. კნუტსენი); წყარო.

✓ "პატარაა ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონის მაშტაბით არ ძალუძს საკუთარი პოლიტიკური ნების ცხოვრებაში გატარება, ანუ საკუთარი ეროვნული ინტერესების ძალის პოლიტიკის მეშვეობით დაცვა" (ლ. ჟაკე);

✓ "ტერმინი "პატარა ქვეყანა", როგორც ჩანს, წაადგება დიდ ქვეყნებს მცირე მოსახლეობით, პატარა ქვეყნებს დიდი მოსახლეობით, პატარა ქვეყნებს მცირე მოსახლეობით და ზოგჯერ ნებისმიერი სიდიდის ქვეყანას, რომელიც ძირითადად არ ერევა მსოფლიო საქმეებში" (ჰ. გოლდჰამერი);[71]

✓ "პატარა ქვეყანა მაღალი წნევის არეში წარმოქმნილი ვაკუუმია. ის არსებობს არა იმიტომ, რომ სიცოცხლისუნარიანია, არამედ იმიტომ, რომ მისი ტერიტორია არავის სჭირდება, ან კიდევ იმიტომ, რომ მისი არსებობა ძალთა წონასწორობის სისტემაში, ბუფერული სახელმწიფოს ან გარკვეული ელემენტის სახით, ხელს აძლევს ძლიერ ქვეყანას. როცა წონასწორობა ქრება, პატარა სახელმწიფო, ჩვეულებრივ, მასთან ერთად ქრება" (ნიკოლას სპაიკმენი);

✓ "პატარა ქვეყანა არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ მას არ ძალუძს საკუთარი უსაფრთხოე-

---

[71] სტატია: საერთაშორისო ურთიერთობები, გეოპოლიტიკა და საქართველო (მეორე ნაწილი) ვებ.გვერდი: http://www.for.ge/view.php?for_id=16013&cat=12 09.05.2012

ბის უზრუნველყოფა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების გამოყენებით და, მაშასადამე, იგი ძირითადად უნდა დაეყრდნოს სხვა სახელმწიფოს მხრიდან მიღებულ დახმარებას, სხვადასხვა ინსტიტუტებს, პროცესებს და მოვლენებს და ა.შ. პატარა ქვეყნის მიერ საკუთარი უძლურების შეგრძნება აგრეთვე გაზიარებული უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკაში ჩართული სხვა სახელმწიფოების მიერ" (რ. როთსტაინი).

ამრიგად, ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი **დასკვნა** – პატარა ქვეყნების წარმოქმნა და არსებობა განპირობებულია გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეთნიკური თუ ეკონომიკური ფაქტორებით. პატარა ქვეყანა არ ნიშნავს სუსტ ქვეყანას. ასე შეიძლება მაშინ ეწოდოს თუ ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისთ არის სუსტი, რომელსაც დამოუკიდებლად არ ძალუძს საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა. ასეთი კი ტერიტორიულად დიდი ქვეყანაც შეიძლება იყოს (მაგალითად, საუდის არაბეთი, მონგოლეთი, ლიბია, მავრიტანია და სხვ.). ამიტომ უფრო მიზანშეწონილია, ტერმინი "პატარა ქვეყანა" იხმარებოდეს იმ ქვეყნების აღსანიშნავად, რომლებიც ტერიტორიის თვალსაზრისით, ან განვითარების კუთხით, ან ადამიანის განვითარების ინდექსებით დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან.

პატარა ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით ზოგადად დიდი მნიშვნელობა აქვს მის გეოგრაფიულ მდებარეობას მსოფლიო სივრცეში. ასე მაგალითად, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ლუქსემბურგი ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის (ნომინალი) მიხედვით გამოქვეყნებული ქვეყნების სიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა მაგრამ აქ ყურადსაღებია მისი გეოგრაფიული მდებარეობა. ეს პატარა სახელმწიფო ევროკავშირის ცენტრში მდებარეობს, რაც პირველ

რიგში განსაზღვრავს მის სიძლიერესა და უსაფრთხოებას. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარების ყველაზე საუკეთესო შედეგს მიაღწია, რაც უდავოდ მათი პოლიტიკური ლიდერების სწორი პოლიტიკური კურსის დამსახურებაა, მაგრამ აქაც ასევე მნიშვნელოვანი გარემოებაა მათი გეორაფიული მდებარეობა – სამივე სახელმწიფო ევროპას ესაზღვრება, რაც საბჭოთა სივრცეშიც კი უზრუნველყოფთა მათი ევროინტეგრაციისათვის მზაობას და ისინი დღეს ევროკავშირის შემადგენლობაში არიან.

აქედან გამომდინარე საქართველო, ერთ–ერთი პატარა და სუსტი ქვეყანაა ევრაზიის კონტინენტზე, სამხრეთ კავკასიაში სიდიდით მეორე აზერბაიჯანის შემდეგ და რაც მნიშვნელოვანია – რუსეთის, თურქეთისა და ირანის გარემოცვაში, ეთნიკური კონფლიქტების ეპიცენტრში და მძიმე პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობით.[72] ამდენად პარალელის გავლება ზემოთხსენებულ სახელმწიფოებთან ნამდვილად შეუძლებელია. საქართველოს პოლიტიკური კურსი სულ სხვაგვარ მიმართულებას საჭიროებს, რომლიც მშვიდობისა და საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, ევროსივრცეში საკუთარი ტრადიციების თანხლებით შესვლაში შეიძლება გამოიხატოს. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი მხოლოდ მოზომილი და ფრთხილი პოლიტიკური ნაბიჯებითაა შესაძლებელი.

[72] Dunning, John (1977), Trade, Location of Economic Activity and the MNE: A Search for an Eclectic App¬ roach, S. 410-414

პოსტსაბჭოთა საქართველო

საბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოს ერთ–ერთ ყველაზე მდიდარ საბჭოთა რესპუბლიკას უწოდებდნენ. საქართველოს, როგორც საბჭოთა სისტემის შემადგენელი ნაწილის, განვითარება კლასიკური ინდუსტრალიზაციის ფარგლებში მიმდინარეობდა და ამასთანავე ქვეყანა ახერხებდა თავისი ბუნებრივი და გეოგრაფიული რესურსების გამოყენებასაც. დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტისათვის აქ უკვე თავმოყრილი იყო მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსი, ასევე საგანათლებლო კუთხითაც საბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველო ყველაზე მაღალი ნაჩვენებლით გამოირჩეოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ყველა სახელმწიფო აღმოჩნდა სამი გარდამავალი პროცესის წინაშე:

პირველი - საბჭოთა რეჟიმიდან დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლა;

მეორე - მოხდა გადასვლა მბრძანებლური ეკონომიკუდან საბაზრო ეკონომიკაზე და სახელმწიფო საკუთრების სისტემიდან კერძო საკუთრებაზე;

მესამე - საბჭოთა სოციალისტური რეჟიმიდან დამოუკიდებელ სახელმწიფო მოდელზე გადასვლა.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრა სახელმწოფო ინსტიტუტებისა და მთლიანად ერის ტრანსფორმაციას მოითხოვდა, რაც მეტად რთული პროცესი აღმოჩნდა.

ზოგადად სახელმწოფო ინსტიტუტებისა და საზოგადოების ტრანსფორმაცია ურთიერთდამოკიდებული, მაგრამ არაიდენტური პროცესებია. დღეს აშკარად ჩანს განსხვავება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის განვითარების, არამედ დემოკრატიის განვითარების კუთხითაც. პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე უკეთესი

შედეგები ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მიიღეს, რადგან აქ ზემოთ მითითებული ტრანსფორმაცია წარმატებულად განხორციელდა, რასაც საქართველოს მაგალითზე ვერ ვიტყვით.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხარისხზე, დინამიკაზე და საზოგადოების გარდამავალ პროცესებთან ადაპტირების ხარისხზე დიდი გავლენა იქონია თვით ამ გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობამ და ხარისხმა. საზოგადოებაში არსებულ ელიტებს უნდა აერჩიათ რეფორმების სწორი კურსი, ამასთანავე მათ უნდა გადაეწყვიტათ როგორც საზოგადოების კეთილდღეების ასევე ნაციონალური ტიპის პრობლემები და მიდგომები. პოსტსაბჭოთა სივრცის მცდელობა, რომ რაიმე ფორმით მოეხდინათ პოსტსაბჭოთა სივრცის კოორდინაცია და შეექმნათ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ახალი ფორმა, წარუმატებელი აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაციის პრობლემა ბევრად უფრო რთული პროცესი აღმოჩნდა, რამაც მთელ რიგ ქვეყნებში მძიმე სოციალური და პოლიტიკური ხასიათის პრობლემები გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ ვერცერთმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ ვერ შეძლო იოლად „გეგმიური ეკონომიკიდან“ „საბაზრო ეკონომიკაზე“ გადასვლა. როგორც წლების შემდეგ აღმოჩნდა, გარდამავალი კრიზისის შეჩერება საქართველოში შესაძლებელი ყოფილა.[73] ხოლო კრიზისის წარმოქმნისა და ქვეყნის ნორმალური განვითარების შემაფერხებელ მიზეზებად უპირველეს ყოვლისა **მმართველი ელიტისა და ლიდერის დილემა** შეიძლება დასახელდეს. თუმცა, დემოკრატიული პროცესების განვითარება იმ წლებში მეტნაკლებად არ შეჩერებულა, ამას-

[73] Dunning, John (1977), Trade, Location of Economic Activity and the MNE: A Search for an Eclectic App¬ roach, S. 410-414

თანავე, პირველ ეტაპზე, შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ცხოვრობდა ქვეყანაში, ანუ არ იყო დაწყებული მასობრივი მიგრაცია საზღვარგარეთ. დღევანდელი გადასახედიდან ბევრად უფრო მარტივია შეცდომების დანახვა და მის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი. მიზეზები აშკარად ბევრია, კერძოდ, სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ინსტიტუციური სისტემების გარდაქმნის წარუმატებლობა, 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური მაჩვენებლების ვარდნა (რაც კარგად ჩანს თუნდაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, (იხ. სურათი 1), კულტურისა და მეცნიერების სფეროების კრიზისი, მოსახლეობის აქტიური ნაწილის საზღვარგარეთ მასობრივი გადინება, რასაც უზარნაზარი ადამიანური რესურსის დაკარგვა მოჰყვა, პოლიტიკურ ელიტებს შორის ურთიერთობების დალაგების უუნარობა, ეკონომიკური, კულტურული და ეთნიკური ინტერესების დაუბალანსებლობა, პოლიტიკური და სამოქალაქო კონფლიქტების, რომელიც შემდგომ შეიარაღებული დაპირისპირებაში გადაიზარდა, შეჩერების საკითხში ღონიძიებების გაუტრებლობა, და ა. შ. და ყოველივე ამის მიზეზად კი მაინც **პოლიტიკური ლიდერის უუნარობა** აღმოჩნდა, რაც სახელმწიფოს მშენებლობის არასწორად წარმართვაში გამოიხატებოდა.

საქართველოში გატარებული რეფორმები ქმნიდა საზოგადოების ფუნქციონირების გარკვეულ ინსტიტუციურ ბაზას. აღსანიშნავია, რომ არასწორი ეკონომიკური ზემოქმედება დემოკრატიის მყიფე პროცესებზე აფერხებს განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური კრიზისი უმთავრესად ისეთ სტრუქტურებზე აისახა როგორიცაა გადამამუშავებელი მრეწველობა, განსაკუთრებით თავდაცვითი სფერო. საბიუჯეტო კრიზისის გარდაუვალი „მსხვერპლი“ გახდა განათლება, ჯანდაცვა და მეც-

ნიერება. აგრარული სექტორის განვითარებას აფერხებდა საზღვარგარეთის მკაცრი და ხშირად სუბსიდირებული კონკურენციის პირობები. აქედან გამომდინარე ვაჭრობის, სატრანსპორტო, კომუნიკაციისა და საყოფაცხოვრებო მშენებლობის წარმოების პროცესის ტემპები შენელდა.

დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სამოქალაქო ომის დასრულების შემდგომ, როცა ქვეყანამ დაიწყო განვითარება, პირველ რიგში დაიწყო სახელმწიფო მონოპოლიის კერძო საკუთრებით ჩანაცვლება. პრივატიზაციასთან ერთად მნიშვნელოვნად მცირდებოდა დასაქმება სახელმწიფო სექტორში და იზრდებოდა თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი. პარალელურად მცირდებოდა დაქირავებით დასაქმებულთა წილიც, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო იმით, რომ 1990-იანი წლებიდან ხდებოდა ინტენსიური მიგრაცია, ძირითადად, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო. ოფიციალური სტატისტიკის არარსებობის მიუხედავად, სხვადასხვა საექსპერტო გათვლებით, ამ პერიოდში საქართველოდან მიგრანტთა რაოდენობა მერყეობს 400 ათასიდან 1 მლნ ადამიანამდე. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, წმინდა მიგრაცია (მიგრაციას მინუს ემიგრაცია) 1992-1996 წლებში შეადგენდა – 544,069 კაცს, 1997-2001 წლებში კი - 390,036 კაცს.[74] ამასთან, მიგრანტთა აბსოლუტური უმრავლესობა შრომისუნარიანი ასაკის იყო.

მოსახლეობის მილიონზე მეტით შემცირება, უარყოფით დემოგრაფიულ ტენდენციებსა და კონფლიქტებთან (ტერიტორიების ნაწილზე დე ფაქტო კონტროლის დაკარგვა) ერთად, სწორედ ემიგრაციის დინამიკურობით იყო განპირობე-

[74] Григорьев Л., Кондратьев С., Салихов М. Трудныйпуть из рансформационного кризиса (случайГрузии) /Вопр. экономики. 2008. № 10

ბული.[75] ამავე პერიოდში, ოფიციალური მონაცემებით, უმუ-შევრობამ შეადგინა 11-14%. ამ მონაცემებში არ იგულისხმება სოფლის მოსახლეობა, რომელიც მთელი მოსახლეობის თით-ქმის ნახევარს შეადგენდა და არსებული კანონმდებლობით ისინი არ მიეკუთვნებოდნენ უმუშევართა რიცხვს მათ საკუთ-რებაში არსებული 0,8-1,0 ჰა მიწის ნაკვეთის გამო. უმუშევრო-ბის დონე ქალაქებში დაახლოებით 4-ჯერ აღემატებოდა სოფ-ლის მაჩვენებლებს, ქალაქში ცხოვრობდა მოსახლეობის 52.3%, ანუ აქ უმუშევართა თითქმის 4/5 იყო კონცენტრირებული.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საქართველო გასული საუკუნის 90-იან წლებში მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა აუცილებელი და გარდაუვალი მომენტი იყო, თუმცა აქ მთავარი როლი პოლი-ტიკურ ლიდერს უნდა შეესრულებინა, რომელსაც ორიენტა-ცია დაკარგული ქვეყანა განვითარების სწორ რელსებზე უნდა გადაეყვანა.

ისტორიამ ცხადყო, რომ ეს მისია დამაკმაყოფილებლად ვერ შესრულდა. დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ქვეყნისათვის წარმატება და აღმავლობა უნდა მოეტანა, მაგ-რამ მოიტანა სამოქალაქო ომი, შუღლი და სეპარატიზმი. დაი-კარგა საქართველოს ტერიტორიები და ეკონომიკური მდგო-მარეობა მინიმუმამდე დაეცა.

პოლიტიკური ლიდერის შეცდომების დანახვა და მის შესახებ საუბარი მარტივია თუკი მოცემული პერიოდიდან საკმაოდ დიდი დროა გასული.[76] განსაკუთრებით დიდი სიფ-

---

[75] Vgl. http://www.un.int/mongolia/NCAFP.htm (22.04.2005, 19:33 h).

[76] როგორც ამბობენ „უახლესი ისტორიის წერა ნისლიან ამინდში ბუნების პეიზაჟის ხატვას ჰგავს“.(ისტორია უდისტანციოდ) მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები / გიორგი მჭედლიძე

რთხილეა საჭირო ლიდერის შეფასებისას, რადგან 90-იან წლებში დაშვებული შეცდომების დიდი წილი გამოწვეული გახლდათ როგორც იმდროინდელ პოლიტიკურ ლიდერთა შეცდომებისა და გამოუცდელობის, ასევე საზოგადოებაში დამოუკიდებელი პოლიტიკური კულტურის არქონის გამო, რაც სრულიად ბუნებრივად შესაძლოა მოგვეჩვენოს, ვინაიდან სამიათასწლოვან ქართულ ქვეყანას ერთიანი სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდა თითქმის 500 წლის განმვლობაში. და კვლავ, ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ელიტის როლი.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკურმა ლიდერებმა განსაზღვრეს ამ

ქვეყნების თანამედროვე პოლიტიკური ისტორია და წარუმატებელი პოლიტიკის ბრალეულობაც მეტწილად მათზე მოდის. საბჭოთა სისტემიდან წარმატებულად გასვლის შესანიშნავი მაგალითია ბალტიისპირეთის პოლიტიკური ლიდერების პოლიტიკა.

ლიდერის როლი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განვითარების საკითხებში

საზოგადოებაში დღემდე არ წყდება კამათი პიროვნების როლზე სახელმწიფოს ისტორიაში. ამოუხსნელი რჩება საკითხი, ესა თუ ის ეპოქა აყალიბებს პიროვნებებს, თუ პირიქით, ცალკეულ პიროვნებათა ერთობლიობა ქმნის ეპოქას. როგორც არ უნდა იქნას ეს ფილოსოფიური საკითხი გადაწყვეტილი, ერთი ჭეშმარიტება ცხადია, რომ ცალკეული ქვეყნებისა და ერების ბედ-იღბალი ხშირად ყოფილა დამოკიდე-

ბული ამა თუ იმ კონკრეტული პიროვნების ქმედებათა შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პიროვნებები თავისი სოციალური მდგომარეობით, იდეებითა და მისწრაფებებით ხშირად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ყოველ მათგანს მაინც თავისი წვლილი შეჰქონდა მსოფლიოს ისტორიაში, ყოველი ასეთი ადამიანი თითქოს საკუთარი, განსაკუთრებული მისიის მატარებელი იყო, საზოგადოების ერთიან სისტემაში.

პოლიტიკური ლიდერობის ფენომენი საკითხთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც საფუძვლიან და მრავალმხრივ შესწავლასა და ანალიზს მოითხოვს. კაცობრიობის ისტორიაში მრავალი სახასიათო და ცნობადი ლიდერები იყვნენ, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ მომენტში ქმნიდნენ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიასა და განსაზღვრავდნენ მის ეპოქალურ სიდიადეს. ასევე ისტორიაში იყვნენ პატარა დონის „ლოკალური“ ლიდერები, რომლებსაც არც განსაკუთრებული ისტორია და ეპოქა შეუქმნიათ, თუმცა ქვეყანის მისი სახელი მაინც შემოინახა. „ლოკალური“ ლიდერები ჯერ კონკრეტული ქვეყნის ლიდერები იყვნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გახდნენ ცნობადი მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში და დაიწყეს მსოფლიო პოლიტიკაში თავიანთი წვლილის შეტანა, როგორც ლიდერებმა (ათა თურქი, ვაცლავ ჰაველი, დანიელ ორტეგა, ფიდელ კასტრო, ჩე–გევარა, ნელსონ მანდელა, იასერ არაფატი, ცზაინ ცზინგო, ლი კუან იუ და სხვ). მაგრამ არსებობენ „მასშტაბური“ ლიდერები, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილენი არიან და მეტად ცნობად სახეებს წარმოადგენენ საერთაშორისო ასპარეზზე.

სწორედ ასეთ „მასშტაბურ“ ლიდერს წარმოადგენდა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც უკვე ცნობილი და პრაქტი-

კოსი პოლიტიკოსი ახალბედა ქართულ დამოუკიდებელ, სუ-ვერენულ საქართველოს პოლიტიკური ლიდერის სახით მო-ევლინა. ედუარდ შევარდნაძისათვის საქართველოს ლიდე-რობა მისი პოლიტიკური სარბიელის ფინიშს წარმოადგენდა, რომელსაც მრავალი წლების განმავლობაში დაგროვილი პო-ლიტიკური გამოცდილება საბოლოოდ საქართველოს კე-თილდღეობას უნდა გამოეყენებინა, აეშენებინა ქართული სახელმწიფო, რომელსაც ჯერ კიდევ საკუთარი კონსტიტუ-ციაც კი არ გააჩნდა. ეს კი საკმაოდ რთული პროცესი იყო, როგორც საზოგადოებისათვის ასევე თვით ლიდერებისათ-ვის. შევარდნაძის პოლიტიკური აზროვნების ჩასახვა და გან-ვითარება მძაფრი სოციალიზმისა და იმპერიალიზმის პირო-ბებში მიმდინარეობდა, ხოლო საქართველო ამ პერიოდისათ-ვის დემოკრატიული და სუვერენული, კერძო საკუთრებაზე და არა სოციალიზმზე იყო ორიენტირებული. ამდენად აქ სა-ჭირო იყო ჯერ ლიდერის სათანადო ფორმირება, ხოლო შემ-დეგ საზოგადოების შესაბამისად განვითარება. დიდი იმპე-რიის ნგრევა წარმოშობს ნანგრევებში მოყოლის საშიშროებას. შევარდნაძეც სწორედ ამას მოუწოდებდა ერს – სსრკ ინგრევა, არ მოვყვეთ ნანგერევებში.

პოლიტიკური ლიდერის ფენომენის კვლევა რამოდენი-მე ასპექტს ეფუძნება. კერძოდ:

✓ ***უპირველესად თვით თემის აქტუალურობა*** – ზოგა-დად ლიდერის ფენომენის განსაზღვრა, რომელსაც ეფუძნება პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ფენომენის დილე-მისა თუ წარმატებული ქმედებების კვლევა და ანალიზი,

✓ ***პატარა ქვეყნის კონცეფციის ჩამოყალიბება*** – ცნება პა-ტარა ქვეყანა მრავალმხრივ მნიშვნელობას იძენს, რაც კვლე-ვის დროს კიდევ უფრო განზოგადდა და თეორიულ დონეზე ჩამოყალიბდა დეფინიცია პატარა ქვეყანის პოლიტიკური

ლიდერობის შესხებ. ცხადი გახდა, რომ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური უნარების მატარებელი ლიდერი სჭირდება;

✓ ***ისტორიული მოვლენების მიმოხილვა*** – რა მაგალითები არსებობს

ქვეყანაში ლიდერობის თვალსაზრისით, რა გამოცდილებებია და რომელთა გამოყენება შეიძლება სამომავლოდ. როგორც გენეტიკა განსაზღვრავს ადამიანის მომავალს გარკვეულწილად წარსული განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს;

✓ ***ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის კვლევა და ანალიზი*** – ეკონომიკური ფაქტორები მეტწილად განსაზღვრავს ქვეყნის ძლიერებას. იქ სადაც ეკონომიკა ძლიერია სახელმწიფოც შესაბამისად ძლიერია. რა როლი აქვს ლიდერს ასეთ შემთხვევებში, რა მაგალითები გვაქვს წარსულიდან და რა პერსპექტივების დასახვაა შესაძლებელი სამომავლოდ. კვლევის ეს ნაწილი მოიცავს ასევე იმ რესურსების განხილვას, რომლებიც გააჩნია საქართველოს და როგორც პატარა ქვეყანამ როგორ შეიძლება გამოიყენოს ისინი საკუთარი კეთილდღეობისათვის;

✓ ***საზოგადოებრის სოციალური ბუნება*** – ძლიერ ლიდერს შესაბამისი პლატფორმა სჭირდება, რათა მაქსიმალურად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. თეორიული კვლევის შედეგად მოყვანილი იქნა მაგალითები პოსტსაბჭოთა ქვეყნების ლიდერების პოლიტიკური ცხოვრებიდან და განხილული მაგალითების საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ძლიერი ლიდერისათვის საზოგადოებრივ ელექტორატს სხვა გარემოებებთან ერთად უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია მის მოღვაწეობაზე.

✓ ***ლიდერობის უნარების შესწავლა – გაანალიზება*** - კვლევაში განხილულია ლიდერობის საკითხებთან დაკავში-

რებული საკითხები ანტიკური ეპოქიდან დღემდე. საინტერესოა ლიდერის ტრანსფორმაცია ეპოქალურ ჭრილში, ასევე სხვადასხვა ფილოსოფოსებისა და მეცნიერების შეხედულებები ლიდერზე.

ამრიგად, ქვეყნის წარმატებული განვითარება დამოკიდებულია კომპლექსურად რამოდენიმე ფაქტორებზე: ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ განვითარებაზე, ასევე წარსულის მაგალითებზე და თანამედროვე ხედვაზე. ყველა ეს ფაქტორი პოლიტიკური ლიდერის ან ლიდერთა ჯგუფის მიერ შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული.

საქართველოს პოლიტიკური ლიდერის როლი სახელმწიფოებრიობის განვითარებაში

დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიული დრო პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არაა.[77] დამოუკიდებლობის მოპოვება არ ნიშნავს დამოუკიდებლად ცხოვრების ცოდნას. ამისათვის გამოცდილებაა საჭირო. საქართველოს ბოლო ათწლეულების მანძილზე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ლიდერები ჰყავდა:

✓ ***ეროვნული მოძრაობიდან გამოსული ლიდერი,*** რომელიც არსებული რეჟიმის უარყოფაზე იყო ორიენტირებული, ზვიად გამსახურდია არ იყო და ვერც იქნებოდა პოლიტიკოსი, რადგან მას შესაბამისი უნარები არ გააჩნდა.[78][79]

---

[77] ა.ცინცაძე, გ.ბაღათურია. „არჩევანი“ თბ.2002 წ.
[78] გაზ. “კონსტიტუციურ-დემოკრატი“, 1994 წ. ივნისი.
[79] ჟურნ. “პოლიტიკა“, 1991, #9-10, გვ. 23

✓ ***კონსერვატორი ლიდერი,*** რომელიც ცდილობდა ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნებას, მის თანდათანობით გარდაქმნას დემოკრატიული განვითარებულობიკენ. მაგრამ განვითარების ტემპები მიუღებელი აღმოჩნდა ახალგაზრდა პოლიტიკოსების თაობისთვის, რომელთაც მხარს უჭერდნენ აგრეთვე გარეშე ძალები. ედუარდ შევარდნაძისათვის, როგორც მასშტაბური პოლიტიკური ლიდერისათვის, დამოუკიდებელი საქართველო ვერ აღმოჩნდა ის სივრცე სადაც ის შეძლებდა ისევე ეფექტიანად მართვას, როგორც ამას ახერხებდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და მოგვიანებით სსრკ–ს საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს. მაინც, მან ეკონომიკურად და სოციალურად დეგრადირებულ ქვეყანაში მოახერხა ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებმაც ქვეყანას მოუტანა საერთაშორისო აღიარება, ქვეყანა დაადგა დემოკრატიული მმართველობის გზას, დამოუკიდებელმა საქართველომ შეძლო და მიიღო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო აქტი – კონსტიტუცია. ეს მოვლენები შეიძლება შეფასდეს, როგორც ლიდერის პოლიტიკური წარმატების შედეგი. თუმცა, ქვეყნის ნორმალურად განვითარებისთვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა ფართომასშტაბიანი რეფორმირების დაჩქარებული ტემპები.

✓ ***ენერგიული, რეფორმატორი ლიდერი,*** რომელიც განსაკუთრებული ქარიზმით გამოირჩეოდა. მან მოახერხა ხელისუფლებაში მოსვლა იმის გამო, რომ ახალგაზრდა თაობა მოითხოვდა არსებული წესრიგის შეცვლას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სიახლის დანერგვას. მსგავსი პოლიტიკოსის აღზევება, ცხადია ითვალისწინებს გარკვეულ წინაპირობებს, რომელიც ზუსტად მოერგო მიხეილ სააკაშვილს – ქარიზმატული, ამბიციური და ენერგიული, რომე-

ლიც ფლობდა ყველაზე მეტ რესურსებსა და შესაძლებლობებს, ყველაზე დიდ გასაქანს პოლიტიკურ სივრცეში, ვიდრე მისი წინამორბედნი. ზოგადად ქართველი ხალხის მენტალობიდან გამომდინარე ქარიზმატული ლიდერები, რომლებიც ხალხის თვალში „მხსნელის“ სახით ევლინება ქვეყანას, უფრო მეტ მხარდაჭერას იმსახურებს. ისე ჩანს, რომ თითქოს ქართული საზოგადოება შრომისა და გარჯის უნარსაა მოკლებული და ელის ადამიანს, რომელიც ***მის მაგივრად გააკეთებს ყველაფერს,*** ეს საზოგადოების ნაკლოვანებაა. აღნიშნული „მხსნელი“ კი, რომელიც ძლიერ მუხტს შემოიტანს ერში და დასაწყის პერიოდში მაინც წარმატებულ ლიდერობას მიაღწევს, შესაძლოა გადაიხაროს ავტორიტარული მმართველობისკენ, რაც მოხდა კიდეც საქართველოში...

ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველოში არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის კვლევის ანალიზი ცხადყოფს პოლიტიკურ ლიდერთა პოლიტიკური მართვის ხარისხს.

მიუხედავად ედუარდ შევარდნაძის მიერ გატარებული რეფორმებისა, რომელმაც ზომიერი ტემპებით, მაგრამ მაინც ეკონომიკის ზრდა უზრუნველყო, სოციალური დაცვის სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ ახერხებდნენ გამოეყვანათ ქვეყანა სიღარიბიდან და შეექმნათ მათთვის ცხოვრების გარანტირებული და სტაბილური პირობები. შედეგად, სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემას ჩაენაცვლა ნათესაური და სამეზობლო დახმარების ინსტიტუტები, ჰუმანიტარული დახმარებები, ქველმოქმედებები, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფდა გაღატაკებული ფენების ფიზიკურ გადარჩენას.

ამასთან, ისედაც რთული სოციალური გარემო კიდევ უფრო დაიძაბა არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეო-

ბით, მოუწესრიგებელი ეთნოკონფლიქტებით, რის შედეგად მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აღმოჩნდა დევნილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.[80] საქართველოს სოციალური ინფრასტრუქტურა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მნიშვნელოვანი და, ამასთანავე, ყველაზე სუსტი რგოლი იყო.[81] ამ სფეროში წარმოქმნილი პრობლემები, რომლებიც გამოწვეული იყო საბჭოთა პერიოდის სოციალური ინფრასტრუქტურის რღვევითა და ახალი რეფორმების გატარების სირთულეებით, პირდაპირ აისახა მოსახლეობის სოციალური გარემოს გაუარესებაზე. 1994 წელს სიღარიბემ მიაღწია მაქსიმალურ დონეს და შეადგინა 80%. შემდგომ იგი თანდათანობით შემცირდა. 1995 წელს ოფიციალური მონაცემებით ეს მაჩვენებელი 60% იყო, ხოლო 1997 წელს – დაახლოებით 46%. შემდგომ პერიოდში სიღარიბის დონე უმნიშვნელო ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

საქართველოში არსებული სოციალური პრობლემები, მათ შორის, სიღარიბე, საერთო სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად განისაზღვრებოდა ქვეყანაში მოქმედი სოციალური სამსახურების ფუნქციონირების დაბალი ეფექტიანობით. ამ პერიოდში სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების სისტემაში გამოიკვეთა სამი ძირითადი პრობლემა:

1.საგადასახადო ბაზის სიმცირე, გამოწვეული, ერთი მხრივ, შრომის

დაბალი ანაზღაურებით და, მეორე მხრივ, ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა სიმცირით;

---

[80] Ющенко обвинил Кабмин в беспрецедентном невыполнении госпрограмм//Корреспондент.net.2009.15.07URL: http://korrespondent.net/business/companies/870455/print

[81] Султонов Х. Право выбора без прав // Оазис. 2011. № 18. С. 2);

2. დემოგრაფიული ცვლილებები – მოსახლეობის დაბერება და მიგრაცია;

3. არაეფექტური სოციალური პოლიტიკა.

ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახდა მოსახლეობის სოციალური დაცვის დაბალი ეფექტი. მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იყო უზრუნველყოფილი უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოთი, რაც ზრდიდა დაუცველობას და ამძიმებდა ღარიბთა ჯანმრთელობის მდგომარეობას.

90-იანი წლების მეორე ნახევარში პოლიტიკური ლიდერის მიერ დაიწყო სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების რეფორმების გატარება. საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ მხოლოდ რეფორმები ჯანდაცვის სფეროში, რაც ითვალისწინებდა რიგი სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზებას. თუმცა ამ პროცესების შედეგად მოსახლეობას ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი იმ სამედიცინო მომსახურებაზე, რომელსაც ადრე სახელმწიფო უზრუნველყოფდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში იყო აქტიური სოციალური პოლიტიკის ფორმირების მცდელობები, სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია ვერ განვითარდა. ფინანსური სახსრების ნაკლებობა არ იძლეოდა საშუალებას აქტიური სოციალური პოლიტიკის გასატარებლად. ხელისუფლება ძირითადად ახორციელებდა პასიურ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც შემოიფარგლებოდა უმუშევართა და ღარიბთა არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნებით. ასეთი პოლიტიკა გულისხმობდა ძირითადად მიზერული ფულადი დახმარებების გაცემას და განკუთვნილი იყო შრომისუნარიანობის დაკარგვისა და შემოსავლებში დანაკარგების კომპენსირებისათვის ისეთ შემთხვევებში, როგორებიცაა ავადმყოფობა, უმუშევრობა, მოხუცებულობა, ბავშვის დაბადება და ა.შ.

ეკონომიკის ძირითად სუბიექტებს წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებიც არალეგარულად ქმნიდნენ ეკონომიკურ წესებს. ამ წრეებში ჩართული აღმოჩნდნენ მეწარმეების, ხელისუფლების და შავი სამყაროს წარმომადგენლები. ასეთმა ურთიერთობამ მიიღო ტოტალური ხასიათი და საზოგადოების ფართო ფენები ჩათრეულნი აღმოჩნდნენ კანონის მიღმა დამკვიდრებული წესებით განპირობებულ პრაქტიკაში. საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება სპონტანური ძალების კომბინირებული მოქმედებით ხდებოდა და, რამდენადაც არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ინსტიტუციური პირობები სპონტანური ძალების თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას არ იძლეოდა, საბაზრო ინსტიტუტებიც სახელმწიფოს ინტერვენციებით ყალიბდებოდა და წინსვლისა და შეფერხებების გზით იმართებოდა. ქვეყანას სჭირდებოდა ახალი კონცეფცია. ტრანსფორმაციის განმაზოგადებელი პირობა იყო სახელმწიფოს როლის მნიშვნელობის შემცირება. ცხადია, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები უნდა შემცირებულიყო, მაგრამ სახელმწიფოს გარეშე არც ინსტიტუტების სპონტანური წარმოშობა იქნებოდა დამაკმაყოფილებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლიდან მსოფლიო ბანკმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება გარდამავალი პერიოდის ქვეყნების მიმართ და ბაზრის ავტომატური რეგულატორის ნაცვლად სახელმწიფოს როლის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

საქართველოს განვითარება მოითხოვდა ახალ მიდგომას, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო შემდგომი სტრატეგიული განვითარება. საქართველოს უძრაობის მდგომარეობიდან თავის დაღწევა შეეძლო დემოკრატიული კურსის გაძლიერებით, რაც, ფაქტობრივად, ეკონომიკური ლიბერალიზაციის განმტკიცებასთან ერთად მოითხოვდა სახელმწიფო

ინსტიტუტების რადიკალურ ცვლილებასა და ახალი პოლიტიკური დემოკრატიული კურსის ფორმირებას.

ამრიგად, ედუარდ შევარდნაძემ გარკვეულწილად ამოწურა თავისი შესაძლებლობები. საქართველო ახალ, სხვაგვარი განვითარების ტენდენციებს მოითხოვდა. ამის მიზეზად არსებული სერიოზული საერთაშორისო გამოწვევები, ფაქტობრივად სუსტი სახელმწიფოებრიობა და ზოგადად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება დასახელდეს, რომლის ფონზეც, საქართველოში 2003 წლის ნოემბერში მოხდა ხელისუფლების ცვლილება მშვიდობიანი რევოლუციის გზით. უძრაობის მდგომარეობის მოსალოდნელი გაგრძელების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობამ მიმართა რადიკალურ გზას, რასაც ეწოდა "ვარდების რევოლუცია."

პოლიტიკურ ლიდერთა მიერ დაშვებული შეცდომები და საბოლოო შედეგები

პოლიტიკური ლიდერის კატეგორია საინტერესოა, რადგანაც მის ხელშია პოლიტიკის საფუძველი - ძალაუფლება და სწორედ ის აძლევს მიმართულებას პოლიტიკურ პროცესებს. არსებობენ „კონსერვატორი", „გმირი", „ერის მამის" ტიტულის მქონე ლიდერები. ზოგადად "გმირისა" და "ერის მამის" ტიპაჟები ავტორიტარიზმთან, მკაცრ და ხშირ შემთხვევაში ძალისმიერ მმართველობასთან ასოცირდება. აქ მთავარი მომენტია განხორციელდება თუ არა მარტივად, ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაზე უმტკივნეულოდ გადასვლა.

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველი თვეების მთავარი პოლიტიკური სირთულე აჭარის ავტონომიუ-

რი რესპუბლიკის ავტორიტარული ლიდერის, ასლან აბაშიძის დაუმორჩილებლობა გახდა. კრიზისი შეიარაღებულ დაპირისპირებად გადაქცევის საშიშროებაში გადაიზარდა, თვით აჭარის ტერიტორია ფაქტიურად განცალკევებულ და მკაცრად კონტროლირებად ადმინისტრაციულ ერთეულად გადააქცია მისმა ერთმართველმა ლიდერმა.

თუმცა 2004 წლის აპრილის ბოლოსათვის სამოქალაქო აქციების გამო აბაშიძე იძულებული გახდა დაეტოვებინა აჭარა. აჭარაში წარმატებით დაიმედებულმა სააკაშვილმა სამწუხაროდ, იმავე ტაქტიკითა და მეთოდებით სცადა ცხინვალის რეგიონის (ე.წ.სამხრეთ ოსეთის) საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება, რაც წარუმატებელი პოლიტიკური ნაბიჯი აღმოჩნდა, რაც სიტუაციის გამწვავებით დასრულდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ხუთდღიანი ომით და საქართველოსთვის კატასტროფული შედეგებით დასრულდა.

სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ხუთი სახის ძირითადი პრობლემები წამოწიეს წინ:

- ***ენერგეტიკული კრიზისი*** – გასაკუთრებით ზამთარში, გათბობისა და ელექტროენერგიის დეფიციტის გამო, ხალხი ფიზიკური გადარჩენის საფრთხის წინაშე იდგა;
- ***საბიუჯეტო კრიზისი*** – წინა ხელისუფლებას დაგროვილი ჰქონდა უზარმაზარი დავალიანება პენსიებისა და საჯარო სექტორში გაუცემელი ხელფასების სახით, რაც განპირობებული იყო კორუფციით და ხელისუფლების უუნარობით, დაემყარებინა ფისკალური დისციპლინა;

- ***უმუშევრობის მაღალი დონე და სიღარიბე*** - რაც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ სერიოზულ შემაფერხებელი ფაქტორი გახლდათ.
- ***კორუფციის მაღალი დონე*** – სახელმწიფო ინსტიტუტებში კორუფციის არსებობა სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა სახელმწიფოებრივი განვითარების ტენდენციებს;
- ***პოლიციის რეფორმა*** – თანამედროვე საპოლიციო სისტემამ შეძლო დიდწილად ქვეყანაში დისციპლინის დამყარება ქვეყანაში, კანონიერი ქურდების ინსტიტუტის განეიტრალება და სხვა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთმითითებული ღონისძიებების გატარება მეტად რთულ და დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რამაც საზოგადოებაში საბოლოო ჯამში ნეგატიური შედეგები გამოიწვია.

დაიწყო რადიკალური ცვლილებები სოციალურ - ინსტიტუციურ და ეკონომიკურ სფეროებში. პრაქტიკულად, საქართველოში დაიწყო ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი. აღნიშნული პროცესი მოიცავდა რამოდენიმე ეტაპს,

-პირველი, რევოლუციის შემდგომი პირველი თვეები, როდესაც უმთავრეს ამოცანას ფისკალური წესრიგის დამყარება და დაგროვილი საბიუჯეტო, მათ შორის სახელფასო და საპენსიო, დავალიანებების დაფარვა და ვალდებულებების რეალიზაცია წარმოადგენდა, როდესაც უნდა გადაჭრილიყო ენერგომომარაგებაში არსებული უმწვავესი პრობლემები.

- მომდევნო ეტაპი 2004 წლის მეორე ნახევრიდან იწყება და 2007 წლის ბოლომდე გრძელდება, როდესაც სახელმწიფომ ოთხჯერ შეამცირა საგადასახადო წნეხი, ხოლო სავალდებულო ლიცენზიების რაოდენობა 90%-ით შეამცირა

და მოახდინა შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია, რის შედეგადაც სახელმწიფომ მიიღო მანამდე თითქმის არ არსებული საშუალო კლასი. ამ პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ ლიდერთა პოლიტიკურ რიტორიკაში მკაფიოდ გამოიკვეთა რადიკალურად ლიბერალური ე.წ. ლიბერტარიანული პოლიტიკის ელემენტები.

- ხოლო მესამე ეტაპი, რომელიც დაიწყო 2008 წლიდან 2007 წლის ბოლოს არსებული პოლიტიკური კრიზისის შემდგომ, რომელსაც დაერთო 2008 წლის აგვისტოს ომი და გლობალური ფინანსური კრიზისი. ამ ეტაპზე აღსანიშნავია სოციალური ამოცანების წინა პლანზე წამოწევა.

მიხეილ სააკაშვილის როგორც პოლიტიკური ლიდერისა და მისი პოლიტიკური გუნდის უმთავრესი ამოცანა იყო ფინანსური დისციპლინის დამყარება, კანონიერი ეკონომიკური თამაშის წესების დამკვიდრება, რაც გულისხმობდა ჩრდილოვანი, კლანური სტრუქტურების რღვევას, მათი ძირითადი სუბიექტების მიერ უკანონოდ მითვისებული ქონების კონფისკაციას და გადანაწილებას საზოგადოების ღარიბი სოციალური ფენების სასარგებლოდ. ამ მიზნით განხორციელდა წარსულში რამდენიმე მაღალჩინოსნის დაპატიმრება, მათი ქონების ჩამორთმევა, გადაუხდელი გადასახადების ამოღება. ამ ღონისძიებებს დაექვემდებარნენ ექსპრეზიდენტ შევარდნაძის ოჯახის წევრებიც. პარალელურად განხორციელდა სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, საკანონმდებლო ბაზის შეცვლა, რაც, ძირითადად, მოიცავდა ლიბერალური საგადასახადო კოდექსის შემოღებას, მაკონტროლებელი ორგანოების შემცირებასა და შეზღუდვას.

ამ ამოცანების განხორციელება ხელისუფლებამ დაიწყო მთავრობის რეორგანიზაციით, რაც ითვალისწინებდა კორუფციიდან მის გათავისუფლებას, ბიუროკრატიის შემცირე-

ბას, სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობის ზრდას და მათი შრომის ანაზღაურების გაზრდას. ამ მიზნით შეიცვალა კონსტიტუცია, გაუქმდა ძველი საპრეზიდენტო ხელისუფლებისათვის განკუთვნილი სამსახურები და ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურები.

„ვარდების რევოლუციის" შემდგომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა საგადასახადო-საბიუჯეტო სექტორში. საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება და საბიუჯეტო-ფინანსური დისციპლინის დამყარება მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ძირითად მახასიათებლად და მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა, საბიუჯეტო პროცესი და ფისკალური პოლიტიკა ორმხრივადაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკასთან. ერთი მხრივ, ეს სისტემა წარმოადგენს ხელისუფლების ძირითად ბერკეტს, რათა გაატაროს ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური პოლიტიკა, მეორე მხრივ, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში სარკისებურადაა ასახული ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ტენდენციები.

საქართველოს ხელისუფლებისთვის ტურიზმი განსაკუთრებულ პრიორიტეტის მქონე მოვლენას წარმოადგენდა. თუმცა საქართველო ცხადია არ შეიძლება განვითარების თვალსაზრისით ორიენტირებული იყოს დიდწილად ტურიზმზე, ეს შეიძლება როგორც დამატებით შემოსავლის წყაროდ გადაიქცეს და ძირითადი ბერკეტები სხვა სფეროში უნდა მოძებნილიყო. აღნიშნულმა გარემოებამ მოგვიანებით საქართველოს განვითარებას თავისი კვალი დაამჩნია. ტურიზმთანაა დაკავშირებული, უმთავრესად, სასტუმროებისა და რესტორნების სექტორი, რომელშიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე მაღალი 2007 წელს იყო და 242,076 ათასი აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ინვესტიციების

12%), 2008-ში – 181,939.2 ათასი აშშ დოლარი (12%), 2009-2011 წლებში კი მკვეთრად – საშუალოდ 7-ჯერ დაეცა.

მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, ტურიზმის განვითარებისა და ინვესტიციების შემოსვლისა ქვეყანაში, სიღარიბე კვლავ რჩება საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად. ეკონომიკური ზრდისა და სოციალური რეფორმების შედეგად სიღარიბე შედარებით შემცირდა, მაგრამ პარალელურად გაიზარდა სოციალური უთანასწორობა და შეიცვალა სიღარიბის პროფილი ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის. ეს გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ უკანასკნელ წლებში სიღარიბე კვლავ მწვავე პრობლემას წარმოადგენს. 2006 წლიდან მიხეილ სააკაშვილმა გააუქმა უმუშევართა ყველანაირი დახმარება და სოციალური დაცვის და დასაქმების ღონისძიებები შეუერთა უკიდურესად შეჭირვებული ადამიანების მიზნობრივად ორიენტირებული დაცვის სისტემას. არსებობს სიღარიბის დონის რამდენიმე მაჩვენებელი. 2004 წლამდე სახელმწიფო სიღარიბის დონის განსაზღვრისათვის განსხვავებულ კრიტერიუმებს იყენებდა, ვიდრე შემდგომ. 2002 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, საარსებო მინიმუმის მიხედვით, მოსახლეობის 52% იყო. 1994 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 80%-ს, 1995 წელს – 60%-ს. სიღარიბის დონე ყველაზე დაბალი იყო 1996-97 წელს – დაახლოებით 46%. 2004 წლიდან სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურმა მოახდინა საარსებო მინიმუმის კორექტირება და გათვლის ახალი მეთოდოლოგიით, თითქმის მესამედით შეამცირა სამომხმარებლო კალათის ღირებულება, რის შედეგადაც სიღარიბის დონე სტატისტიკურად მკვეთრად შემცირდა და 2004 წელს მაჩვენებელი 52%-დან 35.7%-მდე დაეცა, ხოლო 2005 წელს კი 39.4% შეადგინა. ამჟამად ოფიციალური სტატისტიკა არ ასახავს სიღარიბის აბსოლუტურ მაჩვენე-

ბელს და, ძირითადად, ფარდობით მაჩვენებლებს იყენებს, რაც ართულებს იმის იდენტიფიცირებას, თუ რამდენი ადამიანის შემოსავალია საარსებო მინიმუმის ქვემოთ.აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წლამდე იანგარიშებოდა სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმკაცრე. 2007 წლიდან კი ეს მაჩვენებლები აღარ გამოქვეყნებულა. ქალაქად და სოფლად სიღარიბის მაჩვენებლები საკმაოდ განსხვავებულია. უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების რაოდენობა სოფლად მეტია, ვიდრე ქალაქად, თუმცა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების წილი ქალაქებში მეტია.

ამრიგად, 2003 წლის ნოემბრის "ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსული ხელისუფლება მისი ლიდერის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით 2004 წლიდან საწყის ეტაპზევე მრავალი გადაუჭრელი პრობლემის და კრიზისული ფონის წინაშე აღმოჩნდა. თავდაპირველად, ახალმა ხელისუფლებამ გარკვეულწილად ეფექტური ცვლილებები განახორციელა საჯარო ადმინისტრაციულ სტრუქტურებში. ეს იყო სტრუქტურული, საკადრო, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ხასიათის ცვლილებები. შესაბამისად, მოხდა ამ სტრუქტურებში ქაოტური მდგომარეობის დაძლევა, გაიზარდა ორგანიზაციული მდგრადობის და ქმედითობის ხარისხი. მკვეთრად შემცირდა კორუფციის მასშტაბი საჯარო ადმინისტრაციულ იორგანოების ქვედადა საშუალო დონეებზე, თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის საერთაშორისო შეფასებებით, საქართველოში ელიტური და პოლიტიკური კორუფციის ახა-

ლი ფორმებიც ჩამოყალიბდა.[82] რაც პოლიტიკური ლიდერისა და ჯგუფის სისუსტედ შეიძლება ჩაითვალოს.

გატარებული რეფორმები, უპირველეს ყოვლისა, აისახა ფისკალური დისციპლინის დამყარებაზე და ფისკალური პრობლემების დაძლევაზე, საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხზე და მექანიზმებზე, კრიმინალის მკვეთრ შემცირებაზე და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად წარმატებული ცვლილებებისა, ვერ იქნა მიღწეული საჯარო ადმინისტრაციული ორგანოების გამჭვირვალობის, დეცენტრალიზაციის და მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხარისხის ზრდა. ხელისუფლებამ დაიწყო სექტორული რეფორმები, რაც განსაკუთრებით ენერგეტიკული პრობლემების დაძლევაში და ცალკეული კომუნალური სერვისების მოსახლეობისთვის მიწოდებაში გამოიხატა. თუმცა, პრობლემური გახდა ამ მომსახურების ტარიფების სიდიდეები და გაანგარიშების მექანიზმების საკითხები. ქვეყნის ეკონომიკის საგარეო დამოკიდებულების ასპექტი კიდევ უფრო გაიზარდა და რეალურად შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკის და მზარდი მაკროეკონომიკური ტენდენციების ძირითად წყაროდ იქცა. აგრარულ სექტორში პრობლემები კიდევ უფრო გაღრმავდა, ჩამოყალიბებული ნეგატიური ტენდენციები კი ძირითად დაბრკოლებად იქცა რეგიონებში სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით.

ამ პერიოდისათვის, როგორც აღნიშნა პრივატიზაცია და ინვესტიცია პოლიტიკურ ლიდერთა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიას წარმოადგენდა. პრივატიზაცია მართლაც სწრაფი ტემპებით განხორციელდა და არსებითი როლი ითამაშა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკური ზრდის

[82] საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი; თბ. 2010

თვალსაზრისით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ პიკს 2007 წელს მიაღწია და ძირითადად დაკავშირებული იყო პრივატიზაციასთან და პრივატიზაციის შემდგომ ოპერირებასთან. შესაბამისად, მან ვერ ითამაშა განმსაზღვრელი როლი შიდა, ახალი მწარმოებლური აქტივების მასშტაბურ ფორმირებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ის გარემოება, როდესაც ინვესტიციების მასშტაბის ზრდა არ აისახება სამუშაო ადგილების ზრდაზე, მეტიც, პარალელურად, იზრდება უმუშევრობის დონე და ეს არ უკავშირდება შრომის მწარმოებლურობის ტექნოლოგიურ განვითარებას, იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ეს ინვესტიციები მნიშვნელოვანწილად არ ატარებდა ეკონომიკური თვალსაზრისით მომავალზე ორიენტირებული აქტივების შექმნის ფუნქციებს და უმთავრესად, აქტივების ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ფინანსურ ნაკადებს წარმოადგენდა. რაც მოქმედი ხელისუფლების მიერ წინასწარ გათვლილი და შესაბამისად შეფასებული ვერ იქნა.

სააკაშვილის ხელისუფლება ეყრდნობოდა ორ ძირითად არგუმენტს: ეკონომიკურს და ინსტიტუციურს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ლიბერტარიანული მიდგომა უპირატესობას ანიჭებდა ბაზრის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს თვითრეგულირებისათვის.

ინსტიტუციური თვალსაზრისით კი, არგუმენტები ეყრდნობოდა 1990-იანი წლებიდან შემორჩენილი სტრუქტურების დაბალეფექტურობას და კორუფციულობას. აღნიშნული არგუმენტების საფუძველზე, პრობლემის გადაჭრის გზად, პოლიტიკური ლიდერების მიერ ნაცვლად ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმებისა, რაც კორუფციის რისკების შემცირებისაკენ და კერძო სექტორისათვის ტვირთის შემსუბუქებისკენ იქნებოდა მიმართულია, არჩეული იქ-

ნა ცალკეული მიმართულებით რეგულირების სრული ლიკვიდაცია. ეს შეეხო, მათ შორის, ისეთ მიმართულებებს, სადაც ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმები გულისხმობდა ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, სურსათის უვნებლობის სტანდარტებს და ტექნიკურ რეგულაციებს, შრომითი ურთიერთობების რეგულირებას და ა.შ.

საგადასახადო სისტემაში შემცირდა გადასახადის სახეები და საგადასახადო განაკვეთები, რამაც აგრეთვე პოზიტიური გავლენა იქონია ქვეყანაში ლიბერალური გარემოსა და კერძო ინიციატივებისათვის ნოყიერი ნიადაგის შექმნაზე. აღნიშნული უნდა ასახულიყო არსებული ბიზნესების გაფართოებაში, ახლის შექმნაში, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის მაშტაბის ზრდაში. თუმცა, საქართველოში ჩამოყალიბებული სურათი ამგვარი დასკვნის საშუალებას ნაკლებად იძლევა.

საკუთრების უფლების საკითხში საქართველოში ბევრი გამოწვევაა. ამას აჩვენებს არა მხოლოდ საკუთრების უფლების ხელყოფის მრავალი გავრცელებული მაგალითი მედიის მიერ, არამედ შესაბამისი მაჩვენებლები საერთაშორისო ინდექსებშიც. საკუთრების უფლებების ინდიკატორებში ქვეყანას აქვს დაბალი მაჩვენებლები და რაიმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება წლების დინამიკაში არ შეიმჩნევა. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი, რომელზეც ასევე მიუთითებს მრავალი კვლევა და შეფასება , უშუალოდ აისახება გარიგების დაცულობის პრობლემაზე.[83] აქედან გამომდინარე მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურმა მოღვაწეობამ შეიძლება ითქვას ვერ გამოიღო მნიშვნელოვანი

[83] F FAMOUS REFORMIST KAKHA BENDUKIDZE DIES AT 58
http://www.tabula.ge/en/story/89804-famous-reformist-kakha-bendukidze-dies-at-58

შედეგები, როგორც სოციალური თუ სამათლებრივი თვალ-საზრისით, ასევე ხელსაყრელი ბიზნესგარემოს ფორმირების-თვის, რადგან განმსაზღვრელ და ფუნდამენტურ კომპონენ-ტებში ქართულ პოლიტიკას ჰქონდა ჩავარდნა, რაც იმას ნიშნავს რომ ხშირად ფურცლებზე და წერილი თუ სხვადას-ხვა გამოსვლებში პოლიტიკური ლიდერების მიერ ნათქვამი და დაპირებები ვერ აისახა ვერც ადამიანთა დასაქმებასა და ვერც ცხოვრების დონის ზრდაზე.

რაც შეეხება ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას, მას აკლდა თანმიმდევრულობა, რადგან 2004-2007 წლების განმავლობაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა სოფლის მეურ-ნეობასა და სოციალურ პრობლემებს, სიღარიბის დაძლევას, დასაქმებას. 2008 წლის შემდგომ კი მთავრობის პოლიტიკის აქცენტები სწორედ ამ საკითხებზე გადავიდა, თუმცა რაიმე ხელშესახები წარმატებების გარეშე. მიუხედავად გარკვეული ეკონომიკური ზრდისა, ვერ იქნა მიღწეული გარდატეხა ეკო-ნომიკური განვითარების თვალსაზრისით. ეკონომიკური ზრდა ვერ აისახადა საქმეზაზე, ეკონომიკის ახალი სექტორე-ბის წარმოჩენა ზედა ტრადიციული სექტორების განვითარე-ბაზე. მოდერნიზაციის იდეა, რომელიც პოლიტიკური ლი-დერების ეკონომიკურ პოლიტიკაში ფიგურირებს, არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი ან ჩამოყალიბებული კონცეფციისა და სტრატეგიის დონეზე.

აქედან გამომდინარე, უპირატესად ყურადღება გამახ-ვილებული იყო მოდერნიზაციის ზედაპირულ გაგებასთან, როდესაც იცვლება არა პოლიტიკის მამოძრავებელი ღრმა სტრუქტურული ტენდენციები (ადამიანური, უფლებრივ-ვალდებულებითი, სექტორული, შრომის ბაზრის, ტექნოლო-გიური, სავაჭრო), არამედ ძირითადად ხდება ინფრასტრუქ-

ტურის გაუმჯობესება და აქცენტების გადათამაშება მხოლოდ ახალგაზრდების დასაქმებას შორის.

ამგვარად, "მოდერნიზაციის" სამთავრობო პოლიტიკა არ იყო მკაფიოდ იდენტიფიცირებული, არსებით შედეგებზე ორიენტირებული და მყარ, სიღრმისეულ ეკონომიკურ გათვლებზე დაფუძნებული.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გამო თანთდათან ჩამოყალიბება დაიწყო ხელისუფლებისადმი ანტაგონისტურად დაპირისპირებულმა საზოგადოებამ. შეიქმნა სხვადასხვა ჯგუფები საზოგადოებაში, რომლებიც საერთო პრობლემების მიხედვით გაერთიანდნენ და ხელისულებისაგან ითხოვდნენ დანაპირების შესრულებას, ცხოვრების გაუმჯობესებას, მოდერნიზაციას სიღრმისეულად და არა ფასადურად. მიუხედავად 9 წლიანი მუშაობისა და ქვეყნის 90-იანი წლების კრიზისიდან გამოყვანისა საზოგადოება ლიდერისაგან უფრო მეტს მოითხოვდა და ეს ლოგიკურიცაა. რადგან არ შეიძლება ლიდერი გაჩერდეს და არ გააგრძელოს ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა. არ უნდა გადაიტანოს აქცენტები სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებიც არც თუ ისე მნიშვნელოვანია ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა. ამდენად ყველა ამ გარემოებებმა საფუძველი მოამზადა და 2011 წელს ქართულმა საზოგადოებამ ისევ საპროტესტო გამოსვლებს მიმართა რათა თავიდან აეცილებინა პოლიტიკურ ლიდერთა მმართველობა კი არა არამედ უკვე ბატონობა. ერთის მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ამ წლების განმავლობაში საქართველოში ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება და ხალხმა ისწავლა თავისუფლებაში ცხოვრება, რამაც განაპირობა ცუდის უკეთესისაკენ შეცვლის მოთხოვნილების გაჩენა და მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლებითა და აქციებით ხელისუფლების შეცვლა.

მაშასადამე, მიხეილ სააკაშვილის როგორც დემოკრატიული მმართველობის პოლიტიკური ლიდერის სახე საბოლოო ჯამში ვერ შედგა, რადგან ვერ ჩამოყალიბდა არსებითად თავისუფალი პოლიტიკური თუ ეკონომიკური გარემო, რისი უმთავრესი მიზეზიც საკუთრების დაუცველობა, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები, პენიტენციური სისტემის გაუმართაობა და სხვ. შედეგად, ვერ მოხერხდა განვითარების თვალსაზრისით იმ რეალური უპირატესობების გამოვლენა, რომელიც ლიბერალურმა გარემომ უნდა მოიტანოს.

თავი მეოთხე

კვლევა საქართველოსათვის საჭირო პოლიტიკური ლიდერის თვისებების დადგენის მიზნით

ბოლო ათწლეულების მანძილზე საქართველოს განვითარების ტენდენციების, ლიდერების წარმატება–წარუმატებლობისა და საბოლოოდ ქვეყანაში არსებული დაუძლეველი კრიზისული მდგომარეობიდან გამომდინარე ცხადია, რომ საქართველოს, როგორც პატარა ქვეყანას მრავალმხრივი გაგებით, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოს, თავისი რესურსებითა და ენერგომატარებლის ფუნქციებით სჭირდება სხვა ტიპის და უნარ–ჩვევების მქონე პოლიტიკური ლიდერ(ებ)ის მმართველობა.

საქართველოს ლიდერობისთვის საჭირო უნარ–ჩვევების დასადგენად ჩატარებულ იქნა სპეციალური კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მოქმედმა საჯარო მოხელეებმა, პოლიტიკოსებმა, ექსპერტებმა[84]. კვლევა ჩატარდა ინტერვიუს მეთოდით, გამოყენებული იქნა როგორც სტრუქტირებული, ისე ნახევრადსტრუქტირირებული ინტერვიუ.

---

[84] აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლევან გორგილაძე; განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი თავამაიშვილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ირაკლი მანველიძე; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები შოთა დოღონაძე, ოთარ ქოჩორაძე, გენადი იაშვილი, გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია, ბესიკ შერაზადიშვილი, ვაჟა შუბითიძე; საჯარო მოხელეები და ლექტორ-მასწავლებლები

1. სტრუქტურირებული ინტერვიუ წარმოადგენდა ორ სპეციალურ კითხვარს, რომელთა მეშვეობით რესპონდენ-ტებმა წარმოადგინეს საკუთარი აზრი.

პირველი კითხვარის მიზანი გახლდათ რესპოდენტთა აზრის დაფიქსირება ლიდერობისათვის აუცილებელი და ნაკლებად აუცილებელი თვისებების შესახებ, ამისათვის შექ-მნილი იქნა შკალა, სადაც ჩამოთვლილ ნიშანა–თვისებათა და უნარების შეფასება ხუთბალიანი სისტემის მეშვეობით განხორციელდა.

გამოკითხულთა რაოდენობის პროპორციულად, პასუ-ხები შემდეგნაირად გადანაწილდა (ცხრილი 3)

ცხრილი 3 - პირველი კითხვარი და მიღებული პასუხების პროცენტული რაოდენობა

ნიშან- თვისება	პროცენტი
მენეჯერი	**96 %**
ჭკვიანი	**95 %**
პასუხისმგებლიანი	**93 %**
დაბალანსებული	**90 %**
პროფესიონალი	**89 %**
ემოციების მართვის ნიჭი	**86 %**
ექსტრემალურ სიტუაციაში მართვის ნიჭი	**84 %**
გამოცდილი	**84 %**
ენერგიული	**83 %**
კომპრომისის მიღწევის უნარის მქონე	**83 %**
მთავარი პრობლემის გამოკვეთის და მასზე ფოკუსირების უნარი	**81 %**
განათლებული	**80 %**

რამოდენიმე პრობლემის ერთდროულად გადაწყვეტის ნიჭი	**80 %**
ინიციატორული	**80 %**
ქარიზმატული	**79 %**
მოტივირებული	**78 %**
მოტივაციის უნარის მქონე	**72 %**
დაბალანსების უნარის მქონე	**72 %**
ამბიციური	**60 %**
რისკიანი	**60 %**

მეორე კითხვარის მიზანი გახლდათ გამოიკითხულთა აზრის დაფიქსირება დამოუკიდებელი საქართველოს საუკეთესო, ნაკლებად საუკეთესო და სუსტი ლიდერის გამოსავლენად. ამისათვის შექმნილი იქნა შკალა, სადაც ჩამოთვლილ ლიდერების (მათ შორის რეგიონული – აჭარის) შეფასება ხუთბალიანი სისტემის მეშვეობით განხორციელდა.

გამოკითხულთა რაოდენობის პროპორციულად, პასუხები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა (ცხრილი 4)

ცხრილი 4 - მეორე კითხვარი და მიღებული პასუხების პროცენტული რაოდენობა

ლიდერი	**პროცენტი**
გიორგი კვირიკაშვილი	**94 %**
ედუარდ შევარდნაძე	**89 %**
ბიძინა ივანიშვილი	**85 %**
მიხეილ სააკაშვილი	**80 %**
გიორგი მარგველაშვილი	**78 %**
ზვიად გამსახურდია	**66 %**

ზურაბ პატარაძე	**64 %**
მერაბ კოსტავა	**64 %**
ჟიული შარტავა	**61 %**
ირაკლი ალასანია	**58 %**
ნინო ბურჯანაძე	**58 %**
დავით ბაქრაძე	**58 %**
დავით უსუფაშვილი	**56 %**
პაატა ბურჭულაძე	**55 %**
ირაკლი ღარიბაშვილი	**51 %**
ლევან ვარშალომიძე	**50 %**
შალვა ნათელაშვილი	**45 %**
არჩილ ხაბაძე	**40 %**
ჯუმბერ პატიაშვილი	**38 %**
თენგიზ სიგუა	**37 %**
ასლან აბაშიძე	**36 %**
თამაზ ნადარეიშვილი	**35 %**
ჯაბა იოსელიანი	**33 %**
დავით თარხან–მოურავი	**31 %**

3. **ნახევრადსტრუქტურირებულ** ინტერვიუს მეთოდით გამოკითხვისთვის ჩამოყალიბდა ერთგვარი ფოკუს–ჯგუფი, რომელიც შედგებოდა საქართველოს მოქმედი უმაღლესი რანგის საჯარო მოხელეებსა (აჭარის ა/რ მთავრობა, უმაღლესი საბჭო) და პროფესიონალი ექსპერტებისგან საჯარო მმართველობის დარგში (სტუ–ს საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორები, ბსუ-ს პროფესორი)[85].

---

[85] *აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლევან გორგილაძე; განათლების,*

ინტერვიუში ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახის საკვანძო კითხვები.

1.რა ფაქტორებზეა დამოკიდებული ქვეყნის წარმატებული პოლიტიკურ, ეკონომიკური და სოციალური განვითარება?

2.როგორ ფიქრობთ როგორი ტიპის ლიდერი უნდა ჰყავდეს დღეს საქართველოს? უფრო ქარიზმატული თუ უფრო რაციონალური?

3.ზოგადად რა ნიშან-თვისებები და უნარ–ჩვევები უნდა გააჩნდეს წარმატებულ პოლიტიკურ ლიდერს?

4.საქართველოს პოლიტიკური კურსი განპირობებულია საგარეო ფაქტორებით თუ უფრო საშინაო ფაქტორებით და რას იყვით ამ საკითხებში ლიდერის როლის შესახებ?

5.ქართველი პოლიტიკური ლიდერების კურსს თვლით როგორც კონსენუსზე, კომპრომისზე თუ კონფრონტაციაზე ორიენტირებულს?

ინტერვიუს მსვლელობის დროს წარმოქმნილი ვითარების შესაბამისად ხორციელდებოდა სხვადასხვა საკითხის დაზუსტება. ინტერვიუს მსვლელობა ჩაწერილია ვიდეოკამერით და თან ერთვის დისერტაციას.

ინტერვიუს გააანალიზების შედეგად შესაძლებელი გახდა შემდეგი დასკვნების გაკეთება:

კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი თავამაიშვილი, აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარების თავმჯდომარე ილია ვერძაძე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ირაკლი მანველიძე; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები შოთა დოღონაძე, საქ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე 1999–2003 წწ. პროფ. ვაჟა შუბითიძე, ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარე, პროფ. ოთარ ქოჩორაძე, ასოც. პროფ. ოთარ ბაღათურია.

1. გამოკითხულთა შეხედულებებით ქვეყნის წარმატება ბევრ ფაქტორებზეა დამოკიდებული, ძირითადად ეს არის ეკონომიკური ფაქტორი, განვითარების ინდექსები, საზოგადოების სოციალური განვთაარება და მისი ხარისხი, წარსულის მაგალითები, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია სამომავლო შედეგებზე. ასევე მნიშვნელოვანია საგარეო ფაქტორებიც. თანამედროვე მსოფლიოს საერთაშორისო სივრცემ თავისი მასშტაბებით ფართო სპექტრო მოიცვა. დღეს, კომუნიკაციის აღმავლობის ხანაში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებმა ახლებური, თანამედროვე, უფრო კომუნიკაბელური და აქტიური სახე მიიღო, რასაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. საბჭოთა კარჩაკეტილობამ საქართველო განვითარების სულ სხვა სივრცეში გადაიყვანა. ისიც ყურადსაღებია რომ არა რუსეთთან გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატი, რა სივრცეში იქნებოდა დღეს საქართველო. მაგრამ საბჭოთა ნომენეკლატურულმა სისტემამ და საერთაშორისო არეალიდან ამოვარდნამ ბევრი უარყოფითი შედეგებო მოუტანა ქვეყანას. დღეს საქართველო აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სისტემაში, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. ამდენად ქვეყანა განიცდის მის აქტიურ ზეგავლენას. პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების საკითხების კვლევისას გაირკვა, რომ ბალტიისპირეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში საუკეთესო შედეგებს მიაღწია და სხვა ფაქტორებთან ერთად სწორედ მისმა ტერიტორიულმა მდებარეობამ და ევროპულ სივრცეში იდეურად მისმა უწყვეტობამ იქონია ზეგავლენა, რომელიც პოლიტიკურმა ლიდერებმა შესანიშნავად გამოიყენეს, ანუ ამ პოლიტიკურ ლიდერებს საკმაოდ ხელსაყრელი საგარეო არეალი ჰქონდათ, რაც დიპლომატიურად იქნა მორგებული ბალტიისპირეთის პოლიტიკის სასარგებლოდ.

2.გამოკითხულთა აზრით, საქართველოს ბოლო ათწლეულების მანძილზე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ლიდერების ჰყავდა. ერის ლიდერი, კონსერვატორი ლიდერი, ქარიზმატული ლიდერი.... დღეს ნათელი მაგალითები გვაქვს ამ ლიდერთა მოღვაწეობამ სად მიიყვანა ქვეყანა. ვინ მოახერხა თავისი უნარების სრულყოფილება და ვინ ვერა. ქართველი ხალხის მენტალობიდან გამომდინარე ქარიზმატული ლიდერები, რომლებიც ხალხის თვალში ქვეყანას „მხსნელის“ სახით ევლინება უფრო მეტ მხარდაჭერას იმსახურებს. ქართული საზოგადოება შრომისა და გარჯის უნარსაა მოკლებული და ელის ადამიანს რომელიც მის მაგივრად გააკეთებს ყველაფერს, ეს საზოგადოების ნაკლოვანებაა. აღნიშნული „მხსნელი“ კი ქარიზმატულ, ამბიციურ ლიდერი გახდეს, რომელიც ძლიერ მუხტს შემოიტანს ერში და დასაწყის პერიოდში მაინც წარმატებულ ლიდერობას მიაღწევს.

საბოლოო ჯამში, წარსულის მაგალითებიდან გამომდინარე, პატარა ქვეყანას - საქართველოს **რაციონალური ლიდერი** სჭირდება, რომელშიც გაერთიანებული იქნება ქარიზმაც, ამბიციურობაც, რაციონალიზმიც, ნიჭიერებაც, გარეგნული ხიბლიც, ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია, მართვის უნარი და საჭირო მომენტში ქვეყნისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებების აუჩქარებლად, რაციონალურ პრინციპებზე დაყრდნობით მიღების ნიჭიც.

3.გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით პოლიტიკური ლიდერის წარმატებული მოღვაწეობის გარანტი ერთის მხრივ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობასთან, ისტორიული წარსულის მაგალითებთან, საზოგადოებრივი განვითარების დონესთან ერთად მისი განსაკუთრებული უნარ–ჩვევებისა და ნიშან–თვისებების სრულყოფა არის აუცილებელი. თუ ეს კომპონენტები მოვა ერთმანეთთან თანხვედრაში სა-

ბოლოო ჯამში მიღებულ იქნება ინსტიტუციურად და ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფო წარმატებული მართველობით. გამოკითხულთა აზრით, ძირითადად წარმატებული პოლიტიკური ლიდერი უნდა იყოს:

- ✓ ჭკვიანი;
- ✓ პროფესიონალი;
- ✓ განათლებული;
- ✓ პასუხისმგებლიანი;
- ✓ გამოცდილი;
- ✓ კომპრომისების უნარის მქონე;
- ✓ დაბალანსების უნარის მქონე;
- ✓ მოტივირებული და მოტივაციის უნარის მქონე;
- ✓ ექტრემალურ სიტაუციაში მართვის ნიჭის უნარის მქონე;
- ✓ მთავარი პრობლემის გამოკვეთისა და მასზე ფოკუსირების უნარის მქონე;
- ✓ ემოციების მართვის ნიჭის უნარის მქონე.

გარდა ამისა გამოკითხულთა მხრიდან გამოიკვეთა შედარებით მეორეხარისხოვანი უნარებიც, რომლებიც სასურველია რომ გააჩნდეს პოლიტიკურ ლიდერს, მაგრამ არა უცილებელი. ესენია:

- ✓ ზნეობრივი მხარე;
- ✓ იყოს ამბიციური;
- ✓ იყოს ენერგიული;
- ✓ ქარიზმატული;
- ✓ გამოცდილი;
- ✓ კანონმორჩილი და ა.შ.

რასაკვირველია ეს თვისებები შეიძლება ახასიათებდეს ლიდერს, მაგრამ მათზე ორიენტირება, გამოკითხულთა აზრით ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა თვისებებისა.

4.გამოკითხულთა აზრით, საგარეო ფაქტორები საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ რეალობაში აქტიურ ზეგავლენას ახდენს მის განვითარებაზე. განსაკუთრებით კი საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. ენერგომატარებლის ფუნქციები და ა.შ.

მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ქვეყნის წარსული, რომელიც თავის მემკვიდრეობას ტოვებს პოლიტიკაში. გამოკითხულთა აზრით ძირეულად უნდა იქნეს შესწავლილი წარსულის მაგალითები, რათა სამომავლოდ გათვალისწინებულ და აცილებულ იქნეს მართვაში შეცდომები.

პოლიტიკური ლიდერის მიერ კი ყველა ფაქტორი რაციონალურად უნდა იქნეს განხილული და მორგებული ქვეყნის საშინაო ფაქტორებზე. თუმცა აბსოლუტური წინდახედულობა შეუძლებელია, შეიძლება გარკვეული გაუთვალისწინებელი საგარეო პრობლემები შეიქმნას ქვეყანაში, მაგრამ ლიდერმა ეს დილემა თავისი უნარიანობით ქვეყნის სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს.

გამოკითხულთა აზრით, სახელმწიფოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო ურთიერთობი წესრიგდება კონსესუსებით, კომპრომისებით, ან კონფრონტაციით. გამოიკვეთა აზრი, რომ კომპრომისი არ შეიძლება განხილული იქნეს პოლიტიკური ლიდერის სისუსტედ. საჭირო დროს ლიდერი კომპრომისზეც უნდა წავიდეს თუ ეს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს. რათქმაუნდა კონსესუსის მიღწევა ეს ლიდერის საუკეთესო უნარია, მაგრამ პატარა და სუსტი სახელმწიფოებისათვის კომპრომისია უფრო დამახასიათებელი. კონფრონტაცია – გამოკითხულთა აზრით საქართველოსათვის მიუღებელი ფორმაა, რადგან ამას შეიძლება ქვეყნაში მშვიდობის მდგომარეობის გაუარესება მოჰყვეს.

დ ა ს კ ვ ნ ა

ამრიგად, წინამდებარე მონოგრაფიაში ჩატარებული კვლევის მიღებული დასკვნები შესაძლებელია შეჯამდეს შემდეგნაირად: **განხილულ იქნა სხვადასხვა მეცნიერების შეხედულებები პატარა ქვეყნის შესახებ. ამ შეხედულებებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ კონცეფცია პატარა ქვეყნის შესახებ და გამოვიტანეთ დასკვნა.**

- საქართველო მრავალმხრივ პატარა ქვეყანაა, როგორც ზოგადი, ასევე სპეციფილური კრიტერიუმებით. ზოგადი კრიტერიუმებია:

- პატარა ტერიტორია;

- მცირე მოსახლეობა;

- ის, რომ მას არასოდეს არ შეეძლება მარტო, ან სხვა პატარა ჯგუფთან ერთად მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა საერთაშორისო სისტემაზე;

- მისი საგარეო ძლიერება მნიშვნელოვნად ჩამორჩება თუნდაც ერთ-ერთ მის მეზობელს;

ხოლო სპეფიფიკური კრიტერიუმებია:

- არადემოკრატიული ქვეყნების გარემოცვა;

- ეთნიკური კონფლიქტების ეპიცენტრი;

- მძიმე პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა;

- დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი გამოცდილების არ ქონა;

- საზოგადოების არასახალმწიფოებრივი აზროვნება, შინააშლილობა, და ეგოიზმი;

- **ჩამოვაყალიბეთ პოზიცია პოლიტიკური ლიდერის ფენომენის თაობაზე, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:**

- პოლიტიკური ლიდერობა ეს განსაკუთრებულად ურთიერთდამოკიდებული პროცესია, რომლის დროსაც მოსახლეობის ერთი ნაწილი (პოლიტიკური ელიტა) გამოხატავს თავისი მიმდევრების (საზოგადოების) მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, რომლებიც ანიჭებენ მათ უფლებას განახორციელონ მიზანმიმართულად თავიანთი წარმომადგენლობა. აღნიშნული ფენომენის ასეთმა ინტერპრეტაციამ საკმაოდ ფართო განზოგადება ჰპოვა, რადგან ლიდერის ფენომენის სრულყოფილი არეკვლის შესაძლებლობა მხოლოდ პოლიტიკურ პრაქტიკაში აისახება, ლიდერობის ფენომენი კვლევას თანამედროვე ჭრილში საჭიროებს, რაც ჩვენს მიერ შესრულებული იქნა სხვადასხვა სახის გამოკვლევებით.

-არსებობს ლიდერის სხვადასხვა ტიპოლოგიები და ლიდერობის განსხვავებული ახსნა, რაც თავად ფენომენის სირთულითაა გამოწვეული. ცხადია, ლიდერს გაცილებით მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე სხვებს და მას სხვაზე მეტად შეუძლია საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მინიმალური „დანახარჯებით“. მაგრამ ლიდერად ყოფნა არ არის მხოლოდ კონკრეტული პიროვნების უნარებზე დამოკიდებული. ლიდერი იმიტომ არის ლიდერი, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც აძლევენ მას ამის უფლებას და აღიარებენ, როგორც ლიდერს.

✓ განსაზღვრული იქნა ზოგადად „კარგი“ ლიდერის ცნება, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- ლიდერი არის საზოგადოებაში „რჩეული ინდივიდი“, რომელსაც როგორც ბუნებითი, თანდაყოლილი ასევე ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევები უნდა გააჩნდეს. უდავოა, რომ ის უნდა იყოს კანონმორჩილი და მაღალი ზნეობრივი ინდექსების მატარებელი, ასევე კომპრომისული. კომპრომისი არამც და არამც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ლიდერის სისუსტედ.

განსაკუთრებით ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა, რომელიც თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და საკუთარი თავის დამკვიდრებას ცდილობს მსოფლიო საერთაშორისო სივრცეში.

- მრავალ ნიშან-თვისებათა შორის, კვლევამ გვიჩვენა, რომ ლიდერს განსაკუთრებით უნდა გააჩნდეს პოლიტიკური მენეჯერული მართვის უნარი და უნდა იყოს პროფესიონალი, უნდა იყოს მოტივირებული პოლიტიკური მართვის განსახორციელებლად. საზოგადოების აზრით ლიდერი ნაკლებად უნდა იყოს რისკიანი და ამბიციური. ეს პიროვნული თვისებები ხშირ შემთხვევაში არასწორი, ნაჩქარევი და არაეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას განაპირობებს.

- ამრიგად, პოლიტიკური ლიდერისათვის წარმატებული მოღვაწეობის გარანტი ერთის მხრივ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობასთან, ისტორიული წარსულის მაგალითებთან, საზოგადოებრივი განვითარების დონესთან ერთად მისი განსაკუთრებული უნარ–ჩვევებისა და ნიშან–თვისებების სრულყოფა არის აუცილებელი. თუ ეს კომპონენტები მოვა ერთმანეთთან თანხვედრაში საბოლოო ჯამში მიღებულ იქნება ინსტიტუციურად და ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფო წარმატებული მართველობით.

✓ლიდერის ფენომენის უკეთ ჩამოყალიბებისათვის ჩატარებულმა კვლევამ შესაძლებელი გახადა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მოღვაწე პოლიტიკური ლიდერების შეფასების გაკეთება, რაც საერთო სურათის შექმნისათვის ისტორიული გამოცდილებების თვალსაზრისით საინტერესო და შედეგიანია. კერძოდ,

-საქართველოს ბოლო ათწლეულების მანძილზე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ლიდერების ჰყავდა. ერის ლიდერი, კონსერვატორი ლიდერი, ქარიზმა-

ტული ლიდერი.... დღეს ნათელი მაგალითები გვაქვს ამ ლიდერთა მოღვაწეობამ სად მიიყვანა ქვეყანა. ვინ მოახერხა თავისი უნარების სრულყოფილება და ვინ ვერა. ქართველი ხალხის მენტალობიდან გამომდინარე ქარიზმატული ლიდერები, რომლებიც ხალხის თვალში ქვეყანას „მხსნელის“ სახით ევლინება უფრო მეტ მხარდაჭერას იმსახურებს. ქართული საზოგადოება შრომისა და გარჯის უნარსაა მოკლებული და ელის ადამიანს რომელიც მის მაგივრად გააკეთებს ყველაფერს, ეს საზოგადოების ნაკლოვანებაა. აღნიშნული „მხსნელი“ კი შესაძლოა ქარიზმატული, ამბიციური ლიდერი გახდეს, რომელიც ძლიერ მუხტს შემოიტანს ერში და დასაწყის პერიოდში მაინც წარმატებულ ლიდერობას მიაღწევს.

-კვლევიდან ჩანს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ქვეყანაში არსებული ლიდერების მიმართ საზოგადოებაში რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, ქვეყნის პოლიტიკურ–ეკონომიკური მდგომარეობა თვალნათლივ მიუთითებს ლიდერის დილემაზე. და რაც მთავარია არ გამოვლენილა არც ერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც საზოგადოების მხრიდან შეფასების უმაღლეს ქულას დაიმსახურებდა

✓საბოლოო ჯამში კვლევის შედეგი არის პატარა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ფენომენის ჩამოყალიბება;

- დამოუკიდებლობიდან დღემდე ქვეყანას რადიკალურად განსხვავებული ტიპის ლიდერები მართავდნენ. მათ საკუთარი წვლილი შეიტანეს ქვეყნის სახელმწიფოებრივ განვითარებაში. იყო წარმატებაც და მრავალი მარცხიც. საბოლოო ჯამში ვერც ერთი ვერ გამოდგა ძლიერი, თანამედროვე ლიდერი რომელიც უზრუნელყოფდა ქვეყნის უსაფრთხო, დემოკრატიულ და წარმატებულ განვითარებას. საქართვე-

ლოს სჭირდება სხვა ტიპის და უნარ–ჩვევების მქონე პოლიტიკური ლიდერ(ებ)ის მმართველობა.

საქართველომ ბოლო 26 წლის მანძილზე მეტად აქტიური პოლიტიკური განვითარების გზა განვლო, რამაც დღევანდელ პოლიტიკურ განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხების კვლევისას გაირკვა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა მრავალმხრივი გაგებით: ტერიტორიულად, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდექსებით, დემოგრაფიულად და ა.შ., მაგრამ ფლობს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ ადგილმდებარეობას, როგორც საერთაშორისო მაშტაბურ, ასევე სამხრეთ კავკასიის – ლოკალურ სივრცეში. ქვეყანამ პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარების კარგ შედეგებს ვერ მიაღწია. ჩამოთვლილ გარე და შიდა ფაქტორებთან ერთად გამოიკვეთა, რომ ამ საკითხში დიდია პოლიტიკური ლიდერის (ლიდერების) როლი და ფუნქციები.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის, როგორც სტრუქტურირებულმა, ისე ნახევრად სტრუქტურირებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ რეალობაზე აქტიურ ზეგავლენას ახდენს როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორები, განსაკუთრებით კი საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ენერგომატარებლის ფუნქციები და ა.შ. პოლიტიკური ლიდერის მიერ კი ყველა ეს საგარეო ფაქტორი რაციონალურად უნდა იქნეს განხილული და მორგებული ქვეყნის საშინაო ფაქტორებზე. თუმცა ყველაფრის წინასწარ გათვლა შეუძლებელია, ქვეყანაში შესაძლოა შეიქმნას გარკვეული გაუთვალისწინებელი პრობლემები, მაგრამ ლიდერ(ებ)მა და პოლიტიკურმა ელიტამ ეს პრობლემები თავისი უნარიანობით ქვეყნის სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს.

მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ქვეყნის წარსული, რომელიც თავის მემკვიდრეობას ტოვებს ქვეყნის პოლიტიკაში. გამოკითხულთა აზრით ძირეულად უნდა იქნეს შესწავლილი წარსულის მაგალითები, რათა სამომავლოდ გათვალისწინებული იქნას მართვაში შეცდომების თავიდან აცილება და ახალი, თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინება.

თუ ვიხელმძღვანელებთ ვილფრედო პარეტოს შეფასების **ეფექტურობის პრინციპით 80/20**, რომელიც გულისხმობს, რომ გამოყენებული ძალისხმევის 20% -ს მოაქვს შედეგების 80% – ი, და დანარჩენ 80% – ს – მხოლოდ 20%-ი. გამოკითხვის შედეგად შეიძლება დავადგინოთ დღეს მისაღები ლიდერის ტიპი. კერძოდ ეფექტური თვისებების 20 % შეადგენს – **პოლიტიკური მენეჯერი, პროფესიონალი, პასუხისმგებლიანი და დაბალანსებული**, რაც ქმნის შედეგების 80 %. რაც შეეხება დანარჩენ თვისებებს ისინი შეადგენენ მთლიანის 80 % , რომელიც იძლევა შედეგის 20%. სწორედ ამიტომ ისინი ეფექტურობის თვალსაზრისით ნაკლებ მნიშვნელოვანია, თუმცა სასურველია, რომ ლიდერი ამ თვისებებსაც ფლობდეს.

საბოლოო ჯამში, ყოველივე აქედან გამომდინარე საქართველოს **რაციონალური ლიდერი** სჭირდება, რომელშიც გაერთიანებული იქნება რაციონალიზმიც, ნიჭიერებაც, ამბიციურობაც, გარეგნული ხიბლიც, მართვის უნარი და საჭირო მომენტში ქვეყნისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებების აუჩქარებლად, რაციონალურ პრინციპებზე დაყრდნობით მიღების ნიჭიც. აქედან კაგად ჩანს, რომ ლიდერის მახასიათებელებს შორის უპირტესია მისი ***<u>რაციონალურობა</u>***.

დასასრულს აღვნიშნოთ რამდენიმე გავრცელებული მაქსიმა იმის შესახებ თუ რა სჭირდება პატარა ქვეყანას. შამი-

ლი ამბობდა – **„პატარა ერს უნდა ჰქონდეს დიდი ხანჯალი“**. მაგრამ, როგორც ვიცით „დიდმა ხანჯალმა“ ვარ გადაარჩინა ჩრდილოეთ კავკასია დაპყრობისა და ფაქტობრივი გენოციდიდან. შემდეგ, ბედს შეგუებულმა ხუნძმა სახალხო პოეტმა ჰამზათ წადასამ ბრძანა – **„პატარა ერს უნდა ჰყავდეს დიდი მეგობარი“**[86]. ცხადია, ასეთი გამონათქვამი ერთგვარი, შესაძლოა აუცილებელი რევერანსი გახლდათ პატარა ქვეყნისა დიდი დამპყრობლის წინაშე. მაგრამ საყველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყნებს არ ჰყავთ მეგობრები ან მტრები, მათ აქვთ მუდმივი ინტერესები, რომელთაც უნდა მისდიოს სახელმწიფომ [87].

ამრიგად, ჩვენი აზრით, საქართველოს, როგორც **პატარა ქვეყანას უნდა ჰქონდეს „დიდი ჭკუა“,** ხოლო დიდ ჭკუაში იგულისხმება სწორედ ის მაჩვენებლები, რომლებიც ჩამოყალიბდა ზემოთ მოყვანილი კვლევის პროცესში – **ლიდერის სიბრძნე, რაციონალიზმი, ნიჭიერება, ამბიციურობა, მართვის უნარი და საჭირო მომენტში ქვეყნისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებების აუჩქარებლად, რაციონალურ პრინციპებზე დაყრდნობით მიღების ნიჭი.**

---

[86] რასულ ჰამზათოვი. ჩემი დაღესტანი, 1982 წ.

[87] ლორდ პალმერსტონის ლორდთა პალატაში წარმოთქმული სიტყვიდან (1848 წ. 1 მარტი)

Khatuna Muradishvili, Giorgi Bagaturia

The dilemma of the political leaders of the small country in the post-Soviet space

Monograph

The monograph is considered the problem of political leadership in a small country. The work focuses on three key issues - the political leader, the dilemma of the political leader and the concept of a small country. The monograph includes an overview of the dynamics of political, economic and social processes that have developed in Georgia in the last 27 years of history.

the key issues of the monograph are the analysis of the political leader's phenomenon in general, the problems created in the leadership process and especially for the country that has been living in the form of statehood for the past decade.

In terms of comparative analysis in monographs, there is a discussion on the activities of the political leaders of the post-Soviet countries. It is considered as positive as well as negative ones. These issues are interconnected with the ongoing historical events, the country's foreign and domestic policy, which ultimately enables the objective discussion of historical events and the right outcomes.

Particular attention is paid to the concept of a small country. Various types of examples are from political and social situations of other smaller states.

The authors of the monograph have made speeches on scientific conferences, the results of the study are published in scientific journals and conferences collections, while Khatuna Muradishvili was awarded the rank of academic doctorate of public administration

Monographs will be useful for those who are interested in

state management issues, using the modern methods of research in public policy objectives

Scientific Editor - Professor Shota Doghonadze,
Head of Public Administration Programs of Georgian Technical University, PhD of History

Scientific Editor - Professor Tamar Kiknadze
Director of the Institute of Political Research of Caucasus International University, PhD of Political Sciences,

Reviewer - Professor Otar Kochoradze
Head of the Graduate Program (Russian) of Public Administration of Georgian Technical University, PhD of History

Authors – Khatuna Muradishvili
Associate Professor of Grigol Robakidze University (Batumi Representation), Invited Professor of Batumi Shota Rustaveli State University and Tbeli Abuseridze Teaching University. PhD of Public Governance
Giorgi Bagaturia, Professor of Georgian Technical University, PhD of Cybernetics

ავტორები

გიორგი ბაღათურია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ვარშავის მენეჯმენტის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კომპიუტერული მეცნიერებების და სისტემების საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა კიბერნეტიკული მეთოდოლოგია სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ სამეცნერო კონფერენციაში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. არის სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი. გამოქვეყნებული აქვს 4 მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, 120-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, მრავალი საგაზეთო წერილი.



ხათუნა მურადიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობის დოქტორი. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის (ბათუმის წარმომადგენლობა) ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს მთავარი ოფიცერი. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ კონფერენციაში და საერთაშორისო ფორუმში, არის რამოდენიმე სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომის მეცნიერ–ხელმძღვანელი, გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც საქართველოს სამეცნერო ჟურნალებში, ასევე ევროპის სამეცნიერო ჟურნალში.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის

საგამომცემლო ცენტრი

info@gruni.edu.ge

+ 995 (32) 2384406

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com